

838 /3  
1998


13

ଓଡ଼ିଆ  
ମେଲା  
ମୁଦ୍ରଣ

ଓଡ଼ିଶା ପ୍ରକାଶନ

ରୂ  
ବେଳତ୍ୱବନ୍ଧୁମା

No 2  
1998 ମୁଦ୍ରଣ



# ლიცერაფერა

და  
ხელოვნება



1998 წ. №2

საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული  
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

თბილისი  
1998

უურნალი დაარსდა 1990 წელს, გამოღის სამ თვეში მრთხელ

მთავარი რედაქტორი: სოლიკო ცაიშვილი

**უურნალის რედაქცია:**

ლევან ასათიანი,  
გიორგი გოგიელი,  
თამაზ ვასაძე,  
მალხაზ კობიაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
გიორგი მაჭავარიანი,  
ზაზა სხირტლაძე,  
ნინო ლალანიძე,  
კახა ხიმშიაშვილი,  
დავით ხოშტარია,  
კახა ჯამბურია

გამოქვეყნებული მასალა გამოხატავს ავტორთა შეხედულებებს  
და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

1998 წელს უურნალი გამოდის ჯორჯ სოროსის ფონდ „ღია  
საზოგადოება“ – საქართველოს“ –ს ფინანსური დახმარებით.

ფლის მხატვრობა ეკუთვნის ირაკლი ფარჯიანს

© „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998, №1.

რედაქციის მისამართი: 380008; თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5.

ტელეფონი: 99-53-00

## სარჩევი

<b>კულტურის მსტარია</b>	
თ ო მ ა ს მ ა ნ ი – გერმანია და გერმანელები...	5
<b>ლიტერატურამცოდნეობა</b>	
თ ა მ ა რ ლ ო მ ი ძ ე – გრიგოლ ირგელიანის „ჩემს დას ეფების“ .....	32
<b>ფილოლოგიურ-იპოლოგიური</b>	
პიებანი	
მ ა ლ ხ ა ზ კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი – ადრია პირველი მოდებულის „მიმოსლვათა“ ზანრული თავისებურებისათვის .....	36
<b>რუსულან ჩოლოყაშვილი</b> – ჭლაპარი „წიქარა“ და მისი გენეტიკური საფუძველი .....	49
<b>არქიტექტურა</b>	
ღ ა ვ ი თ ხ ი შ ტ ა რ ი ა – შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიები .....	53
<b>მ ა ი ა მ ა ნ ი ა</b> – თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი	
.....	81

## XX සාමාජික තේෂණ තැබූවා

- නෑතිය රාජී ඡ්‍යෙන්සිල් මාධ්‍යම් දා  
ක්‍රාලී තුවාලතාකාධ්‍යවා..... 93

## ඩ්‍රීම්‍රික නිවැරදි තැබූවා

- ඝ්‍යෙ දේරු ඝ්‍යෙන්සිල් මාධ්‍යම් – ඇත්තාලුව  
මොනාස්ටිචරල් .....

112

## ඉතාර යාන්ගේලි ප්‍රාග්ධනය

- තායාපැඹලුව තුවාලතාකාධ්‍යවා..... 132

## අරුක්කාව

- ඒරාකුලි ග්‍යාර්ඥින් මාධ්‍යම් – පැරුණදා  
ඩෙරිලෝජිඩ්‍රාන..... 145

# კულტურის ისტორია

თომას მანი

## გერმანია და გერმანელები

ეს არის 1945 წლის 29 მაისს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკაში ინგლისურად წარმოთქმული სიტყვა, რომელიც თომას მანმა თვითონვე თარგმნა გერმანულად და ბირველად გამოაქვეყნა შვეიცარიის გერმანულენოვან ჟურნალში Die neue Rundschau 1945 წლის ოქტომბერში.

ემიგრაციაში ყოფნის დროს 1930 წლიდან მოყოლებული თომას მანი მოღვაწეობს, როგორც რადიომიმომსილველი და გაკეთებული აქვს 55 რადიოგადაცემა, რომელთა მეშვეობით შესაძლებლობა ჰქონდა გაევრცელებინა თავისი მრწამსი.

წინამდებარე ეს მისი ამ დარგში მოღვაწეობის კვითესენციაა.

აღსანიშნავია, რომ ეს ეს იმ დროს დაიწერა, როცა თომას მანი პარალელურად თავის „დოქტორ ფაუსტზე“ მუშაობდა.

ჩემო ქალბატონებო და ბატონებო! აი, თქვენს წინაშე ვდგევარ სამოცდაათი წლის ბერიკაცი და თავად მიკვირს, როგორ მოვიყარე ამ ხნისა! უკვე რამდენიმე თვეა ამერიკის ქვეშევრდომი ვარ და მინდა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ვცდილობ ინგლისურად მოგმართოთ არა როგორც სტუმარმა, არამედ როგორც ამერიკის იმ სახელმწიფო ინსტიტუტის წევრმა, რომელმაც ჩემთან შესახვედრად მოგიწვიათ.

ასე და ამრიგად, ვდგავარ თქვენს წინაშე და ასე მგონია, ცხოვრება იმავე მასალისაგან არის ნაქსოვი, სიზმრები რომ იქსოვება ხოლმე. ეს ყველაფერი ერთობ უჩვეულოდ, დაუჯერებლად და მოულოდნელად მეჩვენება. უპირველეს ყოვლისა, ვერასოდეს ვიფიქრებდი, პატრიარქის ასაკს თუ მივაღწევდი, თუმცა თეორიულად ხშირად მიფიქრია და მითქვამს კიდეც: რაკი კაცი ამქვეყნად გაჩნდება, კარგი იქნება და

ერთობ საპატიოც, თუკი იგი, რაც შეიძლება დიდხანს დაკჭირეს აქ, სანიმუშო ცხოვრებით იცხოვრებს და, როგორც ხელოვანი, ამ ცხოვრების ყველა ეტაპზე სრულად გამოავლენს თავის შემოქმედებით ნიჭიერებას-მეთქი. უნდა მოგახსენოთ, რომ არც თუ დიდი ნდობით ვეკიდებოდი საკუთარ ბიოლოგიურ შესაძლებლობებსა და მაცოცხლებელ ძალებს, მაგრამ ამტანობა, რომელიც მიუხედავად ამისა, მაინც გამოვიჩინე, მხოლოდ ჩემი საკუთარი ვიტალური თმენის დასტური კი არა, ის მაღლი მგონია, ზეგარდმო წყალობად თავად სიცოცხლის გენიამ რომ დამანათლა.

წყალობა კი ყოველთვის საოცარი და მოულოდნელი რამა ხოლმე და მისი მაღლით ხელდასხმულ კაცს თავი სიზმარში ჰგონია.

სიზმარი მგონია ისიც, საერთოდ ცოცხალი რომ დავრჩი და ახლა აქ ვიმყოფები. მწერალი რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ ეს ყველაფერი ბუნებრივად მომეჩვენებოდა, თუმცა იოტისოდენა წარმოსახვაც კმარა იმისათვის, რომ ცხოვრება ფანტასტიკურ შეუქში დაინახო.

და მაინც, როგორ აღმოვჩნდი აქ? რომელი სიზმრის ტალღამ გადმომისროლა აქეთ გერმანიის შორეული კუთხიდან, სადაც დავიბადე და სადაც, კაცმა რომ თქვას, განგებამ დედამიწაზე ჩემი ადგილსამყოფელი მომიჩინა? მაინც როგორ მოვხვდი ამ დარბაზში, ამ სცენაზე, საიდანაც ამერიკელის უფლებით მოგმართავთ ამერიკელებს? არ იფიქროთ, ყოველივე ამას უმართებულოდ ვთვლიდე; პირიქით, რაც მოხდა, ჩემი ნება-სურვილით მოხდა, უფრო სწორედ, ამ ნება-სურვილზე თავად განგებამ იზრუნა.

აქ, ამ სტუმართომყვარე ქალაქში, რომლის კარიც ღიაა ნებისმიერი სტუმრისათვის, ამ ქვეყანაში, რომელიც დასახლებულია ნაირ-ნაირი რასისა და ეროვნების ადამიანებით და რომელსაც ამერიკა ჰქვია, მოხსნილი მაქვს ყოველგვარი გერმანული იარლიყი. ვფიქრობ, ჩემთვის ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო.

ვიდრე ამერიკელი გავხდებოდი, უფლება მომცეს ვყოფილიყავი ჩეხი და მეც ამ გულისხმიერებისათვის მაღლობის მეტი რა მეთქმის! მაგრამ ამგვარ გადაწყვეტილებას არავითარი აზრი არ ჰქონდა; როცა წარმოვიდგენ, რა ბედი მეწეროდა, შემთხვევის ნებით ფრანგი, ინგლისელი ან იტალიელი რომ გავმხდარიყავი, კმაყოფილებით ვაცნობიერებ ჩემიარ-

ჩევანის სისწორეს, რის წყალობითაც ყველა სხვას ამერიკელობა ვარჩიე. სხვა შემთხვევაში ჩემი არსებობა გაუცხოებული იქნებოდა და ერთობ ვიწრო, წინასწარგანჩინებულ კალაპოტში მოექცეოდა.

რაკიდა ამერიკელი ვარ, მაშასადამე, მსოფლიო მოქალაქედ ვითვლები, რომელსაც სამყაროს წინაშე მისთვის აგრერიგად ჩვეული შიშის მიუხედავად, მაინც წარმოადგენს ყოველი გერმანელი. ეს ის შიშია, რომლის მიზეზიც, ძნელი სათქმელია, სად უნდა ეძებოს კაცმა, მის ზესთამჩენობასა თუ თანდაყოლილ პროვინციალიზმში - არასრულფასოვნების ამ თავისებურ ეროვნულ და საზოგადოებრივ კომპლექსში - ან იქნებ, აქაც და იქაც ერთდროულად.

დღეს საღამოს მინდა გერმანიასა და გერმანელებზე გესაუბროთ, რაც საკმაოდ თამამი განზრახვა მგონია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად თემაა ერთობ რთული, მრავალმხრივი და ამოუწურავი, არამედ იმ ვნებათა ღელვის გამოც, ამჟამად რომ ბობოქრობს მის გარშემო.

ამ თემაზე საუბარი sine ira et studio\*, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლოა, ამორალურადაც კი მოგვეჩვენოს იმ ენითგამოუთქმელი ტანჯვა-წამების წინაშე, რომელიც ამ ბედკრულმა ხალხმა განაცდევინა მსოფლიოს.

ეგებ უფრო უპრიანი ყოფილიყო, თუკი ჩვენს დროში გერმანელი კაცი თავს აარიდებდა ამ თემას? მაგრამ, ღმერთმანი, არ ვიცი, დღევანდელ საღამოს შევძლებდი კი სხვა თემაზე საუბარს? უფრო მეტიც, დღესდღეობით ძნელია კაცმა წარმოადგინოს არაპირადული ხასიათის საუბარი, რომელიც უცილობლად არ მიგვიყვანდა გერმანულ პრობლემამდე, იმ ხალხის ხასიათისა და ბედ-ილბლის საიდუმლოებამდე, რომელმაც მსოფლიოს ამდენი უდაოდ მშვენიერი და დიდებული ფასეულობა შეუქმნა და ამავე დროს არაერთხელ იქცა საბედისწერო წინაღობად მისი განვითარების გზაზე.

გერმანიის საშინელი სვე-ბედი, ის საშინელი კატასტროფა, რომელიც მას დაატყდა თავს, გერმანიისა, რომელიც ამჟამად წერტილს უსვამს თავისი უახლესი ისტორიის ფურცლებს - აი, რა იპყრობს დღესდღეობით საყოველთაო ინტერესს, დაე, თუნდაც ეს ინტერესი მოკლებული იყოს ყოველგვარ თანაგრძნობას.

\* სრულიად პირუთვნელად (ლათინ.).

გერმანელად დაბადებულ კაცს ჩვენს დროში არ ეგების, ვინმეს თანაგრძნობა მოთხოვოს, დაიცვას და გაამართლოს გერმანია, მაგრამ ვფიქრობ, მას არც ის დააშვენებს, თუკი მსაჯულის როლს იკისრებს და მაამებლად მხარს აუბამს იმ სიძულვილს, მისმა ხალხმა რომ აღძრა საკუთარი თავის წინააღმდეგ, შეაჩვენებს და სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ამ ხალხს, ხოლო საკუთარ თავს „კეთილი გერმანიის“ განსახიერებად წარმოაჩენს გადაღმა არსებული ბოროტი, დამნაშავე ერის საპირისპიროდ, რომელთანაც მას, ვითომდაც, არაფერი აქვს საერთო. რაკიდა გერმანელად გაგაჩინა განგებამ, მაშასადამე, ნებსით თუ უნებლიერ დაკავშირებული ხარ შენი ქვეყნის ბედთან და მის დანაშაულთან. სურვილი იმისა, რომ რაღაც მომენტში განზე გაუდგე შენს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს და კრიტიკულად შეაფასო ისინი, ჯერ არ ნიშნავს ღალატს. საკუთარ ერზე მართალი სიტყვის თქმას კეთილმოსურნე კაცი მხოლოდ თვითშემეცნების გზით თუ მოახერხებს.

ჩემდა უნებურად უკვე აღმოჩნდი გერმანული ფსიქოლოგიის ორმა და რთულ სამყაროში, რაკიდა გამოვთქვი აზრი იმის შესახებ, რომ გერმანელი კაცის ბუნებაში ერთურთს ერწყმის სამყაროსთან ურთიერთობის მოთხოვნილება და შიში ამ სამყაროს წინაშე, კოსმოპოლიტიზმი და პროვინციალიზმი. ამგვარი მსჯელობისას არ შეიძლება ვცდებოდე, რადგან სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული, საკუთარ თავზე გამოვცადე ჭოველივე. მაგალითისათვის გეტვით, რომჩემთვის მოგზაურობა რაიხიდან შვეიცარიაში, ბოდენის ტბაზე, პროვინციალიზდიდ სამყაროში მოგზაურობის ტოლფასი იყო, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ის აზრი, რომ სწორედ პატარა შვეიცარიას და არა დიდი ქალაქებით დასახლებულ, უზარმაზარ, ძლევამოსილ გერმანულ იმპერიას, აღვიქვამდი „დიდ სამყაროდ“, მაგრამ ეს ჭეშმარიტება გახლავთ. ნეიტრალური, მრავალფეროვანი, ფრანგული გავლენით აღბეჭდილი და დასავლეთის სიოთი ნასალბუნევი შვეიცარია, მისი სიმცირის მიუხედავად, ბევრად უფრო იწვევდა „სამყაროს“, ევროპის შეგრძნებას, ვიდრე ჩრდილოეთის პოლიტიკური კოლოსი, სადაც სიტყვა „ინტერნაციონალიზმი“ კარგა ხანია, სალანბლავ სიტყვად ქცეულიყო, ხოლო ქედმაღლურ პროვინციალიზმს ისე წაებილწა პაერი, რომ კაცს სული ეხუთებოდა. ეს გახლდათ სამყაროსგან გერ-

მანული გაუცხოების, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისა და გერმანული სულის დაშორიშორების, ღრმააზორვანი საყოველთაო განაცხადობის თანამედროვე ნაციონალური ფორმა, რომელიც გარდასულ დროებში ერწყმოდა თავისებურ ფილისტერულ უნივერსალიზმს, ასე ვთქვათ, საღამურ ჩაჩში გამოწყობილ კოსმოპოლიტიზმს და აგრერიგად ახასიათებდა გერმანულის სულიერ წყობას. ამ სულიერი წყობის, გარესამყაროსგან განდგომის, პროვინციული გერმანული კოსმოპოლიტიზმის ნიშნეული თვისება ყოველთვის იყო რაღაც მოჩვენებითი ტაკიმასხარობა, იდუმალი შემზარაობა და დაფარული დემონიზმი, რასაც განსაკუთრებით შევიგრძნობდი ჩემი წარმომავლობის წყალბით.

მაგონდება ქვეყნიერების ერთი მივარდნილი კუთხე, საიდანაც ცხოვრების ტალღამ დიდ სამყაროში გადმომისროლა და სადაც პირველად შევიცან საკუთარი თავი.

ეს ადგილი ძველი გერმანული ქალაქი ლიუბეკი იყო. იგი ბალტიის ზღვასთან მდებარეობს და ერთ დროს პანზის კარიბჭეს წარმოადგენდა. ქალაქი მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაუარსებიათ, მეცამეტე საუკუნეში კი ბარბაროსას თავისუფალი იმპერიული ქალაქის რანგში აღუვლენია იგი. მუნიციპალიტეტის საოცრად ლამაზი შენობა, რომლის ხშირი სტუმარიც იყო ჩემი სენატორი მამა, ახალი დროების დამდეგს, ესე იგი, იმ წელს დაუსრულებიათ, როდესაც მართინ ლუთერმა თავისი თეზისები ეიტენბერგის ციხე-კოშკის კარიბჭეზე გამოაკრა. მსგავსად იმისა, როგორც რელიგიური რეფორმატორი ლუთერი თავისი აზრთა წყობითა და მსოფლშეგრძნებით შუასაუკუნოვან ადამიანად რჩებოდა და მთელი სიცოცხლე ებრძოდა ეშმას, ასევე პროვინციული ლიუბეკის ცხოვრებაც, - თვით იმ ლიუბეკისაც, რომელიც შემდგომ ბისმარკის იმპერიაში მის რესპუბლიკურ წევრად შევიდა, - აღბეჭდილი იყო ღრმა გოტიკური შუასაუკუნეების ნიშნით. მხედველობაში მაქვს მხოლოდ ქალაქის ხედი თავისი კოშკებით, შპილებით, კარიბჭეებითა და მიწაყრილებით; აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ იუმორისტულად შემზარავ ძრწოლას, რომელსაც იწვევდა ღვთისმშობლის ტაძარში სიკვდილის როკეის გამომხატველი კედლის მხატვრობა, ოკრო-ბოკრო, თითქოსდა მოჯადოებული შუ-

კები, რომელთაც ხშირად ისევ და ისევ ხელოსანთა ძველი ამქრების, ზარების ჩამომსხმელებისა და ყასბების სახელები ერქვათ; და ბოლოს, არც ბიურგერთა თვალწარმტაცი სახლები მაქვს მხედველობაში.

დიახ, თავად ქალაქის ატმოსფეროში იგრძნობოდა იმ ადამიანთა სულიერი წყობის სუნთქვა, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლო ათეულ წლებში რომ ცხოვრობდნენ აქ. ეს იყო წარმავალი შუასაუკუნეების ისტირია, ფარულ სულიერ ეპიდემიას რომ წააგავდა, ალბათ უცნაურია, ასე მსჯელობდე თანამედროვე ქალაქზე, რომელიც სავსებით ჯანსაღად და კეთილგონივრულად გამოიყურებოდა, მაგრამ აქ კაცს ეუფლებოდა გრძნობა, თითქოს ეს-ესაა უნდა ეხილა ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა, წმინდა ვიტის როკვა, მისტიურად ეგზალტირებული მასის პროცესია ანდა ამის მსგავსი რამ; ერთი სიტყვით, აქ იგრძნობოდა გარდასულ დროთა ნერვიული დაძაბულობა, იდუმალი სულიერი ლტოლვა ფანატიზმისადმი; ამის დასტურს წარმოადგენდა უამრავი „ორიგინალი“, რომელთა ნაკლებობაც არასდროს იგრძნობა ხოლმე ასეთ ქალაქში. ესენი იყვნენ ახირებული თუ უწყინარი ნახევრად გიუები, რომლებიც, თავიანთ სახლებს თავშეფარებულები, ძველი ნაგებობების მსგავსად, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს განეკუთვნებოდნენ. აქ ნახავდით ჩაწირპლულთვალებიან, ყავარჯენზე მოჩლახუნე დედაბრის ნაცნობ ჭიპს, რომელსაც ხალხში ნახევრად ხუმრობით „კუდიანს“ ეძახდნენ. აქვე დაიარებოდა წვრილი რანტიე, მეჭეჭიანი, ჭარხლისფერცხვირიანი, რომელსაც საოცარი Tic nerveux\*-ი და სასაცილო მიხრა-მოხრა ჰქონდა, თანაც უცნაურ ხმებს გამოსცემდა, ჩიტის მოგუდულ ჭყლოპინს რომ წააგავდა. ქალაქში ნახავდით ქალს, რომელიც უჩვეულო ვარცხნილობით გამოირჩეოდა და კარგა ხანია მოდიდან გამოსული შლეიფიანი კაბა ეცვა. იგი ქუჩაში ძალლებისა და კატების ამალით გარშემორტყმული დაიარებოდა და მედიდური და თან შეშლილი მზერით ათვალიერებდა კველაფერს. ქალაქის სურათს აგვირგვინებდნენ ქუჩის ბიჭები, რომლებიც უკან დაპყვებოდნენ ამ ჭიპებს, მასხრად იგდებდნენ მათ და როგორც კი ეს უბედურები დაუცაცხანებდნენ, ცრულწმენით შეპყრობილები, თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

\* ნერვიული ჭიკი (ფრანგ.)

არ ვიცი, მაინც და მაინც დღეს და მაინც და მაინც ახლა რაჭომ ამეშალა ჩემი ცხოვრების ეს პირვანდელი მოგონებები; იქნებ ეს იმის ბრალია, რომ „გერმანია“ ჩემი სულიერი და ფიზიკური მზერის წინაშე სწორედ იმ საოცარი და პატივსაცემი ქალაქის სახით წარსდგა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, გაგრძნობინოთ გერმანული ეროვნული სულის იდუმალი კავშირი დემონიზმთან, კავშირი, რომელიც საკუთარი შინაგანი გამოცდილების შედეგად შევიცანი, მაგრამ რომლის შესახებაც დღეს ერთობ მიჰირს აქ საუბარი.

ჩვენი უდიდესი ქმნილების, გოეთეს „ფაუსტის“ გმირად გვევლინება ღმერთთან წილნაყარი ადამიანი, რომელიც შუასაუკუნეებისა და ჰუმანიზმის ეპოქის ზღურბლზე დგას. სამყაროს შემეცნების თავხედური ჟინით შეპყრობილი, იგი ეძლევა მაგიას და შეეკვრება ეშმაკს. იქ, სადაც ინტელექტის წესთამჩენობა სულიერ დახავსებულობასა და არათავისუფლებას დაუზავდება, ეშმაკი მოგვევლინება ხოლმე. ამიტომაც ეშმაკს - ლუთერისა და ფაუსტის ეშმაკს - გავიაზრებ უაღრესად გერმანულ პერსონაჟად, ხოლო მასთან გარიგება, მისთვის სულის მიყიდვა, უარის თქმა სულის ხსნაზე იმ მიზეზით, რომ განსაზღვრული დროით დაეპატრონო სამყაროს ყველა განძს და განუზომელი ძალაუფლების მფლობელი გერქვას - აი, ასეთი გარიგება, ჩემის რწმენით, ერთობ ახლობელია გერმანელის ბუნებისათვის. სამყაროს ტკბობით და მისი შემეცნების ჟინით შეპყრობილი მარტოსული მოაზროვნე. ბუნებისმეტყველი, ფილოსოფონი და ღვთისმეტყველი, რომელმაც ეშმაკს მიჰყიდა სული... განა სწორედ ახლა არ არის შესაფერისი მომენტი საიმისოდ, რათა გერმანიას ამ თვალით შევხედოთ, როდესაც ეშმაკი დაპატრონებია მის სულს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ლეგენდა და პოემა ფაუსტის მუსიკას რომ არ უკავშირებს, ეს დიდი შეცდომა მგონია. იგი აუცილებლად მუსიკოსი უნდა ყოფილიყო. მუსიკა დემონურის სფეროა. სიორენ კიერკევორმა, ამ დიდმა ქრისტიანმა, მეტად დამაჯერებლად აღწერა ეს მტკიცენეული საკითხი ვნებათა ღელვით აღსავსე სტატიაში, რომელიც მოცარტის „დონ-უუანს“ მიუძღვნა, მუსიკა უარყოფითი ნიშნით აღბეჭდილი ქრისტიანული ხელოვნებაა. იგი უზუსტესად გათვლილი წესრიგი და ირაციონალური

ქაოსია ერთსა და იმავე დროს, მდიდარია ჯადო-თილისმით აღსავსე ალოგიკური ბერითი სახეებით; ესაა რიცხვების მაგია, რომელიც ყველაზე შორსაა რეალობისაგან, მაგრამ ამასთან ხელოვნების ყველაზე მღელვარე სახეობაა, რომელშიც აგრერიგად თვალნათლივ წარმოჩინდება აბსტრაქტული და მისტიური საწყისები. თუკი ფაუსტი გერმანული სულის გამოვლინებაა, იგი აუცილებლად მუსიკალური უნდა ყოფილიყო, რადგან გერმანელის დამოკიდებულება სამყარო-სადმი აბსტრაქტული, მისტიური და მაშასადამე, მუსიკალურია. ესაა მისადმი მოუქნელი პედანტი პროფესორის დამოკიდებულება, რომელიც ნაზიარებია დემონურის სუნთქვას და ამასთან შეპყრობილია ზესთამჩენი აზრით, რომ „სიღრმით“ სამყაროს აღემატება.

რაში მდგომარეობს ეს სიღრმე? სწორედ გერმანული სულის მუსიკალობაში, იმაში, რასაც მისი სულის იდუმალებას უწოდებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი წარმოჩინდება ადამიანური ენერგიის გახლეჩაში, რაც სპეციულატურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელემენტად გაორებას ნიშნავს, როდესაც პირველს სრული უპირატე-სობა ენიჭება მეორის წინაშე. ევროპა ყოველთვის გრძნობდა მას, ესმო-და, რა საშინელი სიმახინჯე იმაღებოდა მის მიღმა და რა უბედურების წყაროდ შეიძლებოდა ქცეულიყო იგი. ბალზაკი 1839 წელს წერდა: „Les Allemands, s'ils ne savent pas jouer des grands instruments de la Liberte, savent jouer naturellement de tous les instruments de musique“ \* ერთობ მახვილგონივრული და და თან ზუსტი შენიშვნაა. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი რომანისტის შემოქმედებაში იგი ერთადერთი არ ყოფილა. რომანში „ბიძაშვილი პონსი“ იგი ზუსტად ახასიათებს მუსიკოს შმუკეს, როდესაც ამბობს ამ საოცარ პერსონაჟზე: „ყველა გერმანელის მსგავსად შმუკეც შესანიშნავად ფლობდა პარმონიას და ინსტრუ-მენტირებას უკეთებდა პარტიტურებს, რომელთა ვოკალურ პარტი-ებსაც პონსი წერდაო“. სრული ჭეშმარიტება! გერმანელები პორი-ზონტალურზე კი არა, ვერტიკალურ სიბრტყეზე არიან მუსიკოსები, ისინი მელოდიის კი არა, უფრო პარმონიის დიდოსტატებად გვეპ-ლინებიან, რომელსაც ბალზაკი კონტრაპუნქტზე მოძღვრებასაც

\* მართალია, გერმანელებს არ ძალუბთ დაკვრა თავისუფლების დიად საკრავებზე, მაგრამ სამაგიეროდ ბუნებით მომაღლებული ნიჭის წყალობით ყველა მუსიკალურ საკრავს ფლობენ (ფრანგ.).

მიაკუთვნებდა. გერმანელები უფრო ინსტრუმენტალისტები არიან, ვიდრე ადამიანის ხმის თაყვანისმცემლები; მუსიკაში უფრო განსწავლულობა და სულიერება იზიდავთ, ვიდრე ნეტარი ჰანგებით ტკბობა. ევროპას გერმანელებმა მისცეს, ვერ ვიტყოდი, ყველაზე მელოდიური და ლალი მუსიკა-მეთქი, მაგრამ სამაგიეროდ ესაა ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი მუსიკა და დასავლეთმაც მაღლიერებითა და დიდებით მიუზღო მათ ამისათვის სამაგიერო. ამასთან დასავლეთი ყოველთვის გრძნობდა და დღესდღეობით მით უფრო მწარედ გრძნობს, რომ ამგვარი სულიერი მუსიკალობა შეიმე საზღაურს მოითხოვს სხვა სუეროს სარჯზე და ეს სფერო ერთობლივი ადამიანური ცხოვრების, პოლიტიკის სფეროა.

მართინ ლუთერი, გერმანული სულის ეს ბუშერაზი განსხვეულება, უჩვეულოდ მუსიკალური იყო.

ვერ დავმალავ, არ მიყვარს იგი. წმინდა წყლის გერმანული თვი-სებები, იქნება ეს სეპარატისტულ-ანტირომაული თუ ანტიევროპული, გაუცხოების გრძნობას იწვევს ჩემში მაშინაც კი, როდესაც ისინი სახა-რებისეული თავისუფლებისა და სულიერი ემანსიპაციის სახით წარმოჩნდებიან; ჩემში ინსტიქტურ ზიზღს იწვევს ის სპეციული კურად ლუთერული თვისებები, როგორიცაა: ქოლერიკული ტემპერამენტი, ხეპრეობა, ლანძღვა-გინება, პირში ფურთხება, აღვირახსნილი მრისხანება და თავზარდამცემი ძალა, რომელიც ერწყმის ნაზ მგრძნ-ბიარობას და მიამიტ, შიშნეულ ცრურწმენას დემონების, ინკუბებისა და ეშმაკეულთა წინაშე. არასოდეს ვისურვებდი ლუთერის თანამენახე ვყოფილიყავი და თუ მაინც აღმოჩნდებოდი მასთან სტუმრად, ალბათ ისეთი გრძნობა დამეუფლებოდა, თითქოს სტუმართმოყვარე კაცი-ჭამის ჭერქვეშ ამომეყოს თავი. დარწმუნებული ვარ, უფრო ადვილად გამოვნახავდი საერთო ენას ზნექეთილ ჰუმანისტ ლეო მეათესთან, იგივე ჯოვანი და მედიჩისთან, ლუთერი „ეშმაკეულად და ღორ ჰაპად“ რომ მოიხსენიებდა. ამასთან სულაც არ მიმაჩნია აუცილებლად, ერთმანეთს დავუპირისპიროთ ხალხური ძალა და ცივილიზაცია და შევქმნათ ანტითეზა: ერთის მხრივ - ლუთერი, მეორეს მხრივ, დახვეწილი ჰედანტი - ერაზმი. გოეთემ გადალახა ეს წინააღმდეგობა და მოახერხა მათი შერიგება. იგი განასახიერებს ცივილიზაციის სიდიადესა და ხალხურ ძალას, ურბანისტულ დემონიზმს, სულსა და

ხორცს იმავდროულად, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელოვნებას. გოეთეს წყალობით გერმანიამ გადადგა ძლევამოსილი ნაბიჯი წინ, ადამიანური კულტურის სფეროში, უფრო სწორად, მას უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან სინამდვილეში იგი ყოველთვის ღუთერს უფრო თანაუგრძნობდა, ვიდრე გოეთეს.

განა ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ღუთერი ბუჭერაზი იყო. იგი დიადი იყო გერმანულ ყაიდაზე და გერმანული სულის დიად გამოვლენებას წარმოადგენდა თვით თავის მრჩობლობაშიც კი. ეს იყო ძალა ერთდროულად გამათავისუფლებელიცა და დამამუხრუჭებელიც, იგი კონსერვატორი რევოლუციონერი გახლდათ. ღუთერმა მხოლოდ ეკლესია კი არ ააღორძინა, ქრისტიანობაც იხსნა დაღუპვისაგან. უროპა გერმანელებს ხშირად არაქრისტიანობას საყველურობს და წარმართობაში სდებს ბრალს. ეს ერთობ სადათ საკითხია. გერმანია მეტის-მეტად სერიოზულად ეკიდებოდა ქრისტიანობას. გერმანელმა ღუთერმა ქრისტიანობას ბავშვური მიამიტობითა და გლეხკაცისათვის ნიშნეული ღრმა სერიოზულობით იმ დროს შეხედა, როდესაც მას უკვე აღარ აღიქვამდნენ სერიოზულად. ღუთერისეულმა რევოლუციამ ქრისტიანობა დაახლოებით ისე შემოინახა, როგორც New Deal\*-ი წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის შესანარჩუნებლად განჩინებულ წანამდვირას – დაე თავად კაპიტალიზმი ვერ აცნობიერებდეს ამას.

დიახ, მართინ ღუთერს ვერ წაართმევ სიდიადეს! ბიბლიის გასაოცარი თარგმანით მან არა თუ საფუძველი ჩაუყარა გერმანული ენის ფორმირების საქმეს, რაც მოგვიანებით დააგვირგვინეს გოეთემ და ნიცშემ, არამედ დაამსხრია სქოლასტიკის ბორკილები, განაახლა სინდისის თავისუფლების ცნება და ამით ძლევამოსილი ბიძგი მისცა მეცნიერული, კრიტიკული და ფილოსოფიური აზრის განვითარებას. მანვე წამოაყენა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადამიანი ღმერთან ურთიერთობისას არ საჭიროებს შუაკაცს და ამით ჩაუყარა საფუძველი ევროპულ დემოკრატიას, რადგან თეზისი: „ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავის მოძღვარია“, სწორედაც რომ დემოკრატიას გულისხმობდა. გერმანული იდეალისტური ფილოსოფია, ფსიქოლოგიის დახვეწა

\* ახალი კურსი – პრეზიდენტ ფ. რუზველტის ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა.

სინდისის ცნების პიეტეტური, ღრმა შესწავლის წყალობით და ბოლოს, ქრისტიანული მორალის თვითდაძლევა მორალისა და სიმართლისაკენ უკიდურესად გამკაცრებული სწრაფვის ნიშნით, რაც კაცმა რომ თქვას, ნიცვეს მიერ ჩადენილ კეთილ ქმედებას (ანდა ვინ იცის, იქნებ უკეთურებას) უნდა მიეწეროს, – ეს ყველაფერი ლუთერიზაცია მოდის. იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი იყო, მაგრამ ამ ბრძოლას მთლიანად გერმანულ ყაიდაზე წარმართავდა, რაკიდა არაფერი გაეგებოდა თავისუფლებისა. აქ მხედველობაში მაქვს არა ქრისტიანი ადამიანის თავისუფლება, არამედ პოლიტიკური, მოქალაქეობრივი თავისუფლება, ლუთერი მას არამც თუ გულგრილად ეკიდებოდა, არამედ ამ თავისუფლების ყველა გამომწვევი პრინციპი და მოთხოვნა მისთვის შინაგანად ღრმად საძულველი იყო. აი, გაივლის ოთხი წელი და გერმანიის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩეული სოციალ-დემოკრატი განაცხადებს: „რევოლუცია ცოდვსავით მულ-სო“. ეს ჭეშმარიტად ლუთერისეულად, ჭეშმარიტად გერმანულად უღერდა. ლუთერსაც სბულდა გლეხთა აჯანყება, რომელიც, როგორც ცნობილია, სახარების დროშით იქნა წამოწყებული; და ამ აჯანყებას რომ გაემარჯვა, ვინ იცის, იქნებ გერმანიის მთელი ისტორია უფრო სვებედნიერად წარმართულიყო; ამ გზით შესაძლოა, იგი თავისუფლებასთანაც მისულიყო, მაგრამ ლუთერი ამ აჯანყებაში ხედავდა მხოლოდ ველურ ბუნგს, რომელიც ჩირქს სცხებდა მის ცხოვრებისეულ საქმეს, სულიერ გათავისუფლებას. ამიტომაც ძალას არ ზოგავდა მის სალანძღვად და შესაჩერებლად. იგი თავადებს მოუწოდებდა, ცოფიანი ძალებივით ამოეხოცათ გლეხები და აქეზებდა: თუ გსურთ მარადიული სასუფეველი დაიმკვიდროთ, ამოუშუეთ და მოაშოეთ ეს პირუტყვებიო.

რევოლუციური გამოსვლების პირველი მცდელობა სავალალო მარცხით რომ დასრულდა, ამის გამო სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრია გერმანელი ხალხის წიაღიძან გამოსულ ლუთერს. მასვე აწევს პასუხისმგებლობის ტვირთი თავადების გამარჯვებისა და ამ გამარჯვების ყველა შედეგის გამო.

იმხანად გერმანიაში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ვეთაყვანები. ეს კაცი თილმან რიმენშნაიდერი გახლავთ – ლვოს მოსავი ხელოვანი, მოქანდაკი

და ხეზე ჭრის ოსტატი, სახელგანთქმული თავისი კეთილშობილებითა და საკურთხევლებისთვის განკუთვნილი მრავალფიგურიანი რელიეფებისა თუ ნატიფი ქანდაკებების სიღარბასისლით დიდ მოწონებას რომ იწვევდა. ამ ქანდაკებებით იყო შემკული გერმანიის ყველა ეკლესია თუ სამლოცველო. დიდოსტატი, შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე, დიდი პატივისცემით სარგებლობდა ახლობლებსა და ქალაქ ვიურცბურგის მკვიდრთა შორის, რომლებმაც იგი მუნიციპალიტეტში აირჩიეს. რიმენშნაიდერს არასოდეს უფიქრია დიდ პოლიტიკასა და სახელმწიფო საქმეებში ჩარჩვაზე, თავდაპირველად ეს სავსებით არ ესადაგებოდა ამ მოკრძალებული ადამიანის ბუნებას, რომელიც თავისუფალი და შშვიდობიანი შემოქმედების ტრფიალი გახლდათ, მასში მისხალიც კი არ გამოკრთოდა დემაგოგისა. მაგრამ ამ კაცს ღარიბებისა და ჩაგრულებისადმი სიყვარულით უძევერდა გული და ამიტომაც არ შეეძლო, არ დამდგარიყო გლეხების მხარეზე იმ საქმის დასაცავად, რომელიც მას სამართლიანად მიაჩნდა და ღვთის ნებად თვლიდა. იგი გამოდიოდა თავადების, ეპისკოპოსებისა და მთავრების წინააღმდეგ, თუმცა სულ ადვილად შეეძლო მათი კეთილგანწყობის შენარჩუნება. ეპოქის დიდმა, ძირულმა წინააღმდეგობებმა აიძულა იგი გამოსულიყო ხელოვანის წმინდა სულიერი და ესთეტიკური ყოფის ჩარჩოებიდან და თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი გამხდარიყო. მან საკუთარი თავისუფლება, ყოველდღიური უშფოთველი არსებობა მსხვერპლად გაიღო იმ საქმის გულისათვის, რომელიც მისთვის ხელოვნებაზე და სულიერ სიმშვიდეზე მაღლა იდგა. სწორედ მისი გავლენით გადაწყვიტა ქალაქმა ვიურცბურგმა, უარი ეთქვა „ბურგისა“ და თავად-ეპისკოპოსობისათვის გლეხების წინააღმდეგ სამხედრო დახმარებაზე და მის მიმართ საერთოდ რევოლუციური პოზიცია დეკავებინა.

რიმენშნაიდერი უმოწყალოდ დაისაჯა ამისათვის, რადგან გლეხთა აჯანყების შემდეგ გამარჯვებულმა ისტორიულმა ძალებმა, რომელთა წინააღმდეგაც ის იძრძოდა, სასტიკად იძიეს მასზე შური; საპატიმ-როში ყოფნამ და წამებამ თავისი გაიტანა. იქიდან გამოსული უკვე ჯანგატეხილი კაცი იყო, რომელსაც აღარ შესწევდა უნარი, ქვასა და ხეში გაეციცხლებინა მშვენიერება.

დიახ, ასეთი ამბები ხდებოდა გერმანიაში, ყოველ დროს ხდებოდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ნიშანდობლივად მონუმენტური გერმანული მოვლენა. ამ მოვლენას თავის თავში მუსიკალური ღვთის-მეტყველი – ლუთერი განასახიერებს. პოლიტიკაში იგი იმაზე შორს ვერ წავიდა, რომ ერთდროულად თავადებსაც განსჯიდა და გლეხებსაც, მაგრამ ასეთმა დამოკიდებულებამ იქამდე მიიყვანა, რომ საბოლოოდ გლეხებს განუდგა და მათზე ამოანთხია არაადამიანური მმვინვარება და სიშმაგე. ლუთერის არსება მთლიანად მოცევა მოციქულ პავლეს შეგონებას: „მორჩილებდე ხელისუფლებას, რომელსაც ძალა აქვს შენზეო“. მაგრამ ეს სიტყვები ხომ რომის იმპერიის ძალაუფლებას ეხებოდა, იმპერიისა, რომელიც მსოფლიო ქრისტიანული რელიგიის გავრცელების მოთავესა და პოლიტიკურ ასპარეზსს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც ლუთერის შემთხვევაში საქმე ეხებოდა გერმანელი თავადების რეაქციულ კუთხეურ ძალაუფლებას. მისმა ანტიპოლიტიკურმა ღვთისმოსაობამ – მუსიკალურ-გერმანული სულიერი იდუმალებისა და გარესამყაროსგან განდგომის ამ ნაყოფმა – მხოლოდ საუკუნეების მანძილზე როდი განსაზღვრა გერმანელთა დამამცირებელი მორჩილება თავადებისა და ყოველგვარი სახელმწიფო ძალაუფლების წინაშე, მხოლოდ ხელი როდი შეუწყო გერმანული სულის დუალიზმისათვის დამახასიათებელი გაბედული მჭვრეტელობითი აზროვნების შერწყმას პოლიტიკურ უმწიფარობასთან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერთობ მონუმენტურად და ჯიქურ გამოვლინდა, როგორც ძირფესვიანად გერმანული მოვლენა, რომელიც ერთ ვნულ იმპულსსა და პოლიტიკური თავის უფლების იდეალს შორის განხეთქილებაში ვლინდება, რადგან რეფორმაცია ისევე, როგორც მოგვიანებით ნაპოლეონის წინააღმდეგ აჯანყება, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდა.

ნება მიბოძეთ, უფრო დაწვრილებით შევჩერდე თავისუფლების საკითხზე; ეს ცნება თავისებურად მახინჯდებოდა და დღესაც მახინჯდება ისეთი თვალსაჩინო ხალხის ცნობიერებაში, როგორიც გერმანელი ხალხია, რაც ძალზე დამაფიქრებელია. როგორ მოხდა, რომ თვით ისეთმა მოძრაობამაც კი, როგორიც ნაციონალიზმია და რომელიც ახლა სამარცხვინოდ დაფავს სულს, საკუთარი თავი „გერმანულ განმათავისუფლებელ მოძრაობად“ მონათლა? განა ყველა არ გრძნობდა და არ

ხედავდა, რომ ამ ურჩხულს არ შეიძლებოდა რაიმე საერთო ჰქონოდა თავისუფლებასთან? მის ამ სახელწოდებაში მხოლოდ გამომწვევი თავხედობა როდი გაცნაურდა, მასში წარმოჩინდა „თავისუფლების“ ცნების პრინციპულად უზნეო გაგებაც. ეს ის ფსიქოლოგიური კანონი იყო, რომელმაც გერმანიის ისტორიაში არაერთხელ იჩინა თავი. პოლიტიკურად გაგებული თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი, შინაგანი პოლიტიკური ცნებაა. ხალხი, რომელიც შინაგანად არ არის თავისუფალი და პასუხისმგებლობას არ აკისრებს საკუთარ თავს, არ იმსახურებს გარეგან თავისუფლებას; მას არა აქვს უფლება, ილაპარაკოს თავისუფლებაზე და თუ მაინც წარმოთქვამს ამ კეთილხმოვან სიტყვას, არასწორი მნიშვნელობით წარმოთქვამს. გერმანულად გაგებული თავისუფლების ცნება ყოველთვის მხოლოდ გარესამყაროსკენ იყო მიმართული. ამ ცნებაში მხოლოდ გერმანულად ყოფნის უფლება იგულისხმებოდა და სხვა არაფერი; მასში გამოხატული იყო ეგოცენტრისტის პროტესტი, რომელიც ეურჩებოდა ყველაფერს, რაც ზღუდავდა, ლაგამს სდებდა ხალხოსნურ ეგოიზმს, ამარტივებდა მას და ცდილობდა, საზოგადოებრივი ინტერესების, კაცობრიობის სამსახურში ჩაეყენებინა იგი. გარე სამყაროს მიმართ გამოვლენილი ჯიუტი ინდივიდუალიზმი, ევროპასთან, ცივილიზაციასთან კავშირში მშვენივრად ესადაგებოდა გარკვეულწილ არათავისუფლებას, უმწიფარობას, გონებაშეზღუდულ ქვეშევრდომობას და ბრძოლის უინით შეპყრობილი ქედმოხრის გამოვლინებას წარმოადგენდა. მერე ის იყო, ნაციონალ-სიციალიზმა თავისუფლებისადმი გარეგან და შინაგან მოთხოვნილებას შორის არსებული ეს წინააღმდეგობა ერთი ხალხის მიერ მსოფლიოს დაპყრობის ბოლოით იღეამდე აიყვანა, იმ ხალხისა, რომელიც ასე თავისუფლად გრძნობდა თავს საკუთარ სახლში. ეს ხალხი გერმანელი ხალხი იყო.

რატომ ხდება, რომ თავისუფლებისადმი გერმანელთა სწრაფვა ყოველთვის არათავისუფლებაში გადაიზრდება ხოლმე? ამგვარი სწრაფვა ბოლოს და ბოლოს რატომ უნდა გადაქცეულიყო სხვა ხალხების თუ საკუთარი თავისუფლების ხელყოფად? მიზეზი ის გახლავთ, რომ გერმანიაში არასოდეს ყოფილა რევოლუცია და გერმანელებმა ვერ მოახერხეს „ნაციისა“ და „თავისუფლების“ ცნე-

ბების ურთიერთშერწყმა. „ნაცია“ საფრანგეთის რევოლუციის პირში შოა და რევოლუციურ, გამათავისუფლებელ ცნებას წარმოადგენს. იგი თავის თავში მოიცავს ზოგადსაკაცობრიო ელემენტს, რომელიც შინაგანი პოლიტიკური აზრით თავისუფლებას გულისხმობს, გარეგნული პოლიტიკურით კი - ევროპას. ფრანგული პოლიტიკური სულის მთელი დიდებულება ამ სვებედნიერ ერთობას ეფუძნება; გერმანული პატრიოტული სულისკვეთების მთელი შეზღუდულობა და უბადრუკობა კი იმით აიხსნება, რომ ამ ორი ცნების ერთობას არასოდეს ეწერა განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ თავად „ნაციისა“ და „თავისუფლების“ ურთიერთკავშირი ისტორიულად ყოველთვის უცხო იყო გერმანიისათვის. შეცდომა იქნებოდა, გერმანელებისათვის „ნაცია“ გვეწოდებინა, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოიმოქმედებდა ამას, თავად ისინი, თუ ვინმე სხვა. არასწორი იქნებოდა, სამშობლოსადმი გერმანელთა გულმხურვალე სიყვარული ისტყვა „ნაციონალიზმით“ აღგვენიშნა, რადგან ეს ნიშნავს მოვლენის ფრანგულ ყაიდაზე ახსნას, რაც უფრო მეტ გაუგებობას გამოიწვევდა. არ შეიძლება ერთი და იგივე სახელი უწოდო ორ განსხვავებულ მოვლენას. თავისუფლების გერმანული იდეა ხალხოსნურ-ანტიევროპული ბუნებისაა, რომელიც ერთობ ახლოსაა ბარბაროსობასთან, თუკი იგი, რა თქმა უნდა, იმგვარ აშკარა და დაუფარავ ბარბაროსობად არ გადაიქცევა, როგორც ეს ჩვენს დროში მოხდა. ამ იდეის ავტედით ხასიათზე მეტყველებს ესთეტიკური თვალსაზრისით ამაზრზენი ის უხეში თვისებები, რომლებიც ჯერ კიდევ განმათავისუფლებელი ომების ეპოქაში ახასიათებდათ მის დამქაშებს, სტუდენტურ კორპორაციებსა და იანისა და მასმანის მსგავს ტიპებს. რა თქმა უნდა, გოეთე არ უგულვებელყოფდა ხალხურ კულტურას. თავისი „იუგიენიით“ მან მხოლოდ კლასიციზმის ხანას როდი მიუზღო ხარკი; მის კალამს ეკუთვნის ისეთი ჭეშმარიტად გერმანული ნაწარმოებები, როგორიცაა: „ფაუსტი I“, „გიოცი“, „გარითმული შეგონებები“; და მაინც, ყველა პატრიოტის აღმაშფოთებლად, გოეთე აღფრთოვანების გარეშე შეხვდა ომს ნაპოლეონის წინააღმდეგ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ლიოალობას ინარჩუნებდა თავისი Pair\*-ის, უდიდესი იმპერატორის მიმართ, არამედ იმიტომაც, რომ ამ მოძრაობაში უთუოდ ხედავდა

\* ტოლი და სწორი (ფრანგ.).

ხალხოსნურ ბარბაროსულ ელემენტს და მისდამი ზიზღს გრძნობდა. ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ამ დიდი ადამიანის მარტოსულობა, რომელიც იმდროინდელ, პატრიოტული ციებ-ცხელებითა და „თავისუფლების“ იდეით შეპყრობილ გერმანიაში ესოდენ სიხარულით ამკვიდრებდა ყველაფერს უკიდეგანოსა და დიადს: ეროვნული შეზღუდულობის გადალახვის- საყოველთაო გერმანულობის- მსოფლიო ლიტერატურის იდეას. მისთვის უპირველეს და გადამწყვეტ ცნებებს კულტურა და ბარბაროსობა წარმოადგენდა და ამ საფიქრალს მოეცა მისი გონება. ამ კაცს განგებამ წილად არგუნა ყოფილიყო იმ ხალხის პირმშო, რომელმაც თავისუფლების იდეა ბარბაროსობად აქცია, რადგან ეს იდეა მხოლოდ გარე სამყაროს, ევროპისა და კულტურის წინააღმდეგ იყო მიმართული. ძალაუნებურად გეფიქრება, რომ გერმანიის ისტორიაში რაღაც უკეთურობას, მარადიულ ტრაგედიას თუ შეჩვენებას ჩაუბუდებია, რაც იმაშიც გამოვლინდა, რომ თვით გოეთეს უარყოფითმა დამოკიდებულებამ პოლიტიკური პროტესტანტიზმისა და ხეპრული ხალხოსნური დემოკრატიის მიმართ (ეს დამოკიდებულება მთელმა ერმა და განსაკუთრებით კი მისმა იდეურმა წინამდლოლმა - გერმანულმა ბიურგერობამ ისე გაიგო, თითქოს იგი სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების ლუთერისეული გამიჯვნის დასტური და მისი გაღრმავება ყოფილიყოს) ხელი შეუშალა გერმანულ ცნობიერებაში პოლიტიკური ელემენტის შეღწევას. ძნელი სათქმელი და სავარაუდოა, რამდენად განსაზღვრავენ დიდი ადამიანები ეროვნულ ხასიათს, რამდენად ახდენენ გავლენას მის ჩამოყალიბებაზე საკუთარი მაგალითით და თავად რა ზომით ახერხებენ ამ ხასიათის გაპიროვნებასა და წარმოჩინებას. ის კი ცხადია, რომ გერმანული ხასიათი შორსაა პოლიტიკისაგან და არ შესწევს უნარი მისი წვდომისა. ისტორიულად ეს ყველა გერმანული რევოლუციის წარმუტაბლობასა და მარცხი გაცხადდა. ასეთი იყო 1525 წლის, 1813 წლის და 1848 წლის რევოლუციები, რომელთაც მარცხი განიცადეს გერმანული ბიურგერობის პოლიტიკური უილაჯობის გამო. და ბოლოს, იგივე ბედი ეწია 1918 წლის რევოლუციისაც. ამასთან, ეს პოლიტიკური უმწეობა იმ უბილო და ავტედითად ყალბ საზრისშიც ვლინდება, რომელსაც გერმანელები ესოდენ თავქარიანად აქსოვენ პოლიტიკის იდეაში, როდესაც

პატივმოყვარეობით შეპყრობილები ამ იდეაზე გაბატონებას ცდილობენ.

პოლიტიკას „შესაძლებელის ხელოვნებას“ უწოდებენ და იგი მართლაც წარმოადგენს ხელოვნების წილხვედრ სფეროს, რამდენადაც პოლიტიკას, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ხელოვნების მსგავსად შუალედური მდგომარეობა უკავია სულსა და ცხოვრებას, იდეასა და სინამდვილეს, სასურველსა და აუცილებელს, სინდისსა და ქმედებას, ზნეობასა და ძალაუფლებას შორის. იგი თავის თავში უამრავ სისასტიკეს, აუცილებლობასა და ამორალობას იტევს. ელტვის expediency\*-ს და გააჩნია მდაბალი, მატერიალური ინტერესების სფერო; მასში ბევრი რამა ერთობ ადამიანური და ვულგარული. ალბათ ამქვეყნად არ მოიძებნება პოლიტიკოსი თუ სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დიადი მიზნისთვის მიეღწიოს და საკუთარი თავისთვის არ დაესვას შეკითხვა: „მაქვს კი უფლება კვლავ წესიერ კაცად მიმაჩნდეს თავიო“. და მაინც, ისევე როგორც ადამიანი მარტოოდენ ბუნების პირმშო არ არის, პოლიტიკაც მხოლოდ ბოროტების სფეროს არ მოიცავს; თუკი იგი არ იქცევა ეშმაკეულ, დამღუპველ ძალად, კაცობრიობის მტრად და მისთვის ნიშნეულ შემოქმედებით იმპულსს სამარცხვინო, დანაშაულებრივ სიბერწეს არ ანაცვალებს, პოლიტიკა ვერასოდეს გათავისუფლდება იდეალური და სულიერი საწყისისაგან, ვერ შეძლებს სავსებით უარყოს საკუთარ ბუნებაში ჩაბუდებული ზნეობრივი და ადამიანური ელემენტი და ბოლომდე შთაინთქას უზნეობის, უსინდის, მკვლელობის, სიცრუისა და ძალადობის მორევში. ასეთ შემთხვევაში იგი ვეღარ იქნება ხელოვნება, შემოქმედებითად გამუალებული და ქმნადი ირონია, იგი მხოლოდ ბრმა და არააღამიანური ზნეობის გამოვლინებად იქცევა, რომელსაც დაკარგული აქვს ჭეშმარიტის ქმნადობის უნარი და მხოლოდ ხანმოკლე, ავტედით გამარჯვებებს ზეიმობს. ამასთან იგი მოქმედებს როგორც ყოვლისმომსპობი, ნიჰილისტური და თან თვითდამანგრეველი ძალა, რადგან ყოველივე არა ზნეობრივი სიცოცხლესაც უურჩება.

პოლიტიკისათვის მოწოდებული და მისთვის დაბადებული ხალხები ქვეცნობიერად ცდილობენ, სულ მცირე, სუბიექტურად მაინც მუდმივად შეინარჩუნონ სინდისისა და ქმედების, სულისა და ძალაუფლების

\* მიზანშეწონილობა, გამორჩენა (ინგლ.).

პოლიტიკური ერთიანობა; ისინი პოლიტიკას ისე ეპყრობიან, როგორც  
 ცხოვრებისა და ძალაუფლების ხელოვნებას, რომელიც წარმოუდგე-  
 ნელია ცხოვრებისეულად სასარგებლო თუ ბოროტი, მთლად მდაბალი  
 საწყისების გამოყენების გარეშე. მაგრამ ამავე დროს არასოდეს  
 უშვებენ მხედველობიდან უფრო ამაღლებულ სფეროს - იდეას,  
 ზოგადსაკაცობროი წესიერებას, ზნეობრიობას. სწორედ ამაში  
 ვლინდება ამ ხალხების „პოლიტიკური“ შეგნება. ამ გზით ისინი სამყა-  
 როსაც უზავდებიან და საკუთარ თავსაც. ცხოვრებასთან ამგვარ ზავზე  
 დამყარებულ ქმედებას გერმანელი პირმოთნეობად თვლის. მას არ  
 შესწევს ცხოვრებასთან დაზავების უნარი და პოლიტიკის სფეროში  
 მისი უმეცრება დამახინჯებული სახით გამოვლინდება მის ბრიყვულად  
 პატიოსან ცნობიერებაში. ბუნებით სრულიად უბოროტო, პირიქით,  
 სულიერებისა და იდეალურის ტრფიალი - გერმანელი კაცი  
 პოლიტიკაში ერთსახად მხოლოდ სიცრუეს, მკვლელობას, ძალა-  
 დობასა და სიბინძურეს ხედავს, ხოლო როდესაც ამქვეყნიური პატივ-  
 მოყვარეობით შეპყრობილი პოლიტიკის სფეროში იჭრება, სწორედ  
 ამ ფილოსოფიის შესაბამისად მოქმედებს. გერმანელ პოლიტიკოსს  
 მიაჩნია, რომ მისმა საქციელმა კაცობრიობას თავზარი უნდა დასცეს;  
 აი, ამას თვლის იგი პოლიტიკად; გერმანელის თვალში პოლიტიკა  
 ბოროტების სფეროა და ამიტომ სწამს, რომ მისი გულისთვის  
 ეშმაკეულად უნდა იქცეს.

ყოველივე ეს ჩვენს თავზე უკვე გამოვცადეთ. ჩადენილია  
 ბოროტმოქმედებანი, რომელთა გამართლებაც არ ძალუბს არავითარ  
 ფსიქოლოგიას; მაგრამ მათ გასამართლებლად ყველაზე ნაკლებად ის  
 ფაქტი შეიძლება გამოდგეს, რომ ეს ბოროტმოქმედებები აუცილებ-  
 ლობას არ წარმოადგენდა. დიახ, ეს სახელდობრ ასეა: მათი ჩადენა  
 სულაც ზედმეტი იყო, რადგან გერმანიას უამისოდაც შეეძლო განე-  
 ხორციელებინა თავისი ძალისმიერი, დაპყრობითი გეგმები. ბოლოს და  
 ბოლოს, მსოფლიოში, სადაც არსებობს ტრესტები და ექსპლოატაცია,  
 სხვა ხალხებზე მონოპოლისტურად გაბატონების იდეა, რომელიც  
 გერინგის კონცერნმა წამოაყენა, თავისთავად არც თუ მთლად უჩვეუ-  
 ლოდ უნდა მოგვჩენებოდა. შემზარავი ის იყო, რომ ამ იდეამ სულე-  
 ლური გაზვიადების წყალობით გაბატონებული სისტემის მეტისმეტი

კომპრომეტირება მოახდინა. ამას გარდა, ეს იდეა ერთობ დაგვიანებით მოგვევლინა, რაღაც დღესდღეობით მთელი კაცობრიობა ეკონომიკური დემოკრატიისაკენ ისტრაფვის და საზოგადოებრივი სიმწიფვის უფრო მაღალ საფეხურებზე ასასვლელად იბრძვის. გერმანელები ყოველთვის აგვიანებენ: აგვიანებენ მუსიკის მსგავსად, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით ყველაზე გვიან გამოხატავს სამყაროში არსებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, როდესაც ეს მდგომარეობა უკვე იცვლება. ამასთან გერმანელები მათი საყვარელი ხელოვნების მსგავსად აბსტრაქტული თუ მისტიკური სფეროს ტრფიალი არიან და ორივე ეს თვისება ბოროტმოქმედების რანგში აპყავთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებები სულაც არ იყო აუცილებელი მსოფლიოს დაპყრობის ნაგვიანევი წამოწყებისათვის. ისინი უფრო პროგრამის გარეშე ნომერს და რაღაც ფუფუნებას ჰგავდა, რომლის უფლებაც მისცეს გერმანელებმა თავიანთ თავს თეორიული მოსაზრებით, განსაზღვრული იდეოლოგიის, რასისტული ფანატიზმის პატივსაცემად. ჩემმა სიტყვებმა ამაზრზენ კეკლუცობად რომ არ გაიხმიანოს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ბოროტმოქმედებებს ცხოვრებას მოწყვეტილი იდეალიზმის სახელით ჩადიოდნენ.

ხანდახან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც გერმანიის ისტორიას გადაავლებ თვალს, გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამყარო მარტოოდენ მამაზეციერს არ შეუქმნია და იგი მავანთან და მავანთან ერთად გაწეული შრომის შედეგიც არის. ჩვეულებრივ იმ კეთილ ფაქტს, რომლის შედეგადაც ბოროტება სიკეთედ იქცევა, ღმერთს მიაწერენ ხოლმე, ხოლო იმ ფაქტს, რომლის შედეგადაც სიკეთისგან ხშირად ბროროტება იბადება, რა თქმა უნდა, იმ მავანის დამსახურებად თვლიან. გერმანელებს ალბათ დაებადებათ კითხვა: რატომ ხდება, რომ ყოველგვარი სიკეთე მაინც და მაინც მათ გარემოცვაში იქცევა და მათ ხელში გარდაიქმნება ბოროტებად. ავიღოთ, თუნდაც, მათი ოდინდელი უნივერსალიმზი და კოსმოპოლიტიზმი, მათვის ჩვეული სულიერი უკიდეგანობა, რომელიც ძველი ზეეროვნული სახელმწიფოს რომის საღვთო იმპერიის გერმანული ნაციის სულიერ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს თვისება უაღრესად დადებით შეფასებას იმსახურებს,

დიალექტიკის კანონის თანახმად თავის დაპირსიპირებულობაში რომ არ გადადიოდეს და ბოროტებად არ იქცეოდეს. გერმანელებმა თავს ნება მისცეს, ცდუნებას აპოლოდნენ და მათთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი კოსმოპოლიტიზმი ევროპული ჰეგემონიისკენ, უფრო მეტიც, მსოფლიო ბატონობისკენ სწრაფვად ექციათ, რის წყალობითაც ეს კოსმოპოლიტიზმი თავის პირდაპირ დაპირისპირებულობად, ყველაზე სახიფათო ნაციონალიზმად და იმპერიალიზმად იქცა. ამასთან გერმანელები თავადაც გრძნობდნენ, რომ მათი „ნაციონალიზმი“ ისევ და ისევ დაგვიანებული იყო და უკვე მოჭამა თავისი დრო. ამიტომაც მის ნაცვლად უფრო თანამედროვე ლოზუნგი - რასიზმის ლოზუნგი წამოაყენეს, რომლის წყალობითაც შემზარავი ბოროტმოქმედების გზას დაადგნენ და მსოფლიო გაუგონარი უბედურების უფსკრულში გადაჩეხეს.

ავიღოთ, თუნდაც, გერმანელების სხვა, შესაძლოა, ყველაზე მეტად გამორჩეული თვისება, რომელიც ძნელად ითარგმნება და აღინიშნება სიტყვით: „Innerlichkeit“. ეს სიტყვა გულისხმობს სინაზეს, ღრმა სულიერებას, არამიწიერ გალალებას, სასოებრივ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, აზრისა და სინდისის გულუბრყვილო სერიოზულობას, - მოკლედ, ამ სიტყვაში მაღალი ლირიზმის ყველა ნიშან-თვისებაა განზავებული. მსოფლიო ღლესაც ვერ დაივიწყებს ყველა სიკეთეს, რომელსაც იგი ამ გერმანულ „Innerlichkeit“-ს უნდა უმაღლოდეს; ესაა: გერმანული მეტაფიზიკა, გერმანული მუსიკა და ბოლოს, ნამდვილი საოცრება - გერმანული სიმღერა, რომელიც ეროვნული კულტურის სრულიად განსაკუთრებულ და შეუდარებელ ნაყოფს წარმოადგენს. გერმანული სულიერების უჩვეულო ისტორიულ გმირობად იქცა ლუთერისეული რეფორმაცია - ჩვენ მას ძლევამოსილი განმათავისუფლებელი ქმედება ვუწოდეთ; მაშასადამე, მასაც ახასიათებდა რაღაც კეთილი საწყისი. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ თამაშში ეშმაკის ხელიც ერია, რეფორმაციას შედეგად ნამდვილი უბედურება - დასავლეთის რელიგიური გათიშვა მოჰყვა. მისივე მიზეზით დაიწყო გერმანიაში ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც ქვეყანა პარტაზად აქცია და კულტურის სფეროში საბედისწეროდ დასწია უკან.

საფიქრებელია, რომ მრუშობამ და სახადებმა შუასაუკუნეებთან შედარებით გერმანელებს შეუცვალა და გაუფუჭა სისხლის შემადგენლობა. სკეპტიკოს პუმანისტის, „ქება სისულელისას“ ავტორს ერაზმ როტერდამელს, რომელიც დიდი სულიერებით არ გამოირჩეოდა, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა, რა უკეთურება შეიძლებოდა მოპყოლოდა რეფორმაციას; ამიტომაც ბრძანებდა: „როდესაც დაინახავ, რომ სამყაროში დაიწყება სახიფათო ქაოსი, გაიხსენე: ერაზმი წინასწარმეტყველებდა ამას“. სულიერებით აღსავსე, ძლევამოსილი ვიტებირგელი ხეპრე კი პაციუისტი არ ყოფილა; ყველა ჭეშმარიტი გერმანელის მსგავსად ისიც ქედს არ იხრიდა ტრაგიკული ბედის წინაშე და აცხადებდა „მზად ვარ, დაღვრილი სისხლი საკუთარ თავზე ავიღო“.

აბა, სხვარა შეიძლება უწოდო ამას, თუ არა გერმანული რომანტიზმი, თუ არა გერმანული ბუნების უმშვენიერესი თვისების – „სულიერების“ გამოვლინება? რომანტიზმს ჩვეულებრივ მეოცნებე, მოჩვენებითად გროტესკულ, ფანტასტიურ სამყაროს, მაღალმხატვრულ სინატიფეს და უკიდეგანო ირონიას უკავშირებენ ხოლმე, მაგრამ გერმანულ რომანტიზმზე საუბრისას, კაცმა რომ თქვას, სულ სხვარამ მაქვს მხედველობაში. ეს რაღაც უფრო შეუცნობლად ბნელი ძალა და სასოებაა, შეიძლება ითქვას, სულის პირველქმნილებაა, რომელიც შეიგრძნობს თანაზიარობას სიცოცხლის სტიქიურ, ირაციონალურ და დემონურ ძალებთან, ე.ი. სიცოცხლის ჭეშმარიტ საწყისთან და მარტონდენ განსჯით მსოფლჭვრეტას და ცხოვრებისადმი დამკიდებულებას უპირისპირებს თავის უფრო ღრმა ცოდნასა და კავშირს წმინდათაწმინდა სალოცავთან. გერმანელები რომანტიკული ამბოხის ხალხია, რომელიც უურჩება განმანათლებელთა ფილოსოფიურ ინტელექტუალიზმსა და რაციონალიზმს; ესაა მუსიკის ამბოხი ლიტერატურის, ხოლო მისტიკისა – სიცხადის წინააღმდეგ. რომანტიზმს ყველაზე ნაკლებად უიღაჯო მეოცნებელია ეთქმის. იგი ის სიღრმეა, რომელიც საკუთარ თავში ერთსა და იმავე ღროს ძალასაც ავლენს და სრულქმნილებასაც. ესაა აღალი გულის პესიმიზმი, რომელიც გამოდის არსებულის, ჭეშმარიტის, ისტორიულის მხარეზე, კრიტიკისა და მელიორიზმის; წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, იგი გვევლინება ძალის მომხრედ სულის წინააღმდეგ და აინუნში არ აგდებს

რიტორიკულ ზნეობრიობას და სამყაროს იდეალისტურ წალამაზებას. რომანტიზმი დაუკავშირდა იმ რეალიზმსა და მაკიაველიზმს, ევროპაზე გამარჯვებას ბისმარკის სახით რომ ზეიმობდა, ბისმარკისა, ერთა-დერთი მნათობი რომ იყო გერმანიის პოლიტიკური ცის კაბადონზე. სასტიკად ცდებოდა ის, ვინც გერმანელთა სწრაფვას გაერთიანებისა და იმპერიის შექმნისაკენ, რაც ბისმარკმა პრუსიული გზით წარმართა, ჩვეული ნიმუშის მიხედვით ეროვნულ-დემოკრატიული განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ნიშნებს მიაწერდა.

1848 წელს ამ სწრაფვამ ლამის მიიღო კიდეც დემოკრატიული იერსახე, თუმცა ფრანკფურტის პარლამენტის დიდმპყრობელური დისკუსიები უკვე გამსჭვალული იყო შუასაუკუნოვანი იმპერიალიზმის სულისკვეთებითა და რომის საღვთო იმპერიაზე მოგონებებით. მაგრამ გაერთიანების ევროპული ეროვნულ-დემოკრატიული გზა გერმანიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ბისმარკის იმპერიას არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიასთან და, მაშასადამე, არც ნაციასთან, ამ სიტყვის დემოკრატიული გაგებით. იგი წმინდა წყლის ძალისმიერ სტრუქტურას წარმოადგენდა, რომლის არსიც ევროპული ჰეგემონიისკენ სწრაფვაში მდგომარეობდა; 1811 წლის იმპერია, თანამედროვე იერსახისა და ფხიზელი გერგილიანობის მიუხედავად, შუასაუკუნოვან დიდებაზე, საქსონელი და შვაბი შტრანგებლების ეპოქაზე მოგონებებით სულდგმულობდა. ჰოდა, დამაფიქრებელი და სახითაო სწორედ ის იყო, რომ დროის სულისკვეთების ტოლფარდი ძლიერი ტექნიკური პროგრესი და თანამედროვე სისხლჭარბი სული წარსულზე ოცნებასა და მაღალტექნიკურ რომანტიზმს შერწყმოდა! ომების პირმშო, პრუსიული ნაციის არასაღვთო გერმანული იმპერია მუდამ და ყოველ დროს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მილიტარისტული სახელმწიფო ყოფილიყო. იგი კაცობრიობის სხეულზე ამოსული ეკალი იყო, ასე გაჰქონდა თავი და ასეთად იღუპება ამჟამად.

ჭეშმარიტად ფასდაუდებელია გერმანული რომანტიკული კონტ-რევოლუციის დამსახურება სულიერი ცხოვრების ისტორიის წინაშე. თავად ჰეგელის მიუძღვის ამაში დიდი წვლილი. თავისი დიალექტიკური ფილოსოფიით მან გადო ხიდი უფსკრულზე, რომელიც რაციონალისტურმა განმანათლებლობამ და საფრანგეთის რევოლუციამ

გათხარა გონიერისა და ისტორიის შორის. გონიერისა და სინამდვილის ურთიერთდაზავებით ჰეგელმა ძლიერი ბიძგი მისცა ისტორიულ აზროვნებას და შეიძლება ითქვას, შექმნა მანამდე არარსებული მეცნიერება ისტორიის შესახებ. რომანტიზმი არსებითად ჩაღრმავებას, განსაკუთრებით კი წარსულში ჩაღრმავებას წარმოადგენს. იგი წარსულის მონატრებას და ამავდროულად რეალისტურად იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ ყველაფერს, რაც კი ოდესმე ნამდვილად არსებულა და ადგილობრივი იერსახე თუ კოლორიტი ჰქონია, თავისი უფლებები გააჩნია. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ რომანტიზმი განსაკუთრებით დროულად მიესადაგა ისტორიოგრაფიას და, კაცმა რომ თქვას, იგი მისი თანამედროვე ფორმით წარმოაჩნია. მდიდარი და მომხიბლავი ნობათით წარსდგა რომანტიზმი მშვენიერების სამყაროს წინაშეც, რადგან მან შექმნა მეცნიერება ესთეტიკის შესახებ. პოზიტივიზმია, ინტელექტუალურმა განმანათლებლობამ საერთოდ არ იცის, რა არის პოზიტივი. ამის შესახებ პირველად რომანტიზმმა ამცნო მსოფლიოს, რომელიც მოწყვენილობისგან სულს ღაფავდა ზნეობრივი კლასიციზმის არტახებში. რომანტიზმმა მოახდინა ეთიკის პოეტიზაცია და ინდივიდუალობასა და სპონტანურ ვრცელებს თავისი უფლებები მიანიჭა. ერის წარსულის ღრმა შრეებში მან მოიძია ზღაპრებისა და სიმღერების მთელი საგანძურო და ხალხური ზეპირსიტყვიერების თავდადებულ ქომაგად იქცა, რომანტიზმის ნაირფერად აკიაფებულ შუქმი ეგზოტიკის ერთგვარ ნაირსახეობად რომ გამობრწყინდება. უპირატესობამ, რომელიც რომანტიზმმა ემოციურ საწყისს მიანიჭა გონიერის წინაშე, თვით ისეთმა უკიდურესმა გამოვლინებამ, როგორიცაა მისტიკური ექსტრაზი და დიონისური ტყბობა, იგი მიიყვანა ავადყოფობასთან, როგორც მოვლენასთან და მასთან თავისებურად, ფსიქოლოგიურად ერთობ ნაყოფიერად დააკავშირა. ასე მაგალითად, გვიანი რომანტიკოსი ნიცშე, რომელიც ავადყოფობის ძალით ეზიარა გენიალურობისა და სიკედილის სფეროს, შემეცნების პროცესში მაღალ შეფასებას აძლევდა ავადყოფობის ფაქტორს. ამ თვალსაზრისით რომანტიზმის პირში იყო ფსიქოანალიზიც, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ადამიანის სნეულებათა ცოდნის სფეროში.

გოეთეს ეკუთვნის ლაკონური გამონათქვამი, რომლის თანახმადაც

კლასიციზმი სიჯანსაღით ხასიათდება, ხოლო რომანტიზმი - სნეულებით. ამ გამონათქვამის აზრს მწარე სინამდვილედ შეიცნობს ყველა, ვისაც უყვარს რომანტიზმი თავისი ცოდვებითა და მანკიერებებით; რადგან არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რომანტიზმის თვით ყველაზე მშვენიერ, ჰაეროვან და ამაღდროულად ხალხურსა და ამაღლებულ ქმნილებებში ვარდში ჩაბუდებული მატლივით დაუსადგურებია აკადმყოფურ საწყისს და რომ რომანტიზმი თავისი შინაგანი არსით ცდუნებას, სახელდობრ კი სიკვდილით ცდუნებას წარმოადგენს.

რომანტიზმის თავგზამნევი პარადოქსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავგამოდებით იცავს ცხოვრების ირაციონალურ ძალებს აბსტრაქტული გონებისა და უილაჯო ინტელექტუალიზმისაგან, მაგრამ თავად ამ ირაციონალურისა და წარსულისადმი ერთგულების წყალობით ღრმადაა აღბეჭდილი სიკვდილის ნიშნით. ყველაზე მეტად და საბედისწეროდ რომანტიზმა გერმანიაში, საკუთრივ თავის სამშობლოში შეინარჩუნა ეს თვალისმომჭრელი მრჩობლობა; ესაა ერთის მხრივ, ცხოვრებისეული საწყისის ზეაღმატებულობა ზნეობრივის წინაშე - ხოლო მეორეს მხრივ - სიკვდილთან მონათესაობა. გერმანულმა რომანტიზმმა, როგორც გერმანული სულის, გერმანული რომანტიკული ბუნების გამოვლინებამ, უვროპულ აზროვნებას ღრმად მაცოცხლებელი იმპულსი მისცა, მაგრამ თავის მხრივ, სიკვდილ-სიცოცხლის იდეით გამედიდურებულმა, უგულებელყო შესაძლებლობა - დასესხებოდა ევროპას ადამიანისადმი რწმენის მისთვის ჩვეულ გამოვლინებას, ევროპული დემოკრატიზმისგან მიეღო თავისთვის სასარგებლო რაიმე გაკვეთილი. გერმანია მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც რეალისტური პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო, როგორც ბისმარკიზმის ციხე-ბურგი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთსა და ცივილიზაციაზე; იგი წარმოჩნდა როგორც ძალა, რომელმაც შექმნა, თითქოსდა განუხრელად ჯანსაღი და ძლევამოსილი გერმანიის იმპერია; რომანტიკულმა გერმანიამ უცილობლად გააოცა მსოფლიო, მაგრამ ამავდროულად შეაშფოთა კიდეც და შიშიც ჩაუნერგა, ხოლო შემდგომ იმისა, რაც მას აღარ მართავდა მისი შემოქმედი გენიოსი, მუდმივ შიშში ამყოფებდა. ამასთან ამ გაერთიანებულმა ძლიერმა ზესახელმწიფომ კულტურის სფეროში იმედი

გაუცრუა ყველას. გერმანია, რომელიც ოდესლაც მსოფლიოს სულიერ მოძღვარს წარმოადგენდა, აღარ ქმნიდა მაღალ სულიერ ფასეულობებს. ახლა იგი მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი იყო. მაგრამ ამ ძლიერების, ქმედითი გერგილიანობის საფარქვეშ ძველებურად ფუთფუთებდა სხეულებისა და სიკვდილის რომანტიკული მატლი. ისტორიული უბედურება, წაგებული ომით გამოწვეული სასოწარკვეთა და დამცირება, – ეს ყველაფერი სტანჯავდა მას. და რაკიდა დაეშვა უბადრუკი ბრძოსა და ჰიტლერის დონემდე, გერმანული რომანტიზმი გადაგვარდა ისტორიულ ბარბაროსობად, წესთამჩენობითა თუ ბოროტმოქმედებებით ტკბობად და კონვულსიად. ხოლო ამჟამად, ეროვნული კატასტროფის ეს მსხვერპლი არნახულ ფიზიკურ და ფსიქიურ კოლაფსშია ჩავარდნილი და შემზარავი სიკვდილის მოლოდინში დაფავს სულს.

ჩემი ქალბატონებო და ბატონებო! ის, რის თაობაზეც მოკლედ მოგახსენეთ, გერმანული „იდუმალი სულიერების“ ისტორიაა. მე მას სევდიან ისტორიას ვუწოდებ და განგებ არ ვახსენებ სიტყვას „ტრაგედია“, რადგან მწუხარებას არ ეგების საქვეყნოდ გამოჭენება. ერთი კია, ისტორიამ უნდა გვაზიაროს იმ ჭეშმარიტებას, რომ არ არსებობს ორი გერმანია: კეთილი და ბოროტი; არის მხოლოდ ერთადერთი გერმანია, რომლის საკუთხესო თვისებებიც ეშმაკეულის გაიძვერობის წყალობით ბოროტებად იქცა.

ბოროტი გერმანია – ეს გზასაცდნილი, უბედურებაში ჩავარდნილი, ბოროტმოქმედებებში ჩაფლული და ახლა კატასტროფის წინაშე მდგარი ის კეთილი გერმანიაა. სწორედ ამიტომა გერმანელად დაბადებული კაცისთვის შეუძლებელი, პირწმინდად აიღოს ხელი ბოროტ, დანაშაულით დამბიძებულ გერმანიაზე და განაცხადოს: „მე თეთრ, ქათქათა სამოსელში გამოწყობილი, ზნეკეთილი, კეთილშობილი, სამართლიანი გერმანია ვარ, ბოროტი კი თქვენთვის დამითმია საჯიჯგნადო“. ყველაფერ იმაში, რასაც შევეცადე თქვენთვის გერმანიაზე მეთქვა, ანდა თუნდაც მიახლოებით ამეზსნა, იოტისოდენაც კი არაფერია უცხო, ცივი, გაუზიარებელი ცოდნისა; ყველაფერ ამას საკუთარ თავში დავატარებდი და ყოველივე საკუთარ თავზე გამოვცალე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რაც აქ მოკლედ გაგიზიარეთ, გერმანული თვითკრიტიკის ნიმუში იყო და, მართალი გითხრათ, სხვაგვარად ვერც მოვახერხებდი, გერმანული ტრადიციის ერთგული დავრჩენილიყვა. თვითკრიტიკისადმი სწრაფვა, რაც ხშირად საკუთარ თავს გაზიზლებს და რასაც თვითშეჩერებამდეც კი მიყავხარ, ოდინდელი გერმანული თვისებაა; სამუდამოდ ამოუცნობი დარჩება, როგორ შეიძლებოდა მსოფლიო ბატონობის იდეას შეეპყრო ხალხი, რომელიც აგრერიგად ელტონდა თვითშემეცნებას; მსოფლიო ბატონობის იდეას ხომ, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება გულუბრყვილობა, სვებელნიერი შეზღუდულობა და ქარაფშუტობაც კი და არა გერმანელებისათვის დამახასიათებელი დაძაბული სულიერი ცხოვრება, რომელშიც ზეს-თამჩენობა და თვითგანადგურება შესანიშნავად შეჯგუფებია ერთ-მანეთს. დაუნდობელი სიმართლე, რაც კი გერმანიაზე უთქვამთ ისეთ დიდ გერმანელებს, როგორიცაა ჰიოლდერლინი, გოეთე და ნიცშე, არც კი შეიძლება შევადაროთ იმ სიმართლეს, ოდესმე თავისი ხალხისთვის პირში რომ მიუხსია ფრანგს, ინგლისელს, თუნდაც ამერიკელს. გოეთე, ყოველ შემთხვევაში, ზეპირ საუბრებში იქამდე მიდიოდა, რომ გერმანელებს დიასპორას უსურვებდა და ამბობდა: „გერმანელები ებრაელების მსგავსად მთელს მსოფლიოში უნდა მიმოიფანტნენ“, თან დასძენდა: „ასეა საჭირო; რათა ის დიდი სიკეთე, რომელიც მათშია ჩაბუდებული, მთლიანად სვებელნიერად წაადგეს სხვა ერებსო“.

დიახ, სიკეთე, — გერმანელებში არსებობს ეს დიდი სიკეთე, მაგრამ მათ მიერ მემკვიდრეობით მიღებული ეროვნული სახელმწიფოს ფორმაში ამ თვისებამ ვერ შეძლო წარმოჩინება. მთელს მსოფლიოში მათ მიმოფანტვას, რასაც გოეთე თავის გერმანელებს უსურვებდა, და რისი ძლიერი სურვილიც ამ ომის შემდეგ უცილობლად გაუჩნდებათ, წინ აღუდგებიან სხვა ქვეყნების საიმიგრაციო კანონმდებლობები, რომლებიც რკინის ურდეულს გაუყრიან თავიანთი ქვეყნების კარიბჭეებს.

მაგრამ, მიუხედავად გაზვიადებული მოლოდინით გამოწვეული მთელი სიმწარისა, რასაც გვიმზადებდა ძალის პოლიტიკა, განა კვლავაც არ გვრჩება იმის იმედი, რომ ამჟამინდელი კატასტროფის შეძლვობ უთუოდ და უთუმცაოდ გადადგმული იქნება პირველი, დაე ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯი ისევ მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად, რაშიც

გალხვება და ბოლოს საერთოდ გაქრება მე-19 საუკუნის ნაციონალისტური ინდივიდუალიზმი და რომელიც გერმანელის ბუნებაში ჩაბუდებული იმ „დიდი სიკეთის“ ბევრად უფრო სვებელნიერ შესაძლებლობებს დაგვანახებს, ვიდრე ეს მყიფე, ძველი წესრიგის დროს საცნაურდებოდა? შესაძლოა, ნაციზმის ამოძირკვა გზას გაუხსნის მსოფლიო სოციალურ რეფორმას, რომელიც სწორედ გერმანის შინაგანი განვითარებისა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უდიდესი, სასიკეთო ასპარეზი იქნება.

მსოფლიო ეკონომიკა, პოლიტიკური საზღვრების წაშლა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარკვეული დეპოლიტიზაცია საერთოდ, კაცობრიობის გამოღვიძება პრაქტიკული ერთიანობის შეგნებით, მისი პირველი მცდელობები მსოფლიო სახელმწიფოს შესაქმნელად – როგორ შეიძლებოდა ბურუჟუაზიული დემოკრატიის საზღვრებს გამცდარი ეს სოციალური ჰუმანიზმი, რომლისთვისაც ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს, უცხო და მტრული ყოფილიყო გერმანელის ბუნები-სათვის? სამყაროსადმი მისეულ შიში ხომ ძალუმად იგრძნობოდა ამ სამყაროსკენ ლტოლვა. განდეგილობის უკაცურ უდაბნოში, მას აგრერიგად რომ აბოროტებდა, იგი ყოველთვის ოცნებობდა, – და ვინ არ იცოდა ეს! – თავადაც ჰყეარებოდა და მისი სიყვარულიც ჰქონდათ. ბოლოს და ბოლოს გერმანული უბედურება – ეს ხომ კაცობრიობის ტრაგედიის პარადიგმა საერთოდ. შენდობა, რომელიც აგრერიგად სჭირდება ახლა გერმანიას, ერთნაირად გვჭირდება ჩვენ ყველას.

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

# ლიტერატურათმცოდნეობა

## თამარ ლომიძე

### გრიგოლ ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“

ლექსს „ჩემს დას ეფემიას“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღიარებულია, რომ ეს „მკაფიოდ გამოვლენილი რომანტიკული ხასიათის ლექსია არა მარტო თავისი ფორმით (მაგალითად, კომპოზიციური თავისებურებებით, რომელიც ასოციაციათა თავისუფალ მიმდინარეობას ექვემდებარება), არამედ – მასში გამოხატული ემოციური განწყობილების შინაარსითაც“<sup>1</sup>.

შესაძლებელია ამ ნაწარმოების უშუალო დაკავშირება ავტორის ბიოგრაფიულ ფაქტებთან. ასეთ შემთხვევაში ის განიძარცვება პოეტური მრავალმნიშვნელოვნებისაგან. მეორე მხრივ, შეიძლება მისი, როგორც დამოუკიდებელი ტექსტის განხილვა. ჩვენ მივმართავთ მეორეგვარ მიღვომას.

ლექსში არსებული მოტივები და სახეები თავისებურებათა მთელი რიგით გამოირჩევა.

საინტერესოა, რომ დრო აქ ოთხგანზომილებიანია: ლირიკული გმირის აწყვო; მისი მომავალი; წარსული ორი ურთიერთგანსხვა-ვებული პერიოდით. ამგვარად, სამყაროს დროითი მახასიათებლები საგანგებოდაა დანაწევრებული, რაც წარმოქმნის ამ სამყაროს წინა-აღმდეგობრიობის შთაბეჭდილებას.

დროის პოეტური გააზრების ეს ორიგინალური ხერხი საგანგებო ანალიზს საჭიროებს.

წარსულის პირველი ეტაპი – ესაა გმირების სიცოცხლის „დილა“, „მზისა ნათლით გაბრწყინებული“, ანუ სამშობლოში, „მეგობართა

<sup>1</sup> გ.ასათიანი, „ვეჯზისტყაოსნიდან“ „ბაზტრიონამდე“, თბ., 1974, გვ. 120

შორის“ გატარებული სიჭაბუკის წლები. ამ წარსულის აღწერას ეთმობა ლექსის მეორე სტროფი, სადაც გვხვდება უარყოფითად შეფასებული აწმყოს ნიშნები: „კვეთებანი ბოროტ მხვედრისა“, „ცხოვრების ბნელი გზა“ და „უდროოდ დამჭერა გული“.

მესამე სტროფში რეალიზებულია დროითი და სივრცობრივი ანტითეზა სიჭაბუკის წლებსა და წარსულის გარკვეულ პერიოდს შორის, რომელიც დახასიათებულია, როგორც „უფსკრული ვაებისა“. ეს გენეტიკური მეტაფორა ინვერსიული წყობისაა. სინტაგმის პირველი წევრის გავლენით მას სივრცობრივი სემანტიკა ენიჭება, რასაც ხელს უწყობს მის შემოზღუდულობაზე მითითება:

„... ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,

არვის ესმოდნენ და ჰქონდნენ ზღუდეთა შორის!“

ლირიკული გმირი ვაების უფსკრულში მოაქცია „გრიგალმა უბედობის“ (აქაც სივრცობრივი ნიუანსები გამოდის წინა პლანზე). ის თავს ვერ აღწევს ამ უფსკრულს. დრო და სივრცე ირეალური ხდება, გმირის არსებობა კი თითქმის წყდება იქ,

„სადაც დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე – უგარსკვლავი,

და სად სიკვდილსა ვინატროდი ვით ცის ნუგეშსა,

თუმცა სამარეს შეედრების, სადაცავ ვიყავ“.

გმირი კარგავს უშუალო დამოკიდებულებას სიტყვასთან, მეტყველებასთან – სიმღერის ნაცვლად „ხრიალს“ გამოსცემს და „ხმა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი“, რაც არსებითად, მდუმარების ტოლფასია, მდუმარება კი, აზროვნების უძველესი კანონების მიხედვით, სიკვდილის მეტაფორაა.<sup>2</sup>

ამ გაურკვეველ, ირეალურ ფოკუსში განცდილი ტანჯვა განსაზღვრავს გმირის აწმყოსა და მის მომავალს:

„ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ღიმმან?

უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დასტებეს?..“

სივრცობრივი და დროითი მიმართებები ნაწარმოებში განსაზღვრულ სემანტიკურ დატვირთვას ატარებს. ლირიკული გმირის მარტობა და სასოწარკვეთილება განაპირობა ამ „უფსკრულში“ ყოფნამ. ეს ერთობლივი სისტემა („უფსკრული ვაებისა“, აწმყო, მომავალი) უპირისპირდება ბედნიერ სიყმაწვილეს, რისი მეშვეობითაც ზოგადდება

<sup>2</sup> О.М. Фрейденберг, Пoэтика сюжета и жанра, М., 1997, с. 122.

„უბედობის“ მოტივი: ლალ სიჭაბუკეს, საერთოდ, მოსდევს უბედურება. განვრცობილი მეტაფორა წარმოგვიდგება როგორც ადამიანის ცხოვრების სიშოლური ხატი.

ნაწარმოების ძირითად მოტივთაგან რომანტიკული ლიტერატურის იდეათა არსენალს განეკუთვნება წარსულის იდეალიზაცია, აგრეთვე – ანტითეზა გამოცდილებასა („მიუნდობელ, გამოცდილ თვალსა“) და გრძნობას (დისადმი სიყვარულს) შორის.

რომანტიკულია თუ არა ლექსის გმირის სახე?

მისი სპეციფიკის გამოსავლენად მივმართოთ ქართული რომანტიკული პოეზიის იმ ქმნილებას, საღაც ტიპიური რომანტიკული გმირია წარმოდგენილი. ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“.

„მერანის“ გმირი თვითონ იღტვის მარტობისაკენ (და თავისუფლებისაკენ). ის მზადაა, დატოვოს სამშობლო, ნათესავები, მეგობრები, სატრფო, გადალახოს „კლდე-ღრუნი“, რაღან თავისუფლება მისთვის აბსოლუტურ ფასეულობას წარმოადგენს. გრ. ორბელიანის ლირიკული გმირისათვის კი მარტობა მხოლოდ ტრაგიკული განცდაა. ის არ უკავშირდება თავისუფლებას – ამ უკანასკნელის მოპოვების პრობლემა ლექსში არც წამოიჭრება. გმირი უძლურია ბედის წინაშე, მაშინ, როდესაც „მერანში“ წარმმართველია „ბედის სამძღვრის“ გადალახვის მოტივი.

გრ. ორბელიანის გმირს ეერ. წარმოუდგენია თავისი არსებობა ჰატრიარქალური ყოფის გარეშე. მის ცხოვრებაში ტრაგიზმი მხოლოდ გარეშე ძალებს შეაქვთ. ბედნიერებას ის პოვებს მხოლოდ გარკვეული კერძო საზოგადოების – ერის ფარგლებში, ახლობლების გარემოცვაში, „სად სულსა სული თვისად მიიჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის“ – სოფიო ლეონიძის ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება გრ. ორბელიანის ნაწარმოებში გამოხატულ თვალსაზრისს. ამიტომ შემთხვევითი არაა მისი სათაური.

ლექსში შეიმჩნევა ერთგვარი „ნაპრალი“ ზოგად რომანტიკულ კონცეფციასა და ლირიკული გმირის იერსახეს შორის, რაღან უნივერსუმი მასში რომანტიკულადაა გააზრებული, გმირი კი არა-რომანტიკულია. ის არ წარმოადგენს შინაგანად თავისუფალ, დამოუკიდებელ სუბიექტს, რომლის დამოუკიდებლობა გულისხმობს შეპირისპირებას სხვა „სუბიექტის“ – ხალხის, კერძო საზოგადოების ან პიროვნების მიმართ. მასში არ შეიმჩნევა არც შინაგანი გაორება,

რომელიც ესოდენ მძაფრად ვლინდება ნ. ბარათაშვილის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „სულო ბოროტო“, „ხმა იდუმალი“ და სხვა.

ამდენად, გრ. ორბელიანთან რომანტიკულია მხოლოდ ლექსის ზოგადი კონცეფცია - წარსულის იდეალიზაცია, სამყაროს წინა-აღმდეგობრივი სივრცობრივ-დროითი სტრუქტურა, ფილოსოფიური რეფლექსია ცხოვრების, როგორც „ვაების უფსკრულის“, შესახებ.

საგულისხმოა ისიც, რომ ნ. ბარათაშვილთან სამყარო ღია სტრუქტურისაა - გმირი ესწრაფვის თავისუფლებას და ეს მიზანი „მერანში“ სავსებით რეალურია. გრ. ორბელიანის პოეტური სამყარო უფრო ტრაგიკულია - ესაა ჩაკეტილი სამყარო, ერთგვარი „უფსკრული“, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს.

ლექსის ფორმალური პლანი მეტად თავისებურია და განსხვავდება გრ. ორბელიანის ნაწარმოებთა უმრავლესობისაგან, რომლებშიც უხვად გვხვდება გაცემილი, კლიშირებული მეტაფორები. აქ თავს იჩენს მეტონიმიური მიმართულებები, რომლებიც ხორცებულია ტექსტის მაკრო - და მიკროსტრუქტურებში.

მაკროდონებზე მეტონიმიურია გარკვეული დროითი მონაკვეთი - „ვაების უფსკრულის“ იმგვარი სემანტიკური განზოგადება, რომ გმირის მთელი ცხოვრება წარმოგვიდგება, როგორც ამგვარი უფსკრული და კონკრეტული მეტაფორა ტექსტის მასშტაბში მეტონიმიად იქცევა.

ცალკეული სახეების დონეზე მეტონიმიური გამოთქმები: „გული განპერილდეს“, „გული როს დასტკებს“ და მისთ. გვხვდება მეტონიმიურ პერიფრაზებშიც: „ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს“, „ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი“. უფრო საყურადღებოა, რა თქმა უნდა, მაკროსტრუქტურების მეტონიმიურობა, რომლებიც განაპირობებს სამყაროს პოეტური ასახვის ინდივიდუალობას.

გრიგოლ ორბელიანის ქმნილების ანალიზი აშკარავებს ქართული რომანტიკული პოეზიის მრავალპლანიანობასა და სირთულეს.

# ფილოლოგიურ-იკონოგრაფიული ძიებანი

## მალხაზ კობიაშვილი

### ანდრია პირველი ტოლებულის „მიმოსლვათა“ შანრული თავისებურებისათვის

ტრადიციული თვალსაზრისით ანდრია პირველი ტოლებულის „ცხორებათა“ თუ „მიმოსლვათა“ ყველა რედაქცია მიჩნეულია აპოკრიფული უანრის თხზულებებად, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ-ლათინურ და ქართულ ენებზე შემონახულ ტექსტებს განსხვავებული სახელწოდებები აქვთ და სწორედ ისინი აღძრავენ კითხვას, არის თუ არა თითოეული მათგანი აპოკრიფი. ამა თუ იმ რედაქციის გამომცემელი, ან მკვლევარი a priori მიიჩნევს მათ აპოკრიფულად. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საერთოდ მოციქულთა შესახებ არსებულ თხზულებათა უმრავლესობა მიჩნეულია აპოკრიფულად, რომლის შესახებაც საკმაოდ დეტალურად მსჯელობს აკად. კ. კეკელიძე<sup>1</sup>. პირველ ცნობებს აპოკრიფული ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზე გვაწვდის ექვთიმე ათონელის პასუხი გიორგი ბერის შეკითხვაზე, თუ რომელ წიგნებს შეიწყნარებდა ან არ შეიწყნარებდა ქრისტიანული ეკლესია, უფრო ზუსტად, ბიზანტიის ეკლესია. ტექსტი, რომელსაც ჰქვია „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისა მთაწმიდელისა“ (შემონახულია ორი ზელნაწერით: A-450, XVI საუკუნისა და A-381, XIX საუკუნისა), რამდენჯერმეა გამოცემული და საკმაოდ ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია (ქვემოთ, ქლი, თბ. 1960, გვ. 445-450.

<sup>2</sup> იხ. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე; პეტერბურგი, 1882, გვ. 432-436; თ. უორდანია, ქრონიკები, II, ტფ. 1897, გვ. 82-83; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889, გვ. 134; კ. კეკელიძე, ქლი, I, თბ., 1960, გვ. 431-432; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 5-18.

შენიშნულია, რომ დ.ბაქრაძისა და თ.უორდანიას მიერ გამოცემული ამ ე.წ. „კითხვა-მიგების“ ტექსტი განსხვავდება მ. საბინინის მიერ გამოცემული რედაქციისაგან. როგორც მიუთითებენ, დ.ბაქრაძესა და თ.უორდანიას ხელთ ჰქონიათ XII საუკუნის დოკუმენტი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა სწორედ აღნიშნული ტექსტი „ქრონიკებში“. მ.საბინინის რედაქციაში დოკუ-მენტი მოყვანილია კითხვა-მიგების სახით, ხოლო ბაქრაძე-უორდანიას რედაქციაში მხოლოდ ექვთიმეს საპასუხო წერილს ვხვდებით. აქ ჩამოთვლილია II თხზულება, რომელთაც, ექვთიმე ათონელის სიტყვით, ეკლესია არ შეიწყნარებს, ე.ი. მათ არაკანონიკურად, აპოკრიფულად მიიჩნევს. მათ შორის დასახელებულია მოციქულთა, სახელდობრ მათე მახარებლისა და ანდრია პირველწოდებულის „ცხორებანი“. საყუ-რადღებოა ის გარემოება, რომ არც გიორგის, რომელიც შეკითხვას აძლევდა ექვთიმე ათონელს და არც თვით ექვთიმეს, რომელმაც უკასუხა ქართველი ბერის შეკითხვას, მხედველობაში არ ჰქონდათ ქართულ ენაზე არსებული აპოკრიფული ლიტერატურა, მათ მიზანს წარმოადგენდა კანონიკური და არაკანონიკური, ანუ აპოკრიფული თხზულებების სის განსაზღვრა, რომელს შეიწყნარებდა ბიზანტიის ეკლესია და რომელს - არა. კ.კეკელიძე რიზტერის შრომაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ექვთიმე ათონელის ინდექსის ბერძნული დედანი მონათესავე ყოფილა პაპი გელასის ინდექსის დედნისა<sup>3</sup>.

ყოველივე ზემოთქმული ეჭვმიუტანლად მიგვითითებს იმას, რომ ანდრია პირველწოდებულის შესახებ არსებული ყველა თხზულება აპოკრიფულია. ამას ადასტურებს ორი უდიდესი ღვთისმეტყველი - წმიდა მამა პაპი გელასი და ექვთიმე ათონელი.

ცხადია, ეჭვს არ იწვევს ამ ორი დიდად ავტორიტეტული პიროვნების ზემოხსენებული თვალსაზრისი, მაგრამ იგი შეეხება თხზულებათა კანონიკურობა-არაკანონიკურობას; ჩვენი აზრით, ტერმინი „აპოკრიფი“ მოცემულ შემთხვევაში უანრის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დამატებით განმარტებას საჭიროებს ტექსტის შემდეგი სიტყვები, რომლებიც ორსავე რედაქციაში თითქმის ერთნაირადაა გადმოცემული: „მოციქულთა ცხორებანი, რომელნიმე გარეუნილ არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებლისაი და

<sup>3</sup> კ.კეკელიძე, ქლი, I, გვ.435.

წმიდისა ანდრიასი<sup>4</sup>.<sup>4</sup> დაისმის კითხვა, რატომ გამოირჩა მოციქულ-თაგან მაინდამაინც მათე მახარებლისა და ანდრია პირველწოდებულის „ცხორებები“,? სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ „საქმე მოციქულთას“ ახლდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი აპოკრიფი, რომლებშიც ყველა მოციქულის შესახებ არის მოთხოვობილი<sup>5</sup>.

ბერძნულ-ქართულ ტექსტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წმიდა ანდრია პირველწოდებულის შესახებ დაწერილი თხზულებები, მართალია, აპოკრიფულად არის მიჩნეული, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ შემთხვევაში „აპოკრიფულობა“ უანრს კი არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ უნდა მიუთითობდეს იმას, რომ თხზულება არაკანონიკურია; იგი ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს მრევლისათვის, ხოლო სამღვდელოებამ, განსაკუთრებით მისმა მაღალმა ფეხებმა, იგი ზედმიწევნით უნდა იცოდეს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა აპოკრიფული ლიტერატურა, რომელიც ძირითადად იმ უკმარისობის გამო შეიქმნა, რაც კანონიკური ტექსტების დაწურულ, კონდენსირებულ აზრებს მიღმა იყო საგულვებელი. მიგვაჩნია, რომ აპოკრიფულ, ანუ არაკანონიკურ ლიტერატურაშიც აუცილებელია თითოეული თხზულების უანრული თავისებურების განსაზღვრა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დღემდე არც უცხოური, არც ქართული სამეცნიერო წრეების წინაშე არ დასმულა ამ თხზულებათა უანრობრივი რაობის საკითხი, არადა, ტერმინი „აპოკრიფი“, როგორც ითქვა, მოცემულ შემთხვევაში უანრის განმსაზღვრულად ან მიმანიშნებლად არ გამოგვადგება.

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა წმ.ანდრია პირველწოდებულის „ცხოვრების“ რედაქციათა სათაურებზე, ანუ ზედწერილებზე, დაკვირვება როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ და შესაძლებლობის ფარგებლში, ლათინურ ენებზე შემონახულ ტექსტებში.

ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ ქართული რედაქციით შემონახულ ძირითად ტექსტს, რომელიც ექვთიმე ათონელის მიერაა თარგმნილი, ხელნაწერში ასეთი წარწერა აქვს: „შესხმაი წმიდისა და ყოვლად ქებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეაისი და თხრობაი

<sup>4</sup> მ.საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ.433.

<sup>5</sup> კ.კეკელიძე, ქლი, I, გვ.445-450; ც.ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ზელნაწერთა მიხედვით), თბ., 1959.

მიმოსლვათა და ქადაგებათა და სასწაულთა მისთაი და წამებაი, რომელი შეკრიბა პირველ წერილთა მოსახსენებელთაგან ნიკიტა ლირსმან მონაზონმან და ფილოსოფოსმან“ (A-1103, 219v). ამ თხზულების სავარაუდო ბერძნული დედანი, გამოცემული აქვს მაქს ბონეს<sup>6</sup> შემდეგი სათაურით: „მოღუაწებაი და მიმოსლვანი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრიასი, რომელი შესხმით იქების და მოიხსენების“. <sup>7</sup> ქართულ-ბერძნული ტექსტების სათაურები თითქმის ერთმენთს ემთხვევა. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ქართული თარგმანით, თხზულება არის „შესხმაი, თხრობაი დაწამებაი“, ხოლო ბერძნულის სახელწოდებაში „წამებაი“ არ გვხვდება; აქ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თხზულების ქართული თარგმანის სათაურში მითითებულია ნიკიტა მონაზონი და ფილოსოფოსი, ავტორი ამ ნაწარ-მოებისა თუ შემკრები ცნობებისა ანდრიას შესახებ, რომლის სახელსაც ბერძნულ დედანში ჩვენ ვერსად ვხვდებით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფრ. ჰალკინის მიერ შედგენილ ხელნაწერთა აღწერილობას, სადაც აღნიშნული თხზულების ავტორად ნიკიტა პაფლაგონელია დასახელებული).<sup>8</sup>

ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია ნიკიტა პაფლაგონელის „შესხმა“ ანდრია მოციქულისადმი“, რომელიც გამოცემულია ი. პ. მინ-ის ბერძნულ პატროლოგიაში.<sup>9</sup> იგი ასეა დასათაურებული: „Εἰς τὸν ὄγιον καὶ πανεύφημον ἀπόστολον Ἀνδρέαν“ („წმიდა და ყოვლად ქებული ანდრია მოციქულის შესხმა“). იქვე მოთავსებულია თხზულების ლათინური თარგმანიც („Laudatio sancti laudeque celeberrimi Andree apostoli“). ბერძნული სათაურისაგან განსხვავებით ლათინურში დამატებულია სიტყვა „საყოველთაოდ ცნობილი“ („celeberrimi“). უთუოდ ანგარიშგასაწევია აგრეთვე VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე კონსტანტინოპოლელი მონაზონის – ეპიფანეს

<sup>6</sup> იხ. *Analecta Bollandiana* (ქვემოთ, "An. Boll."), Societe des Bollandistes, Brussels, t.13, 1894, გვ. 311-352; იხ. ავრეთვე, M.Bonnet, *Supplementum codicis apocryphi*, Paris, 1895, გვ.1-44.

<sup>7</sup> An.Boll. t 13, გვ 311

<sup>8</sup> იხ. *Bibliotheca hagiographica graeca*, (ქვემოთ, "BHG"), par.Fr.Halkin, t.I, Bruxelles, 1957, გვ.31.

<sup>9</sup> იხ. *Patrologiae cursus completus, series graeca* (ქვემოთ, „PG“), ed.I.P.Migne, t. 105, Paris, 1862, გვ. 53-80.

თხზულება ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობისა და მოწამებრივი აღსასრულის შესახებ, რომლის სათაურია: „*Επιφανίου μονάχου καὶ πρεσβυτέρου περὶ τοῦ βίου καὶ τῶν πραξέων καὶ τελούς τοῦ θαγίου καὶ πανευφή μού καὶ προτοκλήτου τῶν ἀποστόλων Ἀνδρέου*“ („*ეპიფანე მონაზონისა და პრესბიტერის, წმიდისა და მოციქულთა შორის ყოვლად ქებულისა და პირველწოდებულის-ანდრიას ცხოვრების, მოღვაწეობისა და აღსასრულის შესახებ*“).<sup>10</sup> ანდრია პირველწოდებულის მოწამებრივი აღსასრულის შემცველი ტექსტი აქვს გამოცემული აგრძვე მაქს ბონეს სახელწოდებით: „*Μαρτύριον τοῦ ἀγίου ἀποστόλου Ἀνδρέου*“ („*წამება წმიდისა მოციქულისა ანდრიასი*“).

ჩვენ აქ საგანგებოდ მოვიტანეთ წმ. ანდრია პირველწოდებულის „*მიმოსლვათა*“ შესახებ არსებული ბერძნულ-ლათინურ-ქართულ ტექსტთა სათაურები, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ თხზულებათა უანრობრივი რაობის განსაზღვრისას მათ, გადამწყვეტი თუ არა, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ. ჩვენს ხელო არსებული ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ დაადასტურა, რომ ექვთი-მე ათონელს სათარგმნელად ჰქონია ნიკიტა მონაზონ-ფილოსოფოსის ტექსტი და არა ეპიფანე მონაზონის ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული თხზულება, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერა-ტურაში (ს. პეტროვსკი, ვ. ვასილევსკი, ვ. ბაკაშვილი, რ. მიმინოშვილი, ე. ხინთიძე). ამიტომ ჩვენც თავდაპირველად სწორედ ამ თხზულების უანრული თავისებურების განსაზღვრას შევეცდებით. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ბერძნული ტექსტის სათაურშივე მითითებულია, რომ თხზულება წარმოადგენს „*შესხმასა*“ და „*მოსახსენებელს*“, ანუ თხრობას წმ. ანდრია პირველწოდებულის შესახებ. აღნიშნული სათაური ასევეა თარგმნილი ქართულად ექვთიმე ათონელის მიერ. თხზულების სახელწოდება ბადებს ორგვარი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას: 1. იგი ჰომილეტიკური მწერლობის ნიმუშია, ანუ „*შესხმა*“ და 2. იგი ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, რადგან მასში ასახულია წმ. ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა ქრისტიანობის საქადაგებლად და მისი მოწამებრივი აღსასრული. განვიხილოთ,

<sup>10</sup> იხ. PG, t.120, Paris, 1862, col. 215-260.

II იხ. An. Boll., t. 13, გვ. 354-352

რამდენად შეესაბამება თითოეული ვარაუდის დაშვების შესაძლებლობა რეალობას და რომელ უანრს ეკუთვნის ნიკიტა პაფლაგონელის თხზულება და, შესაბამისად, რომელ უანრს განეკუთვნება ექვიმე ათონელის მიერ ნათარგმნი თხზულება.

პომილეტიკური მწერლობის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „პომილია, ეფრემ მცირის განმარტებით, „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“ და აღნიშნავს მოძღვრება—ქადაგებებს, რომელთაც მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში და სხვადასხვა პირი, უმეტეს ნაწილად, რასაკვირველია, სამღვდელონი წარმოთქვამდნენ ხოლმე... შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა: 1. სადღესასწაულო ქადაგებანი, რომელთაც წარმოთქვამდნენ ხოლმე საუფლო—საღვთისმეტყველო და ცნობილ წმიდანთა დღესასწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოგმატიკური ხასიათი აქვს; 2. პანეგირიკები ან ხოტბა—შესხმანი, ე.წ. ენკომიები, მოწამეთა და წმინდანთა სახელობისა, რომელთაც ჰაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ; 3. ეპიტაფიები, რომლებშიც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უჭირავს; 4. საკუთრივ ქადაგება ან პომილია, რომელშიაც განმარტებულია, კვირა—უქმებებში წასაკითხავი ადგილი საღვთო წერილიდან და რომელსაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს“.<sup>12</sup> აღნიშნული ოთხი შემთხვევიდან ჩვენ მხოლოდ ერთი შეიძლება მივიჩნიოთ სავარაუდოდ. ესაა პანეგირიკები ან ხოტბა—შესხმანი, ე.წ. ენკომიები, რომლებიც მოწამეთა და წმინდანთა მოღვაწეობას შეეხება და რომელთაც ჰაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ. ყველა დანარჩენი იმთავითვე გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ.

უშუალოდ თხზულების შინაარსის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მისი უანრობრივი რაობის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ თხზულების სათაურში ძირითადად გვხვდება „შესხმაი“ და „ეყვამია“, იგი, ჩვენი აზრით, პომილეტიკური უანრის თხზულებად ვერ ჩაითვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების ლათინური ტექსტის სათაურში, ბერძნულის მიმსგავსებით, გვხვდება „Laudatio“ („შესხმა“, „ხოტბა“).

თუ კარგად ჩავუკვირდებით თხზულების როგორც ბერძნული დედნის, ისე ქართული თარგმანის სათაურს, შევნიშნავთ, რომ „შეს-

<sup>12</sup> კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 551-552.

ხმასთან“ („εγκωμία“) ერთად აქ „თხრობაიც“ („συμπεπλεγμέναι“) და „წამებაიც“ გვხვდება. ვფიქრობთ, სწორედ ამ ორმა ტერმინმა უნდა განსაზღვროს ძირითადად თხზულების უანრობრივი რაობა. ტ. პოპოვას შენიშნული აქვს, რომ ზოგჯერ აგიოგრაფიული ნაწარმოები მოგვითხრობს (წმინდანის – მ.კ.) როგორც ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე წამების შესახებ, რაც სათაურშიცა ხაზგასმული. აღნიშნულმა დაკვირვებამ მკვლევარს შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მისცა: „ამგვარი ნაწარმოები, როგორც ჩანს, ადრეულ თქმულებათა გვიანდელი წერილობითი გადამუშავების შედეგს უნდა წარმოადგენდეს“.<sup>13</sup> „მიმოსლვათა“ შემთხვევაში ეს სწორედ ასე უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, წინამდებარე თხზულების პომილიად მიჩნევას თვით პომილიისა და მისი სახეობების განმარტება-დახასიათებები ეწინააღმდეგება. შესხმად, პომილიად შეიძლება ისეთი თხზულების მიჩნევა, რომელსაც ძირითადად აქვს ჰაგიოგრაფიული საფუძველი. წმ.ანდრიას „მიმოსლვათა“ შემთხვევაში ამგვარ საფუძველს ვერ ვპოულობთ. მისი საფუძველი ახალი აღთქმაა, როგორც სახარებები, ისე „საქმე მოციქულთა“. ამასთან, გასათვალისწინებელია თვით თხზულების მონაცემებიც.

„შესხმა-თხრობის“ შესახებ ეფრემ მცირის შეხედულებათა გაანალიზებისას თავისი მოსაზრება გამოთქვა აკად. ი.ჯავახიშვილმა: „საისტორიო თხზულებათა“ ნუსხაში ეფრემ მცირეს დასასრულ მოხსენებული აქვს „მოთხრობაც“. იმავე ქართველ მეცნიერს შენახული აქვს სახელი „საეკლესიო მოთხრობა“, ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს დიმიტრი I-ის მეფობისათვის წყაროდ პქონია „იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა“ ერთი ნაწარმოები, რომელსაც თურმე „შესხმა-მოთხრობა“ ეწოდებოდა. არსებობდა ამას გარდა ტერმინი „თხრობაი“. უკანასკნელი სახელი ეწოდება ამა თუ იმ ამბავის მარტივს, მოკლე აღწერილობას, ხოლო პირველი – კი უფრო რთულისა და გრძელი აღწერილობის ტერმინად იხმარებოდა. მაგალითად მარტვილთა და წმიდანთა უძველესი, მარტივად შედგენილი ცხორებანი „თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს“ – ი, ამბობს ეფრემი. ბატონიშვილს ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს ისტორიის შესასწავ-

<sup>13</sup> იხ. Попова Т.В., Античная биография и византийская агиография, в сб: Античность и Византия, М., 1975, гл.220.

ლად და გამოსარკვევად საისტორიო წყაროდ სხვათა შორის „ხსოვნა-მოთხრობანიც“ გამოდგება<sup>14</sup>.<sup>14</sup> მართალია, მოცემულ შემთხვევაში ი. ჯავახიშვილის მსჯელობა საისტორიო თხზულებებს შეეხება, მაგრამ აქედან ნათლად ჩანს ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ „თხრობაი“ მარტივად ამბის გადმოცემას ჰქვია.

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ შესხმები, ენკომიები, იგივე პომილიები ეფრემ მცირის ზემოხსენებული განმარტების მიხედვით, „ზეპირად, პირისპირ თქმას“ გულისხმობს. ჩვენს მიერ განსახილველი თხზულება კი წერილობითი ძეგლია და იგი 30 ნოემბრის (წმ. ანდრიას გარდაცვალების დღე - მ.კ.) საკითხავთა შორის არის მოქცეული.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორს ჰქონდა სურვილი, ზეპირად წარმოეთქვა „შესხმა“ ანდრია პირველწოდებულისადმი, ეს შესხმა ჩაწერილიყო და ამრიგად შექმნილიყო პომილეტიკური ნაწარმოები. როდესაც მქადაგებელი შესხმას წარმოთქვამდა, მასში ჩანართი, გვერდითი ამბები არ აისახებოდა, გადახვევებს ძირითადი ამბიდან ადგილი არ ჰქონდა. ამგვარი რამ მას არ ახასიათებს. გადახვევები, ჩანართი ამბების ასახვა ჩვეულებრივი მოვლენაა ჰაგიოგრაფიისათვის.

ჰაგიოგრაფიული უანრის თხზულებას, ისევე როგორც პომილეტიკურს, თავისებური კომპოზიციური აგებულება აქვს. ჩვეულებისამებრ, იგი იწყება ერთგვარი მცირე შესავლით, რომელშიც ზოგადად არის აღნიშნული მთავარი ჰერსონაჟის ღვაწლისა და დამსახურების მნიშვნელობა, ამასთან ხაზი ესმება იმ გარემოებასაც, რომ ავტორს ძნელად ხელეწიფება მთავარი ჰერსონაჟის ღირსეული შემკობა, მაგრამ ღმერთის შეწევნითა და მეოხებით, სულიწმიდის ჩაგონებით, იგი ხელს ჰქიდებს თავის შესაძლებლობებს აღმატებულ საქმეს და წერს თხზულებას ამა თუ იმ წმინდანის შესახებ. ასევე, იგი ცდილობს თხზულებაში მოთხრობილი ამბის სანდოობის დასაბუთებას. სწორედ ასე იწყება წმ. ანდრიას „მიმოსლვათა“ ტექსტიც. აქვე საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ბერძნულ-ქართულ პარალელურ ტექსტებს აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად:

<sup>14</sup> ი.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, თბ., 1977, გვ.29.

Τον πρωτόκλητον τῆς αποστολικῆς δυοδεκάδος<sup>3</sup> Άνδρεαν ἐπαινέσαι προθέμενος αδυνάτοις μὲν Ἑπιχειρεῖν δις ἀληθῶς πείθομαι ἀνάγκη δὲ τοῦ πόθου δύν πάλαι ὕδινον δισπερτινή βίᾳ ἐλκόμενος, καὶ μηκέτι τῶντον κατέχειν ἔνδομυχοῦντα δυνάμενος, εἰς τὴν δε τοῦ λόγου τὴν ἀγωνίαν κατέστην, ἀπορία μὲν συνεχόμενος δις τῆς ἐν λόγῳ δυνάμεως ἀμοιρος, προθυμία δὲ συνωθούμενος δις τῆς ἑκείνου συνεργίας ἐπικουρίαν αἰτησάμενος".  
(AnBoll..13, γρ.311).

„უპირატეს ათორმეტთა მოციქულთა წოდებულსა მას ყოვლად ქებულსა ანდრეას შესხმად მეგულების და წადი ერ ვარ; არამედ უწყი მე, რომელ შეუძლებელსა ხელვჰყოფ; გარნა სურვილი მისი, მრავლით უამითგან დამკვიდრებული ჩემ შორის, მაიძულებს და არა შემინდობს დუმილად, დაღათუ სიტყუა ჩემი გლახაკ არს და გონებაი უმეცარ; ამად მხურვალითა გულსმოდგინებითა შეწევნასა და მეოხებასა მისა ვითხოვდა ვესავ.“  
(A-1103, 219v.)

აქ ამონაწერებს აღარ გავაგრძელებთ, რადგან ვფიქრობთ, რომ მცირე ნაწვეტიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი დებულების მართებულობა.

ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებში, საზოგადოდ, მეტ-ნაკლები სისრულით აისახება ის ეპოქა და გარემო, რომელშიც მთავარ პერსონაჟს უხდება მოქმედება და მოღვაწეობა. ამ უანრის თხზულებები ძვირფას საისტორიო ცნობებს შეიცავენ და გვაწვდიან არა მხოლოდ რელიგიური მიმდინარეობისა თუ საეკლესიო ცხოვრების გასათვალისწინებლად, არამედ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი ყოფის შესასწავლადაც. ეს ჰავიოგრაფიული უანრის თხზულებების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია. ამ თვალსაზრისით ჩვენი საკვლევი თხზულებები უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მცირე აზიის, ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის, კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების გაქრისტიანების შესახებ. განსაკუთრებით მდიდარ ცნობებს შეიცავს თხზულება ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალის შესახებ. ამიტომ, უაღრესად დიდია თხზულების მნიშვნელობა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების არეალის საკვლევად.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, მათი წინასახის, პროტოტიპის - სახარების კვალობაზე, დიდი ადგილი უჭირავს სასწაულების, ლოცვების, წინასწარმეტყველური ხილვების წარმოსახვას.<sup>15</sup> მათში ხშირია ციტირებები ბიბლიური წიგნებიდან ავტორის აზრის დასასაბუთებლად, თხზულების მთავარი პერსონაჟის შედარება ამა თუ იმ ბიბლიურ პერსონაჟთან, გამოყენებულია ბიბლიური ხატოვანი აზროვნების ამსახველი ხერხები და საშუალებები, რაც ერთიან სისტემაში ქმნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს. ყოველივე ზემო-თქმული სავსებით მიესადაგება ანდრია პირველწოდებულის „მი-მოსლვას“, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ანდრიასა და სხვა მოციქულთა საწაულმოქმედების ამსახველ პასაჟებს. თხზუ-ლებას მტკიცე მიზანდასახულობა აქვს. ესაა წმ. ანდრიასა და სხვა მოციქულთა, კერძოდ, სიმონ კანანელის, მატათას, თომას მისიონე-რული მოღვაწეობის წარმოჩენა, მათი დასახვა ზნეობრივ იდეალად.

ამავე თხზულების ჰაგიოგრაფიულობაზე მიუთითებს ისიც, რომ მასში მოციქულთა მოწამებრივი აღსასრულიცაა გადმოცემული. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჰაგიოგრაფიული უანრისათვის დამახასიათებელი თვისებები ნიშანდობლივია წმ. ანდრიას „მიმო-სლვათათვის“. ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასში საუკუნეების მანძილზე შემუშავებული და დამკვიდრებული ჰაგიოგ-რაფიული სქემა, მართალია, სრულად ვლინდება, მაგრამ მცირეოდენი გადახვევაც არის, რაც უთუოდ შეინიშნება როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე მხატვრულ საშუალებათა გამოყენების მხრივ. ყოველივე ეს კი განპირობებულია როგორც თვით ბერძნული თხზუ-ლების ავტორის, ისე მისი მთარგმნელის შემოქმედებითი ნიჭითა და შესაძლებლობებით და არა უანრობრივი თავისებურებებით. ცხადია, ჰაგიოგრაფიული შაბლონი, ტრაფარეტი, სქემა არ ავალდებულებდა ავტორს მხოლოდ უანრობრივი ნიშნების გამოყენებას თხზულებაში, მაგრამ ძირითადი მახასიათებლები კი უთუოდ უნდა ყოფილიყო დაცული, თხზულება კანონიკურ ფარგლებში რომ დარჩენილიყო.<sup>16</sup>

<sup>15</sup> რ. ბარამიძე, მოტივირების ხერხები ძველ ქართულ მხატვრულ პროზაში, (კრებულში: „ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-XIII ს.), - თბ., 1965, გვ.69-76; 80-83.

<sup>16</sup> ჰაგიოგრაფიის უანრული სპეციფიკის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, რომელთა ჩამოთვლა და მით უმეტეს, განხილვა, ამჯერად სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია.

ამრიგად, თხზულება ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ჰაგიოგრაფიულ უანრს უნდა მივაკუთვნოთ. ოლონდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ იგი კანონიკურად არ იყო ცნობილი, იგი აპოკრიფად ითვლებოდა.

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ადამიანის სახის განზოგადება პირველსახესთან, პირველწმიდანებთან მიმსგავსებით ხდება. იდეალი განკაცებული ძე ღმერთია, იესო ქრისტეა. ამიტომ ქრისტე იქცა მოციქულთათვის იდეალად, რომლის მიბაძვით ავრცელებენ ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას. „მიმოსლვაში“ მოციქულები ქრისტეს მიშაძველებად გვევლინებიან, ისინი ქადაგებენ ქრისტეს სჯულს თავიანთ წილხვედრ ქვეყნებში, იტანენ შეურაცხყოფას, ტანჯვას და ეწამებიან ისე, როგორც ქრისტე. წმ. ანდრიას „მიმოსლვა“ ადას-ტურებს იმ ფაქტს, რომ ანდრია პირველწოდებულიც ქრისტეს მსგავ-სად აცვეს ჯვარს, ოღონდ ამ შემთხვევაში ჯვარს ჰქონდა ირიბი ფორმა.

ცნობილი და აღიარებულია, რომ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დიდი ადგილი ეთმობა სასწაულმოქმედებათა აღწერას. ასევე შენიშნულია, რომ ჰაგიოგრაფიაში ფსიქოლოგიური მოტივირების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას სიზმარი, ჩვენება და სასწაული წარმოადგენს. რ. ბარამიძის დაკვირვებით, „სასწაულები, სიზმრები და ჩვენებები აგიოგრაფიული ძეგლების მხატვრული ქსოვილის უაღრესად ორგანული უჯრედია და მათ გარეშე დაიშლება როგორც არქიტექტონიკა ძეგლისა, ასევე გაუგებარი იქნება პერსონაჟთა ხასიათების ჩამოყალიბება, მათი ევოლუცია“<sup>17</sup>... გარდა ამისა, „აგიოგრაფი ითვალისწინებდა რა ადრეული და საშუალო საუკუნეების მორწმუნეთა ფსიქოლოგიას, მათ მსოფლმხედველობას, ამიტომ სასწაული, სიზმარი და ჩვენება მხატვრულ ნაწარმოებში აქცია იმ ძლიერ ფაქტორად, რომელმაც განაპირობა პერსონაჟის მოქმედების დამარტიმუნებლობა. სასწაული, სიზმარი და ჩვენება იმდენად უცილობელი კომპონენტია აგიოგრაფიული ძეგლისა, რომ იმათ გარეშე გაუმართლებელი იქნება პერსონაჟის მოქმედება“, ერთი სიტყვით, „აუხსნელი რჩება ნაწარმოების იდეური შინაარსი და საერთოდ, აგიოგრაფიული ძეგლი დაკარგავს მხატვრულ ძალას“.<sup>18</sup>

<sup>17</sup> რ.ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.70-71.

<sup>18</sup> იქვე, გვ.71

მაშასადამე, სასწაული, სიზმარი და ჩვენება აუცილებელი და ძირი-თადი ელემენტებია ჰაგიოგრაფიული სქემისა. რელიგიური თვალსაზრისით, ამ უანრის თხზულებებისათვის, სასწაულები ისეთსავე რეალობას წარმოადგენენ, როგორც რომელიმე კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი. სასწაული ადამიანის ღვთაებრივ ბუნებასთან ზიარების დამამტკიცებელი საბუთი იყო. ამიტომ ჰაგიოგრაფიაში მას განსაკუთრებული ფუნქცია მიენიჭა და დიდი აღილიც დაეთმო. წმ. ანდრია პირველწოდებულის შესახებ არსებული თხზულებებიც ამ დებულების დამადასტურებელია. განსაკუთრებით მდიდარია იგი სასწაულებრივი კურნებებით, უწმინდურთა განდევნით ან მოქცევით; მაგ. მათში აღწერილია ავაზაკის მიერ მოკლული კაცის გაცოცხლება, საპყრობილის კარის სასწაულებრივი გაღება და მსჯავრდებულთა განთავისუფლება. ამგვარი ეპიზოდები ტრადიციულია ჰაგიოგრაფი-ისათვის, მას დასაბამი ბიბლიაში უდევს. სასწაულებრივ პასაუთა შემოტანამ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ხელი შეუწყო მხატვრული გამონაგრნის ფართოდ შემოსვლას, ხოლო მწერლის მხატვრულ ფანტაზიას მეტი გასაქანი მიეცა.

როგორც ჟემოთ აღინიშნა, დღემდე წმ. ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ბერძნული და ლათინური რედაქციაა შემონახული. ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, ნიკიტა პაფლაგონელის თხზულების შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მეორე რედაქცია ეკუთვნის ეპიფანე მონაზონს, რომელიც დაბეჭდილია „PG“-ს 120-ე ტომში. ორივე თხზულება ჰაგიოგრაფიული უანრისაა და ისინი კიმენურ რედაქციებს წარმოადგენენ.<sup>19</sup> ამას გარდა, ჩვენამდე შემონახულ სხვა ბერძნულ-ლათინურ ტექსტებს შორის ლათინური უფრო გვიანდელია და ბერძნულისაგან მომდინარეობს; მათ სახელ-წოდებებში ხშირად ვხვდებით ტერმინებს: ბერძნულ „ეგκამია“-სა და ლათინურ „laudatio“-ს, რაც თვალის ერთი გადავლებით, თითქოს მათ „ჰომილეტიკურობაზე“ მიგვანიშნებს; მაგრამ თუ უშუალოდ ტექსტების შინაარსობრივ მხარეს დავუკვირდებით, ან სათაურში

<sup>19</sup> საგულისმოა, რომ ამ თხზულებათა ჰაგიოგრაფიულობაზე მიუთითებს ი.ჩიჩუროვიც. იხ. კულტуრა Бизантии, вторая половина VII-XII в., М., 1989, გვ. 142.

გამოტანილ მეორე ტერმინსაც (ბერძნ. „συμπεπλεγμέναι“, ლათინ. „naratio“) გავითვალისწინებთ, ეჭვი აღარ დაიბადება იმის თაობაზე, რომ ისინი პაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებად იქნეს მიჩნეული. ამას კიდევ უფრო აღასტურებს იმავე „Anlecta Bollandiana“<sup>20</sup> გამოქვეყნებული ერთი ტექსტის სახელწოდებაც: „Μαρτύριον τοῦ ὄντος ἀποστόλου Ἀνδρέου“ („წამება წმიდისა მოციქულისა ანდრეასი“), ამავე შინაარსის მომცველია იქვე დაბეჭდილი ერთი თხზულების ლათინური სახელწოდებაც: „Passio sancti Andreae Apostoli“.<sup>21</sup> ამასვე აღასტურებს ფრ. პალკინის მიერ „BHG“-ში გამოქვეყნებული ანდრია პირველწოდებულის შესახებ არსებულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაც, სადაც ძირითადად ფიგურირებენ ტერმინები: „Acta“, „Passio“, „Vita et martyrium“, „Μαρτύριον“, „Εγκωμία“, „Laudatio“, „Narratio“.<sup>22</sup>

ამრიგად, „მიმოსლვათა“ ტექსტი, რომლის ავტორიც ექვთიმეს თარგმანისა და ფრ. პალკინის ბიბლიოგრაფიის მიხედვით, ნიკიტა პაფლაგონელია (თუმცა ეს საკითხი მომავალში აღბათ მოითხოვს დამატებით შესწავლას), თავისი კომპოზიციით, მხატვრულ-გამომ-სახველობითი ხერხებითა და საშუალებებით, ტროპოლოგიით, იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით პაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებაა, ხოლო იმის გამო, რომ იგი ევანგელიური მო-ნათხოვდის შემავსებელია ქრისტეს მოციქულის შესახებ და მისი გავრცელება ხალხში არ შეიძლებოდა, იგი აპოკრიფად იქნა გამო-ცხადებული.

<sup>20</sup> ი. "An. Boll." t. 13, გვ. 354-372., შეად. Peterson P.M., Andrew, Brother of Simon Peter, His History and His Legends, Leiden, 1958, (Supplements of Novum Testamentum, I), გვ. 49-58.

<sup>21</sup> "An. Boll.", t.13, გვ. 374-378.

<sup>22</sup> ი. "BHG", I, გვ.29-32.

## რუსუდან ჩოლოყაშვილი

### ზღაპარი „წიქარა“ და მისი გენეტიკური საფუძველი

ქართულ ზღაპრულ ეპოსში გამორჩეულია ზღაპარი „წიქარა“, რომელიც ამა თუ იმ ქვეუანრთან მიკუთვნების თვალსაზრისით არ არის ცხოველთა ეპოსი და მისი სტრუქტურა არც ჯადოსნურ ზღაპარს შეესაბამება, რადგანაც ფრაგმენტული ხასიათისაა. ნაწარმოებს, რომელსაც ტიპიური ხალხური მოტივი უდევს საფუძვლად, არა აქვს ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი დასასრული, ამ ზღაპრის ქომაგი ცხოველი-ხარი წიქარა ჩვეულებრივია ჯადოსნური ზღაპრისათვის, მაგრამ თვით ნაწარმოებში ამ ქვეუანრისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები არ ჩანს, მაგ.: საცოლის მოსაპოვებლად გადატანილი სირთულეები, რომელიც შემდეგ ქორწინებით მთავრდება.

ეს ზღაპარი სხვამხრივაც არის გამორჩეული: ანა ლვინიაშვილი კატეგორიულად უარყოფს „წიქარას“ ვარიანტების არსებობას (ლვინიაშვილი, გვ. 190): უკრნალ „ჯეჯილში“ 1890 წ. დაბეჭდვის შემდეგ ყველა იმეორებს ამ ვარიანტს. მართალია, თ. ოქროშაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და იმოწმებს მ. ჩიქოვანის მიერ 1938 წ. იყალთოში ჩაწერილ ვარიანტს – „წიქარა და ლვინია“ (ჩიქოვანი, 1956, გვ. 299), მაგრამ ეს ზღაპარი საკმაოდ ხელოვნური ჩანს. მეცნიერი აღნიშნავს რამდენიმე სხვა ვარიანტსაც, მაგრამ როგორც თვითონვე მიუთითებს, „ მათ შორის „წიქარა“ ყველაზე დასრულებული, გამართული და კარგად შეკრული მთლიანი ნაწარმოებია, როგორც კომპოზიციურად, ისე იდეურადო“ (ოქროშაძე, გვ. 145). ისე რომ „წიქარა“, მართლაც, რამდენადმე ფასეული ვარიანტის გარეშე ჩანს.

ეს ზღაპარი შემდეგი სიუჟეტის მქონეა: დედინაცვლის სურვილი-

სამებრ მამა აპირებს შვილის დაკვლას. ამას იგრძნობს ბიჭის ქომაგი ცხოველი-ხარი წიქარა და გაიტაცებს ბავშვს გადასარჩენად. მათ უკან გამოედევნებათ მამა, რომელიც წიქარამ სავარცხლის, წყლის ჭურჭლის და სალესი ქვის გადაყრით შეაჩერა და ბოლოს დაღუპა, ბავშვი კი ტრიალ მინდორზე აღვის ხეზე შემოსვა და ორი სალამური მისცა – საჭირო და სალხინო. ბოროტმა დედაბერმა შეაცდინა ბავშვი, ხიდან ჩამოიყვანა და ხელმწიფეს მიჰვარა, რომელმაც ცხრაკლი-ტულში ჩასვა. გამწარებულმა წიქარამ გაიგო ეს ამბავი, ბიჭის დასახსნელად რვა კარი შეამტკრია, მაგრამ ცალი რქა მოსტყდა. რქა თაგვს გაამთელებინა საკუთარი ლეშის საფასურად, მეცხრე კარიც შეამტკრია, გამოიყვანა ბავშვი და ისევ ხეზე შესვა. როცა ბავშვმა მოიძია წიქარა, ის მკვდარი ნახა, თვითონაც შეძვრა მის გვამში და მათთან ერთად მოკვდა. ე.ი. ეს ზღაპარი იქ თავდება, სადაც უნდა იწყებოდეს ინიციაციის რიტუალ გამოვლილი ჯადოსნური ზღაპრის გმირის ქმედება.

ჯადოსნური ზღაპრის დასრულება მისი გმირის სიკვდილით ყოვლად დაუშვებელია. ასევე წარმოუდგენელია ჯადოსნურ ზღაპარში გმირისა და მისი ქომაგი ცხოველის ერთდროულად სიკვდილი: მათი ყოფნა-არ ყოფნა ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ზღაპრის ფინალი ხელოვნურია. რაც შეეხება მოტივს-ქომაგი არსების თავდადებას ზღაპრის გმირისათვის, ეს სრულიად ტიპიურია ჯადოსნური ზღაპრისათვის. სწორედ ეს მოტივი ზღაპარ „წიქარაში“ მშვენივრად ადასტურებს, რომ ჯადოსნური ზღაპრის გმირი და მისი ქომაგი ცხოველი ერთმანეთის მეტამორფოზული სახესხვაობანი არიან. აქ მოთხრობილი ამბავი გენეტიკურად უკავშირდება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე დამოწმებულ მოვლენას და მის მხატვრულ ასახვად უნდა ჩაითვალოს. ზღაპარ „წიქარას“ და მისი ხარი პერსონაჟის სწორად გასააზრებლად მეტად მნიშვნელოვანია იმ ეთნოგრაფიული მასალის გაცნობა, რომელიც ნ. აბაკელიას აქვს შესწავლილი ხარის სიმბოლური სახის გასააზრებლად (ნ. აბაკელია, გვ. 17-36): აღოსავლეთ საქართველოს ბარში-კახეთში დამოწმებული ყოფილა ჩვეულება (Чурсин Г.Ф. 1905), რომლის მიხედვითაც უშვილობით, თუ ბავშვის ჯანმრთელობით შეწუხებული ცოლ-ქმარი ხშირად შეუთქვამდნენ თავიანთ შვილს, უპირატესად პირმშოს რომელიმე ადგილობრივ ექლესიას, რომლის

მრევლსაც თვითონ წარმოადგენდნენ: „ოღონდ შვილი შეგვინარჩუნოს, გადაგვირჩინოს და შენს კარზე მოვიყვანთ კურატადო“. ამ თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი და სახელგანთქმული იყო ანაგის მთავარანგელოზის ექლესია. აქ მთელი კახეთიდან მოჰყავდათ „კურატად შეთქმული“ ბავშვები მთავარანგელოზის ხატობაზე – 8 ნოემბერს, როდესაც იქ კახეთის მოსახლეობა იკრიბებოდა შესაწირავით. როგორც 6. აბაკელია განმარტავს, სიტყვა კურატი მომდინარეობს კუროდან და აღნიშნავს დაუკონდავ ხარს, ბუღას. საქართველოში კი კურატი / კურეტი მცირე ასაკოგანი ხარის მნიშვნელობით საუკეთესო სამსხვერპლო ცხოველად ითვლებოდა. მსგავსი ჩვეულება გავრცელებული ყოფილა ქართლშიც, რომელიც ცნობილი იყო „ბერად დაყენების“ სახელით. (ეს ჩვეულება დაფიქსირებულია ვ. ბარდაველიძის მიერ. ვიყენებ 6. აბაკელიას შრომის მიხედვით). აქაც ოჯახის უფროსი შეუთქამდა: „ლმერთო! ოღონდ შეგვინარჩუნე და გაგვიზარდე ბავშვი და სანაცვლოდ ბერად დავაყენებ შენთვის გარკვეული წნითო“. მთელი ამ დროის მანძილზე შეთქმულ ბავშვს უზრდიდნენ თმებს. დანიშნულ დღეს ბავშვს სამსხვერპლო ცხოველებთან და სხვა შესაწირავებთან ერთად წაიყვანდნენ ეკლესიაში, კურატად დაყენების ნიშნად ბავშვებს მოსავლენენ თეთრი სამოსით და ტოვებდნენ გარკვეული ვალით ეკლესიის კარზე. ეკლესიაში მსახური შეაჭრიდა მას მოზრდილ თმას და დაპკლავდა სამსხვერპლო ცხოველს. ე.ი. შეწირული-შეთქმული ბავშვის სანაცვლოდ სამსხვერპლო ცხოველი იწირებოდა. ასე ბავშვისთვის თმის შეჭრაც მისი მოკვდინების ტოლფასი იყო. ამირანის მითშიც ხომ დაიღუპა დალი, მას შემდეგ რაც მონადირემ თმა შეაჭრა, ზღაპრის გმირიც იღუპება თმის სამი ღერის ამოცლით და ა.შ. ტერმინ „ბერის“ რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთი ხომ წმინდანის სახელზე შეთქმული ბიჭი ყოფილა 10-დან 15 წლამდე. ტერმინები „კურატი“ და „ბერი“, რომლებიც შეთქმულ ბავშვებს ათანაბრებდა სამსხვერპლო ცხოველთან, როგორც 6. აბაკელია აღნიშნავს, თავის-თავად გულისხმლობს მსხვერპლშეწირვას და შესაბამისად „სიკვდილს“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რიტუალურ სიმულაციასთან, რომლის დროსაც ადამიანი იდენტიფიცირებულია კურატთან ან ბერთან, ე.ი. სამსხვერპლო ცხოველთან და თვითონ განიხილება როგორც მსხვერპლი. მთლიანად ამ რიტუალის არსი ადამიანის „მსხვერპლად შეწირვაში“, ინიციაციაში მდგომარეობს. 6. აბაკელია



იზიარებს იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც თვლიან, რომ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა საკმაოდ შეზღუდული იყო და პრაქტიკაში ხდებოდა მათი სხვა საშუალებით შეცვლა (A. Brelich, 1969). შეთქმული ბავშვის სახელს არ წარმოსთქვამდნენ. ამის ნაცვლად მათ მოიხსენებდნენ ზოგადი სახელით - კურატი/ბერი, რითიც ადამიანურ და ცხოველურ მსხვერპლს ერთმანეთთან აიგივებდნენ. იგივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე ზღაპარ „წიქარაშიც“. ე. ი. ამ ზღაპრის ფესვები ქართული სინამდვილისთვის უცხო არ არის და მისი ამოსავალიც ეთნოგრაფიულ ყოფაშია საძიებელი. თ. ოქროშაძე წიქარას განმარტავს როგორც წითელ ხარს, რომელიც ფერით მითოლოგიაში ცეცხლის ფერს ემსახურება (თ. ოქროშიძე, გვ. 143). როგორც ნ. აბაკელია აღნიშნავს, კურატად და ბერად დაყენების წესში და ბერიკაობაში ვლინდება ვაჟიშვილის სიმბოლო ხარის სახით. ამ სიმბოლოს ერთ-ერთ მანიფესტაციას მითო-რიტუალურ სისტემაში ჭაბუკი ღვთაება (ჭარ-ჭაბუკი/ხარ-ჭაბუკი) წარმოადგენს, რომლის მთავარ ფუნქციას სამყაროს ყოველწლიური განახლება წარმოადგენს. ვაჟიშვილის ხარის სახით ერთ-ერთ გამოვლინებას სხვა დონეზე წარმოადგენს ღვთაება ჭარ-ჭაბუკი, სეზონური ღვთაება დასავლეთ საქართველოში. რომლის ფუნქციაშიც შედიოდა სამყაროს ყოველწლიური განახლება (Н. Абакелия, 1991). „წიქარაში“ ეს „სხვა დონე“ აღარ არის. „წიქარა“ იქ თავდება, სადაც მსხვერპლშეწირვა ხდება და ამდენად ეს ნაწარმოები შორს არის ტიპიური ჯადოსნური ზღაპრისაგან, მისი საფუძველი კი უძველესი ჩრდენა-წარმოადგენებია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.
2. ოქროშიძე თ., ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი), ქართული ფოლკლორი, III, 1969.
3. ჩიქვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.
4. ღვინიაშვილი ა., ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
5. Абакелия Н.К., Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.
6. Чурсин Г.Ф., Народные обычай и верования Кахетии, Тиф., 1905.
7. Brelich A., Symbol of a Symbol, In: Eliade M., Myths and symbols, Chicago-London, 1969.

# არამიმდევრული

დავით ხოშტარია

შავშეთ-კლარჯეთის ეპლესიები

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები შავშეთი და კლარჯეთი, რომლებიც მოიცავს მდინარე ჭოროხის შენაკადების - იმერხევის, შავშეთისწყლისა და არტანუჯისწყლის ხეობებს და თავად ჭოროხის ხეობის ნაწილს, მოფენილია ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი ძეგლებით. მათი ღიღი ნაწილი უკავშირდება წმ. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით გაშლილ სამონასტრო მოძრაობას, სხვები წარმოადგენს ძველ საეპისკოპოსო კათედრალებსა და სოფლებისა თუ ქალაქების სამრევლო ეკლესიებს. 1550-იან წლებში შავშეთ-კლარჯეთი ოსმალებმა დაიპყრეს და მას შემდეგ (ხანძოკლე პერიოდის - 1878-1919 წლების გამოკლებით) ეს მხარე თურქული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის (ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით ის შეადგენს ართვინის ილის ნაწილს). XVII-XVIII საუკუნეებში შავშეთ-კლარჯეთში დაიცალა ყველა მონასტერი, გაუქმდა საეპისკოპოსო კათედრები. XIX საუკუნისათვის ადგილობრივი ქართული მოსახლეობა თითქმის მთლიანად გამაპმადიანდა. ყოველივე ამან მძიმე კვალი დამჩნია ძველ ეკლესიებს - უფუნქციონ და უპატრონოდ დარჩენილი, მოუვლელი ნაგებობები სწრაფად ნადგურდებოდა ბუნებრივი მიზეზებისა თუ ადამიანთა მოქმედების შედეგად. დღესდღეობით შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიათა უმეტესობა მეტად ცუდ მდგომარეობაშია, ბევრი მათგანი თითქმის მთლიანად არის დანგრეული. მაგრამ ისიც, რაც შემორჩა, თვალნათლივ მოწმობს, თუ რაოდენ ფართომასშტაბიანი საეკლესიო აღმშენებლობა ყოფილა აქ ოდესალაც გაშლილი და რა მაღალი მხატვრული ღირებულების შენობები შექმნილა მის შედეგად.

პირველი სიძველეთმცოდნეობითი ხასიათის ცნობები შავშეთ-

კლარჯეთის ეკლესიების შესახებ გვხვდება ლ. ინჭიჭიანთან<sup>1</sup>, ქ. კოხ-თან<sup>2</sup>, გ. ყაზბეგთან<sup>3</sup>, დ. ბაქრაძესთან<sup>4</sup>, პრ. უვაროვასთან<sup>5</sup>. არქიტექტურის თვალსაზრისით მათ შესწავლას საფუძველი დაუდეს ა. პავლი-ნოვმა<sup>6</sup> და ნ. მარმა<sup>7</sup>. ახალ დროში ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ნ. და უ.-მ. ტიერიძე<sup>8</sup>, ბ. ბაუმგარტნერმა<sup>9</sup> და, განსაკუთრებით, ვ. ჯობაძემ, რომელმაც კლარჯეთის, შავშეთისა და ტაოს მონასტრების კვლევას ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა<sup>10</sup>. ცალკეული ეკლესიები განხილულია აგრეთვე ვ. ბერიძისა<sup>11</sup> და პ. ზაქარაიას<sup>12</sup> განმაზოგადებელ გამოკვლევებში. 1990 წლიდან რეგულარულად ეწყობა ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა ექსპედიციები „თურქეთის საქართველოში“ და სხვა საკითხებთან ერთად შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიათა ხუროთმოძღვრების შესწავლასაც სისტემური ხასიათი მიეცა. საგან-გებოდ არის აღსანიშნავი 1994 და 1995 წლების ორი ექსპედიცია, რომელთა განმავლობაშიც ნ. და გ. ბაგრატიონების ხელმძღვანელობით აიზომა ამ რეგიონის მრავალი ნაგებობა, მათ შორის ყველა ასე თუ ისე შემონახული დიდი ეკლესია (აქ წარმოდგენილი ნახაზები შესრულებულია ამ ანაზომების საფუძველზე).



შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიების უდიდესი ნაწილი აშენებულია IX-X საუკუნეებსა და XI საუკუნის დასაწყისში. ეს არის საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურის „ოქროს ხანა“, როდესაც მთელ ამ მხარეში არაჩვეულებრივად გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობს და იგება ასეულობით დიდი და პატარა ეკლესია. უფრო ადრინდელი საეკლესიო ნაგებობები შავშეთ-კლარჯეთში პრაქტიკულად ცნობილი არ არის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სამლოცველოს, რომელიც სავარაუდოდ VIII საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. XI საუკუნის შემდგომ აქ აშენებენ სამრეკლოებს (შემონახა ხანძთისა და ოპიზის მონასტრებში, ორივე XIII-XIV საუკუნეებისა), აღადგენენ დაზიანებულ ძველ ტაძრებს (ტბეთის ტაძრის სამხრეთ მკლავის განახლება - XIII საუკუნი), მაგრამ ახალ ეკლესიებს თითქმის აღარ აგებენ. ერთადერთი ჩემთვის ცნობილი გამონაკლისია მამაწმინდა - XVI საუკუნის მინიატურული გუმბათიანი სამლოცველო.

ტიპოლოგიური თვთალსაზრისით შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიები საკმაოდ მრავალფეროვანია (თუმცა საქართველოს სხვა მხარეებში ფართოდ გავრცელებულ ზოგიერთ ტიპს აქაური არქიტექტურა,

როგორც ჩანს, არ იცნობს – მაგალითად ე.წ. სამეკლესიან ბაზილიკას). განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოადგენილი გუმბათოვანი ტიპები. აშკარაა, რომ გუმბათოვან თემატიკას აღნიშნულ პერიოდში წამყვანი ადგილი უკავია შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო არქიტექტურაში.

გუმბათიანი ეკლესიის საინტერესო ნიმუში შემოინახა სინკოოში<sup>13</sup>, მდ. შავშეთისწყლის ხეობაში. გეგმით ის წარმოადგენს წაგრძელებულ მართკუთხედს. შუაში იდგა ოთხი ბურჯი, რომლებსაც ეფუძნებოდა გუმბათი (ახლა ის მთლიანად ჩანგრეულია, ისევე, როგორც გუმბათ-ქვეშა ბურჯების აღმოსავლეთ წყვილი, აგრეთვე კამარების ნაწილი). ცენტრალურ კვადრატს ერთვის ოთხი მკლავი, ამათგან აღმოსავლეთისა ბოლოვდება საკურთხევლის აფსიდით. მის ორსავ მხარეს მოწყობილია პასტოფორიუმები. ასეთი გეგმა VII საუკუნიდან მოყოლებული კარგად არის ცნობილი საქართველოში – ის საფუძვლად უდევს „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის რამდენიმე შენობას. მაგრამ სივრცე სინკოოში მათთან შედარებით გაცილებით როტულად არის აგებული – შუა ბირთვის (მას შეადგენს ცენტრალური კვადრატი აღმოსავლეთ და დასავლეთ მკლავებთან ერთად) ირგვლივ შენობა ორ სართულად არის გაყოფილი. მეორე სართულზე იქმნება ვრცელი სამმხრივი პატრონიკე, სამივე მხრიდან (სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან) თაღებით გახსნილი შუა სივრცის კენ. პატრონიკეს გრძივი ფრთები ხუთ-ხუთი კომპარტიმენტისგან შედგება. ისინი თაღებით გამოეყოფა ერთმანეთს და გადახურულია ჯვრული კამარებით. გამონაკლის შეადგენს შუა კომპარტიმენტები, რომლებიც გუმბათ-ქვეშა კვადრატს შეესაბამება – ისინი სხვებზე განიერია და შესამჩნევად მაღალი, გადახურულია ცილინდრული კამარებით. გარედან ისინი აღმოსავლეთ და დასავლეთ მკლავებთან ერთად ქმნიან „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის შენობებისათვის დამახასიათებელ მოცულობას მასათა საფეხუროვანი განაწილებით. ქვედა სართულზე გვერდითა ნაწილებს ერთიანი გრძივი კამარები ხურავს. დასავლეთით პატრონიკეს ქვეშ ეკლესიას აქვს თავისებური ნართექსი.

კედლების საპირე წყობას როგორც შიგნით, ისე გარეთ ქმნის თანაბარ რიგებად დალაგებული უხეშად დამუშავებული ქვები. თაღები აგურისაა, კამარები გამოყვანილია დუღაბით ქარგილებზე. ქვაზე ქვეთილი დეკორი არ ჩანს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება ყოფილიყო თავისართები – ახლა თავი ყველა სარკმელს მორღვე-




სურ.1. სინკოთი. ეკლესიის პირველი და  
მეორე სართულის გეგმები

ული აქვს. რაიმე წარწერა სინკონის ეკლესიას არ გააჩნია (ყოველ შემთხვევაში, არ შემორჩა). არქიტექტურის თავისებურებებით ნაგებობა IX საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ.

კლარჯეთის ეკლესიებს შორის განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს ე.წ. „ათორმეტი სავანის“ მთავარი ეკლესიები. ეს მონასტრები ძღვებარეობს მდ. იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ძნელადსავალ ვიწრო კლდოვან ხეობებში, მხარეში, რომელიც ძველ ტექსტებში „საქართველოს სინად“ იწოდება. ეს შუასაუკუნეობრივი მეტაფორა კარგად ასახავს კლარჯეთის მონასტრების მნიშვნელობას – ასწლეულების მანძილზე ისინი უდიდეს როლს ასრულებდნენ ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარება-განმტკიცებაში და გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი უმეტესობა დაარსებულია გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნეში, მაგრამ ეკლესიები მეტწილად ხელახლა აშენდა ან საფუძვლიანად განახლდა X საუკუნეში. გამონაკლის უნდა შეადგენდეს ეკლესიები მიძნაძორსა და წყაროსთავში, რომლებიც, მათი არქიტექტურის მიხედვით, მონასტრების დაარსების დროინდელი, ე.ი. 830-40-იანი წლებისა შეიძლება იყოს.

მიძნაძორის მონასტერი<sup>14</sup> მდებარეობს კარჩხალას ხეობაში. ეკლესიისაგან გადარჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ მკლავი და დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელი. საბედნიეროდ, შენობა დაწვრილებით აღწერა 6.მარტა 1904 წელს, როცა ის უკეთეს მდგომარეობაში იყო. მისი მონაცემების მოშველიებით ასე თუ ისე ხერხდება ეკლესიის არქიტექტურული სახის წარმოდგენა. ეს „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა. ძირითადი კორპუსი წარმოადგენს ჯვრულ მოცულობას შესამჩნევად დაგრძელებული დასავლეთის მკლავით. საკურთხევლის აფსიდის ორსავ მხარეს დამატებით მოწყობილია პასტოფორიუმები. დასავლეთის მკლავი დანაწევრებულია კედლებზე შეკიდული წაკვეთილი პილასტრებით, რომლებზეც გადაყვანილია კედლის თაღები. უფრო ზემოთ ჩატანებულია კრონშტეინები – ისინი კამარის საბჯენ თაღებს იკავებდნენ. დასავლეთიდან ეკლესიას ჰქონდა კარიბჭე. გუმბათის შესახებ რისამე თქმა შეუძლებელია – 6.მარს ის უკვე ჩანგრეული დახვდა. ეკლესია ნაგებია სამუალო ზომის, უხეშად დამუშავებული ქვებით, რიგების დაცვით. შემკულობა არ ჩანს.

ამავე ხეობაშია განლაგებული წყაროსთავის მონასტერიც<sup>15</sup>. ის



სურ.2. მიძნაძორი. ეკლესიის გრძივი ჭრილი და გეგმა.

შეფენილია მთის ფერდობზე და შორიდანვე ძალიან უფექტურად მოჩანს. აქაური ეკლესია, რომლის კომპოზიცია ასევე შეიძლება იქნას რეკონსტრუირებული ნ.მარის აღწერის დახმარებით (ამჟამად მისგან მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე ჩრდილოეთ სათავსი და ჩრდილოეთ მკლავია დარჩენილი), მეტად თავისებური ნაგებობაა, არც ქართულ და არც მეზობელი ქვეყნების საეკლესიო არქიტექტურაში მას ანალოგი არ გააჩნია. გეგმის საფუძველი აქაც ჯვარია, მოკლე განივი მკლავებითა და დასავლეთის გრძელი მკლავით. ამ უკანასკნელს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ეკვრის ორ-ორი დაბალი, თაღებით გახსნილი კომპარტიმენტი. მათ ზემოთ, მეორე სართულად, მოწყობილია ძლიერ ვიწრო, წაგრძელებული იზოლირებული ოთახები. საკურთხევლის ჩრდილოეთით მდებარე სათავსი უჩვეულოდ დიდია და მკვეთრად გამოდის გეგმის საერთო მართკუთხედიდან როგორც აღმოსავლეთით, ისე ჩრდილოეთით. საკურთხეველს ის უკავშირდება ძალიან ფართო და მაღალი თაღოვანი გასავლელით, რომელიც აფსიდის თითქმის მთელ ჩრდილოეთ მხარეს მოიცავს. საკურთხევლის ასეთი თავისებური მოწყობა შესაძლოა ასახავდეს დათისმსახურების წესის რაიმე ადგილობრივ, ჩვენთვის უცნობ სპეციფიკას. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, უეჭველია, რომ ეს სათავსი არ იქნებოდა მხოლოდ პასტოფორიუმი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით როგორი იყო შესაბამისი სათავსი სამხრეთით – ნ.მარის მოგზაურობის დროს ეს მხარე უკვე ჩანგრეული იყო და მან აქვერაფერი გაარჩია. ახლა მდგომარეობა, ცხადია, კიდევ უარესია.

საშენი მასალა წყაროსთავშიც უხეშად დამუშავებული ქვაა, ოღონდ ქვები აქ უფრო დიდია, ვიდრე სინკოთსა და მიძნაძორში და უკეთესადაც არის გამოყვანილი. აღავ - აღავ ჩართულია ძალიან დიდი ზომის ფილებიც. შემკულობისაგან შემორჩა ჩრდილოეთ სათავსის აღმოსავლეთ სარკმლის სადა, ბრტყელი თავსართი, რომელიც ოდნავ ჩაკვეთილი დარით არის შემოწერილი. ასევე გამოყვანილი, ოღონდ უფრო დიდი თავსართი პქონდა ჩრდილოეთ მკლავის სარკმელსაც (ის ახლა აღარ არსებობს, მაგრამ ნახსენები აქვს ნ.მარს და მკრთალად განიჩევა მის ფოტოსურთზეც).

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში მოატანა ჩვენს დრომდე არტანუჯის ეკლესიამ<sup>16</sup>. არტანუჯი კლარჯეთის უძველესი პოლიტიკური ცენტრია. როგორც დასახლებული პუნქტი ის ჯერ კიდევ

ანტიკურ ხანაში არსებობდა. V საუკუნის ბოლოს ვახტანგ გორგა-სალმა აქციხე ააშენებინა და ქალაქი ადგილობრივ ერისთავთა რეზი-დენციად აქცია. IX საუკუნეში არტანუჯი კლარჯეთის სამეფო გვა-რის - ბაგრატიონების სატახტო ქალაქი გახდა. მხარის პირველმა მმართველმა ამ დინასტიიდან - აშოტ I კურაპალატმა 810-იან წლებში განახლა ციხე და შიგ ეკლესიაც აგო (მის შესახებ იხ. ქვემოთ). ქალაქის ეკლესია, რომელიც ციხის ქვემოთ, საცხოვრებელი უბნის (ახლა მას ადაკალეს ეძახიან) განაპირას, ზედ არტანუჯისწყლის ვიწრო ხეობის პირას დგას კლდოვან კონცხზე, უფრო მოგვიანებით - IX-X საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ახლა შენობა თითქმის მთლიანად დანგრეულია. მისი პირვანდელი სახის წარმოდგენაში დიდად გვეხმარება ისევდაისევ ნ. მარის აღწერა და ძველი ფოტო-სურათები. ეს მართკუთხა გეგმის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ძირითადი ჯვრისებრი კორპუსის ოთხსავე კუთხეში დაბალი დამატებითი სათავსებია, რომელთაგან დასავლეთ წყვილი თავისე-ბურად არის გადაწყვეტილი - დასავლეთის მკლავს ისინი კედლებით გამოყოფა, ხოლო განივი მკლავებისაკენ მთლიანად გახსნილია თაღებით. გუმბათი აქ, როგორც ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში ჩაინგრა, მას ვერ მიუსწრო ვერც ნ. მარმა და ვერც სხვა სიძველეთ-მცოდნებმა, რომელიც არტანუჯს მასზე აღრე ეწვივნენ.

არტანუჯის ეკლესია ნაგებია უზარმაზარი უხეშად დამუშავებული ლოდებით (ნ. მარის ცნობით, უდიდესი მათგანის ზომა 300X185 სმ-ს აღწევდა. ერთი 250X160 სმ-ის ზომის ქვა დღემდე არის შემორჩენილი), რაც მას უძველეს მეგალითურ შენობებს ამგვანებს და ერთგვარად ბრუტალურ იერს ანიჭებს. ამ ლოდების ირეგულარული წყობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ექსტერიერის მხატვრულ სახეს. სამხრეთ და დასავლეთ შესასვლელების არქიტრავებზე ამოკვეთილია მედალიონში ჩასმული ჯვრები და მათს ზემოთ ნახევარწრიული თავსართები. ეკლესიის ქვეშ სუბსტრუქციაში კრიპტაა, რომელსაც ცალკე კარი აქვს გარედან (სამხრეთიდან).

დიდი ეკლესიის ნაშთები შემოინახა ოპიზის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში<sup>7</sup>, რომელიც კლარჯეთის ერთ-ერთი უდიდესი და უმნი-შველოვანესი სავანე იყო. XIX საუკუნის მოგზაურები აღფრთო-ვანებით აღწერენ ოპიზის გრანდიოზულ, დიდი ოსტატობით ნაშენ სატრაპეზოსა და სხვა სამონასტრო ნაგებობებს. დღესაც კი, როდესაც

ამ შენობათაგან მხოლოდ გავერანებული ნანგრევებიღაა დარჩენილი, ოპიზა მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ ყველაფერში იგრძნობა განსაკუთრებული სიღიადე და მასშტაბურობა.

ოპიზა „საქართველოს სინა“ უძველეს მონასტრად ითვლება. „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიხედვით, ის V საუკუნის ბოლოს არის დაარსებული. მკვლევართა უმეტესობას ეს ცნობა საეჭვოდ მიაჩნია, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ 780-იან წლებში, როცა გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთში ჩავიდა, ოპიზის მონასტრი უკვე არსებობდა. „მატიანე ქართლისა“ ოპიზის განმახლებელს უწოდებს აშოტ I კურაპალატის ძეს გვარამ მამფალს (გარდაიცვალა 882 წელს). გარდა ამისა, თვით ეკლესიაში იყო ფრესკული წარწერა (ამჟამად აღარ არსებობს, ნახა და გამოსცა ნ. მარმა), რომელშიც ეკლესის „მეორედ მაშენებლად“ იხსენიებოდა აშოტ კურაპალატი. მკვლევართა ნაწილის აზრით, აქ იგივე აშოტ I უნდა ვიგულისხმოთ<sup>18</sup>. მაგრამ, ვფიქრობ, უფრო სწორნი არიან ისინი, ვინც თვლის, რომ ეს არის მისი შთამომავალი აშოტ ადარნასეს ძე, რომელიც მეფობდა 945–954 წლებში და რომელიც ასევე ატარებდა კურაპალატის ტიტულს<sup>19</sup>.

ოპიზის ეკლესია 1960-იან წლებში ააფეთქეს. ამჟამად მისგან დარჩენილია სამხრეთ მკლავი, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელი და ჩრდილოეთ მკლავის კედლების ნაწილი. ამ ნაშთებსა და ძველ გრაფიკულ თუ ფოტომასალაზე დაყრდნობით, ნახსენები წერილობითი ცნობების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ IX საუკუნის II ნახევარში გვარამ მამფალმა ოპიზის ძველი ეკლესის ადგილას ააგებინა ახალი, უფრო დიდი ეკლესია. X საუკუნის შუახანებში აშოტ ადარნასეს ძის თაოსნობით ჩატარდა ამ ნაგებობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. გეგმა და ზოგადი მოცულობითი სტრუქტურა, როგორც ჩანს, შენარჩუნებული იქნა, მაგრამ მთლიანად გამოიცვალა გუმბათი და კამარები და განახლდა ფასადები. საბოლოოდ, ეკლესიამ მიიღო სწორედ ამ პერიოდის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სახე.

გეგმით ოპიზა „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპს ენათესავება. ძირითად ჯვრულ კორპუსს ემატება საკურთხევლის ორსავ მხარეს განლაგებული დამხმარე სათავსები – პასტოფორიუმები, ოღონდ აქ, მიძნაძორისაგან განსხვავებით, პასტოფორიუმები უფრო მოკლეა, ვიდრე აღმოსავლეთ მკლავი და საკურთხეველი მართკუთხა მოცუ-


ლობის სახით წინ არის გამოშვერილი აღმოსავლეთ ფასადზე. ფურად-ლებას იპყრობს უჩვეულოდ გრძელი დასავლეთ მკლავი – ის სიგრძით 5,5-ჯერ სჭარბობს განივ მკლავებს. გრძივ კედლებზე მას აქვს ოთხ-ოთხი ძლიერშვერილი სამსაფეხურიანი პილასტრი. გუმბათქვეშა გარდამავალი კონსტრუქცია შერეული ხასიათისაა – ყოველ კუთხეში ქვემოთ გაკეთებულია თითო დიდი და ორი მცირე ტრომპი, ხოლო მათ ზემოთ კედლი აფრილად არის შეზნექილი. ამ სისტემით მიიღწევა გადასვლა კვადრატიდან წრეზე. გუმბათის ყელი გარედან თორმეტ-წახნაგა იყო და, შესაბამისად, მსუბუქ შეწყვილებულ ნახევარ-სვეტებზე დაყრდნობილი თორმეტმალიანი თაღნარი ევლებოდა. მასში გაჭრილი იყო ექვსი სარკმელი, წახნაგგამოტოვებით. გუმბათს ჰქონდა ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმის სახურავი (Faltendach) ტეხილი კარნიზით. მომცრო კვადრებით მოპირკეთებულ ფასადთაგან გამოირჩეოდა აღმოსავლეთისა, სამი ღეკორაციული თაღით, და სამხრე-თისა, ზედ მოთავსებული რელიეფური საკტიტორო კომპოზიციით. შიგნით კედლის წყობა უხეშად თლილი ქვისაა. პილასტრებისა და კუთხებისათვის მასალა უკეთ არის დამუშავებული, თაღები სუფთად გათლილი და ზუსტად მორგებული ქვებითაა გამოყვანილი.

უკეთ არის შემონახული ექლესია ფორთაში, რომელიც, დღეს უკვე საყოველთაოდ გაზიარებული აზრით, არის ძეგლი ხანთა<sup>20</sup> – გრიგოლ ხანთელის პირველი მონასტერი, დაარსებული. მის მიერ 780-იან წლებში. აქ გაატარა წმ. გრიგოლმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი და აქვე აღსრულა 861 წელს, 102 წლის ასაკში. როგორც გიორგი მერჩულე გვამცნობს, თავდაპირველად ხანთაში აუგიათ ხის პატარა ეკლესია. 810-იან წლებში, როცა მონასტერი მოდონიერდა, ის შეცვალა მეორემ, უკვე ქვისამ. რიგით მესამე ეკლესია, რომელმაც ჩვენს დრომდე მოატანა, აშენებულია 910-930-იან წლებში ხუროთ-მოძღვარ ამონას მიერ (ეს არის შავშეთ-კლარჯეთში მომუშავე ერთადერთი არქიტექტორი, რომლის სახელიც შემოგვინახა წერილობითმა წყაროებმა). გიორგი მერჩულე ცოცხლად აღწერს, თუ რა მიმე პირობებში მიძღინარებდა მშენებლობა როული რელიეფისა და უგზოობის გამო. ხანთა მართლაც მეტად ძნელადმისას ვლელ ადგილას, დამრეც კლდოვან ფერდობზეა გაშენებული. სამონასტრო ნაგებობები – მათ შორის ეკლესიაც – დგას საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრუქციებზე.

ხანძთის ეკლესია „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის შენობაა. გუმბათი ეყრდნობა ორ თავის უფლად მდგარ ბურჯს და სავლეთით და აფსიდის კედლების შვერილებს აღმოსავლეთით. გარდამავალი კონსტრუქცია ტრომპულია, ძალიან მაღალ ტექნიკურ დონეზე გამოყვანილი ტრომპების სამი რიგით – პირველი რიგი (ოთხი დიდი ტრომპი გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში) თავსდება რვაწახნაგა ყელის ძირში, მეორე და მესამე (რვა საშუალო და თექვსმეტი პატარა ტრომპი) – უშუალოდ გუმბათის ნახევარსფეროს ქვეშ. საგულისხმოა, რომ გუმბათი დღესაც დგას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბურჯი თითქმის მთლიანად მოინგრა (ჩაქცეულია ასევე კამარების დიდი ნაწილი). გუმბათის ყელს, რომელშიც ოთხი სარკმელია მოწყობილი, გარედან თაღნარი გაუყვება, აქაც, ოპიზის მსგავსად, შეწყვილებულ ნახევარ-სკეტებზე ვადაყვანილი. ოპიზის ანალოგიურია გუმბათის ნახევ-რადგაშლილი ქოლგისებრი სახურავიც, რომელიც ყოველი წახნაგის თავზე პატარა ფრონტონს აკეთებს. სარკმლებს დიდი სადა თავსართები აქვთ. აღმოსავლეთ ფასადზე ისინი მუქი წითელი ქვითაა გამოყვანილი (შემორჩა ფრაგმენტულად), ისევე, როგორც ჯვარი საკურთხევლის სარკმლის მშლავრი თავსართის ზემოთ.

ეკლესიის ფასადებს თლილი შირიმის პერანგი მოსავს, გარდა გუმბათისა, რომლის თვის საც გარედანაც და შიგნიდანაც ქვიშაქვის კვადრებია ნახმარი. ინტერიერში სუფთად დამუშავებული ქვები გამოყენებულია აგრეთვე კამარების, კონქის, თაღების, იმპოსტებისა და კედლის კუთხეების გამოსაყვანად. კედლის შიდა საპირე წყობა უხეშად გათლილი ქვისაა. მთლიანად, ხანძთაში – ისევე, როგორც ოპიზაში – მშენებლობის ხარისხი ძალიან მაღალია.

„საქართველოს სინას“ კიდევ ერთი მონასტრის – დოლისყანის ეკლესიაც<sup>21</sup> შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. ახლა მასში ჯამე არის მოწყობილი. ორი საკტიტორო წარწერის მიხედვით, ეკლესიას ტრადიციულად მეფე სუმბატის დროით – 954–958 წლებით ათარი-ლებენ (იგი თავადაც არის გამოსახული გუმბათზე, ტაძრით ხელში). ნ. შოშიაშვილი და ვ. ჯობაძე ფიქრობენ, რომ სუმბატმა მხოლოდ დასრულა მისი უფროსი ძმის – ბაგრატის (937–945) მიერ დაწყებული მშენებლობა<sup>22</sup>. კომპოზიციურად დოლისყანის ეკლესია არტანუჯისას წაგავს – მის ჯვრულ ძირითად ნაწილს ოთხსავე კუთხეში. დამა-ტებითი სათავსები აქვს. ამათგან აღმოსავლეთის წყვილი, წესისამებრ,




სურ.3. დოლისყანა. ეკლესიის გრძივი ჭრილი და გეგმა.

პასტოფორიუმები უნდა იყოს. სამხრეთ-დასავლეთისა, როგორც ჩანს, გარეთკენ თაღებით იყო გახსნილი და სტოა-კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა (ახლა მისი სამხრეთ ნაწილი მთლიანად მონგრეულია). ნაგებობის გრძელ დასავლეთ მკლავში მოგვიანებით პატრონიკე ჩაუშენებიათ. შემდგომ, უკვე XX საუკუნეში, პატრონიკეს კედელი ზემოთ კამარამდე აიყვანეს, რის შედეგადაც მკლავს მისი დასავლეთ ნაწილი მთლიანად მოსწყდა. ამჟამად ეს მხარე, რომელიც ეკლესიაში მოწყობილი ჯამეს გარეთ დარჩა, ჩანგრეულ-გავერანებულია. გუმბათქვეშა კონსტრუქცია შერეული აფრულ-ტრომპული ხასიათისაა, ოღონდ ოპიზასთან შედარებით ტრომპების როლი აქ დაკნინებულია - ისინი ზომითაც უფრო პატარაა (მეორე რიგის მცირე ტრომპები პაწია დეკორაციულ ღრმულებს წააგავს) და კონსტრუქციული დატვირთვაც ნაკლები აქვთ. გუმბათის ყელს შიგნიდანაც და გარედანაც თაღნარი გაუყვება. ფასადთა გაფორმებაში გამოიყენება როგორც ორნამენტაცია, ისე ფიგურული რელიეფები (სუმბატ მეფის ზემოთნახსენები ფიგურა, მთავარანგელოზთა გამოსახულებანი სამხრეთ მკლავის სარკმლის აქეთ-იქით, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ სათავსის მოგვიანებით გამოღებულ აფსიდში უსისტემოდ ჩადგმული მაცხოვრის, ანგელოზისა და წმ. სტეფანეს რელიეფები, რომლებიც თავიდან სხვა აღგილებზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული). დოლისყანაშიც გვხვდება პოლიქორმია - საკურთხევლისა და სამხრეთ მკლავის სარკმლებს ზემოთ მარაოსებრ განლაგებული ქვები თითოს გამოტოვებით წითლადაა დაფერილი.

დოლისყანის ეკლესიის კედლების საპირე წყობა სინკოთისა და მიძნაძორისას მოგვაგონებს - აქაც ისეთივე უხეშად დამუშავებული ქვებია, სწორ რიგებად დაწყობილი. ღრეჩოები მათ შორის კენჭებითა და კირის ხსნარით ივსება. განსხვავება ისაა, რომ IX საუკუნეში ამგვარი მასალით შეიძლება მთელი ეკლესია აიგოს, X საუკუნეში კი მისი გამოყენება შეზღუდულია - უთლელი ქვა მხოლოდ კედლის სწორი ზედაპირისათვის იხმარება (ოპიზასა და ხანძთაში, როგორც ვახსეთ - მხოლოდ ინტერიერში, დოლისყანაში - ფასადებზეც), გარდა გუმბათისა), ხოლო კუთხეები და მრუდხაზოვანი არქიტექტურული ფორმები სუფთად თლილი ქვებითაა გამოყვანილი.


კლარჯეთის სამონასტრო ხუროთმოძღვრების აყვავების ეპოქის უკანასკნელი დიდი ნაწარმოებია ნაგებობა, რომელიც ამჟამად ენი-



სურ.4. შატბერდი. ეკლესიის გეგმები იატაკისა  
 და გუმბათის ყელის დონეზე.

რაბათის ეკლესიის<sup>23</sup> სახელით არის ცნობილი და რომელიც უნდა იყოს ძველი შატბერდი<sup>24</sup> - 820-იან წლებში გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული სახელგანთქმული მონასტერი, ქართული სასულიერო კულტურის მნიშვნელოვანი კერა. გიორგი მერჩულეს მიხედვით, თავდაპირველი ეკლესია აქ IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის I ნახევარში განუახლებია მონასტრის წინამდლვარს სოფრონს. ამჟამად არსებული ეკლესია შატბერდში - ისევე, როგორც ხანძთაში - რიგით მესამე უნდა იყოს. მისი მშენებლობის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. არქიტექტურის თავისებურებებით ნაგებობა X-XI საუკუნეთა მიჯნით შეიძლება დათარიღდეს.

შატბერდის ეკლესია „ნახევრადთავისუფალი ჯვრის“ ტიპისა და ზოგადი კომპოზიციით ახლოს დგას მიძნაძორთან. დასავლეთ გელავში მას პქონდა ხის პატრონიკე - შემორჩა მისი საყრდენი ოთხი კრონშტეინი, რომლებიც ჩასმულია კედლებში იატაკიდან დაახლოებით 5,5 მ-ის სიმაღლეზე. პატრონიკეს დონეზე დასავლეთ კედლებში კარია, რაც მოწმობს, რომ აქ გარედან ამოდიოდნენ, აღბათ ხისავე მისადგმელი კიბით. გუმბათქვეშა გარდამავალი სისტემა პელავ კომბინირებულია, მაგრამ ტრომპები არსებითად მიჰყვება აფრის ზედაპირს და კონსტრუქციულად უმნიშვნელო როლს ასრულებს. ისინი დეკორაციულად არის გაფორმებული - ოთხივე სხვადასხვა-გვარი მოტივით. ინტერიერში სუფთად დამუშავებული ქვით გამოყვანილია გუმბათი და გუმბათქვეშა კონსტრუქცია მთლიანად, თაღები, კამარები, კონქი, პილასტები და ლიობები. კედლის შიდა წყობა ნატეხი ქვისაა, სრულიად უწესრიგო - ჩანს, ის თავიდანვე შესალესად იყო გამიზნული. ფასადებს მთლიანად ქვიშაქვის თლილი კვადრების პერანგი მოსავს. შენობის ექსტერიერი ზემოთგანხილულ ნაგებობებთან შედარებით უფრო მდიდრული და დეკორაციულია. ფასადთა გაფორმებაში ხუროთმოძღვარი ხშირად მიმართავს ორიგინალურ სერხებს, რომლებიც არ გვხვდება შავშეთ - კლარჯეთის სხვა თანადროულ ნაგებობებში: კედლებს გარედან ქართული გუმბათიანი ტაძრისთვის უჩვეულო თანაბარი სიმაღლის თაღნარი გაუყვება; აღმოსავლეთ ფასადზე ორის ნაცვლად ოთხი სამკუთხად შეჭრილი - ნიშაა; ასეთივე ნიშები გაკეთებულია გუმბათის ყელზეც. ორნამენტული რეპერტუარი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სარქმელთა საპირეებზე გამოყენებულია წნული ჩუქურთმა (ორი სახისა), თავსართებსა



სურ.5. შატბერდი. ეკლესიის გრძივი ჭრილი.

და კარნიზებზე – კონცენტრულნერვიურებიანი პალმეტების მოტივი. სამკუთხა ნიშების ნახევარკონუსური კამარები შიგნიდან ნიუარი-სებურად არის დამუშავებული.

საფიქრებელია, რომ ჯვარგუმბათოვანი უნდა ყოფილიყო „საქართველოს სინას“ კიდევ ერთი მონასტრის – ბერთის ეკლესიაც<sup>25</sup>. ის XIX საუკუნეში ჯამედ გადაკეთდა და მთლიანად იცვალა სახე. გადახურვა სულ ახალია – თურქებმა გარე კედლები მთელ პერიოდზე ერთ დონეზე მოასწორეს და მათ ხის ჭერი დააყრდნეს, ზემოდან ორფერდა სახურავით. თავდაპირველ არქიტექტურაზე მსჯელობა ძალიან ძნელია. ფასადები შირიმის მომცრო სუფთად თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული. საფასადო თაღნარი შენობას არა აქვს, მაგრამ ალბათ ექნებოდა სარკმელთა თავსართები (სარკმლების უზეშად გადიდების გამო არც ერთი არ შემორჩა). ეკლესია სავარაუდოდ X საუკუნის შუახანს შეიძლება მიეკუთვნოს. ამასთან, ის, როგორც ჩანს, უნდა შეიცავდეს უფრო ძველი (IX საუკუნის II ნახევრის ან X საუკუნის დასაწყისის) შენობის ნაშთს – ჩრდილოეთ კედლის შუა და დასავლეთ ნაწილები ქვედა არეში სხვაგვარი წყობითაა გამოყვანილი. ქვები სხვა ჯიშისაა, უფრო დიდებია და უარესად დამუშავებული.


კიდევ უფრო ცოტა რამ შეიძლება ითქვას კლარჯეთის საეპისკოპოსო ცენტრის – ანჩის ტაძრის<sup>26</sup> შესახებ. შენობა 1879 წლისთვის, როცა ის პირველმა სიძველეთმცოდნებმ დ.ბაქრაძემ ინახულა, უკვე თითქმის მთლიანად დანგრეული იყო, ჩანდა მხოლოდ სამნაწილიანი საკურთხეველი (ამას ნ.მარიც აღასტურებს), რაც გვაფიქრებინებს, რომ ტაძარი შესაძლოა გუმბათიანი ყოფილიყო. ფასადებზე მას თლილი ქვის პერანგი ჰქონდა. ნ.მარის ცნობით, იქვე მახლობლად მდებარე ჯამე თითქმის მთლიანად ეკლესიდან წაღებული ქვებით იყო აგებული. ისინი გვხვდება სოფლის მცხოვრებთა სახლებშიც. ზოგი ქვა ჩუქურთმიანია. მათ მიხედვით ანჩის ტაძარი XI საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

შავშეთ-კლარჯეთის გუმბათიანი არქიტექტურის მიმოხილვის დასასრულს შევეხები ამ მხარის უდიდეს საეკლესიო ნაგებობას – ტბეთის საეპისკოპოსო ტაძარს<sup>27</sup>. ის მდებარეობს შავშეთში, გაშლილ ხეობაში. ტაძარი 1960-იან წლებში ააფეთქეს ადგილობრივმა ფანატიკოსებმა. აფეთქების შედეგად ჩაინგრა მთელი გადახურვა და

დასავლეთ მკლავი, ბევრგან მოირლვა კედლების ზედა ნაწილები. მიუხედავად ასეთი სავალალო მდგომარეობისა, შენობა მნახველზე ახლაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. ეს სამხრეთქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა.

მატიანეებიდან ცნობილია, რომ კათედრა ტბეთში დაარსა აშოტ I კურაპალატის შვილიშვილის შვილმა აშოტ კუხმა (გარდაიცვალა 918 წელს). მანვე ააგო პირველი ეკლესიაც, რომლისგანაც ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. ის მაღლე შეცვალა მეორე ეკლესიამ. ახლანდელი ტაძრის ჩრდილოეთ კედელში ჩართულია ამ შენობის ნაშთი, რომელიც მისი რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. მეორე ეკლესია წარმოადგენდა ცენტრულ ნაგებობას გუმბათქვეშა ოქტოგონიდან გამომავალი რვა მკლავით. მკლავები თითქოს მართკუთხა იყო, თუმცა, შესაძლოა, მათ აფსიდებიც ჰქონდათ, ე.ი. შენობა ოქტაკონქი ყოფილიყო. აღმოსავლეთ მკლავს ეკვროდა საკურთხევლის აფსიდი. გარედან მკლავებს ერთმანეთისგან ყოფდა ნახევარკონუსური კამარებით დახურული სამკუთხა ნიშები და, ამდენად, გარე მოცულობა თექვსმეტწახნაგას წარმოადგენდა. ფასადები მოპირკეთებული იყო თლილი ქვიშაქვის დიდი კვადრებით და გაფორმებული დეკორაციული თაღნარით, რომელიც პოლიგონალური კორპუსის წიბოებზე აყოლებულ ძალიან მსუბუქ შეწყვილებულ ლილვურ სვეტებს ეყრდნობოდა. ერთადერთ შემორჩენილ სარქმელს (ჩრდილოეთ მკლავისას) ამკობს ფართო ორნამენტირებული თავსართი. ამ ნიშნებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეორე ტაძარი 960-70-იან წლებში აუგიათ. ის პირველზე უფრო დღემოკლე აღმოჩნდა - უკვე X-XI საუკუნეთა მიჯნაზე მის ადგილას ახალი, სულ სხვაგვარი არქიტექტურული ტიპის შენობა აღიმართა.

ტბეთის მესამე ტაძრის შესახებ მსჯელობა ძნელია - ის ძალზე რთულად არის გადახლართული მომდევნო სამშენებლო ფენასთან. უეჭველია, რომ ტაძარი უკვე ჯვრული გეგმით აშენდა. მისი ძირითადი კომპოზიციური იდეა ნაგებობამ ბოლომდე შეინარჩუნა, შემდგომი ზანის აღდგენა-გადაკეთებებს ის არსებითად აღარ დაურღვევია. გუმბათი დაეფუძნა მკლავების კუთხებთან ძალიან ახლოს მდგარ ოთხ ბურჯს. გუმბათქვეშა გარდამავალი კონსტრუქცია, შავშეთ-კლარჯეთის X საუკუნის II ნახევრის არქიტექტურაში დამკვიდრებული წესისამებრ, გაკეთდა შერეული აფრულ-ტრომპული სისტემით.



Տպ. 6. Ցծետո. Ռզամյլազուանի շաբաթական գեղմա  
դա հինգօլողետ դասաձո. Ռէկոնստրուկցիա.

ცენტრალურ კვადრატს დაუკავშირდა ოთხი მკლავი - ორი მოკლე განივი და ორი შედარებით წაგრძელებული გრძივი. დასავლეთ მკლავში მოეწყო ვრცელი პატრონიკე.

XI საუკუნის I ნახევარში ნაგებობა ნაწილობრივ განახლდა. მას დაემატა პატრონიკები ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში, გადაკეთდა პასტოფორიუმები. ცვლილებები შეეხო ექსტერიერსაც. ამდროინდელი უნდა იყოს ძალიან პლასტიკური დასაფეხურებული საფასადო თაღნარი (კარგად შემოინახა აღმოსავლეთ ფასადზე), აგრეთვე მდიდრულად მოჩუქურთმებული კარნიზებისა და სარკმელთა თავსართების დიდი ნაწილი. ჩუქურთმები მეტად მრავალფეროვანია, ყველა განსაკუთრებული ოსტატობითა და მაღალი არტისტიზმით არის შესრულებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორნამენტი-რებული ჯვრების გამოსახულებანი აღმოსავლეთ ფასადზე, შეაფრონტონის ქვეშ და ჩრდილოეთ მკლავის აღმოსავლეთ კედლებზე (ახლა ორივე დაკარგულია, ამასთან, მეორე ამოტებეს 1992 წელს). როგორც მესამე, ისე მეოთხე რეკონსტრუქციისას კედლების მოსაპირეთებლად შიგნიდანაც და გარედანაც გამოიყენებოდა მხოლოდ სუფთად თლილი კვადრები.

XIII საუკუნეში, როგორც ზემოთ ითქვა, აღადგინეს შენობის სამხრეთ მკლავი (პატრონიკეს გარეშე), ხოლო XIV საუკუნეში - გუმბათი (ის კარგად ჩანს ძველ ფოტოსურათებზე).


უგუმბათო ხუროთმოძღვრება შავშეთ-კლარჯეთში წარმოდგენილია ბაზილიკებითა და დარბაზული ეკლესიებით. IX-X საუკუნეთა ბაზილიკური ნაგებობები აქ, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, სიგრძეში მცირეოდენ არის წაგრძელებული. ნავები, როგორც წესი, გაყოფილია სულ ორი წყვილი ბურჯითა და დაბალი, ფართო თაღებით.

შავშეთ-კლარჯეთის ბაზილიკების ჯგუფში ერთგვარად განცალკევებულად დგას ერთი მეტად თავისებური ნაგებობა - ნუკა-საყდარი (თურქულად „ნუკა-კილისე“)<sup>28</sup>. ის მდებარეობს კარჩხალას ხეობაში, ხანძთასა და მიძნაძორს შორის. საკმაოდ კარგად შემონახული ეკლესია აშენებულია მაღალი კლდოვანი ფერდობის ბუნებრივ შევრცელებით უშუალოდ ეკვრის კლდეს, რაც ნაწილობრივ განსაზღვრავს მის არქიტექტურულ გადაწყვეტას - სრულფასოვანი გვერდითი ნავი აქ

მხოლოდ სამხრეთიდანაა, ხოლო ჩრდილოეთით არის სანახევროდ კლდეში ნაკვეთი მოკლე სათავსი საკურთხევლის აფსიდის გვერდით. სამხრეთის ნავს შუა ნავისაგან ყოფს ორი არათანაბარი სიგანის თაღი, რომლებიც შუაში მრგვალ სვეტს ეყრდნობოდა (ახლა ჩაქცეულია). იატაკის ქვეშ სუბსტრუქციაში არის კრიპტა ცალკე შესასვლელით დასავლეთიდან. ეკლესიის ერთადერთი კარიც ამ მხრიდანაა – სხვა ფასადები სრულიად მიუდგომელია. შენობა მთლიანად ნატეხი ქვითაა ნაგები, გარდა საკურთხევლის აფსიდის კონქისა და შუა ნავის კამარის აღმოსავლეთ ნაწილისა, რომლებიც თლილი ქვითაა ამოყვანილი. ეკლესია IX საუკუნით თარიღდება.

ძალზე ეფექტური მდებარეობით გამოირჩევა ბაზილიკა პარეზში<sup>29</sup> – კლარჯეთის ყველაზე მაღალმთიან მონასტერში. სამონასტრო ნაგებობები განლაგებულია თითქმის შვეული კლდის ვიწრო და გრძელ ბაქანზე, რომლის თავზეც კლდის ზედა ნაწილია გადმოკიდებული. ბაქნის შუაში გვერდიგვერდ დგას ორი ეკლესია. ამათგან ზედა (ჩრდილოეთისა), უფრო მცირე, დარბაზული შენობაა, ქვედა (სამხრეთისა) – სამნავიანი ბაზილიკა. ის აღმართულია ზედ ქარაფის პირას, პატარა კონცხზე, რომლის ზედაპირიც სუბსტრუქციით გაუსწორებიათ. გადახურვა და ბურჯები თაღებითურთ ჩანგრეულია, მაგრამ ნაგებობის ზომისა და პროპორციების მიხედვით უნდა ვიჟიქროთ, რომ მას პქონდა ორი წყვილი ბურჯი. საკურთხეველი სამნაწილიანია. კედლები ამოყვანილია უხეშად დამუშავებული ქვებით. ისინი უფრო მჭიდროდაა მორგებული ფასადებზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთისაზე. ამ ფასადის წყობა თავისებურია – მასზე მონაცემლებს მაღალი (30–40 სმ სიმაღლის) და დაბალი (10–12 სმ სიმაღლის) რიგები. შემკულობა არ ჩანს.

პარეზის მონასტრის ადრეული ისტორია ბოლომდე გარკვეული არ არის. მკვლევართა ნაწილი მისი დაარსების თარიღად IX საუკუნეს მიიჩნევს<sup>30</sup>, სხვები თვლიან, რომ მონასტერი დაარსდა გაცილებით ადრე, VI საუკუნის შუასანებში, შემდეგ დაიცალა არაბთა შემოსევის დროს და კვლავ განახლდა IX საუკუნეში<sup>31</sup>. ასეა თუ ისე, პარეზში დღესდღეობით მდგარი ეკლესიები VI საუკუნისა ვერ იქნება. დათარიღებისათვის გასათვალისწინებელია, რომ როგორც „გრიგოლ ხანთელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, 840–50-იან წლებში პარეზში მხოლოდ ანაქორეტი ბერები იყვნენ, მონასტერი აქ მოგვიანებით, IX



სურ. 7. სკეტჩი. სამნავიანი ბაზილიკის გეგმა  
და აღმოსავლეთ ფასადი.

საუკუნის II ნახევარში აღმოცენდა (თუ განახლდა). მაშინ უნდა იყოს აგებული დარბაზული ეკლესია. ბერების რაოდენობა IX-X საუკუნეთა მიჯნისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა და, როგორც ჩანს, საჭირო გახდა უფრო ტევადი შენობა. ამ დროით შეიძლება დათარიღდეს პარების მეორე, ბაზილიკური ეკლესია.

განსხვავებით ნუკა-საყდრისა და პარებისაგან, ორი სხვა ბაზილიკა ბოლო დროს გახდა ცნობილი. ერთი მათგანია სათლეს ეკლესია შავ-შეთში. ეს დიდი, რთული აგებულების ნაგებობა, რომელშიც ერთხანს ჯამე ფუნქციონირებდა (ახლა დაცლილია), რამდენიმე ქრისტიანულოგიურ ფენას შეიცავს. უძველეს ნაწილს წარმოადგენს IX-X საუკუნეთა მიჯნის სამნავიანი ბაზილიკა. მისი გადახურვა (აფხიდის კონქისა და სამხრეთ ნავის კამარის გარდა) ჩაქცეულია. შენობას აქვს ორი წყვილი მართკუთხა ბურჯი, რომლებზეც გადადის ფართო თაღები. გვერდითი ნავები ძალიან ვიწროა – მათი სიგანე 1,0-1,1 მ-ს არ აჭარბებს. მათ გრძივ კედლებში სამ-სამი სარკმელი აქვთ, მაშინ, როდესაც შუა ნავის შესაბამის კედლებში (გვერდითი ნავების სახურავების ზემოთ) სარკმლები საერთოდ არ არის. გვერდითი განათების ნაკლებობას შუა სივრცეში აღნათ ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებდა საკურთხევლის ძალიან დიდი სარკმელი. ფასადები სადაა, დეკორაციული ელემენტები არ გააჩნიათ. შენობა ნაგებია შერეული მასალით – თაღები, ბურჯები, იმპოსტები თლილი ქვისაა, კედლები – ნატეხი ქვის.

X საუკუნის შუახანებში არსებულ სამნავიან ბაზილიკას სამხრე-თიდან კიდევ ორი – დიდი და პატარა – ნავი მიაღეს, რის შედეგადაც ნაგებობამ რთული ასიმეტრიული სახე მიიღო. ახალ კორპუსში, რომელიც უფრო უხარისხოდ არის ნაშენი (წყობის რიგები ირევა, კამარა და მისი საბჯენი თაღები დაბრეცილია) ასევე ორი ბურჯია. აფხიდის სარკმელი, ძველისაგან განსხვავებით, საოცრად პატარაა. ფასადზე მას დიდი, გლუვი, რელიეფური თავსართი აქვს. სარკმელსა და თავსართს შორის მედალიონში ჩასმული ჯვარია გამოკვეთილი. მსგავსი კომპოზიცია არის დასავლეთ ფასადზეც, ოღონდ აქ სარკმელს ზემოთ სამი ჯვარია. სამხრეთ ფასადზე თავსართები აქვს სარკმელსაც და კარსაც (ის ახლა ამოქოლილია).

უფრო მოვიანებით (აღნათ XIV საუკუნეში) ორ -ძველ და ახალ – დიდ ნავს შორის, თავდაპირველი ბაზილიკის სამხრეთ ნავის თავზე ჩაშენდა მეორე სართულის სათავსი, რითაც შენობა ერთ მასივად

შეიკრა. მას გაუკეთდა საერთო ორქანობა სახურავი.

ძეორე ახლადაღმოჩენილი სამნავიანი ბაზილიკა მდებარეობს სვეტში<sup>32</sup>, ართვინის მახლობლად. სტილისტური ნიშნებით ის X საუკუნის I ნახევრით თარიღდება. შენობა ძლიერ დაზიანებულია (ჩანგრეულია თითქმის მთელი გადახურვა, ნავების გამყოფი ბურჯები და თაღები, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი), მაგრამ მისი რეკონსტრუქცია ასე თუ ისე ხერხდება. ბურჯები, ეკლესიის ზომებიდან გამომდინარე, ორი წყვილი უნდა ყოფილიყო. ზოგადი კომპოზიცია ახლოს დგას სათლესთან – აქაც თვალშისაცემია გვერდითი ნავების სივიწროვე, მსგავსია საერთო პროპორციები. თავისებურია სვეტში საკურთხევლის აფსიდი: ის გეგმაში ნახევარწრე კი არ არის, არამედ მორკალულფერდებიანი ტრაპეციაა, დაახლოებით იატაკიდან 3,5 მ-ის სიმაღლეზე თანდათან იწყებს მომრგვალებას და შეუმჩნევლად გადადის კონქე. აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩა აფსიდისა და სამხრეთ ნავის სარკმლების დიდი, გლუვი თავსართები. საშენი მასალა, სათლეს მსგავსად, შერეულია.

დარბაზული ეკლესიები შავშეთ-კლარჯეთში ძალიან ბევრია. უმეტესად ესაა მარტივი მართკუთხა შენობები დამატებითი სათავ-სების გარეშე. რამდენიმე ასეთი ეკლესიის ნანგრევი შემორჩა ახიზაში<sup>33</sup> – არტანუჯის მახლობლად მდებარე უძველეს საეპისკოპოსო ცენტრში. ისტორიული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ეკლესია გურნათელში<sup>34</sup>, რომელიც უთუოდ არის იგივე გუნათლე – გრიგოლ ხანძთელის მიერ 810-20-იან წლებში დაარსებული დედათა მონასტერი. როგორც ჩანს, გუნათლე ბოლომდე მცირე სავანედ დარჩა და აქ შემორჩენილი ეკლესია აღბათ თავდაპირველია. უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება წმ.პეტრესა და პავლეს ეკლესია არტანუჯის ციხეში<sup>35</sup>, აგებული ციხის განმაახლებლის აშოგ I კურაპალატის მიერ 810-იან წლებში. მას აქვს თანადროული მცირე სათავი ჩრდილოეთიდან, ხოლო მოვიანებით მიუშენებიათ ნართექსი დასავლეთიდან და კიდევ ერთი სათავი ჩრდილოეთიდან. დამატებითი სათავი ამავე მხრიდან ეკვრის პარეზის დარბაზულ ეკლესიასაც<sup>36</sup>, რომელიც, როგორც ითქვა, IX საუკუნის II ნახევარშია აგებული. ამ შენობის თავისებურებაა ნახევარწრიულად შვერილი აფსიდი – რამდენადაც ვიცი, უანალოგო შავშეთ-კლარჯეთის არქიტექტურაში.

X საუკუნის შენობათაგან შეიძლება დასახელდეს ოქრობაგეთის ეკლესია შავშეთში<sup>37</sup>, ღირსშესანიშნავი არა იმდენად თავისი ხუროთმოძღვრებით, რამდენადაც წარწერით. რომელშიც აღნიშნულია აშენების თარიღი - 935 წელი.

ცალკე ჯგუფს შეადგენს დარბაზული სამლოცველოები დიდ მონასტრებში - მცირე ზომის მარტივი შენობები. ორი ასეთი სამლოცველო არის ხანძთაში<sup>38</sup> - ერთი შიგ მონასტერში, მეორე მისი ზღუდის გარეთ. ეს უკანასკნელი საინტერესოა იმით, რომ დგას არქიტექტურულად გაფორმებულ ძველ წყაროზე. ოთხი პატარა დარბაზული სამლოცველოა წყაროსთავში<sup>39</sup> - ერთი ეკლესიის გვერდით, სამი მონასტრის მიდამოებში. სამლოცველო პარებში, ეკლესიათა კომპლექსის აღმოსავლეთით, კლდოვანი მღვიმის შესასვლელშია აგებული ისე, რომ დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან კლდე ინტერიერში იჭრება. ყველა ეს ნაგებობა IX-X საუკუნეებს განეკუთვნება.

ეს მოკლე წერილი, ბუნებრივია, სრულად ვერ წარმოაჩენს შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო სურათს - საამისოდ კიდევ არაერთი წლის კვლევა-ძიება იქნება საჭირო. მაგრამ ვფიქრობ, ასეთი ზერელე მიმოხილვაც ნათლად აჩვენებს, თუ რა საოცარი სულიერი აღმაფრენის ატმოსფერო სუფევდა IX-X საუკუნეებში შავშეთ-კლარჯეთში და რა შესანიშნავი ნაყოფი მოგვცა ამან არქიტექტურაში.

### შენიშვნები

1. ლ. ინჭიჭიანის ნაშრომი გამოსცა მ.ბროსემ: M. Brosset, Description de l'ancienne Géorgie turque, comprenant le pachalik d'Akhaltzikhe et le Gouria, traduit de l'armenien du docteur Indjidjian, Journal asiatique, 13, 1834, გვ.441-491.

2. K. Koch, Wanderungen im Oriente während der Jahre 1843 und 1844, II. Reise im pontische Gebirge und türkischen Armenien, Weimar, 1846, გვ.190-193.

3. Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества, кн. X, 1876, გვ. 1-140.

4. Д. Бакрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассейн, Батум, Артвин и Артанудж, Записки Императорской Академии Наук, т.37, кн. 1, С.-Петербург.1880; გილვა, Заметки о Батумской области, Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества, т.VI, 1879-1881, გვ. 153-167.

5. Кавказ. Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок. Путевые заметки графини Уваровой, ч.II, Москва, 1891, გვ.285-315.

6. А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, вып. III, Москва, 1893, გვ. 1-91.

7. Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, ე՞տვո՞ „ՃՌՈՋՄԸ ԿԱՅԹՈՒՂՈՆՑ ՅԵՄՑԲՐԺՈՆ“ ՅՈՒՎԵԼ ՃԱՄՊՅՋԱՅ: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского: Грузинский текст. Введение, издание, перевод Н.Марра, С-Петербург, 1911.

8. N. et J.-M. Thierry, Notes d'un voyage en Géorgie turque, Bedi Kartlisa, VIII-IX, Paris, 1960, გვ.10-29; ճամովյ: Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque, Bedi Kartlisa, XV, Paris, 1968, გვ.51-65; J.-M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, Revue des études géorgiennes et caucasiennes, N 5, 1989, გვ.129-167; გილვა: Note sur les monuments de la vallée du Karckal, Revue des études géorgiennes et caucasiennes N 8-9, 1992-1993, გვ. 233-236.

9. B. Baumgartner, Drei Vergessene georgische Klöster in der Nordosttürkei: C'qarostavi, Nuka Kilise, Midznadzori, Revue des études géorgiennes et caucasiennes, N 8-9, 1992-1993, გვ. 193-221.

10. W. Djjobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992. იხილე აგრეთვე მისივე ნაშრომები: The Georgian Churches of Tao-Klarjeti: Construction Methods and Materials, Oriens Christianus, 62, 1978, გვ. 114-134; A Brief Survey of the Monastery of St.George in Hanzta, Oriens Christianus, 78., 1994, გვ. 145-176.

11. В. Беридзе, Архитектура ТАО-Кларджети, Тбилиси, 1981.

12. П. Закарая, Зодчество ТАО-Кларджети, Тбилиси, 1990.

13. Н. Марр, გვ. 86-88; დ. ხოშტარია, ბერთისა და სინკოთის ტაძრების ხუროთმოძღვრული სახისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1990, გვ. 149-153, 155-158, სურ. 1-2.

14. Н. Марр, გვ.132-133; ტაბ. 45. В.Baumgartner, გვ. 213, ნახ. 3, ტაბ.12.

15. Н. Марр, გვ.119-121; ტაბ. 38; В.Baumgartner, გვ.200-202; ნახ.1, ტაბ.3-5.

16. K. Koch, გვ. 191-192; Пр. Уварова, გვ. 304-305; Н. Mapp, გვ. 95-97; ტაბ. 30-31; დ. ხოშტარია, ქალაქი არტანუჯი და მისი სიძელები, „არტანუჯი“, 5, 1996, გვ. 60-75.
17. Г. Казбег, გვ. 75-79; Д. Бакрадзе, Заметки, გვ. 122, 153-159; А. Павлинов, გვ. 63-65, ტაბ. XXVIII-XXXI; Н. Mapp, გვ. 158-164, ტაბ. 55; N. et J.-M. Thierry, Voyage, გვ. 27-29; В. Беридзе, გვ. 159-161; ტაბ. 43, 45; П. Закарая, გვ. 67-73, ტაბ. 61-62; W. Djebadze, გვ. 9-16, ტაბ. 1-5.
18. Е. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, II, Тифлис, 1905, გვ. 56-59; Н. Северов, Памятники грузинского зодчества, Москва, 1947, გვ. 192; პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 57-58, 342; C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Washington, 1963, გვ. 328-329; В. Беридзе, გვ. 160.
19. ლაპიძარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 285-287; П. Закарая, გვ. 71; W. Djebadze, გვ. 14-16.
20. А. Павлинов, გვ. 66-67, ტაბ. XXXIV-XXXVII; Н. Mapp, გვ. 142-151, ტაბ. 48-50, 54 (არასწორად გააიგივა ფორთა შატბერდთან); პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, გვ. 311-313 (დამაჯერებლად აჩვენა, რომ ფორთა ხანთაა. მომდევნო ხანის ავტორთა უმეტესობა იზიარებს ამ იდენტიფიკაციას); N. et J.-M. Thierry, Nouveau voyage, გვ. 56-58; В. Беридзе, გვ. 179-182, ტაბ. 44; П. Закарая, გვ. 57-63; ტაბ. 55-57; W. Djebadze, Monasteries, გვ. 30-34, 36-37, ტაბ. 23-33; W. Djebadze, Hanzta, გვ. 165-173, 175-176, ტაბ. 1-2, 6-10.
21. Д. Бакрадзе. Заметки, გვ. 159-167; А. Павлинов, გვ. 68, ტაბ. XXVI-4, XXXVIII; Н. Mapp, გვ. 184-189, ტაბ. 59-63; N. et J.-M. Thierry, Nouveau voyage, გვ. 54-56; В. Беридзе, გვ. 145-146, ტაბ. 47-48, 50; П. Закарая, გვ. 77-81, ტაბ. 66-74; W. Djebadze, გვ. 57-71, ტაბ. 68-91.
22. ლაპიძარული წარწერები, I, გვ. 290-294; W. Djebadze, Monasteries, გვ. 61, 69-70.
23. А. Павлинов, გვ. 69-70, ტაბ. XXVI-3, XXXIX-XL; Пр. Уварова, გვ. 315; Н. Mapp, გვ. 100-102, ტაბ. 33; N. et J.-M. Thierry, Nouveau voyage, გვ. 52-53; В. Беридзе, გვ. 193-194, ტაბ. 38; П. Закарая, გვ. 85-88, ტაბ. 75; W. Djebadze, გვ. 72-77, ტაბ. 92-105.
24. ენი-რაბათისა და შატბერდის იგივეობის ვერსია წამოაყენა ი. ზდანევიჩმა (იხილე მისი L'itinéraire géorgien de Ruy Gonzales de Clavijo et les églises aux confins de l'Atabegat, Paris, 1966, გვ. 12). მას მხარს უჭერენ - თუმცა გარკვეული ყოფმანით - 6. და ჟ.-მ. ტიერი და ვ. ჯობაძე. არგუ-მენტაციისათვის იხილე: 6. ალექსიძე, დ. ხოშტარია, ახალი ცნობები ტაო-

კლარჯეთის სიძველეთა შესახებ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 1, გვ.127-129.

25. А. Павлинов, გვ.6; Н. Марр, გვ.169-171, ტაბ.56; დ.ხოშტარია, ბერთისა და სინკონის... გვ.153-158. 6. და უ.-მ. ტიერის ცნობა, თითქოს ბერთის ეკლესია მთლიანად დანგრეული იყოს, არასწორია (N. et J.-M. Thierry, Voyage, გვ.27; J.-M. Thierry, Topographie et état actuel, გვ.140)

26. Д. Бакрадзе, Об археологической... გვ. 49; Н. Марр, გვ.93-94, ტაბ. 23-25; W. Djobadze, გვ.54-56, ტაბ.62-67.

27. Г. Казбег, გვ.52-55; А. Павлинов, გვ.71-74, ტაბ. XLI-XLVII; Пр. Уварова, გვ.285-291; Н. Марр, გვ.11-25, ტაბ.2-5; N. et J.-M. Thierry, Nouveau voyage, გვ.58-61; В. Беридзе, გვ.175-177, ტაბ.70-76,103; П. Закарая, გვ.91-99, ტაბ.76-83; W. Djobadze, გვ.218-231. ტაბ. 317-346.

28. Н. Марр, გვ.125-130, ტაბ.40,43; დ.ხოშტარია, ნუკა-საყდარი - IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი კლარჯეთში, „ძეგლის მემკვიდრეობა“, 1988, №4, გვ.16-23; W. Djobadze, გვ.45-46, ტაბ.45-48; ქ.აბაშიძე, ნუკა-საყდარი, „არქიტექტურა და დიზაინი“, 1994, გვ.52-53; B. Baumgartner, გვ.206-209, ტაბ.7-11.

29. Н. Марр, გვ.177; W. Djobadze, გვ.51-53, ტაბ.56, 58-60.

30. ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ.I, ნაკვ. II, თბილისი, 1962, გვ.427; პ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, (მეხუთე გამოცემა), თბილისი, 1980, გვ.146-152.

31. პ.ინგოროვა, გვ. 325-328, 345-346.

32. დ.ხოშტარია, უცნობი სამნავიანი ბაზილიკა კლარჯეთის სოფელ სვეტში, „არქიტექტურა და დიზაინი“, 1994, გვ.51-52. უ.-მ. ტიერი ამ ნაგებობას „ნიგალას ეკლესიას“ უწოდებს და არასწორად მიიჩნევს მას სამაფსიდიან დარბაზულ ეკლესიად (J.-M. Thierry, Topographie et état actuel, გვ.140, სურ.12).

33. W. Djobadze, გვ.22-23, ტაბ.20-22.

34. Н. Марр, გვ.29, ტაბ.7.

35. Н. Марр, გვ.110; R. Edwards, The Fortifications of Artvin: A second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey, Dumbarton Oaks Papers, 40, 1986, გვ.173, ტაბ.26-28; W. Djobadze, გვ.19-21, ტაბ.17.

36. Н. Марр, გვ. 176-177; W. Djobadze, გვ.49-51, ტაბ.56-57.

37. Н. Марр, გვ.8-9, ტაბ.1.

38. Н. Марр, გვ.151,154-155, ტაბ.49; W. Djobadze, Hanzta, გვ.161-162, ტაბ.4-5.

39. Н. Марр, გვ. 123; B. Baumgartner, გვ.202-203.

## მაია მანია

### თბილისის მრთი უცნობი ჩანახატი

თბილისის არქიტექტურის ისტორიკონი არ არის განებივრებული გრაფიკული მასალით. თუ დასავლეთევროპული ქალაქებისათვის შემორჩა მდიდარი დოკუმენტური მასალა – ძველი გეგმები, დეტალური ჩანახატები, გრავიურები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის მათი შესაუკუნეობრივი განაშენიანებისა და სივრცითი ორგანიზაციის ხასიათზე, თბილისისათვის XVIII საუკუნის 70-იან წლებზე ადრინდელი არანაირი გრაფიკული დოკუმენტი არ გაგვაჩნია. ამიტომ თუნდაც მოგვიანო ხანის ყოველი გამოსახულება ძვირფასი წყაროა ისტორიული თბილისის სახის დასადგენად და მისი გეგმარებით-სივრცით სტრუქტურის შესასწავლად.

ვფიქრობთ, თბილისის არქიტექტურით დაინტერესებულ პირთათვის საყურადღებო იქნება ძველი ქალაქის პანორამის ერთი დღემდე უცნობი ჩანახატი, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია დაცული. ეს არის თხელ სიფრიფანა ქალალზე (კალკაზე) კალმით წყალში გახსნილი ტუშით შესრულებული თბილისის ხედი (ზომა: 22,5X40 სმ). ნახატზე დატანილ წარწერაში ნათლად იკითხება ავტორის გვარი – ბარტოლდი (Barthold) და მისი შესრულების დრო – 1861 წელი.


სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ბარტოლდის ვინაობის დადგენა, მაგრამ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი ნახატი უფრო არქიტექტორის ნამუშევარს ჰგავს, ვიდრე გრაფიკონისა ან ფერმწერისას. ჩანს, რომ იგი კარგად იცნობს ქალაქს, შესანიშნავად გრძნობს მის მასშტაბსა და სივრცეს და ამიტომაც თთქმის დოკუმენტური სიზუსტით აკეთებს ქალაქის ერთი ნაწილის ჩანახატს.

სურათზე გამოსახულია მტკვრის მარჯვენა სანაპირო – გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტის მიმდებარე ტერი-

ტორია მტკვარსა და მთაწმინდას შორის – მონაკვეთი დაახლოებით ყოფილი ბარიატინსკის (დღევანდელი გიორგი ჭავჭავაძისა) ქუჩის ხაზის მტკვართან გადაკვეთიდან ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ვოდო-ვოზნაიას (დღევანდელი რევაზ ლალიძის) ქუჩების მტკვართან გადა-კვეთამდე. გოლოვინის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიის ეს ფრაგმენტი მთაწმინდის ფონზეა გამოსახული. სურათის ქვედა ნაწილი მტკვარს უჭირავს. უშუალოდ სანაპიროზე რამდენიმე ბანიანი სახლი მოჩანს – გვიანდეოდალური ხანის თბილისის განაშენიანების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს თითქმის სრულიად გაქრა. ამ დროისათვის, როგორც ცნობილია და როგორც სურათიდანაც ჩანს, ქალაქის განაშენიანების ძირითად ტიპს წარმოადგენს XIX საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლი ხის შეკიდული, გადახურული აივნით – ტიპი, რომელმაც არსებითად განსაზღვრა XIX საუკუნის თბილისის ქირითადი სახე.

ნახატზე წარმოადგენილი ნაწილი ქალაქის ერთიანი გრძივი სტრუქტურის ფრაგმენტად იკითხება; ნათლად ჩანს ქალაქის გრძივი განვითარება მტკვრის გასწვრივ. ამგვარ აღქმას ხელს უწყობს სურათზე გამოსახული ჯაჭვი მსხვილმასშტაბიანი, პორიზონტა-ლურად განლაგებული შენობებისა, რომლებიც გოლოვინის პროსპექტს მონიშნავენ და ხის შეკიდულაივნიანი ფასადებით მტკვრისკენ არიან მიქცეულნი. ამ ნაგებობათაგან უმრავლესობა დღეს აღარ არსებობს. ისინი შეიცვალა 1880-90 წლებში პროსპექტის რეკონსტრუქციისას, რომელიც დაკავშირებული იყო სახაზინო თეატრისა (დღეს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი) და „საარტისტო საზოგადოების“ თეატრის (დღევანდელი რუსთაველის სახლობის თეატრი) შენებლობასთან.

გარკვეული ცვლილებები შეიტანა ისტორიული თბილისის, კერძოდ გოლოვინის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიის სივრცით აღქმაში რამდენიმე სახაზინო, საზოგადოებრივი შენობებისა და შემოსავლიანი სახლის ახალმა, უფრო მსხვილმა მასშტაბმა და წმინდა ეკლექტიკურმა არქიტექტურამ! ამ მხრივაც უნდა იყოს საინტერესო ბარტოლდის ჩანახატი, რადგან მასზე აღბეჭდილია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქალაქი, აივნიანი ქალაქი, თითქმის მოწყვეტილი მტკვარს, მაგრამ ამავე დროს რელიეფზე შეფენილი სახლების ხის ავინიანი ფასადით მასთან ჯერ კიდევ მჭიდრო კონტაქტში მყოფი.



სურ.1. ბარტოლდი. თბილისის ხედი. 1861 წელი.

ბარტოლდის ნახატი კიდევ მრავალმხრივ არის საყურადღებო. ქალაქის ამ მონაკვეთის სურათის მარცხენა კიდეზე ასრულებს მწვანე მასივი, რომლის შუაგულშიც ბუნდოვნად გამოსახული მსხვილმას-შტაბიანი შენობა დგას. ეს თბილისის დროებითი საზაფხულო თეატრია საინუინრო უწყების ბაღში. თეატრი, რომელიც 1870 წელს აიგო,<sup>2</sup> ყოფილი ბარიატინსკის (გიორგი ჭავჭავაძის), საპიორნაიას (რეზო თაბუკაშვილის), ინუინერნაიას (სოლიკო ვირსალაძის) ქუჩებისა და ვოდოვოზნაიას ქუჩის შესახვევის რკალში იყო მოქცეული (სურ. №3). მისი არქიტექტურა დღევანდლამდე არ იყო ცნობილი. გარკვეულ წარმოდგენას თეატრის მტკვრისპირა ფასადზე გვიქმნის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში შემონახული ერთი ფოტოსურათი დიმიტრი ერმაკოვის ან ალექსანდრე როინაშვილის კოლექციიდან, რომელზეც თბილისის სწორედ ეს მონაკვეთია გამოსახული (სურ. №2). ფოტოზე მკაფიოდ მოჩანს თეატრის სილუეტი და მისი მტკვრისპირა ფასადის საკმაოდ დეტალურად პროფილირებული მასები, რაც გვაძლევს საშუალებას ვითიქროთ, რომ თბილისის საზაფხულო თეატრი საინუინრო უწყების ბაღში კლასიცისტურ სტილში იყო აგებული.

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1872–1876 წლებში საზაფხულო თეატრი საფუძვლიანად შეუკეთებიათ. თეატრის გადაკეთების ავტორი ცნობილი თბილისელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი ყოფილა. საბუთში დეტალურად არის მოთხოვნილი თეატრის გადაკეთების შესახებ. აქვე დაცულია თბილისის საზაფხულო თეატრის დირექტორის და მეუზინაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის მიმოწერა თეატრში საამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით და ალბერტ ზალცმანის რამდენიმე პატაკი.<sup>3</sup> ფოტოზე ალბერტი თეატრის მტკვრისპირა ფასადის არქიტექტურა და თავად ის ფაქტი, რომ თეატრის საფუძვლიანი გადაკეთება დაავალეს ისეთი კლასის არქიტექტორს, როგორიც ალბერტ ზალცმანია, გვათიქრებინებს, რომ თბილისის საზაფხულო თეატრი საინუინრო უწყების ბაღში თბილისის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში უნდა ყოფილიყო.

დროებითი საზაფხულო თეატრის გადაკეთება გამოწვეული იყო მუდმივი თეატრის დაწვით. ეს შენობა, რომელიც 1847–1851 წლებში ააგო თბილისში მომუშავე იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკუ-დიერიმ ყოფილ ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნის

შუაგულში, თეატრთან ერთად ქარვასლასაც შეიცავდა. 1874 წელს ხანძრის შედეგად თეატრის უმშვენიერესი დარბაზი, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა მნახველი, დაიწვა და ქარვასლა უთე-ატროდ აღადგინეს.<sup>4</sup> საზაფხულო თეატრის შენობასთან არის დაკავ-შირებული იმდროინდელი თბილისის კულტურული ცხოვრების ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი. როგორც თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე წერს, „...უთეატრობის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში კიდევ ერთხელ დაიბადა პროფესიული ქართული დრამატული თეატ-რი... 1879 წლის 1 სექტემბერს, საზეიმო ვითარებაში, გაიხსნა აღდგენილი მიუდმივმოქმედი პროფესიული ქართული თეატრის პირველი სეზონი. წარმოდგენილი იყო ბარბარე ჯორჯაძის სამმოქმე-დებიანი კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ და რაფიელ ერისთავის მიერ გადმოკეთებული ერთმოქმედებიანი ვოლევილი „იჭვიანი“.<sup>5</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პრემიერა უკვე ალბერტ ზალცმანის მიერ განახლებულ თეატრის შენობაში შედგა. დროებით სახაზინო თეატრში გამოიდოდნენ ცნობილი მსახიობები: სუმბათაშვილ-იუჟინი, ლენსკი, ერმოლოვა. აქ მოღვაწეობდნენ ვ. აბაშიძე და მ. საფაროვა-აბაშიძე, ლ. მესხიშვილი და კ. მარჯანიშვილი. ამ თეატრში 1886 წლის 1 მაისს დაიდგა პეტრე ჩაიკივსკის ოპერა „მაზეპა“ მისივე თანდასწრებით. 1891 წლის 24 აგვისტოს ამ ნაგებობაში გაუმართავს კონცერტი ცნობილ მუსიკოსს არტურ რუბენშტეინს. ამ თეატრის სცენაზე გამოსულა ცნობილი თეოდორ შალიაპინი.<sup>6</sup>

საინჟინრო უწყების ბაღისა და თბილისის საზაფხულო თეატრის აღგილას დღეს „საქმრეწვმშენანკისა“ და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ორი მაღლივი შენობა დგას. თეატრის ამ აღგილზე არსებობას თბილისის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესრუ-ლებული გეგმები ადასტურებენ (იხ. 1884, 1894, 1902 წლების გეგმები), სადაც მკაფიოდ გამოიყოფა ზემოთაღნიშნული ქუჩების რკალი, საინ-ჟინრო უწყების ბაღი და საზაფხულო თეატრი მის შიგნით. 1859 წლის თბილისის გეგმაზე დატანილია საინჟინრო უწყების ბაღი თეატრის გარეშე. როგორც ჩანს, ამ წელს თეატრი ჯერ არ არის აშენებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარტოლდის თეატრის ახლადაშენებული შენობა მოუნიშნავს თავის სურათზე. ბარტოლდის სურათზე თეატრი ბაღის სიღრმეშია მოთავსებული, მაშინ როდესაც ის მტკვართან უფრო ახლოს იყო, თბილისის ზემოთნახსენები გეგმების მიხედვით ის

საინჟინრო (დღეს სოლიკო ვირსალაძის) ქუჩას უშუალოდ ებჯიხებოდა.

პირობითია კავკასიაში ერთერთი უძველესი სასწავლებლის - თბილისის გიმნაზიის (დღევანდელი კლასიკური გიმნაზიის) გან-თავსება სურათზე. ბარტოლდი თითქოს ამოკლებს გოლოვინის პროსპექტის სიგრძეს და ათავსებს თბილისის გიმნაზიის შენობას რამდენიმე სახლის გამოტოვებით. მაგალითად მას არა აქვს დახატული გენერალ-ლეიტენანტ თავად ივანე მუხრანბატონის სახლი, რომელიც გოლოვინის პროსპექტისა და გიმნაზიის ქუჩის (რუსთაველის პროსპექტისა და ლესია უკრაინკას ქუჩის) კუთხეში აშენდა 1854 წელს. ამავე შენობაში იმყოფებოდა ე.წ. თბილისის საკრებულო 1855 წლიდან რევოლუციამდე. 1921 წელს შენობა ხანძრის შედეგად დაიწვა.<sup>7</sup> დღეს აქ კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა დგას.

ბუნდოვნად არის გამოსახული ბარტოლდის ნახატზე წმ. გიორგის სახელობის სომხური გრიგორიანული ეკლესია. იგი ყოფილი კომენდანტის (გრიბოედოვის)<sup>8</sup> ქუჩაზე მდებარეობდა და დღეს არ არსებობს. ეს ადგილი ალ. გრიბოედოვის ქუჩის დაახლოებით იმ მონაკვეთს ემთხვევა, სადაც ახლა მ. კალაშნიკოვის მიერ აშენებული ეზოიანი საცხოვრებელი სახლი დგას (ახლანდელი გრიბოედოვის ქ. №20). ეკლესია უშუალოდ არშაკუნისეულ ცნობილ სახლს<sup>9</sup> ემიჯ-ნებოდა და, შესაძლოა, მას ეკუთვნოდა კიდეც, რადგან თბილისის 1884 წლის გეგმაზე ეს ეკლესია არშაკუნისეულად მოიხსენიება.<sup>10</sup> ასევე იხსენიება იგივე ეკლესია თბილისის 1894 წლის გეგმაზე, რომელიც 1895 წლის „კავკაზიკი კალენდარს“ ერთვის.<sup>11</sup> კარგად მოჩანს წმ. გიორგის ეს ეკლესია ზემოთმოტანილ ფოტოსურათზე (სურ. №2). ეკლესის მასები, გუმბათის მაღალი ყელი და სამრეკლო ნათლად იკითხება განაშენიანების ფონზე.

ყურადღებას იპყრობს ბარტოლდის ნახატის მარჯვენა მხარეს გამოსახული მსხვილმასშტაბიანი ნაგებობების ყრუ ფასადები, მათი საკმაოდ მკაცრი იერი. ეს, როგორც ჩანს, კავკასიის მესანგრეთა პირველი ბატალიონის ყაზარმებია. ისინი XIX საუკუნის მრავალ გეგმაზეა დატანილი და დღესაც არსებობს.<sup>12</sup> მათი ფასადები საპი-ორნაიას (რეზო თაბუკაშვილის), ვოლოვოზნაიას (რევაზ ლალიძის), ბროსეს ქუჩებსა და საპიორნაიას I შესახვევზე (რეზო თაბუკაშვილის შესახვევზე) გადის. მესანგრეთა ყაზარმები გოლოვინის პროსპექტის საერთო ნიშნულის რამდენადმე ქვევით ჩანს განთავსებული. დღეს აქ



სურ.2. ობილისის ხედი მარცხენა სანაპიროდან. 1870-იანი წლების ფოტო.


სამხედრო უწყების გაზეთის „ზაკავკაზსკიე ვოენიე ვედომოსტის“ გამომცემლობა და ტიპოგრაფია, საქართველოს რესპუბლიკაში ევროკავშირის დელეგაცია, მთაწმინდის რაიონის პოლიცია და სხვა დაწესებულებებია განლაგებული.

სურათზე ქალაქს ასრულებს მთაწმინდის სილუეტი. იგი თითქოს აერთიანებს და კრავს სურათს – მთაწმინდა ხომ XIX საუკუნის თბილისის დომინანტია. შეიძლება ითქვას, იგი ისეთსავე როლს ასრულებს გოლოვინის პროსპექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სივრცით აღქმაში, როგორსაც მეტები და ნარიყალა ფეოდალური ხანის ქალაქში.

ბარტოლდის ჩანახატზე მოჩანს ალექსანდრე გრიბოედოვის 1832 წელს დადებული საფლავი და მამადავითის ეკლესია. როგორც ცნობილია, 1861 წელს საქართველოს ეგზარქოსის მამა ევსეის განკარგულებით დაიწყო ზრუნვა მამადავითის ახალი, ადრინდელზე უფრო დიდი ეკლესის ასაშენებლად. 1861 წლის 16 ოქტომბერს ეგზარქოსმა აკურთხა მომავალი ეკლესიის საძირკველი. ეკლესიის კურთხევა ხის გუმბათით 1871 წლის 12 სექტემბერს მოხდა. 1879 წლის იანვარს გუმბათის ყელი ჯერ კიდევ დაუსრულებელია, რაც ნათლად ჩანს ნახატიდან, რომელიც ერთვის დ.ნატივეის „წიგნს „წმინდა დავითის სავანე საქართველოში“, სადაც ასახულია ალ. გრიბოედოვის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებული ცერემონიალი. მთლიანად ეკლესიის მშენებლობა კი 1879 წელს დასრულდა.<sup>13</sup>

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარტოლდის სურათზე მამადავითის სწორედ დღევანდელი ეკლესიის წინამორბედი, 1809–10 წლებში აგებული ძველი ეკლესიაა გამოსახული. ეს კი სურათის მნიშვნელობას დიდად ზრდის. რაკი ახალი ეკლესიის საძირკველი 1861 წლის 16 ოქტომბერს აკურთხეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარტოლდს თავისი სურათი 161 წლის 16 ოქტომბრამდე, დახლოებით ზაფხულის თვეებში უნდა ჩაეხატა. სურათზე სწორედ ზაფხულის თბილისია დახატული გაშლილი, ფოთლოვანი ხეებითა და ბუჩქებით.

ბარტოლდის ჩანახატი შესაძლებელია ერთიანი გრძივი პანორამის ფრაგმენტიც იყოს, მსგავსად ნიკანორ ჩარნეცოვის მიერ შესრულებული თბილისის ხედისა, რომელიც მან ნატურიდან ჩახატა 1831 წელს, ან დიმიტრი ერმაკოვის 1863–64 წლების თბილისის პანორამისა, რომელზეც მტკვრის მარჯვენა სანაპიროა ასახული და ხუთი



სურ.3. XIX ს. 90-იანი წლების თბილისის გეგმა.

მონაკვეთისაგან შედგება.<sup>14</sup> ბარტოლდის ჩანახატიდან რჩება შთა-ბეჭდილება, თითქოს იგი ერთიანი გრძივი კომპოზიციის ფრაგმენტია და ეგებ გამოჩნდეს კიდეც როდესმე მისი დაკარგული ნაწილებიც.

მნელია დაადგინო წერიტილი, საიდანაც ბარტოლდის შეიძლებოდა ჩაეხატა თბილისის ეს ხედი. არა თუ დღეს, არამედ უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის ეს ფრაგმენტი მკვეთრად განსხვავდებოდა ბარტოლდის დროინდელისაგან. ერთი რამ, რაც უცვლელი დარჩა, არის რელიეფი – თავად მთაწმინდა, მისი კალთები, მისი მიმართება თბილისის სხვა ნაწილებთან.

ამ ადგილის ძებნისას ჩვენ თბილისის ერთერთ ძველ უბანს ჩუღურეთს მივმართეთ (ჩუღურეთი ბარტოლდის დროს, როგორც ცნობილია, განაშენიანებულია)<sup>15</sup> და დღევანდელი არნ. ჩიქობავას ქუჩის (ყოფილი ჩერქეზოვის, ავჭალის, საბჭოს) №№ 5-11 სახლებს შორის შევჩერდით, რაღან ამ ქუჩაზე მდებარე სახლების სახურავებიდან მოჩანს მთაწმინდა სწორედ იმ რაკურსით, როგორც ბარტოლდის სურათზე არის ნაჩერები. განსაკუთრებით საგულისხმოა სურათის შარცხენა შხარეს მთაწმინდის სალალაკის მთასთან შეყრის ადგილი, რომლის კონფიგურაციაც ძალიან ზუსტად ემთხვევა დღევანდელ სიტუაციას. ამ ადგილიდან იმავე რაკურსით მოჩანს მთაწმინდის ახალი ეკლესიაც და ამ ეკლესიისაკენ მიმავალი სერპანტინიც, რომელიც ადრე არსებული ბილიკის ნაცვლად გაუკეთებიათ გენერალ ლეიტენანტ ერმოლოვის ბრძანებით 1817 წელს.<sup>16</sup> ბარტოლდის სურათზე მამადავითის ძველი ეკლესია გამოსახული, მაგრამ მისი კორპუსის რაკურსი აღნიშნული წერტილიდან თანამედროვე ეკლესიის კორპუსის რაკურსის იდენტურია, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ბარტოლდს ხედი შეიძლება სწორედ ამ ადგილიდან ჩაეხატა. იგივე ადგილი აურჩევია, როგორც ჩანს, დ. ერმაკოვსაც ზემოთმოხსენიებული სურათის გადასაღებად. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას კვლავ მთაწმინდის კალთების მიმართულება, ზემოთნახსენები სერპანტინისა და მამადავითის ეკლესიის კორპუსის იგივე რაკურსით მდებარება გვაძლევს.

ბარტოლდის ნახატის გამოაშეკარავებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტორიული თბილისის ამ კონკრეტული უბის შესასწავლად. ნახატის დეტალური კვლევა რაღაც ახალს შესძენს თბილისის არქიტექტურით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ის საშუალებას

გვაძლევს წარმოვიდგინოთ ქალაქის ერთი მონაკვეთის განაშენიანების  
მასშტაბი, მისი სივრცითი სტრუქტურის ხასიათი, დავადგინოთ  
ზოგიერთი დღეს არარსებული ნაგებობის თუ ნაგებობათა ჯგუფების  
ადგილი. ნახატმა შეიძლება გარკვეული სამსახური გაუწიოს ქალაქის  
რესტავრატორებსაც, რადგან ალექსანდრე როინაშვილის და დიმიტრი  
ერმაკოვის უფრო გვიანდელ ფოტომასალასთან ერთად ის წარმო-  
ადგენს ძვირფას საბუთს XIX საუკუნის თბილისის სტრუქ-  
ტურისშესასწავლად.

## ڦ ڙ ڻ ڻ ڻ ڻ ڻ ڻ

1. ვ. ბერიძე, ობილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. II, თბ., 1960, გვ. 42-45.
  2. გ. ბეჯანიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბ., 1967, გვ. 40.
  3. ობილისის სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი № 5, № 2258. ერთერთ პატაკში ალბერტ ზალცმანი წერს: „Предписаниемъ отъ 1-ого истекшаго Октября за № 4617, поручено мне Вашимъ Превосходительством составить смету на некоторые ремонтныя исправления въ здании летняго театра, а также переделать заного деревянныя къ нему пристройки. На все новыя и ремонтныя работы мною составляются проекты и сметы, которая будут въ непродолжительномъ времени представлены“.
  4. ვ. ბერიძე, ობილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ., 1960, გვ. 58-59.
  5. 6. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 74.
  6. გ. ბეჯანიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბ., 1967, გვ. 40-41.
  7. თ. გერსამია, ძველი ობილისი, თბ., 1984, ანოტაცია № 178.
  8. იქვე, ანოტაცია № 180.
  9. შენობა აშენდა XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, არქიტექტორ გრ. ივანოვის მიერ 1856 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით. 1869 წლიდან 1886 წლამდე ამ სახლში თბილისის „საარტისტო წრე“ იყო მოთავსებული. ამჟამად ამ შენობაში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. იხ. 3 ბერიძე, ობილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ., 1960, გვ. 118.

10. იხ. თბილისის გეგმა, შედგენილი ი.ფ.კლემენტიევის მიერ 1884 წელს,  
შესწორებული და შევსებული 1898 წლის 1 იანვარს, № 35, Церковь  
Армяно-григорианская Св. Георгия (Аршакуньевская).
11. იხ. Кавказский календарь на 1897 год, Тифлис; 1896 год,  
Приложение к плану А-2, Церковь Армяно-григорианская Св.  
Георгия (Сасахле) - სასახლე, ჩოგორუ ჩანს, არშაკუნისეულ სახლს  
გულისხმობა.
12. იხ. Кавказский календарь на 1895 год, Тифлис; 1895 год.  
Приложение к плану А-Казармы 1-го Кавказского Саперного  
Батальона ёб Кавказский календарь на 1897 год, Тифлис; 1896  
год. - Приложение к плану А-Казеные здания Саперного  
батальона და 1843, 1844, 1859 წლების და სხვაგეგმები.
13. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. II, თბ.,  
1963, გვ. 29 (სქოლით), обитель св. Давидова в Грузии, Тифлис, 1913,  
გვ. 12-13, 20; თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, ანტაცია № 148; ქ.  
ჩორგოლაშვილი, მთაწმინდა, თბ., 1979, გვ. 26.
14. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, ილუსტრაცია № 1.
15. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. I, თბ.,  
1960, გვ. 25-26.
16. Т. Квирквелиа, Архитектура Тбилиси, Тб., 1982, გვ. 178.

## XX საუკუნის ხელოვნება

ნათია რამიშვილი

გაშინიზმი და ახალი თვალთახდვა

XIX საუკუნე მეცნიერების სწრაფი განვითარების ხანად ითვლება. საბუნებისმეტყველო დარგებისა და ტექნიკის მიღწევები სასწაულებს ახდენს – ჩნდება რკინიგზა, ტელეგრაფი, ახალი სამშენებლო მასალები (რკინა-ბეტონი), ფოტოგრაფია, კინო და სხვა. იცვლება აღამიანის სულიერი სამყარო. იდეალები. „რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებული ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენ თვრამეტ საუკუნეს ერთად არ ახსოვს“ – ამბობს ილია ჭავჭავაძე საუკუნის მიწურულს. მაგრამ იქვე სვამს კითხვას: „დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა?“ (6,171-173). ტექნიკურმა პროგრესმა მას შემდეგ არნახულ მასშტაბებს მიაღწია და ადამიანისთვის არა მხოლოდ კომფორტის შემქმნელი, არამედ საშიში და დამღვრცველიც კი გახდა. ილიას შეკითხვა ისევ ჰერში გამოკიდებული დარჩა უპასუხოდ და კიდევ უფრო მწვავე ფორმა მიიღო; ტექნიკური პროგრესის საკითხი იმთავითვე იქცა განსჯის ერთ-ერთ უმთავრეს საგნად. ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ერთი მხრივ, ხელოვნების მკვლევართა მოსაზრებები ამ საკითხის თაობაზე და, მეორე მხრივ, თვით მხატვართა მიერ დანახული და ასახული ძერები ადამიანის შინაგან სამყაროში.

არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ტექნიკური პროგ-რესის შესახებ. XX საუკუნის ზოგი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ხელვნებათცოდნე მას ადამიანის სულიერი დაცემისა და ჩვენი ეპოქის უდიდესი კატასტროფების მიზეზად მიიჩნევს (თ.ადორნო, ე.ფრომი, ო.შპენგლერი, პ.ზედლმაირი). სხვები, პირიქით, ხოტბას ასხამენ ტექნიკურ მიღწევებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდისტ მხატვართა მისწრაფება.

ყოველივე ახლისადმი და აღფრთოვანება „მაშინიზმით“, რომელიც მათი შემოქმედების წამყვან თემად იქცა. ეს გლობალური ხასიათის მოვლენა იყო და არ შემოფარგლულა რომელიმე ერთი ქვეყნის ან ქალაქის მხატვრული ცხოვრებით ისევე, როგორც დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა და ახალმა იდეოლოგიამ (სოციალიზმი, მატერიალიზმი, უნივერსალიზმი) მოიცავა მთელი ევროპა და გამსჭვალა ახალი რევოლუციური იდეებით. ქველის ნგრევა და ახლის შენება, მეცნიერებისა და ტექნიკის გაღმერთება, დაპირისპირება ყოველივე მარადიულთან, ტრადიციულთან, ეროვნულთან, რელიგიურთან ერთგვარ მოდად, „კარგ ტონად“ იქცა საუკუნის დასაწყისის მხატვართა წრე-ებში. „XX საუკუნის დასაწყისში სციენტიზმი იქცევა ახალ მსოფლიო რელიგიად, მისი უხეში ფორმებით – მასების რელიგიადაც კი, ხოლო დახვეწილი ფორმებით – „ინტელიგენციისა“; მსოფლიო რელიგიად სხვადასხვა კონფესიით, მაგრამ საერთო სულისკვეთებით“ (18,185). ამ ახალმა რელიგიამ საქართველოშიც შემოაღწია და გარკვეული გამოხმაურებაც პოვა ქართველ ხელოვანთა წრეებში. „დღევანდელი ცხოვრების გარემო ძლიერ განსხვავდება წარსულისაგან. ახლა მეცნიერებას უდიდესი ადგილი უჭირავს ცხოვრებაში და მაშინიზმი – მეცნიერების შედეგი – უმთავრესი ძარღვია დღევანდელი ცხოვრებისა. მანქანა გამოსახავს მთელი ჩვენი არსებობის ხასიათს. ქიმიის დაწინაურებამ, ფოლადის გაუმჯობესებამ მოგვცა საშუალება მანქანების და მოტორების გაკეთებისა. დღევანდელი საშენი მასალა უმთავრესად რკინა და ბეტონია. ხისა და ქვის გათლის მაგიერ ადამიანი უკვე ფოლადსა თლის და ასპეტაკებს“ (3,83). დავით კაკაბაძის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს საუკუნის დასაწყისის მისწრავებებს, იმ საერთო განწყობილებას, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო, თანაც ამ სიტყვების ავტორია ქართველი მხატვარი, რომელიც განსაკუთრებით კარგად ხედავს და აფასებს ძველ მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, ზრუნავს ქართული მხატვრული „ენის“ აღორძინებისათვის. „საჭიროა შევიგნოთ ჩვენი წარსული მხატვრობა, საჭიროა შეგნება არამც თუ წარსული მხატვრობის, არამც ხუროთმოძღვრებისა, ქანდაკებისა და მწერლობისა“ – წერს იგი 1919 წ. უურნალ „მვიდ მნათობში“ (2,142). XX საუკუნის დასაწყისის ქართული მხატვრობა დგება პრობლემის წინაშე – შეინარჩუნოს თავისი ეროვნული, განუმეორებელი სახე და ამავე დროს, გაიზიაროს ის საერთო ახალი სულისკვეთება, რომელიც

საოცარი წამლეკავი ძალით იჭრება ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც ტოტალური, შეუქცევადი მოვლენა. ამ ეპოქის წიაღში ჩასახული ხელოვნება, ბუნებრივია, სხვადასხვა ოდენობით აუცილებლად შეითვისებდა ახალ იდეალებს. შესაფერის ნიადაგს ქმნიდა ის გარემოებაც, რომ იმ პერიოდის ქართული საზოგადოება საკმაოდ დაშორდა სარწმუნოებასა და წარსულის ქრისტიანულ იდეალებს. ძველი ხელოვნებით დაინტერესება, მისი კვლევა და შესწავლა უფრო მეცნიერული ხასიათისა იყო. „ეკლესიას ისინი აღარ აღიქვამდნენ პროგრესის მეტოქედ თუ საეჭვო მოკავშირედ, იგი მათთვის დაძლეული იყო და, ზოგიერთი ესთეტიკოსისა არ იყოს, სიშორიდან, „ნეიტრალური“ ხედვის წერტილიდან იხილეს მათ ქართული ტაძრები და მათი სამკული, ესთეტიკურ, მხატვრულ მოვლენად“ (1). ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ახალი მხატვრული „ენის“ მისაგნებად ისევ წარსულის ხელოვნების კვლევას მიმართავენ. „აქ ჩვენ დაგვეხმარება მეცნიერება, რომლის მეთოდის საშუალებით ჩვენ უფრო მაღე მივაღწევთ მიზანს“ – ამბობს დავით კაკაბაძე. ეროვნული ნიადაგის შემზადება, გამაგრება და საუკუნის ახალი იდეების შეთვისება და არა პირდაპირი გადმოღება და მიბაძვა – აი, რა იყო ქართველ ხელოვანთა და მოაზროვნეთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ამ პერიოდში. ამგვარ მისწრაფებებს კარგად გამოხატავს ტიციან ტაბიძის სიტყვები: „ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები“ (5).

ეს ახალი იდეები თავად ევროპელებისათვისაც ახალი იყო. გერმანელი ხელოვნებათმცოდნე ვერნერ ჰაფტმანი XX საუკუნის მხატვრობის განხილვისას აღნიშნავს, რომ „მხატვრობაში რაღიკა-ლური ცვლილებები მოხდა 1900–1910 წლებში. 1905 წელს ფოვიზმი წარმოიშვა, 1907 წელს – აბსტრაქტული სურათი. ამ თარიღებს შეიძლება დაერთოს მეცნიერების ისეთი მიღწევები თუ აღმოჩენები, როგორიც არის 1900 წელს პლანკის მიერ კვანტური თეორიის აღმოჩენა, ამავე წელს ფრონიდის მიერ სიზმრის მნიშვნელობის ახსნა, 1905 წელს აინშტაინის ფარდობითობის თეორიის შექმნა, 1908 წელს – მინკოვსკის მიერ სივრცით-დროითი განზომილების მათემატიკური ფორმულირება“ (12,8). მკვლევარი თარიღების თანხვედრაში გულისხმობს

მეცნიერების არა უშუალო გავლენას ხელოვნებაზე, არამედ იმ საერთო ატმოსფეროს, რომელშიც ზოგადად მოექცა ადამიანი საუკუნის და-საწყისში, თითქმის რევოლუციურ ცვლილებებს ადამიანის გარე სამყაროსთან მიმართებაში, ყოველივე ხილულის ახალ, მეორე „რეალობად“ წარმოჩენას, რაც ამა თუ იმ აღმოჩენის საფუძველზე მოხდა. ვ-პაფტმანის აზრით, ის ხე, ვარდი თუ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელიც ყოველთვის იყო და თითქოს არ შეცვლილა, დღეს პოეტისა და მხატვრისათვის, როგორც ხედვის წარმმართველისათვის, აღარ არსებობს, წარმოიქმნება სრულიად სხვა „ოპტიკა“, სხვა „ხედვა“. „მისი (მხატვრის) გამჭოლი მზერა ხილული ფორმის იქით არსებულ გენეტიკურ პროცესებში ატანს. ინტერესი ძირითადი ცნებებისადმი - ხე, ყვავილი, ნაკადული - გადადის მათში დაფარული დინამიური ქმედების ცნებებზე - ზრდა, აყვავება, ჩუხჩუხი... ოპტიკის ამგვარი გადანაცვლება კი ანარეკლია ჩვენი რეალობის განცდაში მომხდარი ძვრებისა“ (12,8). აღმოჩნდა, რომ ადამიანის თვალის - ხედვის ორგანოს დიაპაზონი საკმაოდ შეზღუდულია და მხოლოდ გარკვეულ ფიზიკურ ფერთა შეკალაში ახდენს ორიენტაციას - მაგალითად, ინფრაწითელსა და ულტრაიისფერს ის ვერ აღიქვამს; აღმოჩნდა, რომ დრო და სივრცე განუსაზღვრელია, ადამიანის მიერ აღქმული გარე სამყაროს ობიექტური სურათი ირყევა; მხატვრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა - სიზუსტით ასახოს გარემო - აბსურდული ხდება - ფოტოაპარატი გაცილებით უკეთ ასრულებს ამ ამოცანას. „დღევანდელი ადამიანის აზროვნება, მსჯელობა და მისი ყოველივე ფსიქიური პროცესი უკვე სხვა სახისაა, ვიღრე წინათ... მაშინიზმის საგნების ცენტრით შეიცვალა აგრეთვე ჩვენი თვალთახედვა“ (3,85-86).

თვალთახედვის შეცვლა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა. მხატვრობის მაგალითზე შეიძლება თვალი მივაღევნოთ XIX-XX საუკუნეთა მიჯნას მიახლოებულ ხელოვანთა მისწრაფებებს, მათ მიერ ახალი საშუალებებით ახალი ხედვის დამკვიდრების მცდელობას. მაქს იმდალი წიგნში „Farbe“ (ფერი) მსჯელობს XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული „ხედვის“ ამსახველი ახალი თეზისის თაობაზე. მას მოჰყავს ჯონ რასკინის ფრაზა (ტერნერის ფერწერის მიმართ გამოთქმული) თვალის „უმანკოების“ შესახებ: „სინამდვილის ამსახველი ჭეშმარიტი ხედვა არის მხოლოდ სიბრტყეზე ფერების მონაცვლეობა,

ყოველი სხვა წარმოდგენა საგანზე კი ჩვენი შემეცნების, გამოცდილების და სწავლის შედეგია. ამგვარი გამონათქვამები აქვთ XIX საუკუნის სხვა თეორეტიკოსებსაც. მათში იკვეთება ერთი აზრი, რომ ყოველგვარი ცნებისა და აპრიორული ცოდნის უკუგდება აძლევს მხატვარს შესაძლებლობას, ჩასწვდეს ხილული სამყაროს ჭეშმარიტ არსეს“ (15, 19–34). ეს არის სწორედ იმპრესიონისტული ხედვა. ბუნების მხოლოდ ხილული ანარეკლის დაფიქსირება თვითმიზნად იქცევა ამ პერიოდის მხატვრობაში. ყველაფერი ხდება გაბუნდოვნებული, არამდგრადი და ფერთა ლილივში იძირება. იშლება კონტურები და საზღვრები საგნებს შორის (კ.მონე). ამგვარი „ცნებაგამოცლილი“ (Entbegriffliche – მაქს იმდალის მიერ შემოტანილი ტერმინია) ხედვა, ავტორის აზრით, უკვე სხვაგვარად ვლინდება პ.სეზანის მხატვრობაში. რასკინისეული თეზისი შეტრიალდება და ახალ დატვირთვას იძენს. თუმცა სეზანიც იზიარებს „ბუნებასთან უშუალოდ მისვლის“ იდეას – „არსებობს საგნების წმინდა ფერწერული ჭეშმარიტება. რარიგ ძნელიც უნდა იყოს ბუნებასთან უშუალოდ მისვლა, უნდა შეგეძლოს მას ახალშობილის თვალით შეხედო“ (13, 17) – მაგრამ მისი ფერწერა ითვალისწინებს არა მხოლოდ ფერებად დაშლას, არამედ კონსტრუქციულ აგებასაც. მხატვრის ამოცანას წარმოადგენს კოლორისტული კონსტრუქციის, სისტემის შექმნა, ანუ ერთდროული პროცესი დაშლისა და შექმნისა, როდესაც „უბრალო ლაქების ურთიერთკავშირით მოწესრიგებული კოლორისტული სისტემა აღმოცენდება“ (სურათი „სენ-ვიქტუარის მთა“). აქ საქმე გვაქვს უკვე არა პასიურ, „ცნებაგამოცლილ“ აღქმასთან, არამედ „მჭკვრეტელ ხედვასთან“ (Sehende sehen): „ხატვის პროცესში თვალი და ტვინი ერთმანეთს უნდა შეეშველოს და უნდა ვიმუშაოთ მათი ურთიერთსრულქმნისათვის – ფერადოვან შთაბეჭდილებათა ლოგიკური განვითარების გზით. მაშინ სურათები ბუნების კონსტრუქციები იქნება“ (13, 18) – ამბობს სეზანი. ამ პრობლემის გარშემო მრავალი თქმულა. ცნობილია, რომ შემოქმედების აქტი თავისთავად გულისხმობს გარკვეულ პროცესს, რომელშიც რამდენიმე კომპონენტი მონაწილეობს: ინდივიდი (სუბიექტი), გარე სამყარო (ობიექტი) და კიდევ „რაღაც“ – მათი დამაკავშირებელი, რომლის გარეშეც ურ შეიქმნება ხელოვნების ნაწარმოები. მხოლოდ სუბიექტური განცდა ან ობიექტის ზუსტი ასახვა არ არის საკმარისი შემოქმედებითი პროცესისათვის. არც მხოლოდ ცალკეული მონასმი

ან ლაქა ტილოზე არ გამოხატავს თავისთავად არაფერს. „უსტი თუ მიმიკა ისევე ვერ იქნება მხატვრული ნაწარმოები, როგორც მხოლოდ ენობრივი ბგერა არ ნიშნავს უკვე მეტყველებას. ყოველი უსტი თავისთავად, ყოველი შორისდებული თავისთავად მუდამ დარჩება გამოხატვის ნაკლოვან ფორმად“ – ასე განმარტავს ხელოვნების არსებობის ფილოსოფოსი ერნსტ კასირერი დრამის მსახიობის მაგალითზე, როდესაც ყოველი „მისი სიტყვა თუ უსტი სტრუქტურული მთლიანობის ნაწილია“ (4,238). სტრუქტურა კი არ შეიძლება თავისთავად იყოს გამოვლენილი ბუნების მხოლოდ ასახვისას. როგორც ზუსტი, ნატურალისტური გადმოხატვისას იკარგება მთლიანობა, ასევე მხოლოდ ინსტიქტური, გაუაზრებელი, უნებლივი შტრიხი თუ მონასმი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულქმნილ ნაწარმოებად. დავით კაკაბაძე ამბობს: „პირველი შთაბეჭდილება მუდამ შედეგია თავის შინაგან კონსტრუქციასთან დაკავშირებული გარეგნული ფორმისა. ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი სწორედ საგანთა ამ თვისების აღმოჩენაში მდგომარეობს, რადგან საგანთა რეპრეზენტაცია იმ ხაზებისა და ფერების წარმოდგენაში რომ მდგომარეობდეს, რომლებიც მხოლოდ გარეგნულ ფორმას შეიცავენ, ამგვარი ნამუშევარი უსარგებლო გახდებოდა, შიგ შემოქმედებითი ნიჭი არ იქნებოდა ჩაქსოვილი. ის მხოლოდ არსებული საგნების იმიტაცია და გამორჩება იქნებოდა. როგორც კი საგანთა არსებობით ახალ ფორმას ვპოულობთ, შინაგან თვისებათაგან შეთხულ ფორმას“ (3,69). ამდენად, „შინაგან თვისებათა“ წვდომისათვის შემოქმედებით პროცესში ძირითადი და ყველაზე არსებითია ადამიანის გარემოსთან დამაკავშირებელი, „რაღაც“ – ისევე, როგორც მუსიკოსისათვის სმენა, ასევე მხატვრისათვის – თვალი, ოღონდ არა ჩვეულებრივი მხედველი, არამედ „მჭვრეტელი თვალი“, ანუ განსაკუთრებულად დახვეწილი, აქტიური ხედვის შედეგად გავარჯიშებული: „მჭვენიერებას ვერ ვეზიარებით მხატვრულ ქმნილებათა პასიური აღქმის გზით, არამედ ჩვენი გონის აქტიური თანამონაწილეობით, რომელიც უფლებამოსილია შეისმინოს, ან არ შეისმინოს მშვენიერის მოთხოვნა. მაგრამ ამ პროცესს არა აქვს სუბიექტური ხასიათი, არამედ როგორც ობიექტური სინამდვილის ჩვენებური ხედვის წინაპირობა, იგი დაფუძნებულია ხელოვნების შემოქმედებით აქტივობაში. ხელოვანი პასიური როდის, როცა საგნებს აღიქვამს და ამ აღქმების ფიქსაციას ახდენს, არამედ მის თვალს


მშვენიერების აღმოჩენის შესაძლებლობას უქმნის გონიოთ, კონსტრუქციული აქტები“ (4,238). რა თქმა უნდა, აქ მსჯელობაა ზოგადად ხელოვნების შესახებ და არ იგულისხმება რომელიმე კონკრეტული ეპოქის ან მიმართულების მხატვრობა, მაგრამ XIX–XX საუკუნეთა მიჯნა ის პერიოდია, როდესაც ყველაზე მეტად იჩენს თავს მისწრაფება ყველაფრის გაშიფრვის, გაშიშვლების, სააშკარაოზე გამოტანისადმი. შემთხვევითი არ არის, რომ სეზანი XX საუკუნის მხატვრობის ფუძემდებლად ითვლება. სტრუქტურის გამოვლენა, მისი დაშლა–აგება შემდეგ და შემდეგ სულ უფრო უკიდურეს ხასიათს იღებს და აბსტრაქციამდე მიდის. სწორედ იმ ახალ თვალთახედვას, როდესაც საგანი, ადამიანი, ბუნება თანაბრად გამოისახება და ერთნაირ დატვირთვას იღებს, საფუძველი ჩაეყარა სეზანის მხატვრობაში. ჰანს ზედლმაირის „აზრით, „ამის შემდგომ სულ მაღლე ერასთან ადამიანი ხის თოჯინას დაემსგავსება, მანეკენად, ავტომატად წარმოჩნდება, უფრო გვიან, მატისთან ადამიანის მნიშვნელობა არ აღემატება ხალიჩის ორნამენტს, ხოლო კუბისტებთან კი კონსტრუქციული მოდელის საფეხურზე დაიყვანება“ (19,126).

ფერნან ლეუეს 1910–იანი წლების კუბისტური ნამუშევრები ნათლად გამოხატავს ზემოთაღნიშნულ ტენდენციებს. ადამიანების ფიგურები, სახლები, ხეები თუ მანქანა თანაბრად გამოისახება, ერთნაირ ელემენტებად იშლება, ერთმანეთში ირევა. თითქოს ერთი მასალისაგან არის შექმნილი ცოცხალიც და არაცოცხალიც. ყველაფრი გაპრიალებული ლითონის მოცულობით კონსტრუქციულ ნაწილებად ქცეულა, რომლებიც სხვადასხვა განზომილებაშია წარმოდგენილი და ქალაქის ხმაურში, ქაოტურ მოძრაობაშია ჩართული (სურათები „კიბე“, „სახლები ხეებქვეშ“, „გარდისფერი ბუქსირი“, „ტიპოგრაფი“, „ადამიანები ქალაქში“ და სხვა). გამოსახულება ხშირად ისე ახლოს არის გამოსული წინა პლანზე, რომ მაყურებელი თითქოს მონაწილე ხდება ერთმანეთში ჩახერგილი მანქანური ელემენტების უდარუნისა. ამ სურათებიდან ერთგვარი ირონია თუ გროტესკიც გამოსჭვივის ტექნიკას დამორჩილებულ უმწეო ადამიანთა ფიგურების მიმართ.


იგივე შეიძლება ითქვას ამავე პერიოდის სხვა კუბისტთა ნამუშევრებზეც. მაგალითად, მარსელ დიუშანის „მეფე და დედოფალი შიველი ფიგურების გარემოცვაში“ – აქ უკვე სურათის სათაურშიც მოჩანს ის ირონია, რომელიც უთავო და გაურკვეველ კონსტრუქციებად

დაშლილ ფიგურებს გამოხატავს. სოფია ტაუტერ-არპის მარიონეტი - „ჯარისკაცი და ჯარი ერთდროულად“ (1918 წ.) - ასევე უთავო მექა-ნიკური ელემენტებისაგან შედგენილი ფიგურაა, რომლის მრავალი კიდურის ამოძრავებაც შესაძლებელია თოკების საშუალებით. აქაც ერთგარი გროტესკია: თითქოს პირქუში, უხეში ფორმების მქონე, უსახური ლითონის კონსტრუქცია ამავე დროს უსუსური და ძალიან მარტივია.

თუკი გადავხედავთ ფუტურისტების მანიფესტებს, რომლებიც ამ მიმართულების დამარსებელმა ფილიპო ტომაზო მარიონეტიმ გამოსცა 1909–10 წლებში, დავინახავთ, რომ აქ პირდაპირი მოწოდებაა ტექნიკის გაღმერთებისაკენ, ყოველივე ძველის დანგრევისა და ახალი რელიგიის შექმნისაკენ, სადაც მანქანა იქცევა მთავარ ღვთაებად. XX საუკუნის ცნობილ ფილოლოგ ერიხ ფრომს წიგნში „ადამიანური დესტრუქციის ანატომია“ განხილული აქვს ფუტურისტული მანიფესტი, როგორც ნეკროფილიის ტიპიური მაგალითი. ავტორი თვლის, რომ ტექნიკის გაღმერთება, მანქანის, არაცოცხალი მექანიკური ხელსაწყოების გა-ფეტიშება, რაც ასე დამახასიათებელია XX საუკუნისათვის, დეს-ტრუქციული ხასიათის მატარებელია. მისი აზრით, მარიონეტის მიერ პირველ მანიფესტში დასახულმა იდეალებმა სრული განხორციელება პოვა მეორე მსოფლიო ომის დროს ნაციონალ-სოციალისტების მე-თოდებში. მეორე მანიფესტი (1910) ქადაგებს თანამედროვეობის უდიდესი მიღწევის - სისწრაფისადმი თაყვანისცემას. „მანქანის მაღალი სისწრაფეებისადმი ლტოლვა სხვა არაფერია, თუ არა უმაღ-ლესი განცდა (ნეტარება) ღმერთთან შეერთებისა... მომავალი ნგრევა სახლებისა და ქალაქებისა - იმისათვის, რომ სივრცე შეიქმნას ავტო-საგომებისა და აეროდრომებისათვის“ (11.312–313). უპირველესი, რაც ფუტურისტთა ნამუშევრების დათვალიერებისას გვხვდება თვალში, არის საოცარი დინამიკა, თავბრუდამსხვევი ტრიალი. აქ, კუბისტე-ბისაგან განსხვავებით, უბრალოდ დაშლილი საგნები და სხეულის ნაწილები კი არ არის დახვავებული, არამედ ყველაფერი საერთო ორომტრიალში, ქაოსშია ჩართული. თითქოს ხმაურიან, არეულ სამყაროში მონაწილეობს აქაც უსახური და დაბნეული ადამიანი (უ. ბოჩნის „თავყრილობა გალერეაში“, 1909; „ქალაქის ხმაური სახლში იჭრება“, 1911). ნგრევა განუსაზღვრელ სივრცესა და დროში ხშირად აბსტრაგირებულია და ფარავს ყოველივე კონკრეტულსა და თვალსა-



Նոր.1. Եղ լուսուցք. Ֆլակաֆո. 1920



Նոր.2. Կորվելո Խարթաշմորուսո դարձաւ ժուրն գամոցյան. Ճերլոնի. 1920

ჩინოს (უ. ბოჩონის „სპირალური კონსტრუქცია“, 1913; „ელასტიკურობა“, 1912. კ. კარას „მილანის გალერეა“, 1912. ჯ. სევერიანის „ნგრევა“, 1914. ჯ. ბალას „მანქანა სრბოლის დროს“, 1913; „მანქანა და ხმაური“, 1912 და სხვა). აქ განზრახ არის შერჩეული ისეთი თემატიკა, რომელიც მაქსიმალური დატვირთვით გამოხატავს დინამიკას, მექანიკურ მოძრაობას.


კუბო-ფუტურისტული იდეები რუსეთშიც ფართოდ ვრცელდება და თითქმის წამყვან მიმართულებად იქცევა რუსეთის მხატვრულ წრეებში. საინტერესოა, რომ თუკი იტალიელი ფუტურისტები ფაშიზმის წინამორბედებად ითვლებიან (ცნობილია, რომ მარინეტი შემდგომში ფაშისტი სენატორი გახდა, ბოჩონი სამხედრო სამსახურში იყო), რუსეთში ფუტურისტული იდეები უპირველესად მემარცხენე მხატვრებმა აიტაცეს. სწორედ კუბო-ფუტურისტები ქმნიდნენ მარქსიზმის პროპაგანდისტულ აფიშებსა და პლაკატებს დემონსტრაციებზე გამოსაფენად. სწორედ კომუნიზმის იდეოლოგიაზე დაყრდნობით გაშალა ფრთხები კაზიმირ მალევიჩის სუპრემატიზმა, ვლადიმერ ტატლინისა და ალექსანდრ როდჩენკოს კონსტრუქტივისტულმა იდეებმა, რომელთა დამკვიდრებას დიდად უწყობდნენ ხელს მაშინდელი ბოლშევიზმის წარმომადგენლები ტროცკი და ლუნაჩარსკი (9.16). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალი იდეები, ახალი „თვალთახედვა“, „ახალი ხელოვნება“, „ახალი რეალიზმი“, ახალი მსოფლიოს შექმნა საერთო მოვლენაა საუკუნის დასაწყისში და ეს კარგად ჩანს ახალი მხატვრული ფორმის შემოტანაში. მაგალითად, მალევიჩის ადრინდელ ნამუშევრებს „მოსავალი“ (1912), „შეშის მჭრელი“ (1912) ბევრი საერთო აქვს ფრანგი მხატვრის ფერნან ლეეს ზემოთგანხილულ ნამუშევრებთან, ხოლო მალევიჩის ამავე პერიოდში შექმნილი „მღესავი“ კუბო-ფუტურიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ბევრი მსგავსი პარალელის გავლება შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის მხატვრებს შორის: ამავე იდეებით საზრდოობს გერმანიაში 1919 წელს ვალტერ გროპიუსის მიერ დაარსებული „ბაუჰაუზი“, მოვიანებით პოლანდიური „დე სტილის“ ჯგუფი, დადაისტები და სხვა. თუკი ფინეკოლოგი ერის ფრომი ფუტურისტულ მანიფესტს განიხილავს, როგორც დესტრუქციულსა და ნეკროფილურს, უფრო მეტად შთამბეჭდავი ჩანს ამ თვალსაზრისით რუსეთის მემარცხენე მხატვართა გამონათქვამები თუ ლოზუნგები. „ფერწერის გვამი, ბუნების



სურ. 3. გეორგ გროსი და ჯონ პარტფილდი პირველ საერთაშორისო  
დადაისტურ გამოფენაზე. ბერლინი. 1920

გადმოხატვის ხელოვნება, დღეს წევს კუბოში, რომელიც სუპრემატიზმის შავი კვადრატით არის დალუქული და მისი სარკოფაგი ხელოვნების ახალ სასაფლაოზე – ფერწერული კულტურის მუზეუმში – არის გამოფენილი პუბლიკისათვის“ – წერდა 1919 წელს მალევიჩის მიმდევარი ივან კლუნი (20,43). „Клином красным бей белых“ – აწერია ელ ლისიცის 1920 წლის ცნობილ პლაკატს. ნიკოლაი სუეტინის ერთ-ერთ ესკიზზე კი ვკითხულობთ რელიგიასთან ბრძოლის ცნობილ კომუნისტურ ლოზუნგს: „Религия опиум для народа“.

რა თქმა უნდა, რელიგიის ადგილი ამ პერიოდის ხელოვნებაში არ არის, ან კიდევ, ხდება ჩანაცვლება სხვა რელიგიით – ტექნიკის, მანქანის გაღმერთებით. პანს ზედლმაირის აზრით, ღმერთსა და ადამიანს შორის უფსკრულის წარმოშობა არის მიზეზი თვით ადამიანის ჩამოფასებისა, რასაც მოჰყვა მისი ხელოვნებიდან განდევნა და თავის-თავად ხელოვნების სიკვდილიც თანამედროვე მხატვრობის მრავალ მიმართულებაში. განსაკუთრებით კუბიზმსა და კონსტრუქტივიზმში „მწვერვალზეა აყვანილი ყოველივე არაცოცხალი, გაცივებული, ანორგანული, ამორფული, მექანიკური და მანქანური“ – ამობს იგი (17,157). 1920 წელს ბერლინის პირველ დადაისტურ გამოფენაზე გაკრული იყო ამგვარი ლოზუნგი: „ხელოვნება მოკვდა, გაუმარჯვოს ტატლინის ახალ მანქანურ ხელოვნებას“. ერთ-ერთ ფოტოზე მხატვრები გეორგ გროსი და ჯონ პარტფილდი ამ წარწერის დემონს-ტრირებასაც კი ახდენენ. აქვე იყო გეორგ გროსის პლაკატი წარწერით: „ძირს ხელოვნება, ძირს ბურჟუაზიული სულიერება“. ან კიდევ: „დილეტანტებო, აღსდექით ხელოვნების წინააღმდეგ“ და სხვა. დადაისტური გამოფენის (DaDa-Messe) გახსნა ხელოვნების წინააღმდეგ დემონსტრაციის „აქცია“ იყო – დადაისტები, თუმცა ტატლინის თეორიულ შეხედულებებს იზიარებდნენ, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არ იყვნენ ასე აღფრთოვანებულნი მანქანის ძალაუფლებითა და ტექნიკის სიზუსტით. თანამედროვეობის ეს სიმბოლო, ჩართული მათ კოლაჟებში, უფრო ირონიული ხასიათისა იყო. ხელოვნების უარყოფას, ახალი თვალთაშედვის დამკვიდრებას დადაისტური მოძრაობაც ცდილობს, რომელსაც ციურისში ჩაეყარა საფუძველი 1916 წელს და რომელმაც შემოიტანა ანტი-ხელოვნების ცნება. დადაისტებმა მოიტანეს ახალი დამოკიდებულება, რომელიც გამოხატავს შოკს, ირონიას, აბსურდს, ქაოსის ინსცენირებას, ნგრევის აქტს (17, 16-17). რუსული



სურ. 4. ს. ტაუბერ-არპი. ჯარისკაცი და ჯარი ერთდღოულად. 1918.

კონსტრუქტივიზმი უშუალოდ ფუნქციასთან, ტექნიკის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. როგორც დავით კაკაბაძე ამბობს, იგი „პირდაპირი შედეგია რუსეთში არსებული ახალი სოციალური წყობილების იდეოლოგიისა... ხელოვნება წარმოადგენს გამკეთებლის ფსიქოლოგიას, ესე იგი პროლეტარიატისას; კარგად გაკეთებული საგანი - აი, ხელოვნება. ხელოვნება თავისი საკუთარი მიზნებით უკვე არ არსებობს...“ (3.97). საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის მოწინავე მხატვრები ყველა ქვეყანაში ერთი აზრის არიან - „ხელოვნება მოკვდა“, „ხელოვნება უკვე აღარ არსებობს“. მართლაც, თითქოსდა იშლება საზღვრები ხელოვნებასა და სამომხმარებლო საგნებს შორის. ინდუსტრიული სამყარო მასობრივი წარმოებითა და მასობრივი კულტურით თავის წიაღში აქცევს ყოველივეს, რასაც კი ხელოვნება, შემოქმედება ჰქვია. მარსელ დიუშანის მიერ 1913 წელს ნიუ-იორკში გამოფენილი ბოთლების საშრობი - ე.წ. Ready-made - იყო ნათელი დემონსტრაცია იმ მიღვომისა, რომლითაც ნებისმიერი უტილიტარული დანიშნულების საგანი შეიძლება ხელოვნების ნიმუშად ჩაითვალოს (17,182-183). სწორედ ამ პერიოდში შექმნილ კ. მალევიჩის „შავ კვადრატს თეთრ ფონზე“ და Ready-made-ს თვლიან დასავლელი ხელოვნებათმცოდნები ერთგვარ ნულოვან წერტილად, გარდატეხად ხელოვნების ისტორიაში, როდესაც ფერწერამ და საგნობრივმა ხელოვნებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია (18, 137-140).

დროთა განმავლობაში ახალი „თვალთახედვა“ ბუნებრივად და შეუმნიერებელ მკვიდრდება XX საუკუნის ადამიანის ცნობიერებაში. ხელოვნების სამყარო კი თავის თავში აერთიანებს ყოველივეს - მასობრივი სამომხმარებლო პროდუქციით დაწყებული მდარე დილეტანტური „კიჩის“ ჩათვლით და იწყება თავბრუდამსხვევი მონაცემების სხვადასხვა „იზმების“, კონცეფციების, თუ აქციებისა. სულ უფრო და უფრო რთული ხდება გარკვეული კრიტერიუმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს უკვე ხალხისაგან მეტად დაშორებული და მიუწვდომელი ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში. ხელოვნება იქცევა კომერციის ერთ-ერთ სფეროდ, ბაზრის პროდუქტად. იწყება გაუთავებელი მსჯელობა და კამათი იმის შესახებ თუ რა არის ხელოვნება? რა არის ხელოვნების დანიშნულება? არის თუ არა ეს საერთოდ ხელოვნება? რა ელის ხელოვნებას? რა არის ეს - ძველის ბოლო თუ ახლის დასაწყისი და ა.შ. პანს ზედლმაირი ამბობს, რომ

„დღეს, როდესაც „თანამედროვე ხელოვნების“ შესახებ კამათობენ, ავიწყდებათ უმთავრესი – ის, რომ ხელოვნების ყველაზე უფრო ექსტრემალურ-რევოლუციურ მიმართულებებს თავად აღარ სურდათ, რომ ხელოვნებად წოდებულიყვნენ. ეს იყო ოციანი წლები, დიდი საჯაროების პერიოდი, როდესაც სახალხო დემოკრატია ჯერ კიდევ ღიად უწოდებდა თავს პროლეტარიატის ღიქტატურას და ავანგარდისტია მიერაც სრულიად ღიად გამოითქმებოდა“ (18,140). ამგვარი პროტესტი და აჯანყება სულაც არ არის მოულოდნელი XIX საუკუნის დასავლეთუროპული დეკადენტურ-ეკლექტიკური ხელოვნების ფონზე – თუკი ამ უახლესი წარსულის ხელოვნება, ზოგან ნატურალიზმამდე მისული, ზოგან უკიდურესად „დამტკარი“ და სტილიზებული, იწოდებოდა ხელოვნებად, ახალი თაობის მხატვრებს აღარ სურდათ იმავე სახელწოდების ქვეშ გაერთიანებულიყვნენ. მათ სურდათ ახალი სიტყვა ეთქვათ თავიანთი შემოქმედებით და უკიდურესი პროტესტის სახით მიექციათ საზოგადოების ყურადღება. ამით ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ტრადიციულსა და ძველს განურჩევლად. ხოლო ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა კი, ბუნებრივია, იწვევს საშიშროებას, ასცდე იმ შუალედურ მთავარ ღერძს, რომელიც, მართალია, არაჩვეულებრივი ფანტაზიის გაშლის საშუალებას აძლევს ადამიანს, მაგრამ არამდგრად და არამყარ მდგომარეობაში ტოვებს მას. უსარწმუნოებო, უწარსულო ხელოვნება იოლად იქცევა იდეოლოგიის იარაღად ან პროდუქტად, ამასთან, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიისაც კი. დღეს სულ უფრო ხშირად გამოითქმის აზრი სოციალისტური და ფაშისტური ხელოვნების იდენტურობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა იგორ გოლომშტოკის გამოკვლევა „სოციალისტური რეალიზმი“, როგორც მეორე „ინტერნაციონალური სტილი“ (7). ავტორის აზრით, სოცირეალიზმი არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ცალკეული ქვეყნის ადგილობრივ მოვლენად, არამედ უნდა განვიხილოთ XX საუკუნის მხატვრული კულტურის ფენომენად და, ამდენად, მეორე ინტერნაციონალურ სტილად მოდერნიზმის გვერდით. ამგვარი ხელოვნება ყოველთვის წარმოიქმნება ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც მთელი საზოგადოება მძლავრ მანქანურ - სისტემაშია მოქცეული (7,189). ხომ არ არის ეს ლოგიკური გაგრძელება XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ახალი „თვალთახედვისა?“ ისევე, როგორც გაგრძელება იმ სოციალური აფეთქებებისა,

რომლებითაც დაიწყო ჩვენი საუკუნე? ხომ არ გრძელდება ეს პრიცესის დღემდე, საუკუნის მიწურულამდე? ინტერნაციონალური სულით გაუდენთილ XX საუკუნეში, „მაშინიზმის“ ეპოქაში ხელოვნება, რომელიც ავტონომიურობისაკენ და ინდივიდუალიზმისაკენ მიისწრაფოდა, უეცრად იქცევა მასობრივ ხელოვნებად, განურჩევლად არსებული საზოგადოებრივი წყობისა. XX საუკუნეში თანაარსებობს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულებები, როგორიც არის, ერთი მხრივ, ავანგარდი, მოდერნიზმი და, მეორე მხრივ, სოცირეალიზმი და ნაციონალ-სოციალისტური ხელოვნება. მიუხედავად გარეგანი სხვაობისა, მათ ახასიათებს ერთი საერთო რამ - ეს არის ინტერნაციონალური სული, „თვალთახედვა“. დღეს, საუკუნის ბოლოს უფრო ნათლად იკვეთება მოდერნიზმის ნამდვილი არის. XX საუკუნის მეორე ნახევრის მიმდინარეობებმა კიდევ უფრო მეტად დააკონკრეტა, გაშიფრა და მძლავრად გამოავლინა ის იდეები თუ მისწრაფებები, რომლებიც საუკუნის დასაწყისის უკვე ძლასიკურ მოდერნიზმად წოდებულ ხელოვნებაში ჩაისახა. ახალმა მასალამ, ახალმა ტექნიკურმა საშუალებებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა „მაშინიზმის“ ეპოქის სულისკვეთება.

ისმის კითხვა: ხომ არ არის მოდერნიზმიც გარკვეული იდეოლოგიის გამომხატველი? საბჭოთა იდეოლოგია ხელოვნებას ინტერნაციონალიზმს „ავალებდა“, რაც ბუნებრივად წარმოშობდა პროტესტის გრძნობას აშკარად თავს მოხვეული იდეის მიმართ (ეს ცალკე კვლევის საგანია). ამ დროს დასავლური მოდერნიზმი თავისუფლების სიმბოლოდ აღიქმებოდა თვით დასავლელებისთვისაც კი და, როგორც იქაური ხელოვნებათმცოდნები ამბობენ, უკვე მათოვისაც აუტანელი გახდა გაუთავებელი რიტორიკა თავისუფლების შესახებ: „ლაპარაკია თავისუფალ ფორმაზე, დამოუკიდებელ ფერსა და სიბრტყეზე, ხელოვანის თავისუფლებაზე და ა.შ.“ (21.34) - წერს პეტერ ვაიბელი და იქვე დასძენს, რომ მოდერნისტული ხელოვნების იდეოლოგიის ფუნქცია ისიცაა, რომ ხალხს უტოპიური თავისუფლების შესახებ მოუთხროს - სიმბოლურად, წარმოსახვით და არა რეალურად. თავისუფლების ამ ილუზორულმა, აბსტრაქტულმა ცნებამ გადაფარა ნაციონალური მსოფლგაგება. ამდენად, მოდერნიზმი თავისთავად მოიცავს ინტერნაციონალიზმს, უნივერსალიზმს, რომელიც, იმავე ავტორის თქმით, უფრო ჰეგემონად იქცა თანამედროვე მსოფლიოში,

ვიდრე თავისუფლების სულისჩამდგმელად (21.35).

ომისშემდგომი დასავლეთის ხელოვნება დღეს ამერიკულ მულტიკულტურულ ჭრილში განიხილება. ეკრაპიდან ამერიკაში ექსპორტი-რებული ხელოვნება უკან დაბრუნდა „ახალი“ სახელწოდებითა და კიდევ უფრო დიფერენცირებული სახით: აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, ინფორმელი, ჰეპენინგი, ფლუქსუსი, ახალი რეალიზმი, პოპ-არტი, ოპ-არტი, კონცეპტუალური ხელოვნება, მინიმალიზმი, სტრუქტურალიზმი და სხვა; ოთხმოციანი წლებიდან იწყება ნეო გეო, ახალი ველურები, ტრანსვანგარდი, აგრეთვე Appropriation Art (მითვისების ხელოვნება), სიმულაციის ხელოვნება, მედიენ არტი, დიგიტალური ხელოვნება, დეკონსტრუქტივისტული არქიტექტურა და სულ ბოლოს კონტექსტუალური ხელოვნება. ხელოვნებათმცოდნე ჰანს ბელთინგი ამბობს, რომ ყოველი ახალი მიმდინარეობის წამომწყები ახალ ათვლის წერტილს (Nullpunkt) იგონებდნენ, რასაც კულტურაში ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც ახალ აღმოჩენას ტექნიკაში (10.62) და დაგროვდა უამრავი ათვლის წერტილი, რომლებსაც ბოლო არ უჩანს და რომლებიც საბოლოო ჯამში ქმნიან ერთ მთლიან ხელოვნებას, რომელიც უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც უნივერსალური, ტრანსნაციონალური თუ ტრანსკონტინენტური. დღეს, საუკუნეთა მიჯნაზე, ისევ მსჯელობის საგანია თანამედროვე ხელოვნების მომავალი. ხშირად მიიჩნევენ, რომ მომავლის ხელოვნება ტექნიკური პროგრესის წიაღში აღმოცენებულ ახალ საშუალებებშია (მაგალითად, დიგიტალური ტექნიკა). ამასთან დაკავშირებით ისეთი ახალი ცნების დამკვიდრება სცადეს, როგორიც არის Zweite Moderne, ანუ მეორე მოდერნიზმი (16), რაც მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ერთგვარი გაგრძელებაა. მაგრამ დავუძრუნდეთ ისევ ჰანს ბელთინგს, რომელიც თვლის, რომ დღეს დასავლეთის კულტურისათვის თანამედროვე სამყაროში საკუთარი ადგილისა და როლის გარკვევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმისა, თუ მერამდენე მოდერნიზმში შეაბიჯებს ეს კულტურა. დასავლეთის ხელოვნება დღეს სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებსა და მესამე სამყაროსთან ბარიერების მოშლამ სხვა კუთხით დაანახა მათ თავიანთი ხელოვნება. აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნების ხელოვნებაში არეკლილი მოდერნიზმის ფონზე იკარგება ის პრივილეგიური მდგომარეობა, რომელსაც დასავლეთი თავის

მონაპოვრად თვლიდა. პ. ბელთინგის აზრით, მოდერნიზმი თვითონ ცდილობდა საკუთარი კულტურისაგან გამოთავისუფლებას და ყოველგვარ ტრადიციას მომავლისაკენ სწრაფვის ხელისშემშლელად აღიქვამდა, საზრდოს და იმპულსებს კი დასავლური ხელოვნება ეძებდა სხვა კულტურებში, სხვა ქვეყნებში, რომელთაც „პრიმიტიულად“ ან „პერიფერიულად“ მიიჩნევდა. სრულიად მოულოდნელად, სწორედ ამ ქვეყნებში არანაკლები რანგის ხელოვნება აღმოჩნდა. ამ ფონზე თითქოს გულუბრყვილოდაც გამოიყურება არადასავლური ქვეყნების მხატვართა სინაური განვლილ წლებში იძულებით გამოტოვებული მოდერნიზმის გამო (10,68-69).

თუკი დასავლური ხელოვნებისთვის იმპულსების წყარო სხვა კულტურებია, როგორც ეს საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა, დანარჩენი მსოფლიოსათვის დასავლური მულტიკულტურული ცივილიზაცია დღეს ინფორმაციის წყაროა. ბუნებრივია, თანამედროვე ქართული ხელოვნებაც ცდილობს დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი აღგილი ამ წინააღმდეგობებით სავსე მსოფლიოს მხატვრულ ცხოვრებაში და ისევ დგება საკითხი, როგორც საუკუნის დასაწყისში, ახალი მხატვრული ფორმის ძიებისა: მივესადაგოთ მთლიანად დასავლურ ხელოვნებას და „განვთავისუფლდეთ“ ჩვენივე კულტურის მემკვიდრეობისაგან თუ შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა და, ამავე დროს, გავიზიაროთ თანამედროვე „თვალთახედვა“ უახლესი ტექნიკური მიღწევების ჩათვლით? დღევანდელ ქართულ ხელოვნებაში ეს ორივე ტენდენცია იკვეთება.

მოვლენები ჩვენს დროში ძალიან სწრაფად ვითარდება. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ საით წავა ქართული ხელოვნება და რა აღგილი ხვდება მას წილად თანამედროვე ტექნიკურ, ბაზრის კანონებით გაჯერებულ სამყაროში.

### დამოწმებული ლიტერატურის სია:

1. თუმანიშვილი დიმიტრი, შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნება XIX საუკუნის მამულიშვილთა თვალით. ხელნაწერი.
2. კაკაბაძე დავით, ჩვენი გზა, „შვიდი მნათობი“, №1,2, 1919.
3. კაკაბაძე დავით, ხელოვნება და სივრცე, თბილისი, 1983.

4. յանուարի երեսի, բա արոև աքամանօ? (ցերման. տարգման լր. ռամակազմա), տեղական, 1983.
5. Քածուկ Քուպան, „Յունաչար յանդյան“, 1916, № 2.
6. Ֆավավազդ ուղար, „մեցերամեթյ և աշխանց“, 31 դեկտեմբեր 1899, Եղբայրության թանգարան, գ. IV, նաճշուա և յանուանց, 1987.
7. Голомицк Игорь, Социалистический реализм как "второй интернациональный стиль". Վոցնուաբ - Bildende Kunst in Osteuropa im 20. Jahrhundert, Berlin, 1991.
8. Adkins Helen, Erste Internationale Da Da-Messe, Berlin, 1920. Stationen der Moderne. Berlin, 1989.
9. Barr Alfred, Cubism and Abstract Art, Museum of Abstract Art, New-York, 1936.
10. Belting Hans, Die Moderne und kein Ende. Die Zweite Moderne. Eine Diagnose der Kunst der Gegenwart, Munchen, 1996.
11. From Erich, Anatomie der menschlichen Destruktivität. Stuttgart, 1974.
12. Haftmann Werner, Malerei im 20. Jahrhundert. B. 2. Munchen, 1983.
13. Hess Walter, Dokumente zum Verständnis der Modernen Malerei, Munchen, 1972.
14. Imdahl Max, Bildautonomie und Wirklichkeit. Zur theoretischen Begründung moderner Malerei. Mittenwald, 1981.
15. Imdahl Max, Farbe. Kunsttheoretische Reflexionen in Frankreich. Munchen, 1987.
16. Klotz Heinrich, Die Zweite Moderne. Eine Diagnose der Kunst der Gegenwart. Munchen, 1996.
17. Karin Thomas. DuMonts kleines Sachwörterbuch zur Kunst des 20. Jahrhunderts. Von Anti-Kunst bis Zero. Köln, 1973.
18. Sedlmayr Hans, Die Revolution der modernen Kunst. Köln, 1985.
19. Sedlmayr Hans, Verlust der Mitte. Die bildende Kunst des 19. und 20. Jahrhunderts als Symptom und Symbol der Zeit. Ullstein, 1991.
20. Shadowa Larissa A. Suche und Experiment. Aus der Geschichte der russischen und sovjetischen Kunst zwischen 1910 und 1930. Dresden, 1978.
21. Weibel Peter. Probleme der Moderne. Die Zweite Moderne. Eine Diagnose der Kunst der Gegenwart. Munchen, 1996.


## დევი ბერძენიშვილი

### ახტალის მონასტერი


ქვემო ქართლში, მდ. დებედის შუა წელზე მდებარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული მონასტერი ახტალა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ჭოჭყანის ხეობის „ქუემორ არს ჩრდილოთ ეკლესია აგარაკისა (რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, შემდგომად იქმნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე, გურიათიანი, დიდშენი, აწ უწოდებენ ახტალას“ (1.36). ვახუშტი უნდა ცდებოდეს, როდესაც აგარაკის საეპისკოპოსოს ახტალაში გულისხმობს. ეს მას ემართება იმიტომ, რომ ხუნანი ქცია-მტკვრის შესაყარში, ბერდუჯის მდინარე კი – დებედის ხეობაში ეგულება. სინამდვილეში ბერდუჯის მდინარე დღევანდელი ძეგამია, ხუნანი კი ძეგამის დასავლეთით მყოფი „თოფრახ-კალა“ (2.155–156). ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ძველი აღმანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარეში, პოლიტიკური სიტუაციის ცვლა იყო, როგორც ჩანს, ვახუშტის ამ შეცდომის მიზეზი.

IX ს-ის ბოლოდან ქვემო ქართლში თანდათან ბატონდებიან სომეხი ბაგრატუნები; ამ დროს, პირველ ყოვლისა, დებედის ხეობა აღმოჩნდა მათ ხელში, მაგრამ XI ს-ში ბაგრატუნების ბატონობას ქვემო ქართლში ბოლო მოეღო, თუმცა ხეობის ეს ნაწილი ერთ ხანს ისევ მათ შერჩათ.

ახტალის ძველი სახელწოდება ყოფილა სპილენძის საბადო, სპილენძის მადანი (სომხურად – პლნძაჰანქ), რაც ძველთაგანვე აქ სპილენძის მოპოვება-დამუშავებაზე მიგვანიშნებს. ახტალის სამონასტრო კომპლექსში ახლა სამი ეკლესია ჩანს: ორი მცირე, დარბაზული ტიპისაა – წმ. გიორგისა და წმ. სამების სახელობისა,



სურ. 1. ახტალა. საერთო ხედი.



სურ. 2. ახტალის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი.

მესამე კი ჯვარგუმბათოვანი დიდი ტაძარია ღვთისმშობლის შობის სახელობაზე აგებული (ადრე ყოფილა კიდევ ეპველები წმ. დიმიტრის, წმ. ბასილისა და ივანესი). ტაძარი აგებულია XIII ს-ში (3.144; 4.222).

ახტალის მიდამოებში აღმოჩენილი ქვაჯვარის 1183 წ. სომხურ წარწერაში საუბარია პლნბაპანქში ჯვრის აღმართვაზე ახპატის წმ. ღმრთისმშობლის სახელზე, რომელსაც აკეთებს მარიამ კვირიკეს ასული. ესენი ლორე-ტაშირის ბაგრატუნთა შთამომავლები არიან, რომლებიც იხსენიებიან ახპატის სომხურ და ქობერის ქართულ წარწერებში (4.161; 5.64). უნდა ვიფიქროთ, ეს ადგილები მაშინ ამ საგვარეულოს მფლობელობაში რჩებოდა.

სომეხი ისტორიკოსების - ვარდან დიდის (XIII ს.), კირაკის განძა-კეცის (XIII ს.), სტეფანოზ ორბელიანის (XIII-XIV სს.) ცნობებით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ - ივანე ათაბაგმა, XIII ს-ში მიიღო რა ქართული მართლმადიდებლობა, სომხებს წაართვა პლნბაპანქი, ააშენა იქ ქართული მონასტერი და იქვე დაიმარხა (3.144). ამ დროიდან მონასტრის სახელად სპილენძაპანიც შემოსულა, ე.ი. სომხურ სიტყვას იმავე „მნიშვნელობის ქართული „სპილენძი“ ჩაენაცვლა. XIII ს-ის I ნახევარში, ქართულიდან სომხურად ნათარგმნ ხელნაწერში აღნიშვნულია, რომ ის დაიწერა „მონასტერსა, რომელსა ეწოდების სპილენძაპან, წმ. ღვთისმშობლის საფარველსა ქვეშე, მმართველობასა ივანე ათაბაგისასა, აღმშენებლისა მონასტრისასა“ (6.316).

ახტალის მთავარი ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზი ადასტუ-რებს, რომ გეგმით იგი წააგავს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისის ქართულ გუმბათოვან ტაძრებს; ამასვე ემოწმება დეკორის სისტემა და ფასადების ორნამენტიკა. აღსანიშნავია, რომ მათი ცალკე-ული ელემენტები და მოტივები უკავშირდება მუსლიმანურ აღმოსავ-ლეთს და სომხეთს. ტაძარს ეს ანიჭებს სპეციფიკურ ხასიათს, რაც ნიშანდობლივია სომხეთთან მოსაზღვრე ამ რაიონისათვის (7.10-11).

ახტალის მონასტრის ისტორიისათვის საინტერესოა ერთი ეპი-ზოდი, რომელიც სტეფანოს ორბელიანს აღუწერია. მისი სიტყვით, ვაიოც ძორში (სევანის სამხრეთ.-აღმოსავლეთით - დ.ბ.) მდებარე ნორავანის მონასტრის ჯვრები, იქაურ ეპისკოპოსს ხაჩენში, აწოპის მონასტერში დაუგირავებია. ამ მონასტრისათვის ისინი ჩამოურთმევია ქვეყნის მთავარს - ვასაკს, ქალკედონიტ სომეხს და ერთი ჯვარი ივანე ათაბაგისათვის უჩუქებია; მას კი, ნაჩუქარი ჯვარი პლნბაპანქის

მონასტერში დაუსვენებია. ეს სასწაულმოქმედი ჯვარი ივანესაგან დაუხსნიათ სარგის ეპისკოპოსსა და სიღნიერის მთავარს ლიპარიტ ორბელიანს, რომლებმაც ჯვარი ნორავანს დაუბრუნეს. ივანე ათაბაგს კი, გამოსასყიდთან ერთად, ჩარექის ციხეც გადასცეს (შამქორის ხეობის ზემო წელზე – დ.ძ.).

შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაუთმო სარგის ეპისკოპოსმა მის თანამდგომ იოანეს სივნიერის ეპარქიის ნაწილი. ამას მოჰყოლია „შფოთი წმიდა ჯვრისათვის“. ორივე ეპისკოპოსი, ლიპარიტი და ძე მისი – ელიგუმ, სამსჯავროდ ივანე ათაბაგთან დაინის წასულან. მას კი მოუწვევია თავისი დიდებულები – ბუბაგი და მარწვანი, ივანე ტბელი და მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, „რომელიც მოსულიყო სამეფოდან“, ვარძიის წინამდლვარი და პლნაპანქის წინამდლვარი, დიდი მამამთავარი გარეჯისა, გაგელი, მაწნაბერდელი და სხვა მრავალი დიდებული, თბილისის ყადი, ანისის ყადი, დვინის ყადი, სურმარის შეიხი, ანისისა და ახპატის ეპისკოპოსები. ყველა ამათვის უბრძანებია ივანე ათაბაგს საქმის გამოძიება. „ამათ გამოიძიეს სამართალი და განსაჯეს ესრე, რომ მკვდარსა და ტყვექმნილს ერთი აქვს სახე: ვინც მკვდარს აღადგენს, აღარაა მშობელთა შვილი, არამედ განმაცხოვებლისაა და რომელიც ტყვექმნილს დაიხსნის, აღარაა ის ამიერიდან მფლობელისა, არამედ ტყვეს მხსნელისა. ახლა ამ ქვეყანასავით, რომელიც მახვილითა და ზელით არის აღებული და საქართველოს სამეფოს საკუთარ სამეცვიდრეოდ იწოდება, ის ჯვარიც საკუთარი იყო ივანესი და მისი მიცემის გამო ლიპარიტისა და უფალ სარგისისათვის მრავალი წარსაგებლით, 1000 დრაპკანამდის, ჯერ არს იყოს ლიპარიტისა და მისი ეკლესიისა სამარადისო მემკვიდრეობად“. ამ სამართალს ყველა სიამოვნებით დათანხმებია (8.110–116).

უნდა ვითქიქოთ, რომ სპილენძაპანის ახლადაგებულ მონასტერში დასვენებული ჯვრისათვის მიღებულ გამოსასყიდს, ივანე ათაბაგი იმავე მონასტრის საჭიროებებს მოახმარდა. ახტალის სამონასტრო კომპლექსში შემორჩენილ წარწერებში კარგად მოჩანს ბერების მიერ წარმოებული, გაცხოველებული აღმშენებლობა. ერთი ქვაჯვარის წარწერა ასეთია: „იორდანეს შეუნდოს ღმერთმან, რომელმან ესე უხმარი ადგილი სახმარ ყო“; მეორე ჯვრიან ქვაზე იკითხება: „ძლევაი ქრისტესი. ამა ადგილისა მაშენებელთა დემეტრეს, გიორგის, სიმონს შეუნდვენ უფალო ღმერთო“. საყურადღებო წარწერებია წმ. სამების

ეკლესიაში მყოფ საფლავის ქვებზეც: „ღმრთისათვის ღოცვა ყავთ მამანო წმიდანო მოსე კანდელაკისათვის“; „იოანეს შეუნდვენ ღმერთ-მან“; „მოსეს ძმასა შეუნდვენ ღმერთმან“; „დეკანოზსა ნიკოლოზს შეუნდვენ ღმერთმან“; „სიმონს შეუნდვენ უფალო ღმერთო“.

მთავარი ტაძრის პირდაპირ, გორაკზე მცირე სამლოცველოა, რომლის დასავლეთის შესასვლელის თავზე, ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „მე, უღირსი სულითა საწყალობელი წინამძღვარი პეტრე, ღირს ვიქმენ აღშენებად ეგუტერისა ამის, სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა, საღიღებლად მათდა და პირველ პატრიონთა და გამზრდელთა, თავთა ჩვენთა სამლოცველოდ და სულისა ჩემისა საღოცველ-სახსენებლად. და განვაჩინე ათორმეტთა მოციქულთა დღესასწაულის მეორე დღე. ვინცა ჩემისა გუარისა კაცი იყოს, მისისა ძალისებრ ძმათა გამიხსენებდეს და წესითა მიწირვებდეს და მე თქვენთა ღოცვათა შინა მომიხსენებდეთ. და უკეთუ ჩვენთა ცოდვათა მისაგებელი მომავის ღმერთმან და ჩემისა გვარისა კაცი აღარავინ იყოს, თქვენ, ქრისტეს მოყვარენო და მგზავსნო მამანო წმიდანო და ყოველნო ძმანო, ვინცა პატრიონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა ზედა, ჩემგნით აღშენებულსა ზედა ღირს იყოთ და აღირსოთ პირველ პატრიონთა და თქუენცა, სული მანვე იურვოს დაუკლებლად. ჩემითა ხელითა და ძმისწულისა ჩემისა იღარიონისითა აგვიშენებია და არვინ გვემართლების უხსენებლობასა. ესე ჩემგნით გაჩენილი, ანუ ჩემისა გვარისა კაცმან, ანუ ვინ სხვაი შემოვიდეს და დაკლოს და შეცვალოს, შემცაიცვლების რჯულისაგან ქრისტიანეთაისა და ცოდვათა ჩემთა პასუხი მან გასცეს წინაშე ღმრთისა“. წარწერა 1242-1250 წლებისა უნდა იყოს (3.144; 6.311-315), როგორც ამ საინტერესო წარწერიდან ჩანს, მონასტრის წინამძღვარ პეტრეს, მონღოლთა ბატონობის პირობებშიც მოუხერხებია ავაგ ათაბაგის სამწირველო ეკვდერის აშენება.

სპილენძაპანის ქართულ სავანეში უმოღვაწიათ სომეხ ქალკედონიტ ბერებსაც. უნდა ვიფიქროთ, სამონასტრო კომპლექსში მათ თავისი სამლოცველოც ექნებოდათ... მონასტრის მახლობლად სოფ. აიორში შემორჩენილია სომხური წარწერები; ერთი მათგანი პატარა ეკლესიასთან აღმართულ ხაჩქარზეა ამოკვეთილი და 1245 წლით თარიღდება. მისი ქართული თარგმანი გვამცნობს: „აღიმართა წმიდა ესე საუფლო დღეგრძელობისათვის ავაგისა წინამძღვრობასა პეტრესა

და მამასახლისობასა ამაზასპისა. მე იაკობ ხუცესმა აღვმართე ჯვარი ესე ჩვენს სასაფლაოზე. მე და მეუღლე ჩემი მოიხსენეთ ლოცვასა შინა“.

საინტერესოა, რომ პეტრეს წინამდღვრობა ქართულ მართლმადი-დებლურ მონასტერში, ამ სომხურ წარწერაში ქართული სიტყვითაა გადმოცემული – წინამდღვარ უთიურ, მაშინ როდესაც ანტიქალკე-დონურ ახპატში ამაზასპის ეპისკოპოსობა სომხური პაირაპეტ უთიურ-ით გამოიხატება (6.313–319). სამწირველოს ქართული წარწერის მსგავსად, აქაც იგივე ავაგ ათაბაგი და პეტრე წინამდღვარი იხსენიება, იაკობი კი, სომეხი ქალკედონიტი ხუცესია, მართლმადიდებლურ მო-ნასტერში ქართველი ბერების გვერდით მოღვაწე. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ივანე ათაბაგი დაუკრძალავთ მის მიერ აგებული ეკლესიის შესასვლელთან, ხოლო მისი ძე-ავაგი, მამამისის საძვალეში (9.148, 198).

მეორე სომხური წარწერა იქვე, პატარა სამღლოცველოს სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქაზეა. მისი ქართული თარგმანი ასეთია: „ნებითა კეთილმოქმედი ღმრთისა, წელსა ღვთივ ძლიერისა მეფისა დემეტრესი, მამასახლისობასა უფლისა იოვანესი, წინამდღვრობასა სიმონისა, დეკანოზობასა ოქროპირისა, მე ცოდვილმა“... დემეტრე მეფის ხსენება, ამ დაზიანებულ წარწერას 1270–1284 წწ. ათარიღებს. იოვანე ახპატის მამამთავარია. სიმონ წინამდღვარი კი – სპილენძაპანის ქალკედონიანთა სავანისა და სამეცნიერო-ლიტერატურული სკოლის მესვეური. ამ წარწერაშიც სიმონისა და ოქროპირის ტიტულები – წინამდღვარი და დეკანოზი – ქართული სიტყვებითა და სომხური ასოებითაა დაწერილი – წინამდღვარ უთიურ, დეკანოზ უთიურ, ხოლო ახპატის ეპისკოპოსი სომხური სიტყვით იხსენიება – არაჯნორდ (6.313–314).

ახტალის ტაძრის XIII ს. მოხატულობაში, ქართველ მოღვაწეთა მთელი ჯგუფის გამოსახვის საინტერესო მაგალითი გვხვდება. დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრში წარმოღვენილი არიან წმ. იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ევაგრე, აგრეთვე ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. აქ ხაზგასმულია სურვილი იმ ქართველ მოღვაწეთა უკვდავყოფისა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ქართული სამონასტრო საქმიანობის გავრცელებაში (10.14–15).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ არსებობდა ერთი უცნობი მონასტრის ტიბიკონის დაზიანებული ნაწყვეტი. მისი დედანი დაიღუპა.

შემოგვრჩა პროფ. ს. კაკაბაძის გადმონაწერი; თუმცა ტექსტი საბოლოოდ დადგენილი არაა, შინაარსის მიხედვით, ტიბიკონი 1191–1212 წწ თარიღდება. იქ მოხსენიებული ბოლნისის გამო ვარაუდობენ, რომ ესაა წესი და განვება ბოლნისის სიონის, ან მის მახლობლად მყოფი რომელიღაც მონასტრისა (11.72; 12.146). ამ წესდებაში, ცხადია, განსაზღვრული იქნებოდა უფლება-მოვალეობანი მოძღვრისა და მოწაფისა, მწირი მონაზვნისა, დიაკვნისა, ერისაგანი მსახურისა, განსაკუთრებით კი მონასტრის წინამდღვრისა.

ზემოხსენებული ტიბიკონის ნაწყვეტი ასე იწყება: „... თუ ვინმე დაიმჭიროს თვითონისა მეტი, მოძღუარი და მოწაფე ორნივე კიდე გაიხსნენ მონასტრით შეუნდობლად“ (11.71; 12.132). მსგავსად ვაპანის ქვაბთა მონასტრის განვებისა, რომელიც დაახლოებით ამავე ხანებშია შედგენილი, აქაც საუბარი უნდა იყოს ტიბიკონის დამდების სურვილზე, რომ არავინ გახდეს გარეშე მოძღვრის მოწაფე და არც სხვათა დამოწაფებას ეცადოს შინ, თუ გარეთ. ამით იქნებოდა დაცული ძმათა მიუკლებლობა (12.136).

მომდევნო წინადადებაში იხსენიებიან საპყარნი, ე. ი. დავრდომილნი, ან უძლურად მყოფნი ძმანი, „რომელნი განჩენილ არიან ეგრევე იმყოფებოდნენ“. ისევე, როგორ ვაპანის ქვაბთა განვებაში, აქაც საუბარი იქნებოდა მესნეულე მონაზონზე, რომელიც „განიჩინებოდის და უძლურმყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს“, დღეში სამგზის შემოვლითა და ტრაპეზიდან მათვის საწესოს მირთმევით (12.132, 140).

უცნობი მონასტრის ზემოხსენებულ ტიბიკონში ნათქვამია: „საწინამდღვრონი ადგილი და გლეხნი და ზუარნი და ვენახნი და სხუა მოსავალი ეგრეთვე ჰქონდეს.... გ – ცა იკლებდა და ჩიოდა, ვითა პატრონისა და ლაშქართა და სტუმართათვის ესე მოსავალი არ ეყოფის და ამისთვის... ეგრეთვე ბოლნის საღვინე დავდევით“. მაშასადამე, სტუმართა სიმრავლის გამო, საწინამდღვრო ადგილებიდან, თუ ზვარ-ვენახებიდან მონასტერში შემოსული ღვინო არ ჰყოფნით, ამიტომ ჩივიან და წესდების დამდებისაგან მარაგის შევსებას მოითხოვენ. ისიც ბოლნისში საღვინეს გაიჩენს. შემდგომ ტექსტში ასე გრძელდება: „ესე... ქარცებით ზუარბალი მოვიდოდეს და ბოლნის(ი)სა (ჩემი კონიექტურაა – დ. ბ.) ღვინო მოიღების ერთი მონასტრის მწირველი, ნაცვალი დ – წ – სა დაიყენებოდის და ერთი მწირი და ერთი ვი – სა ყმაი ამას მოსავალსა ზედა“. გამომცემელთაგან აქამდე აღუნიშნავი დარჩა

სიტყვა ქარცების მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში არავის აქ ტოპონიმი არ დაუნახავს. ამიტომაც ყველა მიიჩნევდა, რომ ტიბიკონის შემორჩენილ ნაწყვეტში მხოლოდ სახელწოდება ბოლნისი იხსენიება; აკად. გ.ჩუბინაშვილი კი, ამის გამო ხსენებულ ნაწყვეტს ბოლნისის სიონის განგებად მიიჩნევდა (13.110–111). სიტყვები „ქარცებით ხურბალი მოვიდოდეს“, აღნიშვნავს ხორბლის მოსვლას ქარცებიდან. ძველად მოქმედებით ბრუნვას დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითის ფუნქციაც. ის ახლაც შემონახულია მთის კილოებში: ვაჟა „ბახტრიონში“ რომ ამბობს „თუშეთთით მოსულ მზირია“, გულისხმობს თუშეთიდან მოსულს (14.74). ასე, რომ ტიბიკონში ქარცები ჰუნქტია, საიდანაც ხორბალი უნდა მოსულიყო. ეს კი ჯავახეთის ზეგანზე მყოფი სოფელი უნდა იყოს. ჯავახური ხორბალი ყოველთვის ცნობილი იყო და ქვემო ქართლში მონასტრის საჭიროებისათვის მისი მოშველიება არ იქნებოდა უჩეველო რამ. ტოპონიმი, ალბათ, ნიადაგის თვისებას გამოხატავდა: ქარცი – მოწითალო, ქერაა. სოფელი ქარცები ახლაც არსებობს ახალქალაქის რაიონის ოკამის სასოფლო საბჭოში.

მომდევნო წინადადების სიტყვები: „და გი... არს დიდთა და სრულთა მონასტერთაითა მის ღვინისაგან...“ „გამოხატავენ ტიბიკონის ღამდების სურვილს – მის სავანეშიც ისევე მოეხმარათ შემოსული ღვინო, როგორც ეს დიდსა და სრულ მონასტრებს შეეფერებოდათ. შემდგომ ნაკლულ ტექსტს აკად. ივ.ჯავახიშვილი ასე აღადგენდა: „ამ მოტანილ ღვინისაგან „პირველად საბაბილო ჭური, საკვირაო შემომწირველთანი ჭურნი აღივსებოდიან და მერმე სხუანი, რავდენიცა ეგებოდეს“. ამ ღვინის დახარჯვის შესახებ განსაზღვრული იყო, რომ „საბაბილოი ჭური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსახმარებლად სახამსო იყოს, და საკვირაო ჯვარამაღლებიდან, ვითა წესი და პირი საქმეთაი მოგცემდეს-ო“... მოხსენებული სხუანი ჭურნი საფიქრებელია, მონასტრის საკუთარი ყმების ვენახებითგან კულუხად მიღებული ტკბილ-ღვინის ჩასასხმელად იქნებოდა განკუთვნილი (15.23–24).

განწესების შემდგომი სიტყვებიდან ჩანს, რომ მონასტერში „აქამდის“ ე.ი. ტიბიკონის დადებამდეც ყოფილან „პატრონნი ღმრთისა სწორნი, ლაშქარნი, სტუმარნი ღიღი და მცირენი“, რომლებიც ახლაც ისეთივე პატივით უნდა გაისტუმრებოდნენ. ეპითეტი „ღმრთისა სწორნი“, მეფეთა შესაფერია და ალბათ სამეფო ოჯახს გულისხმობს. სხვა ორ შემთხვევაში, მხოლობით რიცხვში მოხსენიებული „პატრონი,

ლაშქარნი და სტუმარნი“, მონასტრის პატრონს და განგების დამდებს, მის ლაშქარსა და სტუმრებს უნდა აღნიშნავდეს.

აქვე გათვალისწინებულია პურისა და ლვინის ნაკლებობის შემთხვევები სეტყვისა თუ სხვა მიზეზთა გამო, რაც უნდა შეივსოს მონასტრის მარაგიდან. ტიბიკონის დამდები წელიწადის დღეებზე გაჩენილი აღაპების რაოდენობას 45-ით აჭარბებს, რომ დანაკლისი ძმათა კრებულმა ამით შეივსოს; ხოლო თუ ზედმეტი მორჩება რამე, ისიც წმინდა ტრაპეზს დაემატება, რომ ყველა უხვებითა და უნაკლულოდ იყოს.

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მეფეთა-მეფის თამარის დღეგრძელობა, წარმართება და შენდობა უფრო უნდა აღემატოს და ითქმოდეს ლოცვებში. მან თურმე „დიდი გულს-მოდგინებაი აჩუენა და სოფელნი და აგარაკნი შემოსწირნა და სხუანი აგარაკნი თქუენნი შესავლობისაგან შეუვალყვნა და ყოველი ხარკი და ბეგარა ამოგხადა“... სამწუხაროდ შეწირული თუ ბეგარა-ხარკახდილი სოფლებისა და აგარაკების სახელები არ ჩანს.

განსაკუთრებით საინტერესოა ტიბიკონის ის ნაწილი, სადაც ივანე მხარგრძელი იხსენიება: „ივანე მხარგრძელმანცა მსახურთუხუცესმან დიდი სასოებაი და გულს-მოდგინებაი აჩუენა ამის დედისა ღმრთისა მიმართ და საყოფელისა მისისა, და რომელ მონასტერსა... საბოსტნე და სავენახე, რომელი დიდად ეხმარნეს, ესე ვალანისა ქუეშითგან იყიდა, რომელ... უფრო სითა საფასოითა და დედასა ღმრთისასა შემოსწირა, რათა მოხსენებული დიდებულ ყოს ძემან ღმრთისამან და ამან ყოვლად წმიდამან დედამან მისმან“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწყვეტში, ივანე მსახურთუხუცესის მიერ შემოწირული მხოლოდ საბოსტნე და სავენახე ადგილები ჩანს, მაინც მისი ღვაწლი შეფასებულია, როგორც „დიდი სასოებაი და გულს-მოდგინებაი“. განგების დაზიანებისა და ნაწყვეტის ფრაგმენტულობის პირობებში, ეს „დიდი სასოებაი“, ანუ მონასტრის დაიმედება ივანე მხარგრძელისაგან, სავანისაღმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების მაჩვენებლად შეიძლება მივიღოთ. ძმათა კრებულისათვის დიდად საჭირო და გამოსაყენებელი საბოსტნე და სავენახე ადგილები მას ზედმეტ ფასად შეუსყიდია „ვალანისა ქვეშითგან“. ვალანი „ფიცრის გალავანია“, ანუ ხის ღობეშემოვლებული კარ-მიდამო. ასეთი სიტყვა პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონშიაც გვხვდება: „ნასყიდის ნაწერები ვარდანისი

ავლანისათვის, რომელი მისინოპოლს არს“. ეს ავლანიც ეზო კარ-  
 მიდამოს აღნიშნავს (16.125, 148). საფიქრებელია ასეთი ადგილები ქვემო  
 ქართლის ჩვენი მონასტრის მახლობლად იქნებოდა, რომელებიც  
 ყველასათვის იყო ცნობილი და სახელით მინიშნება საჭიროდ აღარ  
 დაუახავთ. პეტრიწონის განგების ავლანი კი მისინოპოლს ყოფილა.

მოსავალი ამ შემოწირული ადგილებიდან, როგორც შეეფერებოდა,  
 განუჩენიათ ტრაპეზისათვის, წინამდღვრისათვის, რაც „სტუმარსა და  
 მომავალსა ყოველსავე მისსა ეყოფოდა“, ასევე განუწესებიათ  
 „სამწირველოსა სახლისა მისისათვის“. აქ ტიბიკონის დამდების  
 სამწირველო უნდა იყულის ხმებოდეს, რომელიც ამავე მონასტრში  
 ყოფილა. იგი შემწირველის სულის მოსახსენიებელი წირვა-აღაპის  
 მოწესრიგებას ემსახურებოდა. „სამწირველოსა სახლი“ საშემო-  
 სავლო ობიექტადაც არის გაგებული, რომელიც ჯერ კიდევ მონასტრის  
 საერთო შეწირულობას წარმოადგენდა. სამწირველო მამულის  
 შეწირვა იმთავითვე საერთო წმინდანის, მთავარი ეკლესიის სახელზე  
 ხდებოდა და ამ შემოსავალში, მწირველთან ერთად, მონასტრის  
 საერთო წინამდღვარი მონაწილეობდა. XIII ს-ში სამწირველოს  
 საკურთხევლად, ზოგჯერ მონასტრის საერთო საეკლესიო საკურთ-  
 ხეველი გვევლინება, ხან კი, საკუთარი საკურთხეველი არსებობს, რაც  
 ცალკე ეკლესია - ეკვდერს გულისხმობდა (17. 333, 157). მაგალითად,  
 ახტალის მონასტრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოვა რომ ივანე  
 მსახურთუხუცესის სამწირველოს საკურთხეველი ღმრთისმობლის  
 სახელობის მთავარ ეკლესიაში იქნებოდა; ავაგ ათაბაგის სამწირვე-  
 ლოდ კი, პეტრე წინამდღვარს ცალკე ეკვდერი აუშენებია წმ. 12  
 მოციქულთა სახელზე, რასაც გვაუწყებს 1242-1250 წწ. ზემოხსე-  
 ნებული წარწერა.

განგების ნაწყვეტში შემდეგ ნათქვამია: „და სხუა, რომელი ამისგან  
 დაპრჩა, ასსავე სახლსა ზედა სახუცოსა და სამწიროსა, წესისაებრ  
 ვითა ჰმართებდა, ზედა გაუყავ სწორად“. მაშასადამე, ტექსტის წინა  
 ნაწილში აღნიშნული ყველა სამსახურის გასტუმრების შემდგომ  
 დარჩენილია სამყოფი სურსათი 100 სახუცო და სამწირო სახლებზე  
 გასანაწილებლად. ხუცესთა და მწირთა აღნიშნული რაოდენობის  
 გათვალისწინებით, მონასტერი დიდი იქნებოდა.


ვაპანის ქვაბთა განგების მიხედვით, იქ 51 მღვდელმონაზონი და 10  
 მსახური იყო. ასევე 50 მონაზონი და ერთი წინამდღვარი იყო

პეტრიწონის მონასტერშიაც. ასეთი დამთხვევა ეგების არ იყო შემთხვევითი: ძველ აღთქმასა და სახარებაში 50 (ერგასი) ერთ-ერთი საკრალური რიცხვია. 50 მონაზონი იყო წმ. რიფსიმეს ქალწულთა მონასტერშიაც, რომელთაგან მხოლოდ წმ. ნინო გადაურჩა სიკვდილს... ვაჲანის ქვაბთა წესდების დამდები მღვდელთა რიცხვს (24) და დიაკონთა რაოდეობას (7) განსაზღვრავს „განაწესებისაებრ მოციქულთა კრებულისა და წმიდათა მამათა“. მწირად წოდებულ მონაზენების რაოდენობას ივი აწესებს 20-ს. მას შესაძლებლად მიაჩნდა მღვდელ-მონაზონთა უფრო მრავალრიცხოვანი კრებულიც, მაგრამ დადგენილ რაოდენობას ამართლებდა სურვილით ყოველმხრით უნაკლულოდ ყოლოდა ძმობა (12, 136, 137).

ზემოხსენებული უცნობი მონასტრის განგების ნაწყვეტი მთავრ-დება წინამდლვრის ქცევის ნორმების რეკომენდაციით: „წინამდლუარსა, ვითა ქრისტესა პმორჩილებდნენ. ნუმცა რაი იყალრების წინამდლურისა უნებელი, ვითა ქრისტესი. და წინამდლუარი, ვითა ქრისტე მისთა მოწაფეთათვს ტყბილი, სახიერი და ლმობიერი იყოს. წინამდლუა-რისაგან ნუმცა იქმნების ესე, თუ: (რომელთა) კითხვა-რჩევით სიყუა-რული ჰქონდა, რომელმან ემინოდა და პრცხუენოდა და ნუგეში-ნისცემდა, ასუმევდა, აცმევდა და რომელთა მწირთაგან არცა ეშინოდა და არცა პრცხუენოდა“ (12, 134). მაშასადამე თუ ზოგიერთ მწირს ეშინია და რცხვენია წინამდლვრისა, ეს უკანასენელი უნდა ანუგეშებდეს მას.

ზემოთ განხილულ ტიბიკონზე დაკვირვებით, აკად. ივ. ჯავახი-შვილმა დაასკვნა, რომ „ესაა მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის მიერ (მაშასადამე 1191–1212 წწ.) დაარსებული ქვემო ქართლის, ბოლნისის მახლობლად მდებარე მონასტრის განგება“ (14.22–23). ე.ი. ივანე მხარგრძელი მონასტრის პატრონი ყოფილა და თვითონვეა წესდების დამდები, თუმცა მის ნაბრძანებს სხვა უნდა წერდეს. ამას ადასტურებს ნაწყვეტის ბოლოს ნათქვამი: „აწ ესე, ვითა ყოველივე წესი და განგებაი ამის მონასტრისაი საღმრთო და საკაცო ამას ტვიპიკონსა შინა სრულად და უნაკლულოდ დამიწერია, ყოველსავე ეგრეთ აღასრულებდენ“ (11.73; 12.134). ტექსტის ფრაგმენტულობით უნდა აიხსნას, რომ მონასტრის პატრონის ვინაობა გამოკვეთილად არ ჩანს, როგორც ეს ვაჲანის ქვაბთა განგებაშია, თუმცა მისი მოხსენიება თამარ მეფის შემდეგ, მისი ზრუნვის ხაზგასმაც საკმაო საბუთია

საამისოდ. ივანე მსახურთუხუცესს, შემდგომში ათაბაგს, სხვა მონასტერიც შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ზემოგანხილული ტიბიკონი ახტალის მონასტრისაა. ამის საფუძველს იძლევა რიგი მონაცემების თავჩენილი დამთხვევა: 1. ახტალის წარწერებისა და ტიბიკონის მიხედვითაც მთავარი ტაძრი ღმრთის-მშობლის სახელობისაა; 2. ყველა მონაცემით (წყაროები, წარწერები, ტიბიკონი) მონასტერი ივანე მხარგრძელის აშენებულია, ისაა მისი პატრონი და წესდების დამდები; 3. ეს ხდება 1191–1212 წწ., რასაც ემწ-მება ახტალის მთავარი ტაძრის აგების ქრონოლოგიური საზღვრები და განგების ნაწყვეტის დათარიღება; 4. ტიბიკონში საუბარია მწირველსა და სამწირველოზე, რაც მონასტრის პატრონის სამწირველოს უნდა გულისხმობდეს; წყაროების მიხედვით, ივანე მხარგრძელი მართლაც ახტალის ტაძრის შესასვლელში დაუკრძალავთ; 5. თუ სწორია აკად. ის. დოლიძის აღდგენა და წესდების ტექსტში იხსენიება მატური („რომელთაცა ძმათა წინამდლუარი უბრძანებდეს ეკლესისა და მატურისა (მტ. რსა) სამსახურად გაგზავნასა“...) მაშინ აქ აღბათ მომავალი საგვარეულო სამარხი უნდა იგულისხმებოდეს. მართლაც მამა-შვილი: ივანე და ავაგ ათაბაგები ახტალის მონასტერში დაიკრძალენ; 6. ბოლნისისა და ქარცების დასახლება განგებაში, საიდანაც ღვინო და ხორბალი უნდა მოსულიყო მონასტერში, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მონასტერი ამ პუნქტების გარეთ იგულისხმება; მათთან საპირისპიროდ, ადგილობრივ ვითარებას ტიბიკონში აღნიშნავენ სიტყვებით: „აქა“, „აქაით“, „ამის ადგილისაგან“; „ამის მონასტრისაი“, რომლის სახელის მოუხსენებლობა ნაწყვეტის ნაკლულობით უნდა აიხსნას; 7. სამეფო ოჯახის, ლაშქართა, დიდთა და მცირე სტუმართა ხშირად იქ ყოფნა, მიუთითებს მონასტრის სიახლოვეზე მნიშვნელოვან ტრასასთან, რასაც ასევე შეესატყვისება ახტალის მდებარეობა დებედის ხეობით მიმავალ გზაზე; 8. ახტალის წარწერებსა და განგების ნაწყვეტში მოხსენიებული მსახურთა თანამდებობანი შეეფერება „დიდთა და სრულთა მონასტერთა“: მამასახლისი, წინამდლვარი, მოძღვარი, დეკანოზი, დიაკონი, კანდელაკი, ხუცესი, წმ. მამანი და ყოველნი ძმანი, მწირველი, მოწაფე, მწირ-მონაზონი, ასევე – ერისაგანი, მსახური, განმგე, ნაცვალი, საპყარი, ყმა; 9. ტიბიკონში იხსენიება მონასტრის პატრონი, პეტრე წინამდლვარიც ახტალის წარწერაში ამბობს, რომ აშენებს ეგვტერს,



სურ. 3. სქემა მელიქის მამულისა სომხითში

„სადიდებლად პატრონთა და გამზრდელთა“, ორივეგან იგულისხმება ივანე მხარეგრძელის ოჯახი; 10. განგების ნაწყვეტის ბოლოს წინამდღვარი სამჯერაა ქრისტეს შედარებული (“ვითა ქრისტესა”), პეტრე წინამდღვარი თავის წარწერაში ასევე ამბობს: „ოქოვიენ, ქრისტეს-მოყვარენო და მგზავსნო მამანო წმიდანო“... ცხადია ამით არ ცნაურდება, რომ მაინც დამაინც პეტრეა ტიბიკონის დამწერი, მაგრამ იგი თითქოს ამ წესდების გავლენას უნდა განიცდიდეს; 11. ტიბიკონის ნაწყვეტის ბოლოს, წინამდღვრისაგან მოითხოვენ თანაბარ დამოკიდებულებას, ერთნაირ სიყვარულს, არგამორჩევას მონაზვნებისას მონასტრის მწირთა შორის. ასეთი რამ არ ჩანს ვაჰანის ქვაბთა, თუ პეტრიწონის მონასტრის წესდებათა ტექსტებში. ეგების ეს უნდა მიგვანიშნებდეს განსხვავებულ ვითარებაზე, ახტალის მონასტერში რომ შექმნილა: ქართველი და სომები დიოციზიტი ბერების თანამშრომლობაზე. ასეთ ვითარებაში, თუ კანონზომიერია პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა მონასტრების ბერ-მონაზონთა თანაბარი რაოდენობა – 50, მაშინ იქნებ ჩვენს ნაწყვეტში მოხსენიებული 100 სახუცო

სახლიდანაც 50 ტომით ქართველი, 50 კი - სომეხი დიოფაზიტი მონაზვისა იყო; 12. ტიბიკონი რომ ახტალის მონასტრისაა, საამისოდ ნიშანდობლივი უნდა იყოს კიდევ ერთი გარემოება: ტყავის ნაჭერზე დაწერილი ამ ნაწყვეტის მეორე სუფთა გვერდზე ყოფილა 1777 წ.-ით დათარიღებული მხედრულად ნაწერი, შეწირულების სიგელი გარეჯის ნათლისმცემლისადმი მიცემული სომხითის მელიქის ძეთაგან (11.73-75). ახტალის მონასტრის განგების ნაწყვეტი მათ ხელში უნდა ჩავარდნოდათ იმიტომ, რომ სომხითის მელიქის თავადური სახლის სამკვიდრებელი თავიდანვე ხოურნისხევსა და ჭოჭკანის ხეობაში იყო. ეს ირკვევა ქართული და უცხოენოვანი წყაროების შეჯერებით, მეტადრე ომან ხერხეულიძის სიტყვებით: „... ახტალა, რომელ არს მამულობით თავადთა სომხითის მელიქისა“ (18. 98-101). ახტალის მონასტერი სომხითის მელიქების საგვარეულო სასაფლაოდ ქცეულად და ასე დარჩენილა XIX ს-ის შუამდე. ამასვე ეხმაურება XVIII ს-ის ხელით შესრულებული მეორე მინაწერი ზემოხსენებული ტიბიკონის ნაწყვეტის არშიაზე: „წვიმაში გდებულიყო ქვემოთ ხევში და მაგიერი ქალალდი კი მივეც, ეს აქ აღარას ეხმარებოდა“ (11.71). ამას სომხითის მელიქის ოჯახის წევრი უნდა წერდეს და სიტყვა „აქ“, მისი საცხოვრისისა და ახტალის მონასტრის გვერდი-გვერდ არსებობაზე მიგვანიშნებს. მონასტერს წვიმით გადარეცხილი ეტრატის ნაჭერი, დამწერის აზრით, ვეღარ გამოადგებოდა.

1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დასახელებულია: „ახტალას კუამლი სომეხი ათი, მათითა მამულითა, კუამლად ახტალის ხევზე სოფელი ვარდისუბანი“ (12.178). აქ მონასტრის მოუხსენიებლობა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი არ შედიოდა საკათალიკოსო მამულებში. 10 კომლი სომეხი კი ახტალაში მცხოვრები დიოფაზიტები იქნებოდნენ, რადგან სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფლები და ყმები, სამწყსოდაც მასვე ექვემდებარებოდნენ (19. 82. 86). ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში, ვარდისუბანი ახტალისხევში აღარ ჩანს, მაგრამ მისი სახელწოდება, XIV ს-ის ბოლოს იქ ქართულ მოსახლეობზე მიუთითებს.

სახლი ახტალა პირველად ზემოხსენებულ საბუთში ჩნდება; სომხური წყაროები მას არ იხსენიებენ, იქ ძველებურად, მწიგნობრული გზით შემორჩენილი „პლნბაპანქი“ იხმარება. ვარაუდობენ, რომ ახტალა ამ ადგილს შეერქვა მონგოლ-თათართა ბატონობის ხანაში, წარმომ-

დგარია „აღ-თალა“-დან, რაც ნიშნავს „თეთრ ველს“, ეს კი ალბათ იქ არსებული მაღნების გამო, ნიადაგის სიბაცეს უკავშირდება (20. 196).

ვახუშტი ბატონიშვილი ახტალისა და მისი მეზობელი ხევების აღწერისას, ასევე თავის რუკაზე შეცდომებს უშვებს: მისი ჩვენებით, ახპატის ქვევით, ჯერ ჭოჭკანის ხეობაა, შემდეგ ახტალისა, სინამ-დვილეში ვითარება წინაუკმოა. ამიტომვე არაა სწორი ახტალის ქვემოთ ხოურნისხევის დასახელება (1. 36), ის ჭოჭკანისხევის შემდეგ მდინარის დაყოლებით ერთვის დებედას. ამრიგად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ პუნქტებისა და ხევების თანმიმდევრობა ასეთია: ახპატი, ახტალა, ჭოჭკანი, ხოურნისხევი. არაზუსტია სოფლების განლაგება ხეობათა მიხედვითაც: სოფელთა სიებში ახტალა და ყა-ზანჩი ხოურნის ხეობაშია ჩათვლილი, რუკაზე კი, ყაზანჩი ჭოჭ-კანისხევშია აღნიშნული, ახტალა - ცალკე; უზუსტობაა ბრდაძორის მოთავსება ჭოჭკანისხევში... ავტორის ეს შეცდომები გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ას წელზე მეტი წნის განმავლობაში ირანის შაპისაგან სომხითის მელიქისათვის მემკვიდრეობით ნაბოძები მამული დებედის ხეობაში, ქართლის აღწერას არ ექვემდებარებოდა; მელიქის სიურლალს არ ევალებოდა მოლაშერეთა გამოყვანა, სახელმწიფო გადასახადი და ასე რჩებოდა XVIII ს-ის დასაწყისშიაც, თუმცა კი, სომხითის მელიქი ქართლის მეფის მოხელედ ითვლებოდა; ყოველივე ამას დასტურლამაღლი მოწმობს (18. 101). ამიტომ აქაური სოფლების შესახებ, ვახუშტის ხელთ არსებული აღწერითი ცნობები ნაკლული უნდა ყოფილიყო, რაც მის შეცდომებს აპირობებდა.

დებედის ხეობის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა ისევ გამოჩნდა XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც ერეკლე მეფემ გიუმიშხანეს პროვინციიდან (ოსმალეთი) გადმოასახლა ბერძენ მაღნისმწარმოებელთა 800 ოჯახი (2000 სული). 1763 წ. ახტალის ვერცხლის საბადოების და შამბლულის სპილენძის დამუშავება, 1770 წ. კი, მათ შეემატა ალავერდის სპილენძსადნობი იმავე დებედის ხეო-ბაში. თუ ახტალის მადანი სომხითის მელიქიშვილების მიწებში ითვ-ლებოდა, ალავერდის საბადოები არღუთაშვილებისა და ბარათაშვილ-ორბელიანთა მამულებში იყო. ახტალიდან მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად მეფეს აბარებდნენ, ვერცხლიდან კი მეფე იღებდა 25% ნატურით. მელიქიშვილები მიწისა და ტყისათვის ღებულობდნენ 300 მანეთს, ამდენსავე ქარხნების ზედამხედველობისათვის, ასევე ტყვიისა

და ვერცხლის ნაწილს ნატურით. მეფის წლიური სუფთა შემოსავალი 50 000 მანეთამდე აღწევდა (21. 9-17). 1776 წ. ერეკლე მეფეს სვეტი-ცხოვლისათვის შეუწირავს ცხრაგირვანქიანი, ახტალის მაღნისაგან გაკეთებული ბარძიმი წარწერით (22. 345).

1785 წ. ომარ-ხანი კახეთზე გამოვლით ქართლს შემოესია, ააოხრა ახტალის მაღაროები. ამის გამო ერეკლე წერდა გარს. ჭავჭავაძეს, რომ ლეკებმა ააფეთქეს ახტალის ციხის კედელი, თუმცა 300 კაცი დაუხოცეს, მათ მაინც აიღეს ახტალა და დაატყვევეს 845 კაცი, მათ შორის მელიქიშვილებიც. მტერს წაუღია დიდი რაოდენობის სპილენძი, ტყვია, ვერცხლი, ფული (23. 52).

აოხრებული საბაღოები ორი წლის მანძილზე უმოქმედოდ იყო. იქ მუშაობა განახლდა 1787 წლიდან, მაგრამ უკვე შემცირებული წარმადობით. 1788 წ. მეფე ერეკლე იულონ ბატონიშვილს წერდა, რომ ახტალაში გაგზავნილი ასი კაცი უკან გამობრუნებულა და მაღნები უკატრონოდ მიუტოვებიათ. „ახლა მელიქიშვილი იასე უზბაში გამოგვიგზავნია. ასი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო 20 დღის ნუზლით. ორი უზბაში უთავე და ამ იასეს მიაბარე, წყალი გაიყვანოს, კაცი გაუძძლვაროს და გაისტუმროს... შენ ხომ იცი, რომ ჩემი ხელის გამმართავი ეგ მაღნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის“ (24. 45-46).

ერეკლეს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია მაღნისმწარმოებელ ბერძენთა მიმართ. ახტალაში მომუშავე ილია ბერძნის ნათლიობაზეც არ უოქვამს უარი, დაუნიშნია ჯამაგირი, საკმაოდ უხვი წლიური ულუფა და სახლიც მიუცია. ამიტომ იყო ილია ბერძენი რომ მოახსენებდა: „თქვენს უბრძანებლად კარის ზღურბლზედ გადმოსვლაც არ შემიძლიანო“ (25. 315).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, ახტალაში ძველთაგანვე საეპისკოპოსო კათედრის არსებობაზე, სხვა წყაროებით არ დასტუროება; სამაგიეროდ საყურადღებო უნდა იყოს მისი ნათქვამი ახტალის წინამდვრარზე: „შემდგომად იქმნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერძუჯის მდინარე“ (1. 36). ავტორის მიერ ნახმარი ეს „შემდგომად“ ჯერ ისევ ერთიანი საქართველოს პერიოდს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ XIII ს-ის ძეგლში – „განგება დარბაზობისა“, ახტალის მიტროპოლიტი არ ჩანს. შესაძლოა დემეტრე II-ის შემდგომ ხანებში, ეგების გიორგი ბრწყინვალის დროს შეიქმნა ქვემო ქართლში ისეთი ვითარება, რომ

ახტალის წინამდღვარი მიტროპოლიტი გახდა. ამ მხრივ შესაძლოა ნიშანდობლივი იყოს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა: „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყვიტა, იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო“ (26. 325). ასეთ პირობებში ახტალის მიტროპოლიტს დაეკისრებოდა დებედის ხეობის ქართული მოსახლეობის, ასევე მომრავლებული სომეხი ქალკედონიანების მწყემს-მთავრობა.

ცნობა იმის შესახებ, რომ ფეოდალიზმის გვიან საუკუნეებშიაც არსებობდა ახტალის სამიტროპოლიტო, ვახუშტის გარდა, მოიპოვება 1770-იანი წლების კიდევ ერთ საბუთში. იქ ქართლის მაშინ მოქმედ საეპისკოპოსოთა გვერდით, დასახელებულია „დაცლილნი აოხრები-საგან სამიტროპოლიტო ახტალისა, საეპისკოპოსო მანგლისისა“ და სხვა (12. 929). მაშინ მოხდებოდა ახტალის წმ. გიორგის ეკლესიიდან XII-XIII სს-ის ტყავის სახარების გამოტანა, რომელიც შალიკაშვილებს ჩავარდნიათ ხელში (22. 380).

ვახუშტისავე სიტყვით, ატენის სიონში „აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი“ (1. 57). სხვა ფაქტებთან ამ ცნობის შეჯერებით, გამოტანილია დასკვნა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ვახუშტის შრომა იწერებოდა, აპირებდნენ, როგორც ჩანს, ახტალიდან ატენში საეპისკოპოსოს გადმოტანას. მას მერე, რაც ატენი გახდა „ნიში“ ახტალისა, შემდეგ მისი მემკვიდრე, უნდა გაჩენილიყო სომხური პილიგრიმული წარწერები ატენის სიონის კედლებზე. ეს პილიგრიმები ქალკედონიტები იქნებოდნენ ისევე, როგორც ქალკედონიტური იყო ახტალის საეპისკოპოსო. ჩანს აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა: როგორც მომხდარი ფაქტი, იგი არ აისახა ვახუშტის თხზულების გვიანი ხანის ხელნაწერებში; არც შემდგომშია რაიმე ცნობა ატენის საეპისკოპოსოს შესახებ (27. 82). მომდევნო ხანებში ახტალის მრევლისთვის ისევ მოუყრიათ თავი. ეს აღბათ ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობის ხანაში (1744-1788 წწ.) მოხდა. ახტალის იმდროინდელი იერარქთაგან ასახელებენ: სოფრომს, ომარ-ხანისაგან დატყვევებულს, შემდეგ ახალციხელ ქრისტიანთაგან გამოსყიდულს; გედეონს, აღეს-რულა 1792 წ.; ეგნატის, რომელმაც ახტალა მიატოვა 1796 წ.; იოანეს, რომელიც აღესრულა 1798 წ. XVIII ს-ის ბოლოს ახტალის ეპარქიას

განაგებდა ვარლამი, ქსნის ერისთავის - დავითის ძე. იოანე ბაგრა-  
 ტიონის ცნობით, იგი კათალიკოს ანტონ I-ს აღუზრდია, ახტალის  
 ეპისკოპოსი გამზღარა, შემდგომში კი - საქართველოს ეგზარქოსი (28.  
 183, 234). 1802 წ. ახტალის მაღაროებში მომუშავე ბერძნების თხოვნით,  
 ბერძენი მღვდელი ქ. ანკირიიდან, კიპროსში აღზრდილი იოაკიმი  
 ახტალის ეპისკოპოსად აკურთხეს; აღსრულა 1827 წ. (29. 34).

ახტალის მონასტრის ისტორიისათვის, საყურადღებო XIX ს-ის  
 იქაურ საფლავის ქვათა წარწერებიც: „ქრონიკონს უჟ (1802 წ.), ა  
 სექტენბერს. ქ. ტომთა და ნათესავთა ყოველთა მიერ ბუნებისა  
 გარდავიხადე მეცა, რომელი ვიყავ ჯავახიშვილის მზეჭაბუკის ასული  
 და მეუღლე ჩინებულთა თავადთა სომხითის მელიქის ძის თეიმურა-  
 ზისა, თამარ აღვესრულე წლისა ნე (55) და დაცუტევე ორნი სატრონი  
 ძენი ჩემნი სოლომონ და იოანე გოდებასა შინა და აქა დავიდევ ახტალის  
 ეკლესიასა, სასაფლაოსა ჩვენსა. გევედრები მხედთა ოხანი მაგეთ“.  
 თეიმურაზი და ძე მისი სოლომონ მელიქიშვილები, იხსენიებიან ზემოთ  
 განხილული ახტალის მონასტრის ტიპიკონის 1777 წლის მინაწერში,  
 რომელიც გვამცნობს გარეჯის მონასტრისათვის მათ მიერ ჭოჭკანელი  
 გლეხის შეწირულებას.

1812 წლის მეორე წარწერა საფლავის ქვაზე ასეთი შინაარსისაა:  
 „... საქართველოს მეფის გიორგის გორდალი თავადი ზაალ დავითის  
 ძე ზურაბიშვილი ბარათოვი, შობისაგან წლისა ლ-სა (30) და ჩემთანა  
 მეცხედრე ჩემი, თავადის ამილახორის ასული ანნა, წლისა კვ-სა (26),  
 რომელიცა უამსა შინა სიჭაბუკისასა, ვჰყუარობდით მრავალთა  
 კეთილობათაგან. ხოლო უბედურისა გამო შემთხვევისა, ერთსა ცხე-  
 დარსა ზედა შუაღამ მმინარენი, თოუესა აპრილსა იბ-სა (12), ჩყიბ-სა  
 (1812) წელსა, შესაწყალ მოვიკლენით ხანჯლისა გმირვითა ორგულთა  
 ყმათა ჩუენთაგან და დაითხია სისხლი ჩვენი სოფელსა შინა ჩვენსა  
 ახპატს, ხოლო სხეული ჩვენი აქა მცირესა საფლავსა შინა დაიფარა  
 და აღიხოვა ჩუენზედა მეკვიდრება სახლისა ჩვენისა“. ახპატის  
 მონასტრის მატიანე ამ ფაქტს 1790 წლით ათარიღებს და მიზეზად  
 ზაალის უზომო სიმკაცრე მოაქვს (30. 16). საფლავის ქვის თარიღი  
 უფრო სანდო ჩანს.

მესამე წარწერა 1856 წლისაა და ასე იკითხება:

„ენიაუნა ნატალია ალექსანდროვნა მელიქოვა,

მხევალი ღუთისა განსვენებული...

ჰასაკის გვართა სახელოვანი,  
 სწავლა ზნეობით წარმატებული,  
 დასჭირა რა მსწრაფლად ყვავილოვანი,  
 და რტო ნაყოფად განმზადებული,  
 რომ უქმნა დღენი განმწარებულნი  
 საყვარლის ასულისგან მოკლებული.

დედა სოფიო ერისთავის ასული მელიქოვისა, ცრემლით დასდებს ლოდსა ამას, რათა ყოველთა თანა წარმავალთა სოქუათ: წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სულსა მხევლისა შენისასა. დაბადებულ არს ჩყლდ-ს (1834), აგვისტოს კვ-სა (26), გარდაიცვალა ივლისის იზ-სა (17) ჩყვ-სა (1856) წელსა,, (4. 215-217).

ახტალის მონასტერი ამჟამად სომხეთის საზღვრებშია.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და 6. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ. 1941.

2. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ. 1977.

3. Е. Такаишвили. Грузинские надписи Ахтала, СМОМПК, XXIII, 1901.

4. პ. მურადიანი. სომხეთის ქართული წარწერები, ერ. 1977 (სომხ. ენაზე).

5. ლ. მელიქეთ-ბეგი. ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.

6. ლ. მელიქეთ-ბეგი. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, - 1964, ტ. 108.

7. Р. О. Шмерлинг. К вопросу о характеристики главного храма Ахтала... XI науч. сессия Отделения обществ. наук АН Груз. ССР, 26-28 апреля 1943 г. Тб. 1943.

8. ილ. აბულაძე. სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, 1948, XXXIII - B.

9. Կիրակոս Գանձակեցի. Իстория Армении, пер. Л. А. Ханларյան, 1976.

10. ა. ვოლსკაია. ქართველ მოღვაწეთა - „ცამეტ ასურელ მამათა“ გამოსახულებები... გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია... გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1985.

11. ს. კაკაბაძე. მეფის თამარის დროინდელი ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, ტფ. 1914.
12. ის. ღოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1970.
13. Г. Н. Чубинашвили. Болниси, „ენიმეის მოაშბე“, IX, 1940.
14. აკ. შანიძე. თხზულებანი, ტ. III, თბ. 1980.
15. ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, I, თბ. 1969.
16. აკ. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. 1971.
17. ბ. ლომინაძე. სამწირველო XIII ს-ში, „მიმოხილველი“, I, თბ. 1949; ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 31, 1954.
18. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, I, თბ. 1979.
19. ა. ხახანაშვილი. გუჯრები, ქუთაისი, 1891.
20. ლ. დავლიანიძე. ვახუშტი ბაგრატიონის ერთი ცნობის გამო, კრებ. „ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი“, თბ. 1997.
21. დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში... თბ. 1966.
22. თ. ურდანია. ქრინიკები, III, თბ. 1967.
23. Межкавказские политические и торговые связи Вост. Грузии, I вып. материал подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, Тб. 1991.
24. ექთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველები, III, თბ. 1910.
25. ის. ღოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ. 1985.
26. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959.
27. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ. 1978.
28. მცირეულებანი ქართველთა მწერალთათვის, ივ. ლოლაშვილის გამოც. თბ. 1983.
29. Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, 1875.
30. С. В. Тер-Аветисян. Крестьянский самосуд над помещиками-феодалами Бараташвили в конце XVIII в. Бюллетень КИАИ, 1930, № 6.

## ოთარ ჯანელიძე

### ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე

ექვთიმე თაყაიშვილი სტალინის სიცოცხლეში, 1953 წლის თებერვალში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას მხოლოდ მეცნიერის უახლოესი ნათესავები და უერთგულესი მეგობრები დაესწრნენ, დაახლოებით ორმოცი ადამიანი.

საქართველოში, სადაც მიცვალებულის საუკუნო გზაზე გაცილების გარკვეული ტრადიცია და რიტუალი არსებობს, ეს ამბავი უჩვეულოდ მოგვეჩენება, რომ არა ერთი გარემოება: ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც კომუნისტური ხელისუფლებისათვის მიუღებელი პიროვნება, სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ შერისხული გახლდათ.

საკითხავია, რატომ იყო, ერთი შეხედვით, უწყინარი პროფესიის ხეიბარი მოხუცი ესოდენ საშიში და მიუღებელი საბჭოთა წყობილებისათვის? იმიტომ, რომ მის სახელთან ასოცირდებოდა არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული საგანძურის მრავალწლიანი, ფათერაკებით აღსავსე ოდისეა უცხოეთში, არამედ იგი ცოცხალი მატიანე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომლის ტრაგიკული აღსასრული სწორედ ბოლშევიკ-კომუნისტებთანაა დაკავშირებული.

ექვთიმე თაყაიშვილს რამდენიმე მონოგრაფია, მრავალი ნარკვევი და სტატია მიეძღვნა, მაგრამ მისი ბიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, შეიძლება ითქვას, უსამართლოდაა მივიწყებული, კერძოდ - მისი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ემიგრაციის წლებში.

ექვთიმე თაყაიშვილი უაღრესად მრავალმხრივი მოღვაწე იყო: პირველი ქართველი არქეოლოგი, მკვლევარი ისტორიკოსი, ეთნოგრა-

ფი, წყაროთმცოდნე, ნუმიზმატი, ფოლკლორისტი... არ დარჩენილა ქართველობის მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელსაც სწავლულის ხელი არ შეხებოდეს.

მრავალი ეპითეტი ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილს: კონსტანტინე გამსახურდიამ მას „ერის მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა, ნიკო ბერძენიშვილმა – „ისტორიის მეცნიერების რაინდი“, გიორგი ჩუბინაშვილმა – „ქართული არქეოლოგის ნესტორი“ და სხვა. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მისი ეროვნული და პოლიტიკური საქმიანობა, რომლის წარმოჩენასაც ამ წერილში შევეცდებით.

მოგეხსენებათ, ექვთიმე თაყაიშვილი გურიის მკვიდრია. ჩვენი საუკუნის პირველი მეოთხედის გურია საზოგადოდ ცნობილია, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიის სამშობლო, მაგრამ ამ მხარემ წარმოშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეებიც, როგორებიც იყვნენ გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროვა, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა. დიახ, ექვთიმე თაყაიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო.

ეს პარტია, რომელიც 1917 წლის ივნისში ჩამოყალიბდა, ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა ნააზრევს დაეფუძნა და, არსებითად, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მათივე გზა განაგრძო.

პარტიის რიგებში თავი მოიყარეს ქართველი ინტელიგენციის უმთავრესად ახალგაზრდა, მაგრამ თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. ნიკო ნიკოლაძე, უკანასკნელი სამოციანელი, იყო პარტიის უხუცესი წევრი.

ექვთიმე თაყაიშვილი იმ დროს ორმოცდათოთხმეტი წლისა იყო, – ნიკო ნიკოლაძესა და ახალგაზრდებს შორის შეუა თაობას წარმოადგენდა. იგი რაიმე კონიუნქტურული მოსაზრებით არ დაკავშირებია ახალ პარტიას. ეროვნული – დემოკრატიზმი სიჭაბუკიდანვე მისი რწმენის, მსოფლმხედველობის საფუძველს შეადგენდა. ამასთან, ექვთიმე თაყაიშვილს უშუალოდ პქონდა გავლილი ილია ჭავჭავაძის სკოლაც: პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდგომ, 1887 წელს სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა სწავლული ჯერ პედაგოგიურ, მერე კი სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებს, ამავე დროს იგი უკავშირდება ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლთა წრეს და თანამშრომლობს

„ივერიასთან“, ჩართულია ყველა იმ საზოგადო საქმეში, ილიას თაოსნობით რომ ეწყობა.

ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის ერთი საყურადღებო დეტალია მისი მონაწილეობა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში 1917 წლის ნოემბერში. ყრილობა სწორედ იმ პარტიის ინიციატივით იქნა მოწყობილი, რომლის ერთ-ერთი ლიდერი თავად ე. თაყაიშვილი იყო. მას პქონდა დიდი მორალური ავტორიტეტი არა მხოლოდ თავის თანაპარტიიელთა შორის, არამედ მთელს საქართველოშიც. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი არჩეულ იქნა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში.

ნიშანდობლივია, რომ ე. თაყაიშვილის ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომლითაც საქართველო საუკუნოვანი უუფლებობისა და რუსეთის კოლონიური ქვეყნის მდგომარეობიდან აღდგა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკის სახით.

1918 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნული საბჭო ახალი წევრებით შეივსო და მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღის წესრიგში დადგა მისი სახელწოდების შეცვლის საკითხი. საბჭოს სხდომაზე, საკონსტიტუციო კომისიამ წამოაყენა წინადადება, რომ საკანონმდებლო ორგანოსათვის ეწოდებინათ „რესპუბლიკის დარბაზი“. მმართველი ძალა, სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) მოითხოვდნენ „საქართველოს პარლამენტს“, ფედერალისტები მხარს უჭერდნენ „რესპუბლიკის საბჭოს“ და სხვ. კამათში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ე. თაყაიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს გაზეთის კორესპონდენტი: „როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი თავისი ადგილიდან დაიძრა, თავისებური, მოხრილი სიარულით, მე მესმოდა ხმები: ეხლა საკითხი უთუოდ გადაიჭრებაო. ასე ფიქრობდა ყველა, ვისაც პატივი და მოკრძალება აქვს ბებერი ისტორიის და მუდამ ცოცხალი ტრადიციის და ჩვენი მხცოვანი ისტორიკოსიც, ძველი დარბაისელი ენით შეუდგა ახალი ლინგვისტების წინაშე ძველი ქართულის გამართლებას.

ყველა გრძნობდა, უთუოდ თუ რა მშიმე იყო მისთვის ეროვნულ საბჭოში გამართული კამათი და ამ სიმბიმემ დასძრა იგი თავის ადგილიდან“!

ახლა თავად ექვთიმე თაყაიშვილს მოვუსმინოთ. იგი ამბობდა: „ძნელათ თუ ვისმეს უყვარს უცხო სიტყვების ხმარება ისე, როგორც ქართველებს, ძნელათ თუ მოიპოვება ერი, რომელსაც ისე უყვარდეს

უცხო ენა, როგორც ეს ჩვენ გვიყვარს. ეს სენი ისტორიულია, მაგრამ ეხლა იგი უფრო გვემჩნევა. ამ ერთ საუკუნეში ქართული ლექსიკონი ძალზე შეიცვალა. ისტორიკოსი უწინაც აღნიშნავდა, რომ ქართული ენა „უცხოთ მორთული“ არისო. ე.ი. უცხო სიტყვებით შერთული, მაგრამ დღევანდელ ისტორიკოსს ამის თქმა მეტის უფლებით შეუძლია... ეხლა, როდესაც საქართველოში ევროპის კულტურა შემოვიდა, ჩვენი ლექსიკონის არევას, რასაკვირველია, უფრო აქვს ადგილი.

თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, – მიმართავდა ე. თაყაიშვილი დეპუტატებს, – თავი უნდა დაანგებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს“.

მცცნიერმა ხაზი გაუსვა, რომ სიტყვა „დარბაზი საარსულიდან არის გადმოქართულებული, მაგრამ იგი სავსებით არის შესული ქართულ ხმარებაში... დარბაზი ნიშნავს დიდ ოთახს, მაგრამ თუ ამ სახელს მიიღებთ, – მიუთითებდა ორატორი, – მაშინ უნდა მიიღოთ სიტყვა სეფე-დარბაზი, ესე იგი სასახლის დარბაზი. რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სეფესა შენსა დარბაზსა“. სიტყვა სეფეც გადმოქართულებულია, – განმარტავდა ექვთიმე თაყაიშვილი, მაგრამ სავსებით შესულია ხმარებაში და თუ მიიღებთ, იცოდეთ, რომ ეს ნამდვილი ქართული სახელი იქნება“.

სწავლულმა დეპუტატმა განმარტა ასევე „პალატის“ მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ ისიც იგივე ბუნებისაა, – დიდ ოთახს ჰქვია, მაგრამ „ეს სიტყვაა დასავლეთის და დარბაზი აღმოსავლეთის“. დასასრულს ექვთიმე თაყაიშვილმა განაცხადა: „ყველაზე უკეთესი და შესაფერი, ჩემი აზრით, იქნება საბჭო. ეს ნამდვილი ქართული სიტყვაა. ნათქვამია: „დავსხდეთ და მოვიხმოთ ბჭენიო“. ბჭენი ნიშნავს მსაჯულებს, რომელთაც განსაკუთრებულ იხმობდნენ – სამართლის აღსასრულებლად. საბჭოს წინ უნდა დაერთოს არა ნაციონალური, არამედ რესპუბლიკის საბჭო და მე მონია, რომ უკეთეს სიტყვას, ნამდვილს ქართულს ვერავინ მოიგონებს“.<sup>2</sup>

ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ არ მიიღო მეცნიერ-ისტორიკოსის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი. კორესპონდენტის სიტყვით, „ექვთიმე თაყაიშვილი დამარცხდა, ისევე როგორც მასთან ერთად დამარცხდა ცოდნაც და ისტორიაც“. კენჭის-ყრისას უპირატესობა სოციალ-დემოკრატია წინადადებას მიეცა, – ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი დაერქევა.

მართალია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ხელისუფლების

ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მისი წევრები და შეთმობის ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად იყვნენ ჩაბმული ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

1919 წლის ობერვალში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 8 მანდატი მიიღო. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები გახდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, იოსებ მაჭავარიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ასათიანი და პეტრე სურგულაძე.

კრება მუშაობას 1919 წლის 12 მარტს შეუდგა. დამფუძნებელი კრების მესამე სხდომაზე, 18 მარტს, ეროვნულ-დემოკრატთა საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის, გიორგი გვაზავას წინადადებით, ექვთიმე თაყაიშვილი ერთხმად აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) და პრეზიდიუმის წევრად. რეგლამენტის თანახმად, პრეზიდიუმის უფლებამოსილების ვადა ერთი სესიის ხანგრძლივობით განისაზღვრებოდა, ამიტომ, 1920 წლის 16 მარტს ჩატარდა ხელახალი არჩევნები. აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი კვლავ აირჩიეს იგივე თანამდებობაზე. იგი არჩეულ იყო აგრეთვე კრების სახალხო განათლებისა და ხელოვნების მუდმივმოქმედი კომისიების წევრად.

ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით დამფუძნებელმა კრებამ შექმნა საბიბლიოთექო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ თვით ე. თაყაიშვილი აირჩიეს, მას ხომ ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად იგი აგრძელებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, - სათავეში ედგა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს, იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, კითხულობდა ლექციებს, წერდა საუკრნალო სტატიებს, აქვეყნებდა ნაშრომებს. 1919-1920 წლებში ექსპედიციაც მოაწყო რაჭაში. აღწერა და გადმოიღო რაჭის მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ნაგებობანი, შეისწავლა იქ დაცული სიძველენი. შემდგომ ამ მასალების საფუძველზე თბილისში გამოფენაც მოაწყო და სხვ. მაგრამ, რაც მთავარია, ამ მოგზაურობის დროს იგი ხვდებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, ესაუბრებოდა ქვეყნის საჭიროობები საკითხებზე, განუმტკიცებდა მათ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რწმენას, უსახავდა იმედს.

ცნობილია, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდო-

მარე იყო ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, მაგრამ იგი ხანგრძლივად მივლი-ნებული იყო უცხოეთში. კრების მუშაობას ფაქტობრივად მისი უფროსი ამხანაგი (პირველი მოადგილე) ალექსანდრე ლომთათიძე ხელმძღვა-ნელობდა. ექვთიმე თაყაიშვილს არა ერთხელ მოუხდა მისი შეცვლა და კრების სხდომების თავმჯდომარეობა.

დამფუძნებელ კრებაში, რომელსაც შალვა ნუცუბიძე „საქართვე-ლოს ცნობიერების გვირგვინს“ უწოდებდა, პრეზიდიუმიდან უაღრესად თავაზიანი, დახვეწილი გამოთქმებით მიმართავდნენ დეპუტატებს. მაგალითად, თუ მომხსენებელი ძირითად საკითხს გადაუხვევდა, სხდომის თავმჯდომარე მას ამგვარად შეეხმანებოდა: „ბატონონ ორა-ტორო, უკაცრავად, უმორჩილესად გთხოვთ, დაუბრუნდეთ საგანს, დღევანდელ მსჯელობის საგანს“.

თუ ვინმე უადგილო რეპლიკას ჩაურთავდა გამომსვლელს, თავ-მჯდომარე საერთო შენიშვნას გააკეთებდა: „უკაცრავად, ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, ადგილიდან ნუ ინებებთ ლაპარაკს“. რეგლა-მენტს ასე შეასხენებდნენ: „უკაცრავად, ბატონო, თავდება თქვენი დრო“ და სხვ.

მიმართვის ამგვარ დარბაისლურ სტილს ექვთიმე თაყაიშვილიც ამგვიდრებდა. იგი ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად, მოითხოვდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში მორიდებოდნენ უცხოური სიტყვების წარმოთქმას და ესარგებლათ ქართული ენის ულევი შესაძლებლობებით.

თვითონ ხშირად არ გამოდიოდა სიტყვით, ერიდებოდა აზრი გამოეთქვა ისეთ პრობლემებზე, თავს კომპეტენტურად რომ არ თვლი-და. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და თავისი პროფილის საკითხებზე მსჯელობისას თუ დადგებოდა ტრიბუნასთან, ამიტომაც დამფუძნებელი კრების სტენოგრამებში მისი მხოლოდ რამდენიმე გამოსვლაა დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ ე. თაყაიშვილის ყოველი სიტყვა პოლიტიკური გამჭრიახობისა და მეცნიერული დაკვირვების ურთიერთშერწყმით გამოირჩევა. საილუსტრაციოდ მისი ერთი გამოსვლაც გამოდგება.

1919 წლის 5 დეკემბერს, დამფუძნებელი კრების 68-ე სხდომაზე, მან შეიტანა კანონპროექტი „ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების მთავ-რობისათვის წარდგენის შესახებ“. კანონპროექტის არსი მარტივი იყო: ქვეყნის უმთავრეს წიგნთსაცავებში უნდა შეეკრიბათ რესპუბლიკაში გამოცემული ნებისმიერი სახის ნაბეჭდი პროდუქცია. ეს ნებისმიერ მსურველს მათი გაცნობის და გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა,

ხოლო ხელისუფლებას იმის გარკვევას გაუადვილებდა, თუ რა გამოდის საკუთარ სახელმწიფოში. ამ მიზნით, თითოეულ სტამბას საკუთარი ბეჭდვითი გამოცემის თოთხმეტი ცალი მთავრობისათვის უნდა წარედგინა, – ორი ეგზემპლარი შინაგან საქმეთა, ხოლო თორმეტი – განათლების სამინისტროსათვის. უკანასკნელს ისინი ძირითად წიგნთსაცავებში – დამფუძნებელი კრების, უნივერსიტეტის, საეთნოგრაფიო საზოგადოების და ა.შ. ბიბლიოთეკებში უნდა გაეგზავნა.

დამფუძნებელი კრების ესერმა დეპუტატებმა გიგო ნათამემ და ილია ნუცუბიძემ ამ კანონპროექტში ცენზურის აღდგენა დაინახეს და ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც მის ავტორს, ბრალი დასდეს. სოციალ-დემოკრატებმა რაუდენ არსენიძემ და გრიგოლ გიორგაძემ დაიცვეს კანონპროექტი. ბოლოს სიტყვა კვლავ ექვთიმე თაყაიშვილმა აიღო. მისი გამოსვლა ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველი პოლიტიკური ხასიათისაა, მეორეს კი სამეცნიერო ინტერესი განსაზღვრავს.

„ბატონებო! ყველაფერს მოველოდი, – დაიწყო სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილმა, – მაგრამ თუ ეს უბრალო, მარტივი, ყველასათვის გასაგები და სასარგებლო კანონპროექტი ამდენ დავიდარაბას გამოიწვევდა, ამას კი არ მოველოდი. ეს სწორედ პარტიულ უინიანობით უნდაიყოს გამოწვეული, რომ ასეთ მარტივ საგანზე ასეთი აურ-ზაური ასტეხეს... მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სახელმწიფო, – განაგრძო ორატორმა, – ისეთი მთავრობა, რომელსაც არ ევალებოდეს ცოდნა იმისი, რაც ხდება, დაიწერება სახელმწიფოში. მთავრობამ, იქნება ის დემოკრატიული, თუ არა დემოკრატიული, სოციალისტური თუ არასოციალისტური, სულ ერთია, ყოველმა მთავრობამ უნდა იცოდეს, თუ რა იწერება, რა ხდება, რა აზრები, იდეები და მოძღვრებანი ვრცელდება სახელმწიფოში, რა იდეები ტრიალებს ხალხში, რა მიმართულებაა პრესაში. მაგრამ თავისთვის ცხადია, რომ ეს თვალყურის დევნა არ ნიშნავს მის ბოროტად გამოყენებას. ესენი ამბობენ, რომ თუ ორი ცალი გამოცემულ ნაწარმოებისა გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, ეს ცენზურის აღდგენა არისო, იმიტომ, რომ ის ამას ბოროტად გამოიყენებსო. გამოდის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის არ უნდა იცოდეს, რა იბეჭდება სახელმწიფოში. თუ შინაგან საქმეთა მინისტრს არ გაეგზავნა გამოცემული ნაწარმოების ორი ცალი და გაეგზავნა მხოლოდ განათლების სამინისტროს, ნუთუ შინაგან საქმეთა მინისტრი ისეთი უსუსური არის, რომ ის ვერ იშოვის თორმეტი ცალიდან ორ ცალს და ვერ გადაათვალიერებს მას. ყოველ შემთხვევაში, ის შესძლებს გაიგოს ის, რაც საჭიროა. აი, ეხლაც, არ მისდის

გამოცემული ნაწარმოების არც ერთი ცალი, – მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ზოგ რამეს მაინც ტყვიბილობს...“

„ახლა წარმოიდგინეთ თქვენ, – განაგრძობდა გამომსვლელი, – რომ არის პრესა, რომელიც აშკარად მიმართულია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ, – მტერი უწყობს ხელს და ხალხში ამბობებას იწვევს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა მივსცეთ საშუალება მიიღოს მის წინააღმდეგ საჭირო ზომები? დიახ, მინისტრმა უნდა მიიღოს ზომები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უკანონოდ მოიქცეს. მე, როდესაც მთავრობას ვაძლევ ამის ნებას, სახეში მაქვს, რომ მთავრობა უნდა მოიქცეს კანონის ძალით. მე თანახმა ვარ, რომ მინისტრმა ასეთი საქმე გადასცეს სასამართლოს. მაგრამ რანაირად უნდა მიმართოს მან სასამართლოს, თუ არ იცის, ვინ ჩაიდინა დანაშაული პრესის საშუალებით, ან ვინ არის ბოროტმოქმედი?“

თუ სიტყვის დასაწყისში ე. თაყაიშვილი საკითხის პოლიტიკურ ასპექტზე უფრო ამახვილებდა ყურადღებას, დასკენით ნაწილში მაინც ისტორიკოსმა იჩინა თავი, მან, ვისაც სხვაზე უკეთ მოეხსენება წიგნის, უურნალისა თუ გაზეთის საისტორიო მნიშვნელობა, როგორც თანამედროვე, ისე მომავალი მკითხველისათვის.

„ბატონებო, – ასრულებდა ექვთიმე თაყაიშვილი, – მე მგონია, ყველა ნაწარმოები შესაძენია. თანამედროვე მოღვაწენი ვერ დააფასებენ იმას, თუ რა არის შესანახი და რა არა. ასე ეგონათ დიდი საფრანგეთის რევოლუციის დროსაც, მაგრამ ეხლა ათას მანეთობით ვაძლევთ იმ პატარა ფურცლებში, რომლის შენახვა მაშინ საჭიროდ არ მიაჩნდათ... შეუძლებელია ჩვენ დავაფასოთ დღეს ის, რაც ისტორიამ უნდა დააფასოს. ეხლანდელ მოქმედებას ისტორია გაარჩევს. ისტორია ყველას თავისას მიუსჯის. ის ყველას გაგვასამართლებს. ამიტომ თუ თქვენ კულტურული ხალხი ხართ, ეს წესი უნდა შემოიღოთ და ყოველგვარი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები მომავალ თაობას შეუნახოთ“.³ ამ სიტყვებს დეპუტატების საერთო ტაში მოჰყვა და კანონპროექტიც მიიღეს. დღეს, ალბათ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ მართალი იყო ექვთიმე თაყაიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო მეზობელ - ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება. საქართველო უმეტესად ახერხებდა ამას, მაგრამ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის იყო ერთი მტკიცნეული პრობლემა, რომელიც ტერიტორიების კუთვნილებასა და საზღვრების დაღვენას შეეხებოდა.

მათი გარკვევის მიზნით. 1918 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმმა შექმნა პოლიტიკურ-ტერიტორიალური გადამიჯვნის კომისია.<sup>4</sup> მაგრამ საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. სომხეთის უსამართლო ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოსადმი 1918 წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომიც კი მოჰყვა. მეომარ სახელმწიფოთა დაზავების შემდგომ, მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით გამოყო სატერიტორიო კომისია, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობდა. საქართველოდან კომისიის შემადგენლობაში სვიმონ მდივანთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილიც შედიოდა.

კომისიის სხდომებზე ექვთიმე თაყაიშვილი სხვა ქართველ დელეგატებთან ერთად იცავდა დებულებას, რომ „დავა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის მდებარე მომიჯნავე რაიონებზე და ასეთი დავის გადაწყვეტის დროს ხალხის ნებისყოფის გარდა საჭიროა ხელმძღვანელობა აგრეთვე ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრებით და სადაც რაიონების ყოფა-ცხოვრების მიხედვით“.<sup>5</sup> ამასთან, მეტი სიცხადი-სათვის ექვთიმე თაყაიშვილი მოითხოვდა, ჯერ გამოერკვიათ სადაც რაიონები და შემდეგ ემსჯელათ პრინციპებზე. სომხეთის მხარე აყენებდა წინადადებას, რომ სადაც საკითხების გადაწყვეტა პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის მიენდოთ. ამის საპასუხოდ ექვთიმე თაყაიშვილმა განაცხადა: „კონგრესის გადაწყვეტილება ჩვენს დავას ვერ მოსპობს, ეს დავა ჩვენ თვითონვე მშვიდობიანობის გზით უნდა გადავწყვიტოთ: თუ შეთანხმება ვერ მოხდება, მაშინ არბიტრაჟს უნდა მივმართოთ“.

ექვთიმე თაყაიშვილი ასაბუთებდა თვალსაზრისს, რომ „ამიერკავკასიის სომეხთა უმრავლესობის მოთავსება სომხეთის სახელმწიფოში მეზობელ სახელმწიფოთათვის ზიანის მიუყენებლად შეუძლებელია. სომეხთა სახელმწიფო, მეზობლებთან შედარებით, უფრო ფართე ფარგალში შეიძლება შეიქმნეს ოსმალეთის სომხებთან გაერთიანებით“.<sup>6</sup>

კომისიამ აზრთა გაზიარების შემდგომ ერთხმად მიიღო დადგენილება: „სატერიტორიო დავა დაინტერესებულ რესპუბლიკათა ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა მოხდეს. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაშინ დავა არბიტრაჟის საშუალებით უნდა გადასწყდეს“. ეს დადგენილება კონფერენციის მონაწილეებმაც გაიზიარეს და ერთხმად დაამტკიცეს, მაგრამ საკითხი მაინც გადაუწყვეტელი დარჩა.

მომდევნო წელს საქმეში საქართველოში მყოფი ინგლისის წარმო-

მადგენლობა ჩაერთო. მისი წინადადებით, მუშაობა საზღვრების გამო-  
 სარკვევად კვლავ გაგრძელდა. საზღვრების დამდგენი კომისიის  
 შემადგენლობაში საქართველოს მთავრობამ ისევ ექვთიმე თაყაიშვილი  
 შეიყვანა. მასთან ერთად ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე ივანე  
 ჯავახიშვილს, პავლე ინგოროვასა და გენერალ ოდიშელიძეს დაეკის-  
 რათ.<sup>7</sup>

მიუხედავად ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნისა, ექვთიმე თაყა-  
 იშვილი და მთელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია თავგამო-  
 დებით იცავდნენ ქვეწის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას.  
 დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე გამოსვლისას ექვთიმე  
 თაყაიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„ჩვენ ყველანი სხვადასხვა პარტიას ვეკუთვნით, მაგრამ ერთში  
 ყველანი ვეკრთდებით და ეს არის შეერთებულის ძალით გალაშქრება  
 მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ თავისუფლებას ძირს უთხრის, ვისაც სურს,  
 რომ ჩვენ კვლავ მონებად ვიყოთ... სანამ ჩვენი თავისუფლება არ  
 განმტკიცებულა, ერთადერთი მიზანი ყველა პარტიისა არის განმტკი-  
 ცება. არ არის ისეთი პარტია, რომელიც ასეთ ნიადაგზე არ იდგეს.  
 ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის მტერია, ის ჩვენი ყველას  
 მტერია და ამათ უფლებას ვერ მივსცემთ ილაშქრონ ჩვენს წინა-  
 აღმდეგ... ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას ძირს უთხრის, უსათუოდ მის  
 წინააღმდეგ უნდა იქნეს ზომები მიღებული“.

საქართველოს თავისუფლების განმტკიცების გზაზე დიდმნიშვნე-  
 ლოვანი მიღწევა იყო ჩვენი სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარება. 1920 წლის 12 იანვარს ეგროპის დიდმა სახელმწიფოებმა დე ფაქტო  
 ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ თარიღის აღსანიშნავად  
 საქართველოს მთავრობამ განიზრახა თბილისში აეგოთ თავისუფლე-  
 ბის ძეგლი. საკითხი გადასაწყვეტად დამფუძნებელ კრებას გადაეცა,  
 რომელმაც დამოუკიდებლობის ფონდის შესაქმნელად საყოველთაო  
 ხელისმოწერა გამოაცხადა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დადგე-  
 ნილება კრებამ ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით მიიღო. თავის  
 გამოსვლაში ამ საკითხის გამო იგი აღნიშნავდა:

„დამფუძნებელ კრებას შეეძლო თვითონ გაეღო შესაფერი თანხა,  
 მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ იქნება მიზანშეწონილი. ჩვენ გვგონია, ის  
 ძეგლი... ისეთი უნდა იყოს, რომ მის შექმნაში ყველას უნდა ჰქონდეს  
 შეტანილი თავისი წვლილი, მთელ ერს, განურჩევლად მიმართულე-  
 ბისა, წოდებისა და ჰასაკისა, რათა ყველასათვის საამაყო შეიქმნეს  
 ის. ამ სახით ხელისმოწერა უფრო მიზანშეწონილი იქნება“.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა...

ექვთიმე თაყაიშვილი ქართული განხეულის მცველად და საპატრონოდ საფრანგეთში გაემგზავრა. დაიწყო იმულებითი ხანგრძლივი ემიგრაციის ხანა.<sup>8</sup> ემიგრაციაში გაიხიზნა საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ერთი ნაწილიც. მათ ბინა პარიზის მახლობლად, ლევილში დაიდეს.

ბოლშევკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა და დამფუძნებელი კრების საპარლამენტო ფრაქციამ ერთობლივი დადგენილებით პარტიის წევრებს საზღვარგარეთ გასვლა, ემიგრირებულ მთავრობასთან და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობა აუკრძალა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ზოგიერთი თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი მაინც აღმოჩნდა უცხოეთში. მათ შორის იყვნენ გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი, ლელი ჯაფარიძე და სხვ. 1920 წლის აპრილიდან, როგორც საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრი, ევროპაში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძეც.<sup>9</sup> მათვე შეუერთდა ექვთიმე თაყაიშვილიც. ყველა ესენი ჩაეძნენ იმ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელსაც ემიგრანტული მთავრობა საქართველოდან გახიზვნის შემდეგ ეწეოდა.

აღსანიშნავია, რომ პარიზში ფუნქციონირებას განაგრძობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელიც ფრაქციათა წარმომადგენლებით შეივსო და გაფართოებული პრეზიდიუმი დაერქვა. ექვთიმე თაყაიშვილი კვლავ მისი თავმჯდომარის მოადგილეა.

დიპლომატიური და პროპაგანდისტული მუშაობის პარალელურად ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია ცდილობდა კავშირი გაება სამშობლოსთან, მიეღწია პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებისათვის ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. ამ მიზნით, 1921 წლის 18 დეკემბერს პარიზში გაიმართა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ინტერპარტიული თათბირი, რომელმაც მომავალი კონფერენციის დღის წესრიგი და განსახილველი დოკუმენტების პროექტები შეიმუშავა. სხვებთან ერთად, თათბირის მუშაობი ექვთიმე თაყაიშვილიც მონაწილეობდა. 1922 წლის თებერვალ-მარტში გამართულმა კონფერენციამ, რომლის ერთ-ერთი დელეგატიც ასევე ექვთიმე თაყაიშვილი იყო, მიღლი ინტერპარტიული შეთანხმება. იგი საქართველოს ოკუპანტების წინააღმდეგ განზრახული გამოს-

ვლისათვის ძალთა გაერთიანებასა და ერთობლივ მზადებას ითვალისწინებდა.

ემიგრაციაში მოღვაწე პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს განთავისუფლების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა თვით ქართველ ხალხს უნდა ეთქვა, თუმცა, დროდადრო საჭიროდ თვლიდნენ გამამხნევებელი მიმართვებისა და მოწოდებების გამოგზავნას.

ერთ-ერთ ამგვარ მიმართვაში, რომელიც 1922 წლის 26 მაისითაა დათარიღებული, ხაზგასმულია: „ერი არ შეიძლება შედრეს, – ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს...“

ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხილობდეს. დაე ამ ბრძოლაში მამა დაეცეს, მისი ადგილი შვილმა დაიკავოს, ძმა დაიღუპოს, ის ძმამ შესცვალოს, მეგობარი – მეგობარმა, ამხანაგი – ამხანაგმა... და ასე განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებამდის!“

ექვთიმე თაყაიშვილი არ ყოფილა შეიარაღებული აჯანყების მომხრე. ეს მკაფიოდ გამოჩნდა 1922 წლის 14 ივნისს, ემიგრირებული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის პარიზში გამართულ შეერთებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა საქართველოში აჯანყების მზადების საკითხი. ე. თაყაიშვილმა განაცხადა: „მე მგონია, ამოდენა საპასუხისმგებლო საქმის ადვილად გადაწყვეტა არაა ადვილი და არც თითის აწევით შეიძლება. აქ სულ სულისკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით რომ ვერ მოერევიან მტერს? ვთქვათ მოერიეთ კიდეც, ხვალ რომ უზარმაზარი რუსეთი მოგადგებათ?... ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჰურმი არიან. არც იარაღი აქვთ, არც სურსათი, არც წამალი და მაინც, უნდა ავჯანყდეთო! ჩემი აზრით, ძველ გზას უნდა დავადგეთ: მზათ იყონ. შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ჩვენ მაინც, არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში. ეს იქნება ჩვენი ხელით დაკვლა<sup>10</sup>.“

1924 წლის აგვისტოში ქართველმა ერმა იარაღით ხელში სცადა საშობლოს განთავისუფლება, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. აჯანყების ექომ საფრანგეთში, ემიგრაციამდეც მიაღწია. მდგომარეობის გასაანლიზებლად მოწვეულ იქნა მთავრობის სხდომა, რომელსაც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებიც დაესწრნენ. ექვთიმე თაყაი-

შვილს ამ სხდომაზე შეშფოთებით განუცხადებია: „ინტელიგენციას გაგვიუღებულებუნ, ამიტომ საჭიროა ერიოზე ვიქონიოთ გავლენა, - ჩაერიოს ამ საქმეშიო“."

ამ ამბებიდან ახლო ხანებში ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ საქმიანობას არსებითად ჩამოშორდა, თუმცა სამშობლოს თავისუფლების სურვილი და ოცნება სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია.

### შენიშვნები:

1. ლ. ჯ-ძე, წერილები პარლამენტიდან, „საქართველო“, 1918 წ., 6 ოქტომბერი.
2. საქართველოს პარლამენტში, „საქართველო“, 1918 წ., 6 ოქტომბერი.
3. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 5 დეკემბრის 68-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 13.
4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 1836, აღწ. 1, საქ. № 5, ფურც. 118.
5. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია, „სახალხო საქმე“, 1919 წ., 3 ივნისი.
6. იქვე.
7. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996 წ., გვ. 20.
8. როგორც ახლახანს გურამ შარაძის მიერ გამოქვეყნებული ვ. ჩუბინიძის მოვონებებიდან ირკვევა, განძეულის დროებით უცხოეთში გატანისა და ბოლშევკითა ხელყოფისაგან მათი ხსნის იდეა ივანე ჯავახიშვილს პკუთვნებია, იხ. გ. შარაძე, ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ., 14-21 ნოემბერი.
9. ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998 წ., გვ. 26.
10. ნ. კირთაძე, რა მოხდა?! თბ., 1997 წ., გვ. 16-18.
11. სცსსა, პარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის მიკროფირები, საქ. № 1081, ფურც. 4.

## არაკლი ფარჯიანი

ირაკლი ფარჯიანი

### პირადი წერილებიდან

ირაკლი ფარჯიანი 1977 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის წვეულებაზე გავიცანი მუსიკოს ჯარჯი ბალანჩივაძესთან. მე მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, ირაკლი კი - ოცდაშვიდის. ჯარჯი ჩემი მეზობელი იყო ბავლოვის ქუჩაზე მდებარე კომპოზიტორების სახლში, ირაკლი კი ქუჩის მთბირდაბირე მხარეს მდებარე რვასართულიანი სახლის პირველ სართულზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა მამასთან და ორ ძმასთან ერთად. სახელოსნო, საძინებელი და სტუმრების მისაღები მოწყობილი პერიოდი ერთადერთ ბნელ ოთახში, რომლის ფანჯრები გამოდიოდა ორ სახლს შეუ წარმოქმნილი კუთხის გვერდით და გადაჰყურებდა უსახურ ხეთა მწკრივს. ეს ზღუდე კი უკვე გადაულიანავი ხდებოდა დღის სინათლის იმ სხივებისათვის, რომლებიც იქამდე აღწევდა. სხვადასხვა ამაღლებულ თემაზე საუბრებში გართულებს არაერთხელ გვინახავს, როგორ მოადგებოდა ხეს უტუალეტობით შეწუხებული რომელიმე მამაკაცი, ან კიდევ - ქალი, ჩაჩაჩული მაღალყელიანი წინდების გასწორება რომ სჭირდებოდა, სარკედ კი, მისი აზრით, უკაცრიელი ოთახს ფანჯრის მინებს იყენებდა (ერთხელ ირაკლი ფანჯარასთან მიიპარა, სწრაფად მოქაჩა სახელურს და დააფრიხო ორი ახალგაზრდა ქალი, რომლებმაც შეჰქივლეს და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ. თვითონ კი ფრიად მიხიარულა ამ ეპიზოდით).

მაგრამ არასოდეს მინახავს ირაკლი ყოფითი პირობების გამო შეწუხებული, თუნდაც უფულობისაგან შეფიქრიანებული. მე კი (ვიცი, ბევრ მის სხვა მეგობარსაც) ყველანაირ გართობას მერჩივნა საათობით მასთან ჯდომა, - თუმცა იქ წესიერ სკამსაც კი ვერ

მონახავდი ჩამოსაჯდომად - მისი საუბრის მოხმენა და ცქერა, თუ როგორ მუშაობდა თუ თავის მოლბერტთან - ლამაზი, ღონისერი მოძრაობით უსვამდა ფიცარზე ჭიკარტებით მიკრულ ფურცელს ნახშირსა თუ პასტელის ჩხირს. ზეთით მუშაობა კი მისთვის უფრო საკრალური ქმედება იყო, ამიტომ ტილოზე ძირითადად მაშინ წერდა, როცა მარტო რჩებოდა. გაჩერებულს და უსაქმოდ მჯდომს ვერ ვისხენებ. როცა ჩემთან იყო სტუმრად, მაშინაც კი ქაღალდის რაიმე ნავლეჯს მონახავდა და ჯღაბნას იწყებდა. რამდენჯერაც დავხედე მისი წასვლის შემდეგ მაგიდაზე დატოვებულ „ნაჯღაბნს“, გადასაგდებად ვერც ერთხელ ვერ გავიმტეტე (მის მიერ გადასაგდებად გადადებული ქაღალდების გროვიდან ამორებული არაერთი ფურცელი კი დღესაც მიმშენებს კედლებს). ძალიან ცოცხლად გამომყვა ის გრძნობა, თუ როგორ შევდოოდი იმ უქალო სახლში, საღაც კარს თოთქმის ყოველთვის თვითონ არაკლი მიღებდა, პატარა დერეფანში წინ წამიძღვებოდა, შეშაბანდში სულ ერთ ადგილას მჯდომ მამას სვანურად გადასძახებდა რამდენიმე სიტყვას და შეაღებდა ხელმარცხნივ მდებარე თოახის კარს, რომლის იქთაც იწყებოდა ხელოვნების, სულას შემკვრელი ხელოვნების სამყარო.

ოთხ-ხუთ წელიწადში ამ სამყარომ რამდენიმე ასეული მეტრით მაღლა გადაინაცვლა, ახალ სახელოსნოში, ნუცუბიძის ბლატოს ყველაზე მაღალი სახლის ბოლო სართულის ჭერქვეშ. ოთახის სამ კედელს ფანჯრები ჰქონდა დატანებული და ახლა, საითაც უნდა გაგეხედა, მხოლოს ცას ხედავდი, თოთქოს ცაში გამოკიდებულ რაღაც კოშკში ზიხარო. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდებოდა ქარიან ამინდში, როცა სახლი მსუბუქად რწევას იწყებდა. ამიერიდან მისი საღორმი აღარც უქალო იყო: გვერდით ჰყავდა მეუღლე ასმაო და შვილი სოფო. უფროსი ბიჭი, ბექაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე.

არაკლი ფარჯიანმა იცოდა საკუთარი თავის ფასი, ანუ ის, რომ დიდი მხატვარი იყო. ალბათ ამიტომ არ ცდილობდა თვითდამ-კვიდრებას, არ ეძიებდა სახელსა და დიდებას. ბერსონალური გამოფენაც კი არ გაუმართავს სიცოცხლეში, ამისთვის სირბილი და დროის სარჯვა მეზარება, მირჩევნია, ის დრო, რაც დამრჩა, სატვას მოვანდომო. ვიცოდი, რომ ავად იყო, მაგრამ მისი შემხედვარე ამას ვერ დაიჯერებდი - ლამაზი, ძლიერი, ენერგიული, ხალისიანი

და ღიძიღიანი მუდამ სხვებს ამხნევებდა, თითქოს სხვისი თავში ატკიფება უფრო აინტერესებდა, ვიდრე საკუთარი ავაღმყოფობა. თუმცა, ჩვენ ერთხელ სიკვდილზე ვისაუბრეთ. მან მითხრა, ძალიან სერიოზულად და ამასთან, საოცრად მშვიდად, რომ სულ არ აშინებდა სიკვდილი (არ იყო თქმული, როდის – მალე თუ მრავალი წლის შემდგომ). პირიქით, სრულიად გახსნილი იყო მას მიმართ, ასე სჯეროდა სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ.

ირაკლის პიროვნების თვისებებს შორის ჩემთვის ერთ-ერთი უმთავრესი მისი გულუხვობაა. ის იყო უხვი ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მეგობრობასა და სიყვარულში, თანადგომასა და მრისხანებაშიც...

მისი გულუხვობის გამოვლინებაა ეს წერილებიც, რომლებსაც იყი, როგორც წესი, სხვადასხვა სანატორიუმიდან ან საავაღმყოფოდან მწერდა, სადაც ხანგრძლივად უწევდა ყოფნა. ვინ იცის, რა მძიმე პერიოდი ედგა, რა შავბნელი ფიქრები უღრღნიდა გულს, მაგრამ მაინც ახერხებდა თავისი სულის ნაწილი მიეცა ახლობელი ადამიანებისათვის, რომლებიც ასე საჭიროებდნენ მას თბილ, ჭკვანურ სიტყვას. მე ტყუილად როდი ვახსენე ზემოთ ჩვენი ასაკი – ცხოვრების ამ მონაკვეთში ცხრა წლის განსხვავება ძალიან საგრძნობია. და განა გასაკვირი არ არის ასეთი გულუხვობა – შენს უმცროს მეგობარს მოუძღვნა ესოდენ ვრცელი წერილები, დაუთმო მას ის ძვირფასი დრო, რომელიც შენთვის ასე ცოტა გრჩება...

ქვემოთ ვაქევეყნებ მის წერილებს, რომლებშიც, ვფიქრობ, მოჩანს არაკლი ფარჯიანი, როგორც ხელოვანი და მოაზროვნე, დამრიგებელი და მეგობარი.

პუბლიკაციის მომზადებისას საჭიროდ ჩავთვალე მხოლოდ უმნიშვნელო შემოკლებები.

გიორგი გოკიელი

## წერილები ლენინგრადიდან

(28.10.1983 □ 12.12.1983)



4.9.

ჩემო გია, ჩემო მაიკო!! როგორ ხართ? ისე ძალიან მომენატრეთ და ისე ხშირად ვფიქრობ თქვენზე. ადრეც მინდოდა მომეწერა, მაგრამ თავს ვიკავებდი, ისეთი გაბრუებული ვიყავი ამ წამლებისაგან, ხეირიანი არაფერი არ გამომივიდოდა. როგორ არიან ჩვენი პატარა ლამაზი ქალბატონები, ალბათ რა კარგები არიან. მოკლედ, ყველაფერი ძალიან მაინტერესებს თქვენზე, ხომ იცით. აი უკვე თვენახევარი გავიდა და თითქოს იმხელა დროა. ცხადია ჩემთვის იზლაზნება ასე. ჩემს ამბავს ალბათ გეტყოდათ ასმათი<sup>1</sup> (მითხრა გია იყო). ვარ მოკლედ ასე და მიდის სხეულთან ჯაგა-ჯუგი, ვნახოთ საით გადაიხრება, ძალიან მივუშვი და მომიხდება კიდეც. ისე ბევრად უკეთ ვარ, ცხადია, რაც მთავარია ორგანიზმა მიიღო წამლების რეაქცია, რისი ძალიან იმედიც არ ჰქონდათ. აქ, ხომ იცი, ღვიძლი და სისხლის ფუნქცია თუ არ გივარგა, მერე აზრი არა აქვს რამის მიღებას. მე ხომ ჩემით ვყლაპავდი ძლიერ წამლებს და უკვირთ, როგორ შევინარჩუნე ღვიძლი, რომ არ

<sup>1</sup> გ. გოუიელის მეულლე.


<sup>2</sup> ასმათ ფიცხელაური, ი. ფარგიანის მეულლე

დამეშალა. გითხრა ალბათ ასმათმა: მარცხენა ფილტვის გადარჩენაზე აქვთ საქმე, მარჯვენა არ ფუნქციონირებს, მაგრამ მე ცოტა სხვანაირად ვუიქრობ და იმედი მაქვს. თორემ ესენი ხვალაც ამომაჭრიან მთელ მარჯვენას. არა მგონია ასე წავიდეს მთლად საქმე, მეც ხომ ვიცი ჩემი სხეული, ამდენი ხანი რომ ვატარებ. მოკლელ, ასე იქნება თუ ისე, წუწუნის დრო არ არის. ჩემო გია, როგორ მიღის შენი შინაგანი და გარეგანი ცხოვრება, რა ხდება იქ ახალი. დრო გაქვს ალბათ ცოტა, მაგრამ იმ ცოტაშიც ეცალე რამე გააკეთო. შენ ბევრი რამე კარგის გაკეთება შეგიძლია. მე აქ ვკითხულობ ათას რამეს. ერთი ამით თუ ვერთობი, თორემ ისე ძალიან ძნელია, ისეთი დონის ხალხია, გაგიუდები. ერთი არ არის, რაიმე ნორმალურზე დაელაპარაკო. არ გინდა აქ 8-10 თვე გაძლება? ამ წამლებმა ისე გამთიშა, რომ ასმათსაც მივწერე: სამი დღეა, „მარტობის ასი წლის<sup>3</sup>“ ავტორის გვარს ვერ ვისტენებ მეთქი. მერე კი გამახსენდა. ერთი წამალია, ძალიან რომ თიშავს კაცს, კიდევ კარგი მომიხსენეს. სხვა მხრივ სისუფთავეა, ყურადღება. რა თქმა უნდა, ჩვენთან შედარებით დიდი განსხვავებაა. ყოველ დღე წვიმს. ჩემო გია, მერე თუ წერილს მომწერ, ალბათ დალაგებულად ვისაუბრებთ. ახლა ისე, შეგახსენეთ თავი, თუმცა განა არ ვიცი, რომ შესახსენებელი არაფერი არ გჭირო. მე ძალიან მიხარია ჩვენი მეგობრობა, რომელიც, ღმერთი იზამს, კიდევ უფრო გაიდგამს ფესვებს. ჯერ კიდევ რამდენი დარჩა გასაკეთებელი [...]

აბა მაგრად იყავით ჩემო მეგობრებო, თავს მოუარეთ, რაც მთავარია, და ყველაფერი დანარჩენი ძალიან კარგად იქნება. დიდი სიხარულით ველი თქვენს წერილს.

თქვენი ირაკლი  
28 ოქტომბერი 83 წ., ლენინგრადი

<sup>3</sup> კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის რომანი.


  
 ჩემო გია,

მხოლოდ დღეს, 14-ში მივიღე  
 შენი წერილი. რატომ დააგვიანდა  
 ნეტავ ამდენი? რა უცნაურია,  
 კაცის წერილს ყოველთვის ახ-  
 ლავს ის არმატი, ის განცდა,  
 როცა კაცთან ფიზიკურად ახლოს  
 ხარ, უშუალოდ ურთიერთობ. ასე  
 იყო ახლაც და რომ არ მინდა  
 სწორედ ეს განცდა დავკარგო,

აქვე გაგესაუბრები. პირველ წერილს რომ გწერდი, ცოტა ვერ ვიყავი  
 ფორმაში. არ ვიცი, ეს შეიძლება მოხდეს აქ. წამლები, ხომ იცი, თავისას  
 აკეთებენ, ისეთი დოზებით დებულობ, რომ ორგანიზმს უჭირს მათი  
 მონელება ისე, რომ შედეგები არ დაგიტოვოს. წამლებზე უარესად კი  
 მაინც ატმოსფერო მოქმედებს, ეს ჩაკეტილობა, ყოველ დღე ერთი და  
 იგივე სახეები, საუბრები... ჰოდა, ეს გარეგნული შემოზღუდულობა  
 თავსაც გიკეტავს. აქ ისეთი მასაა თავშეყრილი, რომ მეტი არ  
 შეიძლება. არ არსებობს ვინმეს რამეზე გაესაუბრო, მოკლედ, მაგარი  
 წყვდიადია. ისე, აშობენ ეს ავადმყოფობა ინტელიგენტების არისო და  
 სადღა არიან, ალბათ ჭკუა ისწავლეს. ისე, ბევრი მილიციელია  
 რატომდაც. ჩემთანაც გვერდით ერთი მაგარი დაქლიავებული მათი  
 წარმომადგენელი წევს – ყოველ სიტყვაზე იცინის, ნერვი რა არის, ის  
 არა აქვს, სულ ვეკითხები, რევოლვერს როგორ ისვრი მეთქი. რა თქმა  
 უნდა, ის სიცილით მპასუხობს (ოღონდ დებილური სიცილით),  
 ჩვეულებრივადო. მაგისთვის ყველაფერი ჩვეულებრივია ამ ქვეყანაზე.  
 ახლა აღარ იტყვი, როგორ სძინავს ან იძინებს? ხედავ, კითხულობს,  
 არ გადის ნახევარი წუთი და უკვე ხვრინავს. სულ ვეკითხები, როგორ  
 ახერხებ ასეთი სისტრაფით ჩაძინებას მეთქი. ხოდა, ისევ მპასუხობს,  
 თვალებს ვხუჭავ და ვიძინებო. ელაპარაკე ახლა მაგას. მაგრამ ყველაზე  
 უბედურებაა, როგორ ძინავს. აი, გოჭისთვის თუ მოგისმენია, როცა  
 ხვრინავს, ის მოგონილი არის. ეტყობა ნერწყვი (უკაცრავად), ეტყობა  
 კი არა, უგროვდება ქვედა ყბაში და რომ იწყებს ხროჭინს და ყლაპვას  
 და ამასთან ერთად კიდევ ხვრინვას (საოცარია, როგორ ახერხებს ასე)

მაშინ უკვე ჩემი მემართება. ხან შევანჯლევ მაგრად, ხან ვუყვირი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. დღეს ვუთხარი, ჯოხს გთხლიშავ მაგ ბაშკაში იცოდე მეთქი. შენ რა გგონია, 25 წლისაა. წარმოგიდვენია, 50 წლის რა იქნები მეთქი. რას ვერჩი ამ საწყალს, მაგრამ დებილებს ვერ ვიტან. ისე მაგარი საკაიფოა, თუ კაიფის მხრიდან შეხედავ. იმისთანა მბორი სხეული აქვს და მოშვებული. არადა, იმისთანა ცოლი მოსდის, ყველას უკვირს. ხო, მართლა, სამაგიეროდ ანეგდოტებს ყვება, დაწვები. ენა ებმება, თან ნერწყვის სიმრავლე რომ აქვს, ეს ყველაფერი ხელს უწყობს. რას ვერჩი მართლა იმ უბედურს, რომ იცოდეს, მასზე რომ ვწერ. მაგრამ დაახლოებით მინდა ჩვენი პალატა გაგაცნო. აი ამ წუთში მეორე ბიჭმა, ძალიან კარგი ბიჭია, თან მე შემეჩვია, მოკითხვა გადაეციო. მეც გადმოგცემ. ახლა, გინდათუ არა (საწოლზე ჩამომიჯდა) სგუშჩონკა არ გინდაო. ისე საინტერესოდ მეძახის – პრჯიანი. კაი, წერე, წერეო. პალატაში ოთხნი ვართ. დღეს შუახნის კაცი შემოიყვანეს. აქ არ არიან მძიმე ავადმყოფები, როგორც თბილისში, უფრო სწორედ, ეს მაინც ინსტიტუტია და მძიმები არ მოყავთ. მე, ცხადია, ყველაზე როული პროცესი მაქვს და ყველაზე ნაკლებად ვეგავარ (ვარეგნულად) „ტუბიკს“, როგორც აქ ვამბობთ ხოლმე. ამასწინათ მოიყვანეს ერთი, პალატაში დაწვინეს. ხო, ხო, ხო, უნდა გენახა, ოთხი დღე როგორ ვისიამოვნე. ძილით ხომ არ მიძინია, დღისით კი სულ კორიდორში ვიყავით. ასე ყარდა შიგნიდან და გარედან, ისე ახველებდა, ექიმი გიფს ჰვავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოუგონეს მენინგიტი და რაღაცები და წაიყვანეს, მოკლედ, ექიმი გვილოცავდა და ვულოცავდით. რომ არ წაეყვანათ, მე უკვე ვიბარებოდი ან ვთხოვდი სხვაგან გადაყვანას. მაგრამ სხვაგან ათკაციანი პალატებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მე იქ ვერ შევძლებდი ყოფნას. ზოგი ტელევიზორს (და ნებისმიერ პროგრამას, ამათი პროგრამები ხომ იცი, მშენებლობა და ტრაქტორი) უყურებს, ზოგი რადიოს უსმენს, მოკლედ, ვისაც როგორ უსწორდება. ამ სიტუაციაში ყოფნა კი ჩემს ძალებს აღემატება. აქ ერთადერთი იმის სარჯზე ხარ, რაღაც წაიკითხო, ან სიწყნარეში იწვე მაინც. რის საშუალებასაც ჩვენი პალატის ფარგლები არ იძლევა, ასე რომ თითქმის გადავწყვიტე, თუ არ წაიყვანდნენ, ფეხი დამეკრა. მე ძალიან ბევრი შემიძლია ავიტანო. ეს ჩემს პოტენციაში არის, მაგრამ მსგავსი რაღაცების კი რა მოგახსენო. ასე იყო, თუ ისე, ყველაფერი ჩათავდა, მთელი განყოფილება გვილოცავდა იმის გადაყვანას. გავაღეთ ფანჯრე-



ჩემო გია,

მხოლოდ დღეს, 14-ში მივიღე  
 შენი წერილი. რატომ დააგვიანდა  
 ნეტავ ამდენი? რა უცნაურია,  
 კაცის წერილს ყოველთვის ახ-  
 ლავს ის არომატი, ის განცდა,  
 როცა კაცთან ფიზიკურად ახლოს  
 ხარ, უშუალოდ ურთიერთობ. ასე  
 იყო ახლაც და რომ არ მინდა  
 სწორედ ეს განცდა დავკარგო,

აქვე გაგესაუბრები. პირველ წერილს რომ გწერდი, ცოტა ვერ ვიყავი  
 ფორმაში. არ ვიცი, ეს შეიძლება მოხდეს აქ. წამლები, ხომ იცი, თავისას  
 აკეთებენ, ისეთი დოზებით ღებულობ, რომ ორგანიზმს უჭირს მათი  
 მონელება ისე, რომ შედეგები არ დაგიტოვოს. წამლებზე უარესად კი  
 მაინც ატმოსფერო მოქმედებს, ეს ჩაკეტილობა, ყოველ დღე ერთი და  
 იგივე სახეები, საუბრები... ჰოდა, ეს გარეგნული შემოზღუდულობა  
 თავსაც გიკეტავს. აქ ისეთი მასაა თავშეყრილი, რომ მეტი არ  
 შეიძლება. არ არსებობს ვინმეს რამეზე გაესაუბრო, მოკლედ, მაგარი  
 წყვდიადია. ისე, აშობენ ეს ავადმყოფობა ინტელიგენტების არისო და  
 სადღა არიან, ალბათ ჭკუა ისწავლეს. ისე, ბევრი მილიციელია  
 რატომდაც. ჩემთანაც გვერდით ერთი მაგარი დაქლიავებული მათი  
 წარმომადგენელი წევს - ყოველ სიტყვაზე იცინის, ნერვი რა არის, ის  
 არა აქვს, სულ ვეკითხები, რევოლუციას როგორ ისვრი მეთქი. რა თქმა  
 უნდა, ის სიცილით მპასუხობს (ოღონდ დებილური სიცილით),  
 ჩვეულებრივადო. მაგისთვის ყველაფერი ჩვეულებრივია ამ ქვეყანაზე.  
 ახლა აღარ იტყვი, როგორ სძინავს ან იძინებს? ხედავ, კითხულობს,  
 არ გადის ნახევარი წუთი და უკვე ხვრინავს. სულ ვეკითხები, როგორ  
 ახერხებ ასეთი სისწრაფით ჩაძინებას მეთქი. ხოდა, ისევ მპასუხობს,  
 თვალებს ვხუჭავდა ვიძინებო. ელაპარაკე ახლა მაგას. მაგრამ ყველაზე  
 უბედურებაა, როგორ ძინავს. აი, გოჭისთვის თუ მოგისმენია, როცა  
 ხვრინავს, ის მოგონილი არის. ეტყობა ნერწყვი (უკაცრავად), ეტყობა  
 კი არა, უგროვდება ქვედა ყბაში და რომ იწყებს ხროტინს და ყლაპვას  
 და ამასთან ერთად კიდევ ხვრინვას (საოცარია, როგორ ახერხებს ასე)

მაშინ უკვე ჩემი მემართება. ხან შევანჯლევ მაგრად, ხან ვუყვირი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. დღეს ვუთხარი, ჯოხს გთხლიშავ მაგ ბაშკაში იცოდე მეთქი. შენ რა გვონია, 25 წლისაა. წარმოგიდგენია, 50 წლის რა იქნები მეთქი. რას ვერჩი ამ საწყალს, მაგრამ დებილებს ვერ ვიტან. ისე მაგარი საკაიფოა, თუ კაიფის მხრიდან შეხედავ. იმისთანა მძორი სხეული აქვს და მოშვებული. არადა, იმისთანა ცოლი მოსდის, ყველას უკვირს. ხო, მართლა, სამაგიეროდ ანეგდოტებს ყვება, დაწვები. ენა ებმება, თან ნერწყვის სიმრავლე რომ აქვს, ეს ყველაფერი ხელს უწყობს. რას ვერჩი მართლა იმ უბედურს, რომ იცოდეს, მასზე რომ ვწერ. მაგრამ დაახლოებით მინდა ჩვენი პალატა გაგაცნო. აი ამ წუთში მეორე ბიჭმა, ძალიან კარგი ბიჭია, თან მე შემეჩვია, მოკითხვა გადაეციო. მეც გადმოგცემ. ახლა, გინდა თუ არა (საწოლზე ჩამომიჯდა) სგუმჩინება არ გინდაო. ისე საინტერესოდ მეძახის - პრჯიანი. კაი, წერე, წერეო. პალატაში ოთხნი ვართ. დღეს შუახნის კაცი შემოიყვანეს. აქ არ არიან მძიმე ავადმყოფები, როგორც თბილისში, უფრო სწორედ, ეს მაინც ინსტიტუტია და მძიმეები არ მოყავთ. მე, ცხადია, ყველაზე რთული პროცესი მაქვს და ყველაზე ნაკლებად ვგავარ (გარეგნულად), „ტუბიკს“, როგორც აქ ვამბობთ ხოლმე. ამასწინათ მოიყვანეს ერთი, პალატაში დაწვინეს. ხო, ხო, უნდა გენახა, ოთხი დღე როგორ ვისიამოვნე. ძილით ხომ არ მიძინია, დღისით კი სულ კორიდორში ვიყავით. ასე ყარდა შიგნიდან და გარედან, ისე ახველებდა, ექიმი გიშს ჰგავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოუგონეს მენინგიტი და რაღაცები და წაიყვანეს, მოკლედ, ექიმი გვილოცავდა და ვულოცავდით. რომ არ წაიყვანათ, მე უკვე ვიბარებოდი ან ვთხოვდი სხვაგან გადაყვანას. მაგრამ სხვაგან ათკაციანი პალატებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მე იქ ვერ შევძლებდი ყოფნას. ზოგი ტელევიზორის (და ნებისმიერ პროგრამას, ამათი პროგრამები ხომ იცი, მშენებლობა და ტრაქტორი) უფურებს, ზოგი რადიოს უსმენს, მოკლედ, ვისაც როგორ უსწორდება. ამ სიტუაციაში ყოფნა კი ჩემს ძალებს აღემატება. აქერთადერთი იმის სარჯზე ხარ, რაღაც წაიკითხო, ან სიწყნარეში იწვე მაინც. რის საშუალებასაც ჩვენი პალატის ფარგლები არ იძლევა, ასე რომ თითქმის გადავწყვიტე, თუ არ წაიყვანდნენ, ფეხი დამეკრა. მე ძალიან ბევრი შემიძლია ავიტანო. ეს ჩემს პოტენციაში არის, მაგრამ მსგავსი რაღაცების კი რა მოგახსენო. ასე იყო, თუ ისე, ყველაფერი ჩათავდა, მთელი განყოფილება გვილოცავდა იმის გადაყვანას. გავაღეთ ფანჯრე-

ბი, მივასხურ-მოვასხურეთ დეზოდორები და ამოვისუნთქეთ. აი, ასე იყო კიდევ ერთი ეპიზოდი აქაური ცხოვრებისა. აქ ერთი ეგ არის კარგი, რომ სისუფთავეა, წესრიგი და ჩემთვის ეს მთავარია. გამოგიტყდები, რომ ფაქტიურად ამათ გულისთვის წამოვედი აქ, რომ ვიცი იქრა ხდება, რა სიბინძურეა. აქ სუნსაც კი ვერ იგრძნობ, სავადმყოფოებისთვის რომ არის დამახასიათებელი.

ჩემო გია, აქ ახლა ნამდვილი ზამთარია და ნამდვილი ზამთრის განწყობილება და ყველაფერი ეს ბავშვობას მახსენებს. წელიწადის ღროებსაც ხომ აქვთ თავისი სუნი, არომატი, მოკლედ, ის განწყობა, ენა რომ ვერ იტყვის და მეც ამ დღეებში ამ საოცარი სევდით ვარ სავსე. დასახ, რატომლაც ტკბილსევდანარევი განცდით, მოგონებებით დავხეტიალობ ბავშვობაში. ყველაზე ხშირად მაინც ერთი სურათი მოდის: ღამეა, შუა ზამთარი. ჩვენი დიდი სახლის<sup>4</sup> თეთრი ოთახი. გახურებული ღუმელი, სითბო. შუა ოთახში მაგიდა დგას, ზედ ლამფა. მაგიდის აქეთიქით მე და დედაჩემი ვსხედვართ. დედა გერმანულის რვეულებს ასწორებს, მე ვკითხულობ (მგონი, „განმის კუნძულს“)<sup>5</sup> და სავსე ვარ, ახლა ვხვდები, სწორედ იმ ტკბილსევდანარევი განცდით, რომელიც ახლა ასეთი სიმბატრით მახლავს. ეს გრძნობა ყველამ ვიცით. და კიდევ ვგრძნობ სუნს, ლამფის სუნს...

ჩვენი შენობა მონასტერი (დედათა) თუ თავშესაფარია, წითელი აგურით ნაშენი, გოთური სტილის. საჭმელად რომ ადიხარ, ქვის ხეული კიბე უნდა აიარო. ძალიან ვიწრო ფანჯრები აქვს ჩატანებული. ეს კოშკურის მხარეა და ის მრგვალია. ისეთი საოცარი ფანჯარაა, შუა საუკუნეების სტილის. ჰოდა, რამდენჯერაც ავდი-ჩამოვდივარ, სულ ერთი სურათი მიდგება წინ. გახსოვს, პრერაფელიტების (ჩემს) წიგნში, თუ არ ვცდები, მორისის ნახატი. წმ. აგნესა (ალბათ არ მეშლება) დგას ვიწრო ფანჯარასთან ხვეულ კიბეზე. შობა დღეა. გარეთ თოვლი, ხელში სანთელი უჭირავს და ფანჯარაში იყურება. ზუსტად ასეა აქაც, განსაკუთრებით თოვლი რომ მოიტანა, მაშინ დაემსგავსა უფრო.

ახლა ჩემს აშებს მოგიყები ცოტას და მერე ერმიტაჟის განცდაზე მინდა გელაპარაკო. მოკლედ, როგორც მოგწერე, ძალიან მშიმე სურათი იყო. გაგიუებულა ექიმი, აქამდე როგორ მიიყვანეო. მე კიდევ რა ვიცი,

<sup>4</sup> იგულისხმება სახლი მესტიაში, სადაც ირაკლი გაიზარდა.

<sup>5</sup> რ. ლ. სტივენსონის რომანი.

რა ვთქვა, ეს ავადმყოფობა ვერასოდეს ჯეროვნად ვერ შევაფასე. ალბათ იმიტომ, რომ ადვილად ვიტანდი. მაგრამ ხომ მაინც მაჩვენა კლანჭები. პირველად საქმე ყოფნა არყოფნაზე იყო. აქ კი შეგინარჩუნებთო, იძახდა, მაგრამ რომ გახვალ, მერე იმისი რა მოგახსენოო. ღვიძლი და სისხლის ანალიზი მქონდა ძალიან ცუდი და არ ეგონა, რომ წამლებზე რეაქცია ექნებოდა. არადა წამლებსაც ვერ მაძლევდა ისე, როგორც პროცესისთვის იყო საჭირო, ეშინოდა სულ არ დაგიშალოსო. მე ვეუბნებოდი, ჩემი ორგანიზმი რომ იცოდეთ, ასე არ შეგეშინდება მეთქი, მაგრამ სასაცილოდ არ ყოფნიდა. ასე იყო თუ ისე, ანალიზებმა საოცარი სისწრაფით იწყო გაუმჯობესება და მოკლე ხანში საუკეთესო ნორმაზე დადგა, რამაც ექიმის დიდი გაკირვება გამოიწვია. ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ორგანიზმი წამალს ღებულობდა და რეაგირებდა (ახლა გადართვას გავაკეთებ). იმ ახალმოსულ კაცს კითხვისას ჩაეძინა, წყნარი საათია და ყველა წეს, და ხვრინვა დაიწყო, იმ მესამე ბიჭმა მოკითხვა რომ გადმოგცა, იფიქრა ჩვენი ვოკა მილიციონერი ხვრინავსო და იღრიალა - Вовка, ხვათი ხრაპეტე-ო. საწყალ კაცს შეეშინდა, ისე წამოხტა კინალამ გაიშხლართა, რაო ბიჭებო, ხომ არ ვწვრინავდიო. არა მეთქი დავამშვიდე, ამას ეუბნება მეთქი. (ვოკამ კიდევ გენას იდი ნა...ო). მოკლედ დღითი დღე წავიდა საქმე წინ. რაც მთავარია მე მოვმჯობინდი და ცხადია ვერძნობდი შიგნითაც, რა ხდებოდა. ეს ანალიზების საქმე იყო მთავარი გარდატეხა. მარჯვენა ფილტვი, როგორც გითხარი, გაუქმებული მქონდა, მარცხენაზე პროცესი დაწყებული იყო. ეს ღრუები ასპროცენტიანი არ დაიხურებაო, სულ მეუბნებოდა, მე კიდევ ვეუბნები დაიხურება-მეთქი. მართლაც არ გაემტყუნება. მარჯვენა მხარე სულ ნახვრეტებია. და როგორც იძახის, ფილტვი რაღაც ტყავისმაგვარმა შეცვალაო. მეც ხომ ვერკვევი უკვე ერთგვარად სურათებში და თვითონ ვხედავდი. იჯდა ეს გოგო (ექიმი) და სულ ჩემს სურათებს უყურებდა. და არ იცოდა საიდან დაწყო. ასე გადიოდა დრო. მე ხომ მარჯვენა მხარე ჯანმრთელი მეგონა სულ და წარმოიდგინე, რა განცდა მექნებოდა. პირველად რომ ვკითხე მარჯვენა მხარეზე რამე მაქვს მეთქი, - არაფერიო. ისე მითხრა, არაფერიო, რომ ეჭვი შემეპარა, უკაცრავად გენაცვალე, მაგრამ ეს როგორ გავიგო მეთქი. არა გაქვს ფილტვი საერთოდო. მაშინ კი ვიფიქრე, ვაიმე ჩემო წვრილო ცოლ-შვილო მეთქი, მაგრამ რაღაც ვიზამდი. მოკლედ ოპტი-მალური ვარიანტი ამოჭრააო, მაგრამ ორგანიზმი არ გივარგა ჯერო.

გულში ვთქვი, ბებია გიცხონდება მეთქი. არადა ჩემს ჩამოსვლამდე ერთი კვირით აღრე ერთი ქართველი კაცი მოკვდა, იმასაც მარჯვენა ფილტვი ამოაჭრეს და მესამე დღეს მოკვდა, თირკმელებმა უღალატა. მოკლედ წავიდა N რაოდენობით აბები, ნემსები. მერე ტახიკარდია (რითმის აჩქარება) დამეწყო, მერე ერთი წამალი მომიხსნეს, უკეთ გავხდი და ა.შ. და ა.შ. ნელნელა ჩადგა მქურნალობა რითმაში და სტაბილური გახდა. იმდენი რამე იყო, რა დაწერს. მოუთმენლად ველოდით ხელმეორე სურათს, ორ თვეში ერთხელ აკეთებენ. რომ მისმენდა, ერთმა რომელილაც მხარემ სუნთქვა დაიწყო. ყოველ შემთხვევაში უკვე 10-15 წლის გარანტიას მაძლევდა და ეს უკვე ბევრი იყო ჩემთვის. მოკლედ, სურათი გადავიღე ამის წინ. ვერ მოუთმენია და ჯერ კიდევ სველი უნახავს. გახარებული მოდიოდა (ისე ყველა ანალიზის პასუხს სიტყვა სიტყვით მეუბნება. მე ამისთვის უკვე ცოტა სხვა ავადმყოფი ვარ, თან რაღაც რაღაცები ვუთხარი, ველაპარაკებოდი, ცოტა ჭკუასაც ვარიგებდი, ჩემებურად, ხოდა ახლა სხვანაირად მიყურებს, კარგად, ცხადია) და მახარა: სურათი ვნახეო და მარჯვენა მხარეს ერთი ყველაზე დიდი ღრუ (კვერცხზე დიდი) სულ დახურულია, სხვები კი მესამედზე დაიხურაო. ისე იყო გახარებული და გაკვირვებული, ვერ მაღლავდა. მართალი გითხრა, უკეთესობას კი ველოდი, მაგრამ ასეთს არაო. თან წინა დღეს მიმტკიცებდა საპირისპიროს და ახლა ბოლომდე ვერ ტყდებოდა. ხომ იცი კაცის ბუნება. ახლა უკვე იმაზე ფიქრობს წინაკავერნოზულ მდგომარეობამდე, კერებამდე, რომ დაიყვანოს საქმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის მორჩენილი იყო. საბოლოო მთლიან განკურნებაზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია ამხელა პროცესის მერე, მაგრამ თუ ამას მივაღწევთ, ჩემთვის ეს უკვე სრულ მორჩენას ნიშნავს. ბიჭები გაოცებული არიან: კავერნას ხომ ხალხი აქ წელიწადი ირჩენს და ისიც ჰა, ჰა. სიმართლე რომ გითხრა, ეს სასწაულის დონეზეა თითქმის, მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. რა თქმა უნდა, ამ ტემპით თუ წავიდა საქმე, 6-7 თვეში სუფთად გამოვდვრები. ტემპები კი როგორც ხშირად ხდება, ცვალებადია. რაც მთავარია, ოპერაციაზე აღარ არის ლაპარაკი და ამ ავადმყოფობის მხრივ ჯერ კიდევ შევძლებ მიწის შეწუხებას. უნდა გამოგიტყდე, ამ აშავმა ჩემში არავითარი ისეთი გრძნობები არ გამოიწვია. არ ვიცი, შეიძლება იმიტომ რომ შინაგანად ველოდი ძალიან, შეიძლება გარევეული განცდების, რაც აქ მოხდა, გადატანის გამო. და მოხდა ბევრი რამე, ბევრ რამესთან

დავდექი პირისპირ და ბევრი გავიგე ჩემში. ეს ყველაფერი ისეთი დიდი და ღრმა იყო, რომ ფილტვები და ავადმყოფობა რაა მასთან შედარებით, ვიცი რომ ძალიან გაინტერესებს და გაგიხარდება ჩემი პატარა წინს- კლა და ამიტომაც ვცდილობ შედარებით დაწვრილებით გითხრა, თო- რემ ისე არ მიყვარს ამ ყველაფერზე წერა, აქაც ყელში მაქვს ეს ყველაფერი. სამწუხაოლ წუწუნის ასაკს გადასული ვარ, თორემ სიამოვნებით ვიწუწუნებდი. მომეშვებოდა ცოტა მაინც.

ახლა გეტყვი, აქ რას ვმოღვაწეობ. პირველ რიგში [...] მიჭირს ის კი არა, რომ რაღაც თავისუფლება მომაკლდა, არამედ აქ უსაქმოდ ყოფნა. მოაზროვნე რომ ვიყო, ალბათ სხვანაირად ვიქნებოდი, მაგრამ... ჩემი აზროვნება ქმედების დროს ხდება ხოლმე, აქ კი ეს არ არსებობს... წიგნის კითხვაც ხომ ამოგდის ბოლოს ყელში [...]

ახლა ძალიან მომზადებული ვიყავი ზეთისთვის და არაფერი სხვის გაკეთება არ მინდა [...] ერთი წელი სუფთად დავკარგე და კიდევ რამდენი დამჭირდება ალბათ, გონის რომ მოვეგო. კი, ეს გამოცდილება გასაგებია, ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩემთვის მთავარი ხატვაა და ვხედავ, რომ მის გარეშე ნახევარი კაციც არა ვარ. აბა წარმოიდგინე, კითხულობ რაღაცას, განიცდი, ხედავ და გინდა დახატო და ვერ ახერხებ, მერე კიდევ კითხულობ... და ა.შ. როდემდის უნდა გარძელდეს ეს ავსება და ვერ გადმოლვრა, ხომ დამერწმუნები, რომ ძნელია. მერე აპათია მოდის, მერე კიდევ ათასი რამე და მიდის ასე, გრძელდება. რომ ჩამოვედი, „ანა კარენინა“ დავიწყე. არ მქონდა წაკითხული, დავიწყე და ძლივძლივობით ჩავამთავრე. ყველაფერი თავის ადგილას იყო, ტოლსტოის რომ შეეფერება, მაგრამ თვითონ იდეა წიგნის, შინაარსი, უკვე რაღა დროისაა, ეს მაშინდელი სოციალური, მემამულის ყოფა და პრობლემები. მოკლედ, ძლიერ ჩავიკითხე, დავიტანჯე. მერე ჩავ- ფიქრდი, რა მომეწონა და რა არა, ჰოდა, ძალიან გამიხარდა, როცა ჩემი ნაფიქრი ზუსტად დაემთხვა ტურგენევისა და თომას მანის აზრებს, ანუ რა: მე ყველგან მაოცებდა, როგორ აღწერს ტოლსტოი სიკვდილს, და საოცრად მაღელვებდა ყოველთვის მისი ამ ფაქტან მიღვიმა, განცდა. სადაც არ წავაწყდი ტოლსტოის „სიკვდილს“, ეს განცდა თან მახლდა და ამაზე ძალიან კარგად წერს და ამახვილებს ყურადღებას თომას მანი. ის ამბობს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ არც ერთ მწერალს არ გადმოუცია სიკვდილის განცდა ისე, როგორც ტოლსტოის. მე წავიკითხე მანის სტატიები და მათ შორის

რაც ტოლსტოიზე იყო. მოზრდილი სტატიაა ერთი (ძალიან საინტე-  
 რესო) „გოეთე და ტოლსტოი“, სადაც ის ძალიან საინტერესოდ უპი-  
 რისპირებს ერთმანეთს ამ ორ მწერალს და პიროვნებას და „ანა  
 კარენინაში“ არის სიკვდილის ორი სცენა – ანასი და ლევინის ძმის და  
 ორივე შედევრია. მერე არის სცენები, მაგალითად ნადირობის, მგზავ-  
 რობის, თბივის, ისე აღწერს ეს დალოცვილი, რომ თითქმის ხედავ,  
 გესმის, გრძნობ, მითუმეტეს ვისაც უგრძვნია დილა სიფელში, საობ-  
 ზე. ერთი სიტყვით, ეს კაცი ამოუწურავია და მისი ადგილების კითხვა  
 არ მოგწყინდება. რაც შეეხება „ივან ილიჩის სიკვდილს“, ძალიან  
 გამიხარდა, რომ მაიას მოეწონა, მაგრამ საზარელი რატომ მოეჩვენა?  
 ჩემი აზრით, ეს საოცრად ნათელი მოთხრობა, მართალია, სულ იმაზეა,  
 თუ როგორ კვდება კაცი, მაგრამ მთელი მოთხრობა სინათლეა, სიკვდი-  
 ლიდან სინათლისკენ, და ყველაფერი ასეა დაწერილი. მე ორიგინალში  
 დღემდე არ წამიკითხავს ნაწარმოები ისე დახვეწილი, გარანდული,  
 როგორც ეს ტოლსტოის აქვს. ორიგინალი კი რა ვიცი – რუსული და  
 ქართული (სვანურად, სამწუხაროდ, არაფერი გვაქვს) მარტო. მაგრამ  
 მანის ეს სტატია ძალიან საინტერესოა და კარგი იქნება როდისმე შენც  
 წაიკითხო, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჯერ ჯობია თვითონ გამოიტანო  
 გარკვეული აზრი, როცა წაიკითხავ და დაინტერესდები ამ კაცით [...]  
 ის ძალიან ჰქავს თვითონ ბუნებას, როგორი რეალური და შეფარული  
 არის იგი, ასე მეჩვენება მეც ეს მწერალი. რაც შეეხება მის უკიდურეს  
 აზრებს ფილოსოფიის, ხელოვნებისა და სხვა რამების მიმართ, ამას  
 სწორედ მანი ძალიან კარგად ხსნის იმ სტატიაში. მოგაწყინე ალბათ  
 ჩემი ტოლსტოით, მაგრამ ხომ იცი, როგორ არის, როცა გიყვარს. ისე,  
 როცა და თუ წაიკითხავ, შეხედე მხოლოდ როგორც მხატვარს,  
 როგორც ესთეტის, როგორც წმინდა მწერალს, ოსტატს და თუ რამე  
 სიბრძნეა, ამის იქით, ამ ყველაფრის იქით სჩანს მარტო. აკუტაგავას  
 გადავაკლე თვალი ისევ, პრეტენზია აქვს სიღრმეზე, მაგრამ მაინც ვერ  
 ქაჩავს ბოლომდე; ისე, ძალიან საინტერესო მწერალია. მერე თომას  
 მანის მოთხრობებიც წავიკითხე. ორი მოთხრობა „ტანსაცმლის  
 კარადა“ და „სასაფლაოს გზა“ მომწონს ძალიან. მესამეჯერ გადავი-  
 კითხე ორივე. პირველი ერთ-ერთ „საუნჯეშიც“ იყო დაბეჭდილი [...]

ძალიან მსიამოვნებს ჩინური და იაპონური პოეზიის კითხვა, განსა-  
 კუთრებით ახლა, როცა გარეთ თოვლია. რამხელა განცდებს ახერხებდა  
 ეს ხალხი და ყველა ტანკასა თუ სხვა ლექსების იქთ რამხელა ტკივი-  
 ლია, ახლა ჩემს განწყობაში მითუმეტეს ახლოს განვიცდი. მაინც ეს  
 ძველები რა მხეცები არიან. არის დღეები, არაფრის კითხვა არ მინდა.  
 „შიმშილი“ ხომ მართლა მარგალიტივით შეკრული რამეა, უდაოდ ეს  
 კაცი უდიდესი მწერალი და ოსტატია. გახსოვს, იქ, დამეს რომ  
 ათევინებენ პოლიციაში, რა განცდები აქვს სიბრძლეზე. მე მქონდა ასე,  
 ერთხელ, ერთი დამე ასეთ სიბრძლეში ვიყავი, მეძინა და მერე, ეს რომ  
 წავიკითხე, ისე დაემთხვა, განსაკუთრებით, რომ ამბობს, სივრცე  
 ცხვირთან მქონდაო. მოკლედ, მახსოვს, მეც ისეთ წამებაში გავატარე  
 ის ღამე და რა საინტერესოა, სიტყვა „კუბოა“ რომ მოუვიდა თავში. ეს  
 კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ქართული სიტყვა, და ასევე სხვაც,  
 არ არის ისე, შემთხვევით წამორშილ-წარმოშობილი [...]】

გავედი ბუკინისტებში. ეკკერმანის „გოეთესთან საუბრები“ ვნახე.  
 სულმა წამლია და ვიყიდე. ახლა ორი გამოცემა მაქვს – ძველი, შენ  
 რომ განახე და ახალი. პირველში ილუსტრაციები არ არის. 75 მან.  
 მივეცი. რა ვენა, ბუღაძესი<sup>6</sup> არ იყოს, მიყვარს და...

ჰა, დაიღალე მგონი ამხელა უსტარით. არც მე დამიწერია ამის  
 ნახევარიც კი. მაგრამ, მოდიორივემ გავუძლოთ (ისე კაი გაძლება მისცა  
 მწერლებს). ახლა ჩემს ერმიტაჟში ოდისეასაც მოგიყვები და მერე  
 გაგიშვებ [...]】

6-ში დიდი გულის ფანცქალით წავედი ერმიტაჟში. ბოლოს აქ  
 სამოცდაჩვიდმეტში ვიყავი. იმის მერე, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა  
 ჩემში. დიდი სიახლე იმ მხრივ, რომ ახალი რამე მენახა და გამკირ-  
 ვებოდა, არ იყო, მაგრამ იყო ის, რაც ადრე არასოდეს არ მქონია, იყო  
 რაღაც მომწიფებული და სერიოზული ჩემში და იყო კიდევ სულ სხვა  
 დაკვირვება. საოცრად მეჩქარებოდა ბერძნებთან შესვლა და, ცხადია,  
 იქიდან დავიწყე. ფაქტიურად, პირველად შევხედე ბერძნულ ვაზას. ეს  
 ისეთი შეხვედრა იყო, ისე ახლოს განვიცადე ყოველი ხაზი, ფორმა,  
 თითქოს ძალიან დიდი ხნის ნაცნობს შევხვდი. ეს განცდა, ალბათ, არ  
 დამავიწყდება. ჩემთვის ვბუტბუტებდი. საოცარი რამ აღმოვაჩინე: მე

<sup>6</sup> ნორვეგიელი მწერლის კნუნტ პამსუნის რომანი.

<sup>7</sup> გია ბუღაძე, მხატვარი.

რომ სახარებაზე ვმუშაობდი, ბოლოს ერთ დაჯდომაზე გავაკეთე თავების ბოლოები, ხომ გახსოვს, წვრილები და გრძელები. ბევრი გავაკეთე, ოცდაათამდე. მერე მიკვირდა, როგორ დავძლიე და როგორ დავასრულე ყველა. მოკლედ, მახსოვს, მაშინ ზენიტში ვიყავი ფორმის მხრივ, ავიღებდი ლაქას, დავადებდი, მერე ზემოდან მაკრატლის წვერით ვფხაჭნიდი და გამოსახულება ასე გამოდიოდა. ცხადია, არსად არ მინახავს, მასალამ თავისთავად მიმიყვანა აქამდე. ჰოდა, თურმე, ჩვენი ბერძენი მეგობრებიც ზუსტად იგივე პრინციპით არ აკეთებენ! იღებენ ბოლომდე გაუმშრალ თიხას და იწყებენ ხატვას. ჯერ აკეთებენ ლაქას, მერე იწყებენ „ფხაჭნას“. ვაზაზე ნათელ ხაზებს რასაც ხედავ, ყველაფერი გაკაწრული თიხაა. მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე იქნებოდა. მეგონა, სულ ფუნჯით ხატვავდნენ. შენც არ მომიკვდე. ისეთი თავისუფალი ხატვა-ფხაჭნა აქვთ, რომ გაოცდები. „დაატყებებენ“ ერთ გემრიელ შავ ლაქას აჩრდილივით და მერე მიღი, ე.ი. მაქსიმუმამდე არის გამარტივებული გადმოცემის ხერხები. მაგრამ რა საინტერესო იყო, ჩემთვის ასე ნაცნობი ხერხი რომ ვნახე. ერთადერთი ძირითადი განცდა ის იყო, რომ ამას ყველაფერს სიზმარში მყოფი კაცი აკეთებდა: ისეთი ხაზები და ისეთი ნახატია, რომ ვერ წარმოიდგენ, თუ კაცი სხეულში ყოფნისას აკეთებდა ამას ყველაფერს და ასე შორიდან და ამავე დროს აქვე იყო ეს ყველაფერი. ათწლეულები წამებად იქცნენ თითქოს და მე ხელით ვეხებოდი ამას ყველაფერს. ნეტავ ყოფილყავი მაშინ ჩემთან (და სხვათა შორის, ბევრჯერ გაგიფიქრე იმ დღეს) ისეთი გახსნილი ვიყავი, ბევრს ვიტყოდით ალბათ. იქნება მოვახერხოთ როდესმე ერთად, ერთიანი სულით ვნახოთ ყველაფერი ეს. ამის შემდეგ ფრანგებთან გადავედი. სამეულზე ხომ არაფერს ვიტყვი (ს. ვ. გ.).<sup>8</sup> მატიისი მხეცია და ისევ და ისევ მაოცებს. დერენი მომეწონა ისევ, განსაკუთრებით პეიზაჟი ერთი. ვლამინკი სუსტია, ყოველ შემთხვევაში, რაც აქ არის. პიკასო ხომ ხატავს, იცოცხლე. მოკლედ, ეს ყველა და ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რაც აღმოვაჩინე ახალი, ანუ ახლად, ეს დელაკრუა და კოროა. გახსოვს, დელაკრუას მეომარი, ცხენს რომ კაზმავს და ნადირობა ლომზე, ესენი სასწაულებია. გახსოვს ნადირობა, ხის ძირში ორი მონადირე, იქით ლომი. არ ვიცი, რა მიყო ამ სურათმა. ისეთი გამაა, რაღაც მომწვანო, მთვარის განათების მაგვარი, მაგრამ

<sup>8</sup> სეზანი, ვან გოგი, გოგენი.

ისეთი ზღაპარია ეს, ისე შევეღი მასში, ისე ვიმოგზაურე იქ... რა ოსტატია და როგორ ხმარობს ზეთს! მაგრამ მთავარი ეს იმ ზღაპრის, იმ იდეის, იმ განცდის ასე გადმოცემაა, ეს კაცი რომ ახერხებს და იქ არის კიდევ ის საიდუმლო, ასე ღრმად რომ წნეხავდნენ სურათში ეს საოცარი ხალხი, საიდუმლო, რომელიც გენიოსებს ხელეწიფებოდათ მარტო. როგორი ამბავია დახატო ზღაპრული, ჯადოსნური განცდა, დახატო ისე, რომ რეალურიც იყოს და რეალურს იქითაც. და ახლა ნამდვილად მწყდება გული, რამდენი, რამდენი ასეთი ჯადოსნური რამე არ გვინახავს და რამდენი გვაკლია. ასევე გამაოცა კორომ. ისეთი პეიზაჟები აქვს, რომ მიკვირდა, ეს კაცის დახატული თუა მეტქი; ისეთ ფორმაში იყვნენ ეს დალოცვილები, რომ საოცარ რამეებს აღწევდნენ. კორო სუფთა ჯადოქარია, ისე გრძნობს ბუნებას, ისეთი ტექნიკა აქვს. მოკლედ, მარგალიტებივით სხედან და ბრდლვიალებენ. ვან გოგის ბუჩქი კობალტის ფონზე, თითქოს ანგელოზი გამოვა მის უკრიდან. დიდხანს ვუყერე, მაგრამ ვერაფრით ვერ მივაღწიო (ვერ ჩავწევდი), იმ პროცესის ნახევარსაც კი, ის რომ (თუ როგორ) კეთდებოდა. ხედავ, როგორ ავლაქლაქლი, ჩემო გია. ვუელაზე მეტად ერმიტაჟზე მინდოდა მეთქეა და არაფერი გამომდის, სასაცილოცაა, ალბათ, მაგრამ ჩემთან რომ ყოფილიყავი, სულ სხვა იქნებოდა [...].

რამდენი რამის თქმა მინდა, მაგრამ თუ გეტევი, რომ დავიღალე, იმედია, არ დამტრახავ. ძალიან ახლოს გაგრძნობთ ყველას და ძალიან მიყვარხართ. იმედია, გამოვეტცევი პეტრეს მარწუხებს და თქვენთან ვიქები. ისე კი, მოთმინება, მოთმინება ყველაფერია. ბიჭები მომიკითხე. მაგრად იყავი. სიკეთეს და სიმტკიცეს გისურვებ.

ასევე შენი ერთგული ირაკლი  
14. XI. 83.

არ დამტრახო ჩემს ლიტერატურულ და გრამატიკულ გაუმართობებზე. რაც მომდის სტიქიურად, ისე გწერ. სამაგიეროდ, უფრო უშუალოდ გრძნობ ალბათ და სიტყვების უკან კიდევ რამდენია, ხომ იცი.

14. XI. 83.

ჩემო მაიკო, ჩემო კარგო, მაგარო დედა! ვიცი როგორ გიჭირს, როგორ ძნელია ეს ყველაფერი, მაგრამ ხომ ხედავ გარვა დღითი დღე შენს თვალწინ რომ იზრდება, ლამაზდება. ძალიან მომენტრეთ, რაღა დაგიმალო. ორი თვე რა არის, მაგრამ როცა გამიჭირდა ცოტა, მაშინ

უფრო ახლოს მოხვედით და უფრო სანატრელები გახდით. თქვენი განცდები ძალიან რეალურად მომდის აქ და ისე მიხარია, რომ მყავს ასეთი მეგობრები. მე აქ ძალიან ახლოს შევიგრძენი, რა არის კეთილი აზრი. ექიმები წამლებს დააბრალებენ ალბათ ყველაფერს, რაც უკეთე-სობის კენი იქნება, მაგრამ მე ხომ ვიცი კიდევ რა ხდება, ამას ვის აუხსნი, ეტყვი. ჩემო მაიკო, შენ ხომ იცი, განგება იმდენს აძლევს ადამიანს, რამდენის ატანაც შეუძლია და ჩვენ კიდევ რამდენი შეგვიძლია ალბათ... იყო აქ ჩემთვის, არ დავმალავ, მშიმე დღეები და ძალიან სინამდვილით განვიცადე გარკვეული რამები, მაგრამ გეტყვი, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს თავს ხაზი ესმებოდა და თითქოს უნდა დასრულებულიყო ეს ყველაფერი, მაშინაც კი დარჩა ის რაღაცა, რომლის ატანაც შემეძლო და მე მიხარია ახლა, რომ ეს შევძელი და ამას ვერასოდეს ვერ დავი-ვიწყებ. ასეა ჩემო დაიკო, გვტკივა და ვწვალობთ და მერე ისევ გვტკივა და უფრო მაგრად... არ იფიქრო ლიტონი სიტყვებით ვცდილობდე გაგამაგრო, გითანაგრძნო. აქ ახლა მნელია ჩემთვის ყოფნა და რასაც აქედან გეტყვი, ყველაზე ნაღდი იქნება ალბათ. შეგეწიოთ თქვენ წმინდა ოჯახს ყველა ნათელი ძალა და მათთან ერთად ჩემი სიყვარულიც.

თქვენი ირაკლი.



გია გამარჯობა! როგორ ხართ? [...] აქ ალიკო<sup>9</sup> ჩემი მეგობარი იყო ჩამოსული. იმან მითხრა დაწვრილებით თბილისში მომხდარი ამბავი.<sup>10</sup> სოსოს<sup>11</sup> კარგად ვიცნობდი ცხადია. აგერ კობა-ზიძის ბიჭი,<sup>12</sup> სოსო და ერთი კიდევ ჩემთან იყვნენ ზაფხულში. ასმათი დახვდათ, ნამუშევრები უნახიათ. ძალიან მეტკინა ცხადია. აქ მგონი არავინ არაფერი იცის. სხვა, ჩემო გია, აქ ძველე-ბურად მიდის საქმე. რენდგენს ორ თვეში ერთ-ხელ აკეთებენ და მერე გავიგებ სიახლეებს. ისე

<sup>9</sup> ალიკო კაკაბაძე, მხატვარი - ქერამიკოსი.

<sup>10</sup> იგულისხმება თვითმფრინავის გატაცების ცნობილი ისტორია.

<sup>11</sup> სოსო წერეთელი, მხატვარი.

<sup>12</sup> იგულისხმება რეჟისორ მიხეილ კობაზიძის შვილი, მსახიობი გეგა კობაზიძე.

მე მოვიმატე ხუთი კილო და ახლა პატარა ქონუკებს ვისინჯავ ტანზე და მიკვირს. პატარა გორელიეფების კეთება დავიწყე პლასტელინში; რელიგიურ თემებზე. ძალიან მომწონს და ძალიან მამშვიდებს. მერე ჩამოვასხამთ, ზოგს მოვხატავ, ზოგს ისე თაბაშირში დავტოვებ და ასე. ახლა ერთი ამხანაგი ბიჭი, კერამიკოსი, დროებით აქ ცხოვრობს. კერამიკის თიხას მომიტანს და იმაში მინდა ვძერწო. მერე ის ფერებში გამომიწვავს. მოკლედ, შენც შეგხვდება რაღაც-რაღაცები. შენ წარმოიდგინე, ძერწვის საკმაო მულამი აღმომაჩნდა. ერთი სიტყვით, მალე ატელიე-პალატას გავაკეთებ აქ, თუ არ მომისროლეს. ისე, თუ შენც ცდი ასეთ რამეს, არ წაგებ, ვიცი. აიღებ ფანერას და ზედ გააკეთებ ბარელიეფს პლასტელინში, მერე ჩამოსხმას გასწავლიან. ადვილია, ძალიან დაგამშვიდებს [...]. არ ვიცი, აგრე მე რომ ვიფიტები ჩემს პროფესიაში, სულ რაღაცას ვეძებ ისეთს, რომ გადამახალისოს, ხან ვთლი, ხან ვძერწავ და ძალიან მამშვიდებს. ის კი არადა აუცი-ლებელიცაა, ერთი მეორებს ავსებს ხოლმე [...]. შემოქმედებით პროცესს რაც შეეხება, შტაინერს უთქვამს, როგორც კი ტილოსთან მიდიხართ და იწყებთ მუშაობას, იქვე ფიქრიც უნდა შეწყვიტოთ და მიეცეთ მთლიანად შემოქმედებით ფანტაზიასო. და განა ასე არ არის? მთელი მხატვრობა მართლა ინტუიციურია მხოლოდ და სხვა არაფერი. რაც შეეხება სეზანს, იგი ფორმისა და ფერის ერთნაირად დიდი წარმომადგენელია [...].

გია, აქ შვეიცარიის ბარონის პირადი კოლექცია ჩამოვიდა, 40 სურათი. მოკლედ გეტყვი: ორი ელ გრეკოა თითო მეტრის ზომები, ბოლო პერიოდები, მაგრამ სუსტები. ეს ყველაფერი დიდი რომ დაეხატა, სულ სხვა იქნებოდა. ორი გოიას ეტიუდი, კარგი ნიდერლან-დელები და გერმანელები. ერთი უცნობი ნიდერლანდელი მხატვრის შობაა, გავგიშდი. მოკლედ არის ექვსი-შვიდი კარგი სურათი. ერმი-ტაჟში ვიყავი კიდევ და პოლანდიურმა სკოლამ გამაოგნა თავისი ტექ-ნიკის სრულყოფით. უყურებ და არ გჯერა თუ ეს ფუნჯით გაკეთდაო. ძალიან მაგრები არიან. ოსტადემ გამაოცა თავისი პატარა სცენებით (გლეხების). რას ვიფიქრებდი თუ ამხელა მხატვარი იქნებოდა, ისეთი სხვანაირი რამე აქვს დაჭრილი. და რაც მთავარია, აქ არის ბრეიგელი უფროსის (ხავერდოვანის) ერთი პატარა-პატარა შობა - ისეთი სურათია, თვალს ვერ მოწყვეტ. თბილისელ ნიჭიერ მხატვრებს გადაეცი, თუ რამის სწავლა უნდათ, აგრე ერმიტაჟი და არ გამოყონ

იქიდან ცხვირი. ერთი დამაჭერინა შენი თავი აქცოტა ხნით, რას გაჯ-ლიგინებდი. ა, ბიჭო იქნებ... (მოიცა თუ ძმა ხარ, მაიკოს არ აჩვენო ეს) მოკლედ ასეა ჩემო ძმაო. ისე წერილი მაშინ მომწერე ჯობია, როცა არ იჩქარებ, ასე აჯობებს. ეს ხომ მოვალეობა არაა. მაგალითად მე თუ განწყობაზე არ ვარ, რაც არ უნდა იყოს, ვერ დამაწერინებ.

ჩემო გია, აქ ისეთი კარგი ზამთარია. თქვენთან კი როგორ თბილა. შენ თუ გაინტერესებს ასმათს შეუთანხმდი და ნიუარაძის კედელი<sup>13</sup> ნახეთ. ვერ დავამთავრე ბოლომდე, მაგრამ მაინც დავჯლაბნე რაღაც. ეს ჩემი ფილტვების ბოლო გაბრძოლება იყო. ასეა ჩემო გია, შენ არაფერი არ გიჭირს, უბრალოდ ჰარმონია დაგერლვა, მგონი, შინაგანი. ერთი მომცა შენი თავი 2-3 თვე, იმისთანა სურათ-ქანდაკებებს გაგაკეთებინებდი და ისე შეგაფუცხუნებდი, მაგრამ თუ მარტო განმარტოებული ვიქნებოდით, ისე, შენ გოგონებს აუცილებლად დავხატავ დიდ-დიდ ტილოზე. ფუ, როგორ არ მიყვარს, როცა წუწუნებ. ბიჭები როგორ არიან. ძალიან მომიკითხე. აგრე უკვე დეკემბრია დღეს პირველი (უკვე ორი) და მესამე თვე დაიწყო. კითხვას ვუდალატე, ნელ-ნელა ვკითხულობ მანის „ჯადოსნურ მთას“, იქაც ხომ ტუბ. სანატორიუმზეა. ძალიან საინტერესო წიგნია და ისე მართლად წერია ყველაფერი, რომ ახლოს მოდის. აბა გემშვიდობები. ახლა ძალიან გვიანია და დილით ადრე ამაგდებენ, თუმცა უკვე მეც ვახვევ ამათ ჩემს რეუმს. პალატაში მანამდე ისეთი წესრიგი იყო, ახლა ყველამ აურია, ზოგი ხატავს, ზოგი ძერწავს და ა.შ. კარგად იყავი და თავს და საქმეს არ უდალატო.

ირაკლი 1-2. XII. 83.


ჩემო მაიკო! როგორ ხარ შენი პატარა პრინცესებით. ძალიან ხომ არ გაბრაზებენ ეს ცუნცულები. ახლა ამ კაცის წუწუნი გაკლია რაღა. უყიდე ერთი აბონიმენტი საცურაო აუზში და იჭყუმპალაოს ცოტა. ძალიან მომენატრეთ, აქედან კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა და მომენატრა თქვენთან წამოჯდომ-გაბაასება. შენ ხომ ჩემი კარგი დამცველი იყავი ყოველთვის, აბა შენ იცი, არ მიღალატო, და იმედებს არ გაგიცრუებ. ამ ჩერჩეტებს ჰგონიათ ფარჯიანი ფეხებს ფშეკს მგონია და ის კი არ იციან, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე

<sup>13</sup> იგულისხმება კედელი, რომელიც ირაკლიმ პოეტ ენვერ ნიუარაძის ბინაში მოხატა.

რომ ვარ (არ გამცე, თუ და ხარ)ჩემო კარგო, თქვენი კეთილი ფიქრებისა და განცდების მეოხებით უკეთ და უკეთ ვარ და თუ მშვიდობით ჩავაბარე „კვალიფიკაცია“, ერთი ორად გადაგიხდით. ძალიან კარგი გოგო ხარ და ძალიან მიყვარხარ. ერთი წამოიზარდონ ეს ბუღარტები და მერე დავგრიალდეთ. იყავით მტკიცედ და ჯანმრთელად.

## წერილები აბასთუმნიდან

(13.12.1984 □ 19–20.01.1985)



გამარჯობა, გია! მაშ, დავიწყოთ აბასთუმნის ციკლი. ჩამოვედი, ავიღე ერთი მოზრდილი 16 კვ. მეტრის ოთახი. მაქვს აივანი, ვარ მარტო და ვცდილობ შევიქმნა ატმოსფერო. წამოვიღე ბლომად წიგნები, ქაღალდები, პასტელები და ა.შ. აქ ლამაზი ზამთარია და მშვენიერი ჰაერი. აქ აბასთუმანი სულ ფიჭვის ტყეში დგას. რომ დადიხარ, პირდაპირ გცემს ფისის სუნი. ძალიან კარგი ატმოსფეროა შექმნილი. ეს პირველ რიგში იმის ბრალია, რომ ეს მაინც ავადმყოფთა და სახლებაა და იქ საძაც ავადმყოფობაა, ნეგატიურ ძალებს ნაკლები მოქმედების არენა აქვთ. მათ არ უყვართ ავადმყოფი ორგანიზმები. ამიტომ არის, რომ დაკვირდე კაცს, რომელსაც რამე აწუხებს, სტკივა, როგორ ეწმინდება სახე, თვალები. ამიტომ ვგრძნობ რეალურად აბას-თუმნის დადებით სულიერ-მშვინვიერ „კლიმატს“. ამასთან ფიზიკური ის დადებითი აქვს, რომ 1400 მეტრზე კლიმატი 1800–1900-ის აქვს. წვანეთში ამ სიმაღლეზე ჯერ კიდევ არ არის ფიჭვნარი. წარმო-მიდგენია, რა ხდება აქ გაზაფხულზე, დედამიწა რომ იფეთქებს. მე იშვიათად აღმიქვამს და მომწონებია ადგილი, როგორც ეს. აქ დიდ

შექმნილი. ეს პირველ რიგში იმის ბრალია, რომ ეს მაინც ავადმყოფთა და სახლებაა და იქ საძაც ავადმყოფობაა, ნეგატიურ ძალებს ნაკლები მოქმედების არენა აქვთ. მათ არ უყვართ ავადმყოფი ორგანიზმები. ამიტომ არის, რომ დაკვირდე კაცს, რომელსაც რამე აწუხებს, სტკივა, როგორ ეწმინდება სახე, თვალები. ამიტომ ვგრძნობ რეალურად აბას-თუმნის დადებით სულიერ-მშვინვიერ „კლიმატს“. ამასთან ფიზიკური ის დადებითი აქვს, რომ 1400 მეტრზე კლიმატი 1800–1900-ის აქვს. წვანეთში ამ სიმაღლეზე ჯერ კიდევ არ არის ფიჭვნარი. წარმო-მიდგენია, რა ხდება აქ გაზაფხულზე, დედამიწა რომ იფეთქებს. მე იშვიათად აღმიქვამს და მომწონებია ადგილი, როგორც ეს. აქ დიდ

პატივში ვარ, ყურადღება არ მაკლია. ამ მხრივ ყოველთვის მწყალობდა ბედი. მოწყენით, რა თქმა უნდა არ მომიწყენია – სამუშაო გვერდზე მაქვს და დღეც ისე მაღე გადის... ნელ–ნელა შევდივარ იმ ნეტარი განწყობის განცდაში, რომელიც ასე ნაცნობია ჩემთვის, ანუ როცა რამე გამიკეთებია ჩემი აზრით, უფრო ღირებული. სანატორიუმის მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ძალიან დაბალი დონეა, მაგრამ ყველგან და ყველაფერი ყოველთვის საინტერესოა. აქ გვერდით კაცია პალატაში, ასე ორმოცდაცხრა წლის, უცოლშვილო. ძალიან კარგი ტიპია. ცხოვრების აზრზეა და პატიოსანი კაცია. შევყევ–შემოვყევით საუბრებს, – ვხედავ, შინაგანად საკმაოდ იდეალისტია და ერთგვარ ორჭოფობაშია ამა და იმ სამყაროს შორის [...]. იძახის, დროა კაცმა თავი გაანძრიოსო, თორებ კიდეც დავბერდი უცოდინარიო. სულიერი მეცნიერება საოცარ საშუალებას იძლევა გაუხსნა და ბუნებრივი გახადო ასეთი ადამიანისათვის ბევრი ის შეფარული, რაც კანონიკურშია ჩადებული. ხომ იცი, დღეს ადამიანს როგორ ჭირდება ერთგვარი სწორი ანალიზი, გააზრება იმისი, რასაც ადრე პირდაპირ ღებულობდა გულით. ამიტომ ვაკვირდები, როცა ასეთ ადამიანს მეცნიერულად აუხსნი ამა თუ იმ მოვლენას, მაგალითად დაბადებას, სახარებას და ა.შ. მათვის მერე ეს ტექსტი ძალიან ახლობელი, ადამიანური და გასაგები ხდება. ჩემს ცხოვრებაში ბოლო ხანებში რაღაც ისეთი ნაკადი შემოვიდა, რაღაც ისეთი დაჯგუფებები ირგვლივ, ისეთი მოვლენები, რომ რეალურად ვხედავ, თითქოს რაღაც (ძალიან გთხოვ ეს არ გაიგო როგორც მოუმზადებელი, უპასუხისმგებლო ფრაზა, არამედ უკვე ძალიან განცდილი, უკვე იმ დონეზე, რომ ვხედავ თითქოს და თავსაც უფლებას ვაძლევ, შენ გითხრა) ისეთს, რომ შემიძლია გავაკეთო და გავუკეთო სხვას და ბედი არ მაპატიებს, ვხედავ, ოდნავ გვერდზე გადადგმულ ნაბიჯებს. მე ეს ძალიან მიხარია და ძალიან ბევრ საფიქრებელსაც მიჩენს. გულახდილად რომ გითხრა, ეს უფრო იმ მადლს ჰგავს. მოთმინების მერე რომ გენიჭება კაცს და თუ მოითმინე, აუცილებლად რომ მოგენიჭება. თუ ეს ასეა, მაშინ მართლაც ბედნიერი კაცი ვყოფილვარ. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უტყუარი ფაქტია: სიმწივეს ვგრძნობ ჩემში და ჩემს გარეთ. არ ვიცი, ალბათ გამიგებ და არ შეიძლება. შენ არ გამიგო, რადგანაც შენც იმ „ჩემს გარეთ“ ხარ და „ჩემში“.

რა აუცილებელია, ყოველი კაცისთვის სიმყუდროვე. მხოლოდ მაშინ

ისევენებ, როცა შენს თავთან რჩები მარტოდმარტო. ნელ-ნელა ვემზადები წიგნისთვის<sup>14</sup>. აკვარელში ვსინჯე, მაგრამ ვხედავ მე ეთი და არა ჩემს ტყავში უნდა დავეტიო, თუმცა საოცრად მსიამოვნებს მასში მუშაობა. მე ზომ მცენარეული აკვარელი მაქვს, რომელიც ახლოს არ იკარებს ჩვეულებრივს. ისევ პასტელში წავკარი და ხელად მივიღე შედეგი. მინდა ლუკასაგან გავაკეთო პატარა წიგნი. და ყოველდღე მწიფდება და მოდის, რა და როგორ. მხოლოდ ამ საქმის გაკეთებით თუ გავამართლებ ჩემს აქ სხეულზე ფიქრსა და დროის კარგვას.

რაც შეეხება მკურნალობას, ვფიქრობ, შედეგს მივიღებ. მე ბევრად მეტი შანსი მაქვს, ყველა აქ მყოფზე უფრო, გავიკურნო და ისიც ფაქტია, რომ დავრჩები დიდხანს, სანამ არ გაირკვევა საბოლოოდ ჩემი საქმე, რის ფასადაც არ უნდა დამიჯდეს. უცნაურია, საოცრად მინდა გამოჯაანმრთელება – იმიტომ კი არა, რომ გადავრჩე, არამედ იმიტომ რომ ჯანმრთელი ვიყო. უბრალოდ, მომენატრა ეტყობა ჯანმრთელობა. ასეც ხდება თურმე [...].

როგორ მიდის კითხვის საქმე? მე ვიყავი შენთან, წიგნი<sup>15</sup> მოგიტანე 5-ში შეუძლისას, არავინ დამხედით. ალბათ ასმათი მოგცემდა უკვე. შენ ჯერ კიდევ წინ გაქვს ის ბედნიერება, როცა საბოლოოდ შეიგრძნობ იმ მადლს, რაც მიიღე. ეს ისეთი წიგნია, რომელსაც ფიზიკურადაც კი იგრძნობ. დანარჩენ წიგნებს ასმათისგან მიიღებ, უკვე ჩემს საკუთარს, ორიგინალებს. ისე, ეცადე, ყოველდღე თუნდაც ძალიან ცოტა იმუშაო. წიგნზე მუშაობა კი ჩემგან არ გესწავლება, რაღან ბევრად ჩემზე უკვე იცი (აბა მხატვარი იყო, გნახავდი როგორ გეცოდინებოდა). „პანი“<sup>16</sup> ჯერ არ დამიწყია. სხვა რამეს ვკითხულობ ჯერჯერობით [...]. თქვენ როგორ ხართ? როგორ არის მენეჯერობის საქმე, ფარჯიანს ფასი არ დაედო მეტი, რაც აბასთუმანში წავიდა? საწყალი, გაწამებული და გატანჯული მხატვარი!!!... აბა, ახლა შეკვეთები მომეცი, რა, როგორი, და როგორ გავა. თემა, სტილი, ზომა, ფასი და ა.შ. მეც აქ გავუსვამ და გამოვუსვამ. ხომ ვიცი, ახლა რომ გამოვგზავნი რაღაცას, გეტყვი ამდენად გაყიდე, ჩამოვალ, ვხედავ – ის ერთი შენთან კიდია, ხუთი ძველი

<sup>14</sup> ანუ ლუკას სახარების დასურათებისათვის.

<sup>15</sup> იგულისხმება რუდოლფ შტაინერის „თეოსოფია“.

<sup>16</sup> კუტ პამსუნის რომანი.

(შენი) კი გაყიდულია. ვხახოთ, როდემდე შეგრჩება „ზაპასი“ [...]. ისე, ძალიან კარგად დამამახსოვრდა ის ორი „ოდისეა“ შენთან, ძალიან უხ-დებოდა იმ ყვითელ ფონს. ეჭ, ცოტა სხვა წყობაში ვიყოთ, ისეთ დახლს გაგიკეთებდი...

აბა, ჩემი გია, სათქმელი ნახევრად ამოვწურე. ახლა შენი ჯერია.

ირაკლი.

13. XII. 84.

### ჩემო გია!



აქ ისეთი ამინდია სულ ამ დღე-ებში, ახლა აივანზე ვიყავი წამო-წოლილი და წუხანდელ სიზმარს ვიწერდი, ისევ ჩემს მესტიის სახლ-ში ვიყავი. ეს სახლი ხომ ჩემი ამო-უხსნელი ტკივილი გახდა მას შემ-დეგ, რაც გაყიდეთ, არ ვიცი შე-იძლება მითქვამს კიდეც შენთვის. სახლი ჯერ თითქოს ისე ჩვენი იყო, რომ შევედი, დიდი ავჩარკა დამხ-ვდა, მაგრამ არ შემშინებია, მოვე-

ფერე კიდეც და იქვე მიკვირდა, რომ არ მეშინოდა (საერთოდ ცხოველებთან არა მაქვს მაინცდამაინც აუშევნია დამოკიდებულება) მერე მამაჩემს ველაპარაკე ძალიან ცხადად. ბოლოს კიდევ ჩემს ძალიან ახლო მეგობარს, მესტიიდან და სკოლიდან და მერე თბილისშიც შევხვდი. ის 75-ში დაიღუპა და მე აქ ვიყავი მაშინ, აბასთუმანში. საბურთალოს ქუჩაზე ცხოვრობდა, ძალიან განვიცადე მისი დაკარგვა და ეს წლები თითქმის დღე არ გადიოდა, რომ არ გამხსენებოდა. ამ ბოლო ორ წელიწადში შორს წავიდა უფრო. (ეს ბუნებრივიცაა, ახალგაზრდა სამშვინველები დიდხანს რჩებიან ჩვენს გარემოსთან ახლოს, ისინი არ არიან იქიდან დიდი ხნის წამოსულნი და არც ძალიან ეჩქარებათ იქით გასვლა. მოხუცები პირიქით ერთი სული აქვთ მაღლე გავიდნენ დედამიწის ატმოსფეროდან) დღეს დილით კი ისეთი კარგი იყო თენგო ისე ჩავიკარი გულში ახლაც ვგრძნობ მის სხეულს (და თან

სიზმარში გამახსენდა ახლახან, აქ წაკითხული. დოქტორი<sup>17</sup> აშობს, შედარება მოჰყავს რაღაცის „და ეს ისეთი გრძნობაა, როგორც მეგობრის მკერდზეო“. როცა წავიკითხე; მეხამუშა ცოტა, ალბათ თარგმანის ბრალია მეთქი და ალბათ გერმანულში უფრო ბუნებრივადაც უღერს კიდეც. ხოდა როცა ჩავიკარი მკერდში მაშინ გამარხსენდა (სიზმარში) ეს შედარება და ახლა უკვე ვიცი, რასაც გულისხმობდა დოქტორი. ერთი სიტყვით სიზმარშივე ვიცოდი, რომ ის ცოცხალი არ იყო და ამ დროს როგორი რეალური იყო, ტირილი დავიწყე სიზმარში მონატრებისგან და ტირილით გამომეღვიძა. წუხელის ბოლო ღამე იყო იმ ცამეტი წმინდა ღამიდან, რომელიც შობიდან იწყება, ამ ცამეტ წმ. ღამეში წელიწადში ერთხელ დიდი მოვლენები ხდება, ამ ღამებში სულიერი სამყარო ისსნება და ხელავს ჩვენს სამშვინველებს, ასე ვთქვათ ახდენს რეზიუმეს ჩვენს მიერ გატარებულ წელიწადისა. რა მოვუტანეთ ამ ერთ წელში ჩვენს თავს, რა შევიძინეთ სულიერი. ეს ძალიან პასუხსაგები დღეებია. მომავალში კიდევ უფრო ჩავლრმავდებით მათში. ამ ღამებში მიცვალებულებს ძალიან ახლო კონტაქტი აქვთ ჩვენთან და ანტროპოსოფებიც ხელებიან ყოველ ამ ღამით და ატარებენ შეხვედრებს ამავე დროს უკითხავენ მიცვალებულებს (რის მეთოდსაც ძალიან კონკრეტულად იძლევა რ. შ.) ასე რომ ჩემთვის ძალიან სიმბოლური იყო ეს ყველაფერი. გიყვები ამას ყველაფერს იმიტომ, რომ მინდა მოგიყვე. აი, ასეთ განცდებში მომისწრო შენმა წერილმა.

ჩემო გია, ჩემი მეორე წერილი მიგიღია, ასმათმა მითხრა და ძალიან მინდოდა რომ მიგეღო. იმ ერთ საათში შენ და ასმათს დაგიხატეთ (უფრო სწორად დაიხატა) და არ მინდოდა დაკარგულიყო, ასმათის წერილი გახსნილი ყოფილა, ეტყობა სქელი რომ იყო დაინტერესდნენ, ფული ხომ არა დევსო, მაგრამ მაინც მიუღია. ალბათ რომ წაიკითხეს, იფიქრეს ბაცილები არ ავიკიდოთ და სასწრაფოდ უკან ჩაბრუნეს ყველაფერი!! მოკლედ იმ წერილის პასუხს, ვიცი მომწერ და შეიძლება მალე მივიღო კიდეც. ახლა მოდი შიგადაშიგ შენს წერილსაც მივყვეთ პასუხებით. თვე დამჭირდა, რომ შემეგრძნო ცოტათი მაინც აქაურობა (გუშინ ე. ი. 6-ში გამიხდა თვე) ძალიან, ძალიან ძნელია ბუნების შეგრძნობა, აქ თანაც ისეთი მრავალფეროვნებაა, რომ რას გაწვდები.

<sup>17</sup> იგულისხმება რუდოლფ შტაინერი

დღეს - ხეალ დავიწყებ კითხვას (ჩემი თანდაყოლილი ბუნებაა, რაც ძალიან მინდა წავიკითხო, დიდხანს ველოლიავები, გოეთესთან მაგალითად ასე ვარ. სულ ნელ - ნელა ვკითხულობ დიდი პაუზებით).

რაც შეეხება გადმოსვლას, მგონი მოგწერე, აქ შედარება არაა. თანაც ფეხით ჩავდივარ ხოლმე ქვემოთ მოკლეზე (ცენტრში) და გრძელზე ამოვდივარ. ხუთ კოლომეტრამდეა, მაგრამ ეს ისეთი სილა-მაზეა, ყლველ მოსახვევში რაღაც ახალი იხსნება, ყოველ ნაბიჯზე სინათლე ახალ ეფექტს იძლევა. მოკლედ, მე ერთი ფერადი სლაიდი გადავიღე და ასმათს გავუგზავნე. ასმათი აღბათ შენ მოგიტანს გამო-სამუღლავნებლად. იქ ვეცადე გადამეღო ის გარემო, ჩემი ოთახი, ჩვენი კორპუსი, მეც ვარ, ასე რომ ნახავ როგორ ვცხოვრობ. ახალი წლის ღამეს ისეთი პატარა, პატარა ნაძვის ხე, ორმოცი სმ. გავაკეთე. აქ წამოღებული მქონდა ფერადი საბავშვო სანთლის პლასტელინები, გერმანელებმა მომცეს, ხოდა გავაკეთე პატარა შობა და პატარა სათამაშოები. ისიც გადავიღე, ნახავ. იმ კაცზე, გურამზე, რომ გწერდი, ჩამოვიდა მისი ნათესავი ძალიან ფულიანი ბიჭია, აქ უნდა იყოს, იმკურნალოს, გურამი მასთან გადავიდა (იგივე „ზეკარში“). იმას ფული აქვს ბევრი, ცეკავშირში მუშაობს. მთელი ახალციხის ვაჭრები თავზე ახვევიან. ამას გარდა ყველა რაიკომის მდივანსა და ხალხს იცნობს. ხოდა რაც ის ჩამოვიდა, გურამიც ხელიდან გამომეცალა. იმას უვლის (ცხადია სასადილოში არ ჭამენ). იმან, ნოდარი ჰქვია, მანქანა - ორი წლის 06-ი აჩუქა და ახლა ვიღას სცალია სულისათვის. ისე ახლაც იყვნენ ჩემთან ამოსულები. ისე მოსწონთ აქაურობა, მგონია, გადმოვლენ. მაგრამ ახლა მოგიყვები ძალიან საინტერესო ამბავს. აქ, ჩემს გვერდით, პალატაში დონეცკელი ბიჭია ერთი. ასე ორმოცდასამი წლის, მაგრამ ვერ ეტყვი. ეს არის, თუ რუსში რამე შეიძლება იყოს კარგი, იმის განსახიერება, საოცრად უბრალო, კეთილი. მშობლები ომის დროს დაეღუპა, მერე ბავშვთა სახლში ათი წელი, მერე ბებია ზრდიდა და დღემდე ათი წელი მუშაობს მუშად და სამი წელი უკლია, პენიაზე რომ გავიდეს (შავ მუშებს ხომ ადრე ენიშნებათ პენია). ახლა წარმოიდგინე, რაც ხოვრება გამოვლილი კაცია. ამ დროს კითხულობს და კითხულობს და გიტარაზე უკრავს კარგად. თავიდანვე შევამჩნიე, რომ იჯდა სულ თავისთვის და უკრავდა და უკრავდა. აქვს ნოტები კლასიკის და ა. შ. მერე რაღაც კარის საკეტი გამეჭვდა და თვითონვე მოვიდა, ზედ გადამყვა, დამეხმარა, მერე ერთი სამჯერ მითხრა, თუ

საკეტს იშოვი, იმ წუთშივე გაგიკეთებო. მოკლედ ასე დავმეგობრდით. ხელიდან მართმევს საქმეს, სულ თვითონ აკეთებს ყველაფერს, ზიდვით ხომ ერთ კილოსაც არ მანებებს. დამაცა, ავიღო, ეს ჩემი საქმეა, მე მეტი არაფერი ვიციო. იშვიათად შეგნედება ასეთი სამშვინველი. ყველაფერი მაინც იქიდან დაიწყო, რომ, როცა შემოვიდა ჩემთან პირველად პალატაში, იქ მე კედელზე სხვა სურათებთან ერთად (ყველაფერს ნახავ სლაიდში) გაკრული მაქვს მომავალი წიგნისთვის თავსართის პატარა მინიატურები, საკმაოდ კარგებია და კიდევ უკეთესებს გავაკეთებ. პრინციპში ეს ახალი წიგნი (ლუკასაგან) იოანეზე ნაკლები არაფრით არ იქნება, მე მგონი უფრო ძლიერი გამოვა. მოკლედ ვასილიმ (ვასიას ვეძახით) რომ დაინახა, როგორც თავში ჩაგირტყამს ასე გაქვავდა, რაღაც დაემართა. ასე კაცს დაენახოს ერთი დანახვით, არ მინახავს. „მე ასეთი რამე არც მინახავს და ვერც ვნახავ ალბათო“. ისე გამიკვირდა, საიდან სადა მეტეი, მერე ისეთი რამები მითხრა ჩემს ნამუშევრებზე, რომ სულ პირი დავალე, რომ იტყვიან, ის ჩემი კრებო ფერწერაში, რაც ჩემთვის მაქვს, ხმამაღლა თქვა. მაშინ მივხვდი, რომ ეს უბრალო კაცი არ იყო. მერე წიგნები, ილუსტრაციები ნახა და ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოხდა აბსოლუტურად ანალოგიური საუბარი, ისეთივე დასაწყისი ყველაფრისა, რაც ნუგზართან<sup>18</sup> მოხდა, ახლა სახრებას კითხულობს საოცარი გულისდადებით. მერე „თეოსოფიას“ დავაწყებინებ. მე სულ თავი-სუფლად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ანტროპოსოფია. როგორ მინდა, იცი, ერთი თვალი შეგველო ამ მოვლენებისათვის. ჩემი მასთან პირველი ფუნდამენტალური საუბარი მოხდა ორ იანვარს, როცა შარშან ლენინ-გრადიდან გამომაგდეს და როცა ასე ძალიან გულდაწყვეტილი იყო ნუგზარი. არადა რა საინტერესოა, მასთან გვერდით უზბექი წევს, ყოფილი პროკურორი, კრეტინი, ჩუქჩა, ხოდა იმ დამეს ორ საათამდე ჩვენ რომ ვისხდით, არ დაუძინია და რომ შესულა ვასია თავისთან, უთქვამს, რა დავალებები მოგცაო, ის ხომ დივერსანტია და გადასვლას ამზადებსო, იდიოტი, აქ შემოყო ორჯერ თავიდან ცხვირი და ისეთი ცხვირი ვუჩვნე, რომ იმის მერე ვეღარ მიტანს. ხოდა, წევს ახლა აქეთ

<sup>18</sup> ირაკლის თანაპალატელი ლენინგრადის საავადმყოფოში, რომელსაც განსაკუთრებით დაუმეგობრდა. შემდგომში ხშირად წერდა წერილებს ბათუმში.

ვასია და სახარებას კითხულობს (თანაც ხელად გადააკრა წიგნს გაზე-  
 თი და ესეც ისე მომეწონა მისი მხრიდან, მე კი წინ და უკან ამ გაზეთს  
 დიდი შავი ჯვარი დავუსვი. და ახლა რა გამოვიდა: ეს ჩუქჩა, დილიდან  
 გაზეთებს კითხულობს და მე ჯერ გაზეთის ასეთი მკითხველი არ  
 მინახავს, ისე კითხულობს, ისეთი გათიშული, სულ პირველ გვერდსაც  
 კი, რომ, გეგონება, საკუთარ მეურნეობაზე წერიაო, აქეთ კიდევ ვასკა  
 ამ წიგნს და ერთი სიამოვნებაა მათი ყურება. მოკლედ ვასია გადამერია  
 ჯერ ნახატებით, მერე ტყეში ვიყროყინე რაღაც არიები და სულ  
 გაგიჟდა. მოკლედ, ბევრი რამე აქეთ-იქით და ბოლოს წერტილი  
 დავუსვი იმით, რომ ერთხელ ვუთხარი, ასე ბატიბუტივით რომ გაზის  
 მეთქი კუნთები, მკლავს თუ გადამიწევ მეთქი. იცი რაო, შენ თუ ხელს  
 გადამიწევო (არადა დღეში ტონობით ვაკონებს ტვირთავენ თურმე)  
 მაშინ ე. ი. ყველას გადაუწევო, მოვკიდე მაჯაზე, ტიფას! კარგი-მეთქი,  
 ვუთხარი. ახლა ვეცდები კიდევ ერთხელ დაგიმტკიცო ინტელიგენტთა  
 უპირატესობა მუშათა კლასზე მეთქი. დავსხედით და თითო სამწუ-  
 თიანი ბრძოლის მერე ვაჯობე ორივე ხელით, გაგიჟდა კინალამ, და მეც  
 გამიკვირდა ძალიან. მერე სულ დავცინი, შე გრუზჩიკო მეთქი. მაგრამ  
 სამაგიეროდ ორი დღეა კაცად არ ვვარგივარ. მთელი ორივე მკლავი  
 ზურგის კუნთებიანად ისე მტკიოდა, ძლივს ვანძრევდი. კინალამ გადავ-  
 ყევი ზედ. (და მე ვიცი ეს სკანდერბეგი მომიღებს ბოლოს) ასეა, ჩემო  
 გია, ჩემი და ჩემი ვასიას საქმენი. მერე ჩამოვა აუცლებლად თბილისშიც  
 და გაგაცნობ. ახლა დავისვენებ ერთი ოცი წუთი და მერე ისევ დაგე-  
 საუბრები. შენც დაისვენე...

ხო, მე ძალიან მიხარია წიგნი<sup>19</sup> რომ შენთან არის, ჩემთვის ხომ იგი  
 ერთ-ერთი ეტაპია და რომ ვიცი, კიდევ რამდენი სრულყოფა სჭირდება  
 და შემიძლია, ამიტომ, არის იგი ერთ-ერთი ეტაპი, მაგრამ ეს არ  
 ნიშნავს რომ იგი სხვისთვისაც ასე აღსაქმელი იყოს. ჩემთვის ის  
 პროცესია და ვნახოთ, სად გაჩერდება. მომავალ წიგნში სიახლე ის  
 იქნება, რომ იქ მეტი დინება იქნება ტექნიკის, სტილის, მეტი სინათლის  
 პრინციპი იქნება და ალბათ აღქმითაც არ უნდა იყოს ნაკლები დონე.

კითხვაზე მოგწერე კიდეც, რასაც მეტს უტრიალებ და დაუბრუნ-  
 დები, იცოდე, უფრო შეიმოკლებ შემეცნების გზას, უფრო სწორად,  
 უფრო დააჩქარებ. ასე რომ აქ ყველაფერი რიგზე გაქვს [...]. რაც

<sup>19</sup> იგულისხმება ირაკლის მიერ თარგმნილი, გადაწერილი და  
 დასურათებული „იოანეს სახარება“.

შეეხება მოსეს რქებს, აქ საქმე იმაშია, რომ ეს რქების ამბავი ოკულ-ტიზმში დიდი ხანია ცნობილია, რაც არის და ეს პირველად დოქტორს არ უთქვამს. აქ საქმე გვაქვს ორფურცლოვან ლოტოსთან, რომელიც თვალებს შეუ არის განლაგებული, და რომელიც ყველაზე ძლიერი ნათელხილვის ორგანოა, შემდეგ მოდის სხეულის სხვა ნაწილებში სხვა ლოტოსები. ეს დაწყებული ინდური რელიგიიდან დღემდე ყველამ იცის. ამაზე დაწვრილებით დოქტორის მეორე წიგნში წაიკითხავ. ხოდა, ამ ორფურცლოვანი ლოტოსის სიმბოლოა ეს რქები. ასე რომ ეს, როგორც დათო<sup>20</sup> ამბობს, სიწმინდის ნიშანიაო, მართლაც ასეა, უფრო სწორად, წმინდანობის ნიშანია. ბიბლიაში ხომ არ დაწყებდნენ იმის ახსნას, რომ ეს არის ორფურცლოვანი ლოტოსი და ა.შ. ორი რქა მარტო მოსესთან არ გვხვდება ხელოვნებაში. ისინი მე ბევრ ადგილას მინახავს. რაც შეეხება შ[ტაინერ]ის ცოდნას, შენ მართალი ხარ, მან არა თუ ბიბლია, ყველაფერი იცოდა, რაც კი შეეძლო ადამიანის ხელდასხმის დონეს.

ბიბლია, ძველი აღთქმა, ყველაზე რთული წიგნია, რაც კი შექმნილა ოდესმე. ეს არის შიფრი. იმას, რასაც მასში კითხულობ, ყველაფერი იმ კაცობრიობის განვითარებისათვის დასაშვები და მეტიც, აუცილებელი იყო. ის სისასტიკე, პატივმოყვარეობა და ა. შ. ამიტომ, რასაც კითხულობ და გაოცებს, მიიღე ისე, რომ ეს კაცობრიობის განვითარებისათვის აუცილებელზე აუცილებელი იყო, ასეა მსხვერპლის გარეშე არაფერი არ კეთლება. სახარებაში იესო აკი ამბობს - „გასმიეს, რამეთუ თქმულ არს: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ (გამოსვლ. 21. 24. ისხოდ „---, ---“) ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა წინააღმდეგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყვრიმალსა შენსა მარჯვენასა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა (მათე, 5 38-39) ე. ი. რა ხდება, რომ ახალ აღთქმაში უკვე სხვა პრინციპია, ასე იცვლება დროის განმავლობაში. ის კი არა და დოქტორი ამ აღვილთან დაკავშირებითაც ამბობს, რომ ხანდახან ისეც არის, რომ კი არ უნდა მიუშვირო არამედ, შეიძლება პასუხიც გასცე კიდევაც. უფრო აღბათ იგულისხმება რომ არც ისე აღვილად უნდა დააჩავრინო კაცს თავი. მაგრამ ეს რთული და დიდი ამბებია და ამაზე სხვა დროს. განა სხვა გზა ჰქონდა მაკედონელს არისტოტელეს ცოდნა რომ გაეტანა მსოფლიოში, თუ არა კაცის

<sup>20</sup> დათო ხოშტარია, ხელოვნებისმცოდნე.

კვლადა ომი? ცხადია, ამას არავინ არ ამართლებს, მაგრამ რამდენადაც სხვა საშუალება მაშინ არ იყო, ნაწილობრივ მართლდება (თორემ კამალოკაში, ანუ განსაწმენდელში, ალექსანდრემ ეს ყველაფერი ისევ თავის თავზე მიიღო, კი არავის შეუმსუბუქებია, მაგრამ იმდენად რამდენადაც მსოფლიო კარმა ამას მოითხოვდა, ალბათ უმსუბუქებოდა კიდეც). ერთი სიტყვით, ბიბლიის კითხვის დროს არ დაიბნე და რაც მთავარია არ მიიღო ეს ინფორმაცია დღევანდელი და, საერთოდ, მიღებული წეს-მორალით. და ყოველთვის დაუშვი ის, რომ წიგნის ცოდნა გეუბნება, გია ჩე მუდრი ბრათო. სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მივენდოთ ამ ცოდნას და უნდა ვიმეცადინოთ, რომ ნელ-ნელა გავიგოთ იგი. საბედნიეროდ, ჩვენ ამის სრული საშუალება გვაქვს [...].

ჩემო გია, ხომ არ დაგდალე?

ახლა დილის ცხრის ნახევარია, მზე ზუსტად ცხრაზე ამოდის და ყოველ დილით ჩემს ცხვირწინ ხდება ეს. იცი, რა საოცარია, მზის ამოსვლას რომ ესწრები და თანაც თუ რეგულარულად, ის უკვე სხვა, საოცრად ცოცხალი ხდება შენთვის, რამდენს ვიკლებთ ჩვენ, ადა-მიანები, რომ ამას ვერ ვაკეთებთ. როცა მოღრუბლულია და ვერ ვნახულობ ხოლმე, რეალური შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც ძალიან მთავარი ვერ ვნახე. ისევ სიზმრები, ისევ ჩემი მესტიის სახლი, აი ასე ვიტანჯები უკვე 67 წლიდან და თითქმის ყოველ მეორე, მესამე დღეს. სულ დავიარე, ოღონდ ახლანდელი „ხაზეინიც“ დამყვებოდა და სულ გადაკეთებული პქონდა, მიხაროდა, რომ ძველებური სახე არ პქონდა, რა ხდება მაინც, რატომ მემართება ასე მწარედ!! ისე, სხვათა შორის, ზუსტად ჩემი ხნის იყო, 1950-ში შევედით. ტერენტი გრანელი კიდევ იმიტომ მიყვარს, რომ მას აქვს ასეთი კუპლეტი:

პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის  
 რადგან სიცოცხლე მეტად რთულია,  
 მე მესიზმრება ის ჩემი სახლი  
 რომელიც უკვე გაყიდულია.

ალბათ, ცოცხალი რომ იყოს, ერთად ვიტირებდით ამაზე. კოლექციის რაობაზე მწერ. ჩემის აზრითაც, კოლექცია არის, როცა იმდენად კი არ მოგწონს მხატვარი, რამდენადაც იცი, რომ კარგი მხატვარია, მე ყოველთვის ვხედავდი ნათლად რომ შენ ჩემს ნამუშევრებს ისე განიცდიდი, როგორც არავინ და მე ეს, რომ იცოდე, როგორ

მეხმარება: ყველამ უარი რომ თქვას და დამიწუნოს ალბათ ნახატები და შენ ერთი დარჩე, უკვე საკმარისი იქნება, რომ იმპულსი მქონდეს. როგორც კი შენ პირველ ნახატს წაიღებ ჩემგან, იმიტომ რომ, დავუშვათ ეს შენი საყვარელი მხატვრის ნახატია და არა იმიტომ, რომ ის ისე მოგწონს როგორც სხვები, აյ იწყება უკვე კოლექცია. მაგრამ შენ ჯერ ეს არც გაგიკეთებია და არც გააკეთებ. მე კი ძალიან მიხარია, როცა ნახატები ხალხს მიაქვს და იწყებენ ცხოვრებას ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, ისეთი განცდაა, თითქოს საკუთარი ნაწილები მრავლდება და დიდი და დიდი ხდება (ცხადია არა განდიდებას ვგულისხმო). არადა, მე მგონი, ყველაზე სწორი განცდაც ესაა. და განა ამისთვის არ არის მხატვრობაც? [...].

რომ იცოდე ჩემო გია, ყველაზე მეტად რამაც გამახარა შენს წერილში, ეს შენი და მაიკოს შობას შეხვედრის ამბავი იყო. ესე იგი, ჩვენ ერთად ვხვდებოდით შობას, მე თქვენზე ვფიქრობდი და გიხა-ტავდით, თქვენ კი ჩემს სურათთან იხდიდით ანუ ჩემთან. ეს ისე გამიხარდა და ისე სიმბოლური მეჩვენა, სწორედ ამ წელს მოხდა ასეთი დამთხვევა, როცა ჩვენ კიდევ ასე ახლოს მივეღით ერთმანეთთან. ჩემის აზრით სურათი რომელიც რელიგიის განცდიდან გამომდინარე კეთ-დება, უკვე მეტწილად ხატია, თუ არ ჩავთვლით ხატის სპეციფი-კურობას. მისი კურთხევა უკვე ის არის, თუ რამდენად მხატვარმა იგი სულიდან გააკეთა. დღეს ყველა ეკლესიურმა რიტუალმა უკვე თვითონ ადამიანში გადმოინაცვლა, აյ შიგნით ხდება კურთხევა, ზიარება, ნათლობა და ა.შ. [...].

აი, ხშირად ვფიქრობ, როგორ ძლიერად უნდა ყოფილიყო ჩემში წინა კარმის შედეგი, რომ ასე საღ-სალამათს და ვარჯიშზე გადამკვდარ კაცს 21 წლის ასაკში შემომეპარა ეს ავადმყოფობა. არ ვიცი შენთვის მითქამს თუ არა, რა კარმა აქვს წინა ამ დაავადებას. დოქტორი ამბობს, რომ ერთ-ერთ, და უფრო ალბათ ამის წინა განსხეულებაში, ის ვისაც დღეს ეს ემართება, რაღაც გარკვეულ რანგს, წოდებას, თანამდებობას ფლობდა, ისეთს, რომ შეეძლო გარკვეული მასებისთვის ეხელმ-ძღვანელა, ხოდა მან ეს უფლება ბოლომდე ვერ გამოიყენა ხალხი-სათვის, შეეძლო უფრო მეტი და ვერ გაქაჩა მოკლედ, და ამასთან ერთად ის, რომ გაურბოდა ერთგვარად ფიზიკურ შრომას. ნუ, ცხადია, თუ ვინმე დიდგვაროვანი იყო, არც თვითონ გააკეთებდა არაფერს. მოკლედ, უხეშად რომ ვთქვა, ასეა საქმე ამაში. მერე ეს ნაკლი,

მორალური უკვე, როგორც სუსტი ფილტვები, გამოდის. თორემ, ხალხი ლანდივით დადის და ფილტვები კი აქვს ჯანმრთელი. ასევე აქვს ყველა სხვა ფიზიკურ სისუსტეს ასეთი წინა მიზეზები.

მუშაობით ჯერ არ არის საქმე ისე აწყობილი, მალე გამოვუჩავნი ასმათს პარტიას და შენთანაც გამოიტანს. მე მგონი, არ დამემდურები - ჩემი მესამე ეპისტოლე გოკიელებისადმი საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ წერილი შრიფტით არის ნაწერი. მარიკას და თორნიკეს<sup>21</sup> აუცილებლად საჩუქარს მივართმევ საკადრისს, თანაც მე რომ ბიჭი მყოლოდა ასმათთან, თორნიკე უნდა დამერქმია, ხომ იცა. ჩემთვის შენი მაიკო ისეთი ახლობელია, რომ როცა გწერ, ასე მგონია ისიც კითხულობს მეთქი ანუ იმასაც ვესაუბრები მეთქი. მთელი გულწრფელობით ვამბობს ამას[...].

მაშასე, მე მგონი, შენს წერილსაც ბოლომდე გავეპასუხე და ამაღამ აფორიაქებულს არ დაგეძინოს, როგორც ხდებოდა ხოლმე ჩვენი ერთი, ორი საუბრის მერე. ამიტომ თავს დაგანებებ. ალბათ დღე - დღეზე მივიღებ შენს მეორე წერილს და იქ გავაგრძელოთ. მე კა მეგონა, ბევრი რამე გითხარი-მეთქი და რომ გადავიკითხე, არაუერი მითქვამს იმდენი, არადა რა აწერინებდა ამ მწერლებს ამდენს.

იყავი, ჩემო, გია მხნედ და ყოჩალად და მაშინ ყველა შენს ირგვლივ ძალებს მოიკრებს.

დიდი სიყვარულით შენი ირაკლი ანუ ი. ფ.  
7-8. I. 85. აღობილი



ჩემს გიას ძმური სალამი! შენი წერილი ე.ი. რიგით მესამე ძალიან აფორიაქებულ მდგომარეობაში მივიღე (რაზეც ქვემოთ, ოღონდ ისეთი არა-ფერი, არ შეგეშინდეს) როცა გავიგე შენი წერილიდან, რომ ჩემი მარტო ორი წერილი მიგიღია. მე ჯერ მოგწერე პირველი, მერე გიპასუხე შენს

<sup>21</sup> მარიკა გოკიელი, თორნიკე ხონელიძე - გ.გოკიელის და და დისშვილი.

წერილზე (პირველზე), ესეც ჩემი ორი, ხოლო ბოლოს ის წერილი, რომელიც მიიღო. ე.ი. გამოდის, მე მოგწერე სამი და აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ მეორე არ მიგიღია. მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ მასში იყო საშობაო ნახატი, რომელიც დამის 12 სთ-ზე დაგიხატე და რომელიც მომწონდა და კიდევ მასში ჩავდე ღოქტორის სურათი. აი ასეთი გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა, რამდენ რამეს გწერდი, ყოველ შემთხვევაში, ყველა საკითხზე გპასუხობდი (ვცდილობდი უფრო სწორად). ძალიან მეწყინა ამ წერილის დაკარგვა, ვიღაცამ წაიკითხა და სულ არ არის სასიამოვნო. თანაც პორტრეტი<sup>22</sup> მაინც არ ჩამედო. თანაც ის ნახატი ისეთი განცდით გაკეთდა. ასმათს ვწერდი ამაზე. ჯერ ასმათს დავუხატე, ასე თორმეტი იყო დაწყებული და ისეთი იმპულსი მომაწვა. მანამდე კი ვიჯექი, ახალი გადმოსული ვიყავი აღობილში, ვიჯექი და განვიცდიდი რომ შობას ასე ცარიელ-ტარიელი ვხვდებოდი შიგნიდან, ლოგინებს შორის უცხო ოთახში და უცბად მომივიდა რაღაცა. ჯერ ასმათს დავუხატე, მერე შენ. ორივეს უცნაური ბედი ეწია (ასმათის ნახატი ნახე აღბათ). ასმათს გახსნილი კონვერტი მიუღია, მაგრამ მაინც მიუღია, ეტყობა ვიღაცამ ინამუსა, შენ კი - არა. რას იზამ, დარღი რას უშველის. ასევე არ მიიღო ასმათმა ჩემი ერთი წერილი, რომელზეც ისევე დავაკარი კონვერტს (როგორც შენსაზე ჩემი მარკოზი) ძალიან საყვარელი პატარა მინიატურა და კონვერტი კონვერტში ჩავდედა სანანია მართლაც, ასეთი რამ რომ ხდება. ჩემო გია, ხედავ რა არეულად გწერ, იმიტომ რომ რაც ჩამოვედი, პირველად ამემღვრა გულ-გვამი. აქ, აი, რა მოხდა. მე ხომ ვიყავი ბრწყინვალედ მოწყობილი, რასაც მომავალში სლაიდშიც ნახავ. ჩემი აივან-ყველაფრით, ხოდა იმ სართულზე (ის კორპუსი ქალებისაა წესით) ცოტა კაცები ვიყავით 9-მდე და გადაგვიყვანეს მეორე კორპუსში, უფრო სწორად, მეორე კორპუსი შეავსეს. მე მომცეს ერთი პატარა კუბოსავით ოთახი, მარტო ფანჯრით, სადაც შეუძლებელი იყო ყოფნა, ხმაურისა და ორპირი ქარის გამო და ახლა გადმოვედი ოთხკაციან პალატაში, იმ ჩემს რუს ბიჭითან და ერთ თბილისელ კაცთან ერთად. მოკლედ, იყო აქ დიდი ომი და ამბავი, მაგრამ, შეჯდა ბუბუშიანი, ჩვენი მთ. ექიმი და არაფრით არ დამტოვა, მოკლედ გამომაბრძანეს. ჩავალაგე ჩემი ძალიან ბევრი ბარგი-ბარხანა. ახლა ვზივარ ოთხ ლოგინს შეა და რაღა დაგიმალო და მაგარი

<sup>22</sup> იგულისხმება რუდოლფ შტაინერის ფოტოსურათი

ნოკდაუნირებული ვარ. ჯერ ზეკარში დაწყობა-აბარგვა, ახლა აქ-არადა, როცა ნახავ სლაიდს, მარტო მაშინ შევძლებ გითხრა, როგორ ვიყავი. თან ისეთ კარგ რამეებს ვაკეთებდი ბოლოს, რომ არ ვიცი. ხომ იცი, ნათქვამია, სამჯერ ჩალაგება-ალაგება უკვე ხანძარს უდრისო (რუსულად ამბობენ). მოვასწარი რამდენიმე რამის გაკეთება. მოკლედ კი, მინდა უფრო დაწვრილებით მოგიყვე, მაგრამ გამოგიტყვდები, ძალა აღარ მაქვს. მთელი ენერგია ახლა მიღის იმაზე, რომ ისევ ჩავაშიშინო, რაც აშიშინდა. მე ხომ თბილისიდან ისე წამოვედი, რომ ვიცოდი, მექ-ნებოდა ოთახი და მთელი მასალები ჩამოვიტანე. ახლა კიდევ ზეკარში ვეღარ ჩავალ, იქ ძალიან სინესტეა (ხეობაა) და ის ოთახი, რომელიც მქონდა, უმზეო იყო. აქ კი ისეთი ბუნებაა, რომ უნდა გავუძლო ყველა-ფერს. თუმცა ეს ისეთი საადაპტირებო საქმეა, რომ იოლად არ ჩამივ-ლის, ვიცი. ჩემთვის ადაპტაცია არ არის დიდი პრობლემა, მაგრამ ასეთი გაბრიყვებული დარჩენა ცოტა ძნელია. ვნახოთ, მოვლენებს ვაცლი, დაველოდოთ. ხომ იცი, მისტიკა ამბობს *В словаре мудреца нет слова случайности.* უნდა ვეცადო გამოვიცნო, რა და რატომ. ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი, თუმცა ყველაფერი კი გაუგებრად და ნახევრად გითხარი. აი ამიტომ გწერ თავში, აფორიაქებულ მდგომარეობაში მომისწრო მეთქი შენმა წერილმა. შუა აღაგებაში ვიყავი და ახლა იმ წერილ-ნახატ-სურათის ამბავმა სულ გამთიშა. ისე რომ, სასაცილოც ვიქნებოდი, აღბათ, რომ შეგეხედა. დავჯექი ლოგინზე და კარგა ხანს არც გავნძრეულვარ. როგორ არ მინდოდა ვინმეს სხვას წაედო ის ყველაფერი.

მაგრამ ჩემო გია, ჩემი საშობაო მოლოცვა, ჩემი აზრები და საჩუქ-რები არ დაკარგულა. ის იქ არის აღბეჭდილი, რომელზედაც შენ აღბათ ან წაიკითხავდი ან წაიკითხავ T-ში.<sup>23</sup> ეს ის სფეროა, დევახანაში, სადაც ყველაფერი ჩვენი განცდილი, სულიერი და ღრმა, როგორც სარკეში აირეკლება და სამუდამოდ რჩება, და სადაც მერე ხელდასმულები კითხულობენ წარსულსა და მომავალს, ეს ყველაფერი, ჩემი გია, ისევე რეალურია როგორც ჩვენი მეგობრობა და თუ დღეს შენ ვერ გრძნობ ბოლომდე ამ სინამდვილეს, ეს დროებითია, სულ ცოტა ხანი და შენში ჩამოიღვრება ეს ყველაფერი და შენ ამას მილიონჯერ უფრო უკეთ იგრძნობ, უფრო, ვიდრე იმ სითბოს, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს.

<sup>23</sup> რუდოლფ შტაინერის „თეოსოფია“.

ახლა, ჩემო გია, თუმცა, როგორც შენ აშობ, ძალიან ძნელია, მაგრამ ვეცდები მაინც მოკლედ ისევ გიპასუხო შენს იმ წერილზე (მარკოზის სურათით), რომელიც მე მივიღე და რომელზეც გიპასუხე მაშინვე. შენ კითხულობ რა არის „სულიერი თვალის გახელა“ ეს არის ნათელ-ხილვის უნარი, რომელიც აბსოლუტურად ყველა ადამიანს აქვს. მოგ-წერე, რომ ამ წიგნების დაძლევა ყველასთვის ძნელია. იმისთვის, რომ ეს წიგნები იყოს გაგებული, შ[ტაინერ]მა ექვსასი ლექცია წაიკითხა, ასე რომ შენ ხომ არ გვინია, ვინმე, ვინც დიდი ხანია კითხულობს, ყველაფერს გებულობს იქ დაწერილს? ეს მხოლოდ ხელდასმულს შეუძლია. ჩვენი ვალია, რაც შეიძლება მაქსიმალური ენერგიის დაძაბ-ვით წავიკითხოთ ეს ყველაფერი და თუ უკვე ასე ვაკეთებთ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ნელ-ნელა ვახელო სულიერ თვალებს. მოკლედ ჩვენი №1 ამოცანაა და უკანასკნელიც, რასაც ვკითხულობთ, ვეცადოთ მაქსიმუმი გავიგოთ და მერე გადავიდეთ შემდეგზე. და კიდევ ერთი უმთავრესი, როგორც ადრე ვთქვით, არ გამოვტოვოთ დღე. რიტმი, რიტმი აი ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. რ. შ. აშობს: *Ритм заменяет силу* და ჩვენ ეს ძალა როგორ გვჭირდება, ჩემო გია. ჩემი წიგნი,<sup>24</sup> ვისაც შენ გინდა იმას ანახე და როგორც გინდა ისე. ასმათის მოცემულ პაკეტში კორეული პოეზია შემთხვევით აღმოჩნდა, ის ისევ ჩემია. დანარჩენი საჩუქარია.

ჯანმრთელობა. ეტყობა ნელ-ნელა წინ მიღის, ბევრს დავდივარ ტყეში, მოვიმატე სამ კილომეტრ წონაში და, მოკლედ, ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს.

ახლა შენს ბოლო წერილს ჩავხედავ მეც. ანანოს<sup>25</sup> სიმღერის ნიჭი უკვე ლაპარაკობს სიმღერის ნიჭზე ცხადია. რაც შეეხება „მე“-ს აშავს ბავშვებში ეს ძირითადად ასე ხდება მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ასაკში. რაც შეეხება ამ თაობას კი, მგონი, ისინი უკვე მუცელში იძახიან „მე“-ს.

ბავშვის აბორტზე კი შტაინერს საკმაოდ აქვს ნათქვამი. ახლა ძნელია ამაზე წერილში, მაგრამ, ერთი ცხადია, ეს ძალიან ცუდია, უფრო სწორად ცუდზე ცუდი. ამდენი საუკუნე ემზადები და უკან გადადებენ. და მერე ამ გაგდებულებს ერთგვარი ნეგატიური ძალები იყენებენ.

<sup>24</sup> იგულისხმება ირაკლი ფარჯიანის მიერ დასურათებული და გადაწერილი „იოანეს სახარება“.

<sup>25</sup> ანანო გოკიელი, გ. გოკიელის შვილი.

თუმცა, ცხადია, მაინც იბადებიან აღბათ, მაგრამ ეს წესით არ უნდა ხდებოდეს (ე.ი. აბორტი). სოფლებში ეს დღემდე უდიდეს ცოდვად ითვლება. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ერთი ორჯერ გვიწევს ჩვენი კარგი ყოფის გამო ამის გაკეთება (სამწუხაროზე სამწუხაროდ). ეს საკითხი ასე გვაწუხებს ხოლმე ყველას და მაინც ჩავდივართ ხოლმე ცოდვას. ერთი ისლა დაგვრჩნია რომ ვიურთხილოთ ძალიან. და მერე იცი, რა არის აქ ყველაზე მთავარი; – იცოდე მაინც რას აკეთებ, იცოდე და აცნობიერებდე, ჩვენ უცბად ვერ შევასრულებთ იმ ყველა დავალებას, რაც გვეკისრება, ყველაფერს დრო უნდა. რაც შეეხება მიცემით ბრუნვას, მექანიკურად მომდინოდა აღბათ, მე საერთოდ გრამატიკაში ძალიან სუსტი ვიყავი, ვეცდები არ დავუშვა. შენ ტყუილად მეუბნები, შენიშვნები არ გიყვარსო, მე ძალიან მადლობელი ვარ ყველასი, როცა შენიშვნას მაძლევენ. შეიძლება იმ წუთში შევეწინააღმდეგო, მაგრამ მე თითქმის ყოველთვის ვლებულობ მათ. ასმათმა იცის ეს და ჩემმა ახლო მეგობრებმაც. ასე რომ მართლა ძალიან დამავალებ თუ ამ მხრივ ულმობელი იქნები ჩემდამი. ჩვენ ხომ ვერ ვხედავთ ჩვენს თავს და ამიტომ ის გარედან უნდა დავინახოთ და ამაში ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ [...]

სამშვინველი არის დუშა. ეს სულხან-საბას აქვს სიტყვის კონაში. ეს სიტყვა დაკარგული იყო ქართულში და ზვიადმა,<sup>26</sup> მანანა გიგინე-იშვილმა და ა.შ. ამოატივტივეს, თორემ დუშა და დუქ ორივე ითარგ-მნება, როგორც „სული“, „გონი“. ასტრალური სხეული კი სამშვინ-ველია სწორედ. ეს არის სხეული, რომელიც ადამიანის ემოციებს, განცდებს, ვნებებს და კიდევ ბევრ რამეს ატარებს. წმინდანების გლორია ხომ განწმენდილი ასტრალური სხეულია. ე.ი. შენი მორალი, ხასიათი როცა განწმენდილია, მაშინ ადამიანის აურა სუფთაა. თბილისში, არ ვიცი, ამ მეცნიერების გზით თუ ვინმე ხედავს აურას. ნათელმხილველები და ხელდასმულები (ეს უკანასკნელი ნათელ-ხილვის უმაღლესი ხარისხია) საერთოდ არ ამჟღავნებენ თავს. ასე რომ, ჩვენ არ ვიცით ისეთ უცნაურ და საოცარ ქალაქში, როგორც თბილისია, ვინ და როგორ დადის. მოგწერე კიდეც, მგონი, ანდრე ბელი რომ სწერს და აღიზიანებს ბლოკს, შენ რა, არ ხედავ აურას? ე.ი. ჯერ ფიზიკური სხეული, მერე ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეული. მერე ასტრალური, მერე „მე“. ეს სამი სხეული აქვს ცხოველს, მას რომ „მეც“

<sup>26</sup> ზვიად გამსახურდია.

ჰქონდეს, მაშინ ის ადამიანი იქნებოდა. შურეს<sup>27</sup> წიგნი ვიცი და მაქვს კიდეც, (თუმცა სახლში ორი დღეც არ მიჩერდება) და ვიცი, როცა უნდა მოგცე. შენ, ჩემო გია, რამდენი ბედნიერება გელის, რომ იცოდე. ეს ძალიან საოცარი წიგნია და შტ[აინერი], ძალიან დიდ შეფასებას აძლევს, შურე ხომ ანტრ[ოფოსო]ფი იყო, და დოქტორი მასთან სახლშიც იყო საფრანგეთში. შურე იყო ვაგნერის იმ ვიწრო წრის წევრთაგანი, რომელიც სულ 8-10 კაცს ითვლიდა. მაგრამ შენ ახლა დ-ს უნდა ჩაუჯდე, ეს არის ძირითადი. ამ ყველას მერე სწრაფად და სიამოვნებით წაკითხავ. ჩემო გია, რაღაც მენტორული ტონით ხომ არ გამომდის ლაპარაკი და, იმედია, არც იფიქრებ. უბრალოდ, საშინლად დაღლილი და შინაგანად დაქანცული ვარ, თავი მტკიცა და ძალიან გვიანია და ძალიან მინდა, რომ შენ გელაპარაკო. ამიტომ ყველაფერი რაც ცოტა ისე ვერ იყოს, მაპატიე. ბავშვებზე რომ მწერ (მათზე, განცდაზე), ძალიან სწორად გაგიგე და ეს განცდა შენი უკვე გადაფგული ნაბიჯია.

გია, თუ რამე ფული მოგივიდა ჩემი სურათებიდან, კარგს იზამ, თუ ხელად ასმათს მიაწვდი. ახლა, ხომ იცი, წვანან და მე კიდევ ვერ ვეხმარები.

მაის სიზმრების ნუ ეშინია. სიზმარი ძალიან რთული რამეა. ის ისე არ არის, როგორც გვესიზმრება. ნათიაზე<sup>28</sup> სიზმარი, ეს ჩვენი დარდებია შვილებზე მხოლოდ. დედაზე კი ესეც დარღი და მონატრებაა, ისე სანთლის დანთება არ იქნება ცუდი აღბათ. მაინც მოქმედებს. ყველაზე კარგი კი სულიერ ამბებზე განცდილი საუბარია.

სტატია<sup>29</sup> წავიკითხე, ეს რა თქმა უნდა სულიერი არ ისებებია, რომ-ლებიც ხშირად მატერიალდებიან და ასე გვათამაშებენ. კონკრეტულად კი ამას ჩვენ ცხადია ვერ ავხსნით. მათი ბუნება ძალიან ძნელია [...].

აბა, ახლა დავიძინო, იქნებ, თუ დამეძინა ჩემს ახალ ინსტანციაში. იყავი მაგრად ჩემო ძმაო. რამდენი რამე მინდა, რომ გითხრა, მაგრამ გმირობად ჩამითვალე ეს წერილიც.

ძმურად შენი ირაკლი 19-20.I.85

P.S. ჩემი პალატა (ჯერჯერობით) № 21, II კორპ.

P.S. ჩემო გია. წუხელის, წარმოიდგინე, კარგად მეძინა, მთელი

<sup>27</sup> ედუარდ შურა, ფრანგი მწერალი – მისტიკოსი.

<sup>28</sup> ნათია გოკიელი, გ. გოკიელის შვილი.

<sup>29</sup> სტატია რომელილაც „ამოუცნობი მფრინავი ობიექტის“ შესახებ.

(გაგძლება იქნება)

